

169/3

2077 8284



# ՁԵՆՈՒՄ

6901  
114/3

11

1969

# ენათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 11

ნოემბერი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სანდრო შანუაშვილი — ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მიტოვია. ლექსი	3
ლალო შილაშვილი — ყაბახი. წიგნი შიშოკ. რომანი. დასასრული	4
შურბან ლეგანიძე — ლექსები	36
მირიან ხარბიანი — ღვებები გვიხმოვან, მივობრძობო! მოთხრობა	46
ოთარ ვილაძე — ლექსები	73

### 100 ზ. ი. ლენინი 100

შალვა გოჯალიშვილი, გულნარა გოჯალიშვილი — ვ. ი. ლენინის სახე ქართულ პროზასა და დრამატურგიაში	81
ა. ლურჯაია — ვ. ი. ლენინი საზოგადოებასა და პატრიოტიზმის აკნის შესახებ დიდიბარი ჯიბილამი — სოციალისტური ინფორმაციის მნიშვნელოვანი მიმართულება და მისი შემდგომი განვითარება პარტიის მიერ	92
	97

### ჩვენი იუბილეო

მისაღმებელი	107
შალვა ფორჩხიძე — სიტყვა ბუღისა	118

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ფილიპა ბაიკიძე — „სეთეტიკური ლაბირინთი“ და მისი განსახილველი	128
ლალო ავალიანი — „წითელი ღრუბლები“	136
თენგიზ კიკაბიძე — ხატოვანი მიტყველება კ. ზამსახურდის „დიდოსტატის მარჯვენაში“	





სიმონ შაუხჩიშვილი, ვაკლავ დონდუბა, მამია დუგბაძე, იოსებ მიხრაიძე, შოთა ბაგრატიონი — რუსთაველზე კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ მოღარ შოთაშვილი — ვეფხისტყაოსნის ავტორის შინაოცნება ახალი თვალსაზრისის შესახებ	149
ელგუჯა ხინთიბიძე — კორნელი კეკელიძე და გიგანტიურ-ჰარტული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები	156
პალერინე მაღრაძე — ცნობები ვესტურ ხალხურ სიმღერებზე	181
	186

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. ძღენტი, ა. ხულაყაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/შგ. მდივანი), ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. კვიციანი, რ. ჭავჭავაძე, გ. ჭიჭიანი.

ტექნოლოგიური რედაქტორი რ. ნაკვიტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11, პ/შგ. მდივანის — 98-55-13, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 15/IX-69 წ., ხელმოწერილია დისბეჭდვად 6/XI-69 წ., ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12, ჭაღალის ფორმატი 70 x 108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

№ 02401. ტირაჟი 10.400. შეყვ. № 2717.

საქ. კბ ცვ-ის გამოცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მითელია...

თქვენგან მაქვს ხელი გამოწვდილი როგორც მაცხოვარს —  
მეწვევით სტუმრად, ნადიმს ვიხდი გამოსათხოვარს!  
სუფრაც დამშვენდა შადრევანის ფერად მხეფებით...  
აბა, ვიმღეროთ! ხვალ ერთმანეთს ველარ შევხვდებით!

ბუნებრივია: ხანდაზმული გემშვიდობებით!  
თქვენ მყავდეთ კარგად შვილებით და ყველა ობლებით!  
არაფერია დასანანი, თუ წავიქცევი...  
სულ გეხსომებით, თიხადაც რო გარდავიქცევი...  
მაშ ვსთქვით სიმღერა მაღალი ხმით! მაშ ვსთქვით „ჩაკრულო“!  
აქლერდი ჩემთან შენც, ბედკრულო და გულჩაკლულო!

ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მითელია!  
არ გაბზარულა ჩემი გული, ისევ მთელია!  
თუმცა სიკვდილი ჩემს წინაშე დავლურს ცეცხვად,  
და ყიეინაში სადღაც გლოვის ზარიც რეკავდა.  
მაგრამ მე მაინც ვთამადაობდი შეუპოვარი,  
ხმას შემინწყობდა ჩემი სატრფო სწორუპოვარი!  
ახლაც ვიმღეროთ, განთიადზე რაც გვიმღერია...  
გაფანტე დარდი, ბაიყუში გულის მტერია!

რასაც ვნატრობდით, აგვისრულდა მსხვერპლის გაღებით!  
ახალ ცხოვრებას შეამკობენ ოქროს თაღებით!  
გულში სიამით თაიგულებს ჩაიკონებენ...  
ვინ გაიწირა და ვინ დარჩა — მოიგონებენ!

გატეხვით ჭიქა! ველარ დავლევ მით სადღეგრძელოს!  
მრავალგამიერ უნათებდეს მზე საქართველოს!  
გაფანტე დარდი, ბაიყუში გულის მტერია!  
დაჰკარ დაირას და ვიმღეროთ, რაც გვიმღერია!



# ყ ა ბ ა ს ი

წიგნი მერტი

რ მ ბ ა ნ ი

თავი მესამე

## I

ჯერ კიდევ მუხლმაგარ ღამეს გულ-დაგულ უტევდნენ მამლები. მთვარის მკრთალი შუქი სუსტად იბლანდებოდა ბამბუკების რაყაში. ტანაწურული კვიპაროსების წვეროები მახათივით გაყრილიყვნენ ცაში. ბზების კვლებს ადევნებულნი ფათალო მრუმე ხალავით შეფენოდა მინიატურული სკვერის შუა აღმართულ პატარა ხელოვნურ გორაკს. ვაჟკაცურად გალაჭული ცაცხვი ძლიერი მფარველის რუდუნებით გადამხობოდა თავზე მწკრივად გაყოლებულ, მინაში ჩასმულ ბრიგადათა სიებს. ეზოს ბოლოში დრო-ჟამისაგან შეუუმსრაავი მეოთხე-მეხუთე საუკუნის ძეგლის — წმინდა სტეფანეს საყდრის კედლები ირეკლავდნენ მთვარის ცივ ნათელს.

შავლეგო მობრუნდა და ღუმელს შეშა შეუმატა. პალტო გაიხადა და საკიდარზე დაჰკიდა. ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, მერე მივიდა და საწერ მაგიდასთან დაჯდა. მაგიდის მინიდან ნათურამ შემოაჭყიტა, თვალები მოაჭუტინა. გრძელი ხელები გაშალა, მაგიდის კიდევებს ჩასჭიდა, იდაყვები მინას დააბჯინა და მაგრად მოზიდა. ერთ ხანს იჯდა ეგრე დამაბული, მერე სკამის ზურგზე

გადაიწია, თავი უკან გადააგდო და ისეთი გადაიხარხარა, ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყეს.

აი, უკვე თავმჯდომარეა! შავლეგო — კოლმეურნეობის თავმჯდომარე!

— ბევრი რამ ხდება, პორაციო, ზეცად და ქვეყნად...

წუხელვე ჩაიბარა კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი. მერე, მიუხედავად გვიანი ღამისა, ყოფილი თავმჯდომარე გაიყოლია, კოტე ძია გააღვიძა და კანტორის კარი გააღებინა. წუხელვე გადაიბარა კაბინეტიცა და ცეცხლგამძლე ყუთიც.

და ახლა უკვე თავმჯდომარეა! ქალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე!

კბეზე ფეხის ხმა გაისმა და კაბინეტის კართან შეწყდა.

— ღიაა, მობრძანდით.

კაბინეტში ჩასაბერი შემოვიდა. კარი მიხურა და ზურგით მიაწვა. მერე ერთი უწნოდ გაიღრიჭა და პალტო გაიხადა.

— დიდხანს მელიოდე?

— არც ისე. მოდი, დაჯექი.

შავლეგო ბიჭს დააკვირდა და დაწითლებულ ქუთუთოებზე მიხედა, ღამით არც მას სძინებოდა.

— აბა, ახლა წვრილად ჩამიკენჭე:

წუხელ რატომ მაიძულე, რომ ამ დილით აქ დაგხვედროდი?

ჩასაბერი კიდევ გაიღრიჭა.

— ყველაფერი თედოს ბრალია, ჩემმა მზემ, თედოს ბრალი.

— კი, მაგრამ, რა ეშმაკმა აგრეკათ მთელი ხროვა იმ სცენაზე? — ლამის კრების მესამედი იქ იყო.

— აქი გეუბნები, თედოს ბრალია-მეთქი. წუხელ შენ შესციდი, თედოს რომ ორგანიზაციული ნიჭი დაუწუნე. ის რომ არა, ახლა შენ აქ არ იქდებოდი. წუხანდელი ამბავი ძია ნიკოსთვისაც მთლად მოულოდნელი არ გამოდგა. კევიანია ეგ ბებერი მგელი: მაინც რალაც იყნოსა და ვინც „ამრევ-დამრევებად“ ეგულებოდა, ყველა „გაფართოებულ“ პრეზიდენტში აირჩია. ამით ვითომ ორი კურდღელი მოკლა: „ინტრიგანები“ კიდევ მოიმაღლიერა და ძირს, „პარტრში“ დარჩენილ მთავარ მასასაც მოსწყვიტა, რათა მათზე გავლენა არ მოეხდინათ. მხოლოდ ეს მგონია ერთადერთი სწორი ამოხსნა. — ჩასაბერი სკამზე

აკმუკდა, — ო, რა დაუშვავე რაიკომის მდივანს გუნება! თედოსა ჰქონდა „ჩაწყობილი“. წყალი არ გაუვიდოდა, იგრე ჰქონდა წინასწარ ჩაწყობილი. აფსუს! რამდენი ხნის ნაშრომი ჩაუყარე წყალში! მაგრამ, მაინც სალოლ, თედო! ეგრე რომ არა, ალბათ, შენ ჰალისპირს უკან აღარ მოუხედავდი! ჩვენ კი ნამდვილად მოვეკალით ორი კურდღელი: თედოც მოვიშორეთ და ძია ნიკოც. წუხელ ათასგვარა გეგმები დავაწყე. ეხლა თავს იგრე ვგრძნობ, მგონია ქვეყანას გადავატრიალებ. აღარ ვიცი, საიდან დავიწყეთ. ყველაფერი მინდა ერთბაშად გავაკეთო. პირველ რიგში კი...

— კლუბი და სტადიონი?

— არ ვიცი, არ ვიცი, შავლეგ! ათასი რამე სჭირდება კოლმეურნეობას. ხომ ნახე წუხელ, კრება სად იყო? ხალხი გაიყინა სიცივით. გომურიც დაძველდა და დაპატარავდა. საშრობი დაიწყეს და დაუმთავრებელია. მე საბავშვო ბაღზედაც ვფიქრობდი. ბავა-ბაღზედაც. წყალსაქაჩი საყიდელი და დასადგმელია.

მერე აბანოზეც შეიძლება ფიქრი. მოკლედ, არ ვიცი, უამრავი რამ, შომდის ამ ცარიელ გოგრაში.

— მაშ რა გეგონა, მარტო მე გამხილებოდა თავში საცემი? არა, ძმობილო, ახლა შენ და მახარე გამგეობის წევრები ხართ! დღესვე გვექნება გამგეობის კრება, ამ დილითვე. უამრავი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი. შენ რას იტყვი, შესძლებს მახარე საწყობის გამგეობას?

— შესძლებსო? ზედ გამოჭრილია!

— ჯიმშერი მგონი ზოოტექნიკოსია.

— შარშან დაამთავრა მაჩხაანის ტექნიკუმი. ხომ არ დავაფიწყდა, რომ ეგეც გამგეობაში ავირჩიეთ?

— არ დამეფიყებია. რას იტყვი, გაუძღვება მსხვილფეხა საქონლის ფერმას?

— ეგ უკვე არ ვიცი. ეგ... რა ვიცი, ეშმაკის ნაგლეჯია, შეიძლება გაუძღვეს კიდევ. შეიძლება დასაწყისში გაუჭირდეს, მაგრამ მაინც შესძლებს. ძია ნიკომ ახლო არ გაიკარა. სიხარულით გადაირევა ეგ რომ უხსენო.

— გამგეობაში მგონი ცამეტი კაცი ავირჩიეთ.

— ცამეტი. თარსი რიცხვია. რატომ თერთმეტი ან ხუთმეტი არ მოინდომე?

— ცრუმორწმუნე ხარ? სისულელეა. ჩვენ მაგ რიცხვს ბედნიერ რიცხვად ვაქცევთ.

— გავვიჭირდება.

— რატომ?

— მანდ მეცამეტე ძია ნიკოა. რაკი მოვიშორეთ, აღარ უნდა ავეერჩია გამგეობაში.

— არ გეთანხმები. საჭირო კაცია. პატარა გამოცდილება არ მიუღია.

— წაგლეჯვა-მითვისებაში?

— თუ რამ წაუგლეჯია, ვუანგარიშებთ, უკანვე მოვატანინებთ და პასუხსაც მოვთხოვთ.

— ბიჭები აღრენილები არიან. წუხელ მთელი გზა ბუზღუნებდნენ. ჩვენთან გამოვიდეს და ხელში ხუთგირკანქიანი თოხი დაიჭიროს ჩვენსავითო. არაფერი დააკლდება, თუ ცოტა ქონი შემოადნებაო.

— თუ საჭირო იქნა, თოხსაც დაიჭერს. ეგ პრობლემა არ არი. თედოს ბრიგადა უნდა მივეცეთ მაგას. ეპვი არ მეპარება, ბრიგადას თავს კარგად გაართმევს.

— თედოს ბრიგადა? ვადიირევა! შეიძლება ჯამში წყალი ჩაასხას და თავი დაიხრჩოს!

— თედოს ვინ მისცა მაგდენი ვაქცაცობა. ქვემძრომი და მომხვეჭი ხალხი გულდღედალია.

— შენ უკეთ იცი. იოსებას ბრიგადას რაღას უშვებები?

— სოსო ივარგებს?

— მანდ გამოცდილი კაცი უნდა. მევენახეობა ხეშრობა საქმე არ არი. თუმცა ეგ იგეთია, თუ ენდე, თავს მოიკლავს და გააკეთებს. ოლონდ თუ ხალხი არ განაწყენდა.

— ხალხი რატომ უნდა განაწყენდეს?

— რა ვიცი. ადამიანები არიან — შურისაგან. გამოცდილები განზე მოგვიგდო და ლაწირაკი დასვაო.

— რამდენადაც ვიცნობ, სოსო ლაწირაკი არ არი.

— რა თქმა უნდა, არ არი. მაგრამ იმათ თვალში მაინც ისევე ის ქარიღლეტიაა. თავს მოიკლავს, დღედაღამე არ დაისვენებს და ერთ წელიწადში იოსებაზე ნაკლებ არ ეცოდინება ვაზის ყადრი.

— რა თქმა უნდა, ჩვენც მივებმარებთ.

— არ კი მინდოდა მაგ ბიჭების ჩამოშორება.

— არა უშავს. შენ უნდა გიხაროდეს კიდეც, რომ შენი ბრიგადა კადრების სამკედლო იქნება. იცი, შაქრი, მე მინდოდა შენი ბრიგადისთვის „მფრინავი ბრიგადა“ დაგვერქვა და გაქირვების ეამს, სადაც საქმე მოითხოვდა, იქ ყოფილიყო, მაგრამ გადავიფიქრე. მაინც ვიმსჯელოთ. უფრო კი, ვფიქრობ, ეგრევე დავტოვოთ. ჩვენი რაიონი ძირითადად მევენახეობის რაიონია და ჭალისპირი ყველაზე უკეთესი მევენახე კოლმეურნეობა უნდა იყოს. სამოცდათერთმეტი ჰექტარი ვენახი ჩვენთვის არაფე-

რია. ორი-სამი მაგდენი უნდა გავაშენოთ მემინდვროების ბრიგადების ხარჯზე. აი, დოვლათი მაშინ გვექნება შექინზაცია მუშა ხელს შელავთს მისცემს. არ გაგვიძნელებს. შენი ბრიგადა უნდა იყოს ინიციატორი ამ საქმეში. წელსვე უნდა ჩავყაროთ ვაზი ორივე მაყვლიანში და მაყვლიანს გადასწვრივ, ხევის გაღმა, სადაც შარშან მზესუშობრა გვეთესა.

— დავიწყეთ. როცა სათავეში შენ გვეყოლები...

— ეეპ, შაქრი, სათავეში, მე ვიცი, ვინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

— კაცი არ ვიყო, შავლეგ, თუ მაგ ბიჭზე მეტად ვინმეს როდისმე ჩემთვის გული ეგრე დაწყვიტნოს... წუხელაც ვფიქრობდი. მართალია, ახლო არ ვიყავით ერთმანეთთან, მაგრამ ძალიან დიდ პატივსა ცემდით და ჩუმად გვიყვარდა კიდეც... მთელ სოფელს დასწყვიტა გული.

— რას ვიზამთ. კარგი იყო არ მომხდარიყო ეგ უბედურება, მაგრამ რაკი მოხდა, ახლა რაღა ეშველება? ახლა ჩვენ უნდა წამოვიკიდოთ მთელი სიმძიმე.

— აბა, მაგას რაღა თქმა უნდა. რაკი შევებით, უნდა გავწიოთ კიდეც. და, მგონი, ცუდადაც არ გავწევთ.

— დღეიდანვე ვიწყებთ ყველაფერს. აი, ამ წუთიდანვე.

— დავიწყეთ. სადაც შენ იქნები, ჩვენც იქ გვიგულე. სადაც გინდა, იქ მიგვაგდე. დავიხოცებით და ჩვენსას მაინც გაუიტანთ. სადაც შენ გვეყოლები, თითო ბიჭი თითო მგლად იქცევა. ნამდვილ გადატრიალებას მოვახდენთ ჭალისპირაში! — ჩასაბერი სკამზე ვერ ეტეოდა, ივრიხებოდა, ხელებს იფშენებდა, კბილებს წარამარა კრეკდა, სიამოვნებისაგან ჩუმად ხითხითებდა. — ძია ნიკო უნდა გადავირიოთ. ერთი უნდა ვაჩვენოთ, როგორი უნდა იყოს კოლმეურნეობა! ოლონდ, შავლეგ, — ჩასაბერმა სიცილი მოსხიბა და თვალეში სიცივე ჩაიყენა, — ბულალტერი, — ზევით აშ-

ვერილი ცერი ჭევევით დააყირავა, —  
კაპუტ! იცოდე: თუ ეგ დარჩა მანდ, ხა-  
თაბალაში გაგვამას.

— რა თქმა უნდა, მაგ ბულალტრის,  
გაჩერება არ იქნება. მაგაზე ბევრი  
რალაც-რალაცებები გავიგე. ძია ნიკოც  
უმაგისოდ ძროხის ფულს ვერ გაიტან-  
და. მაგრამ, ჭერჭერობით...

— აპა-აპა-პა! არც ერთი დღე! არც  
ერთი საათი! მაგაზე გველაშუა კაცი არ  
მეგულუბა. სერიოზულად გეუბნები.  
ისევე ძია ნიკოს შეეცვრება და რალაცას  
გვაზიანებს.

— ძალიან დაუშინებხარ. რა უნდა  
გვიყოს?

— ეშმაკი ღმერთმა დასწყევლოს! აბა,  
წინასწარ რას გაიგებ? რალაცას რომ  
გეიხიამნებს, ნაღლია.

— კი, მაგრამ შემცვლელი ხომ გვინ-  
და.

— ვიშოვნით. მე ვარიანტი მაქვს:  
ჩვენებური ბიჭია ლალისყურში. სია-  
მონებით წამოვა. მაინც მოდაშია ეხლა  
ადგილების გაცვლა. დღესვე უნდა მო-  
ვიშოროთ თავიდან. როგორც კი დამ-  
თავრდება გამგეობის კრება, მაშინვე  
გავვარდები ლალისყურში. სულ ხტუნ-  
ვა-ხტუნვით წამოვა. იცი, ვინ არი? ჩე-  
ნი რევაზის ბიძაშვილია, ადამა ენუქა-  
შვილი, საწყალ თავის ძალუასაც მიჰხე-  
დავს, მარტოდმარტოა იმ სახლში გამო-  
კეტილი იმ გოგოს ამარა.

— ის გოგო... ცოდოა. მაგასაც რა-  
ლაც უნდა მოეუხერხოთ. ძალიან დიდი  
ცოდვია... მამა სულ აღარ ეკარება?

— თვითონ გოგო არ ეკარებს. არ ვი-  
ცი, რა მოუხერხდება... სადღაც წავი-  
კითხე ვადამლობი ხანძრის შესახებ...

— რაო? რა ვადამლობი ხანძარია?

— ტაიგაში თუ ხანძარი გაჩნდა, მეო-  
რე მხრიდან მისთვის გზის ვადამლობ  
სხვა ხანძარს გაუშვებენ ჩასაქრობად.

— აბა, სისულელეს მოეშვი. ნახე  
შენც სახუმარო თემა.

— ახლა იგრე ვარ გადარეული,  
ფანჯრიდან რომ ვადავბტე, ან კრამი-  
ტებზე ყირა გავჭიმო, არ უნდა ვაიკვირ-  
ვო. მაგ გოგოზე კი ხუმრობა გაშვებით,

მართლა უნდა ვიფიქროთ, ვინც ნიკოს  
გაქცა, ის ჩვენი მოკავშირეა. ჩვენ გო-  
გოებს მოველაპარაკებო. მეც ძალიან შე-  
ნანება. ჩემმა მზემ, ძალიან შენანება.  
თუნდაც იმიტომ, რომ რევაზის სახე-  
ლით ამირებს ცხოვრებას.

— გოგოებს ნამდვილად უთხარი.  
დღეს თუ დრო მოვიგდე, მეც შევივლი,  
თუ არადა, როგორც კი საქმეს მოვრჩე-  
ბით, ღამით მაინც გავივლი. ლალისყურ-  
ში დღესვე ვადი. იმ ბიჭზე ცუდი არა  
გამივია რა. ვადი და ამბავი გამომიტანე.

— გამგეობის შემდეგ წავალ.

— წადი. ახლა ყური მიგდე: აი, გასა-  
ღები. ლექსო გააღვიძე, გამოიყვანეთ  
ჩვენი ვოლგა...

— ეზოში უდგა. არ გამომატანს ძია  
ნიკო.

— გასაღები წუხელვე ჩავიბარე. რაკი  
გაძლეე, მაშასადამე, ჩემი სურვილია,  
გამოიყვანე, ადით თელავში და ჩვენი  
ღვინის წერტის გამგე ვახტანგ ჭარხა-  
ლაშვილი აქ მომიყვანე სასწრაფოდ.

— არა მგონია გამოიყვანს.

— თავმჯდომარემ დამაბარა-თქო.

— კარგი. ოღონდ, რომ არ წამო-  
ყვეს?

— წამოგყვება. მაგან წუხანდელი  
ცვლოლებებისა ჭერ არა იცის რა. ნურც  
ძია ნიკოს ეტყვი, სად მიდიხართ და  
რატომ.

— ეგრე.

— აბა, მიდი, ხედავ, კიდეც ვილაც  
მოდის. ოჰ, ერმანას ვაუმარჯოს! კეთი-  
ლი იყოს ერთი სოფლის ორი თავმჯდო-  
მარის შეხვედრა.

ერმანა სერიოზული სახით მივიდა და  
ხელი ღირსეულად ჩამოართვა.

ჩასაბერმა შემოსულს ზურგზე დამ-  
ცინავი თვალი მიაჭედა და გავიდა.

— ამ დილით გამგეობის კრება გვაქვს  
და უნდა დაესწრო, ერმან.

— ვიცი, მაგრამ... ამ შუალამისას რა  
ძალა ვადგა, ვერ დაიძინე?

— ძილს მერეც მოვესწრებით, ჩემო  
ერმან, ჭერ კი საქმეს უნდა მიგხედოთ.  
აი, რას გეტყვი: შენ ახლავე უნდა სია  
შემიღვინო ყველა იმ კალატოზისა, მე-

ქურჭლისა, ღურგლისა და, საერთოდ, იმ კოლწევრებისა, რომლებიც გარე სამუშაოზე დადიან. უნდა ვიცოდეთ კოლმეურნეობას ვინ გაუბრძის, დღესვე უნდა მომიგროვო საბჭოში და გამგეობის კრების შემდეგ აქ მომგვარო. აგრეთვე სია მინდა იმათიც, ვინც სამოც წელს არი გადაცილებული, ვინც პენსიას იღებს და ვისაც ამა თუ იმ მიზეზით მუშაობა არ შეუძლია. განსაკუთრებით ზუსტი სია კალატოზებისა, ღურგლებისა და მეჭურჭლეებისა. მაინტერესებს ყოველი მათგანი კოლმეურნეობაში რა შრომითი მონაწილეობას ღებულობს.

ერმანა სკამზე უგემურად შეტრიალდა.

— აბა, რა შრომითი მონაწილეობა უნდა მიიღონ? დავჯექი თუ არა საბჭოს თავმჯდომარედ, მეორე დღესვე მომადგა კაკანთ ფილიპე: „ნასყიდას თვეში ოც თუმანს ვაძლევდი და შენ რამდენს გამომართმევო?!“ გაგიხარიან ვიფრინე! გაგიხებლოთ და ისევ არ შემომიღო კარები! „ოცდახუთზე მეტს, რა ვქნა, ვერ მოგცემო“. ვეუბნები: დამეკარგე შენი ფულიანად აქედან! ის კიდეც: „არც სხვები მოგცემენ ამაზე მეტს, ნასყიდას ისინიც ეგარე აძლევდნენო...“ ძლივს მოვიშორე თავიდან... ავდექი, დავადექი იმ დღისით, მთელ ჭალისპირს დავუარე და ყველას გამოვუკეტე „ქარხნის“ კარები. ახლა მეუბნებიან: ჩუმჩუმათ მაინც ჭრიან ქურჭელს, თონებებსა და ქვევრებსო. აბა, რა ვქნა, მარტო მე ძალა ვერ მიმიტანია, რადგან ყური მოეკარი, ფინაგენტებთან არიან ზოგ-ზოგი „შეკრულიო“.

— არაფერია, ყველაფერი მოგვარდება. შენ ამ ღამიდანვე გააფრთხილე ყველანი. არცერთი ხელოსანი სოფლიდან არ გავიდეს და საბჭოში მოგროვდეს, სანამ მე გამგეობის კრებას დავამთავრებ.

— მოგროვება ადვილია, მაგრამ რას ვუზამთ, რას მოვუხერხებთ? მაგათგან სოფელს სარგებელი მის დღეში არ ექნება.

— ექნება! რაკი ვამბობ, მაშასადამე,

ექნება. დღესვე მომიყვანა აქა. ხელოდან კლუბის საძირკველს დაეხმარება დაეწევათ.

— როგორ თუ საძირკველისა? კლუბის საძირკველიც გაკრილია და კედლებიც თითქმის მუხლამდია ამოყვანილი.

— ეგეთი მინიატურული კლუბი ჩვენ უკვე გვქონდა და დავანგრეთ. ჭალისპირი დიდი სოფელია. კიდეც უფრო გაიზრდება. საჭიროა თანამედროვე კლუბი. კლუბთან ერთად იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ოთახები წერობრივი მუშაობისათვის. იქვე და მონტაჟდება მუდმივი კინოდანადგარი. ესე იგი, მთელი კომპლექსი თანამედროვე სოფლის კულტურული დაწესებულებებისა.

— ეჰ, შავლეგ, მაგას რამდენი ხათბალა უნდა. ჯერ მარტო პროექტის შედგენა და დამტკიცება რამდენ დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

— პროექტის შედგენა და დამტკიცება ჩემზე იყოს. დანარჩენი შენ ითავა.

— აბა, მე რაღა უნდა ვითავო? ხელოსნები ყველა შენი წევრებია და შენ უკეთ იცი, როგორც მოქცევი. მაინც სად უნდა ავაშენოთ?

— ორი ვარიანტი მაქვს, დღეს განვიხილოთ გამგეობაზე.

— შენი ნებაა. მე თუ რამეში გამოგადგები, მომიხმარე, როგორც გინდოდეს. მხოლოდ... იქნებ არც უნდა გკითხო, მაგრამ გული არ მითმენს: საიდან და რით უნდა ავაშენოთ კლუბი და მთელი კომპლექსი?

შავლეგომ გაიღიმა, თვალები დაწკაურა და შუშაზე გადმოწვა.

— იღეა მაქვს! გარდა ამისა, სახამთროს ბაღის დიდი იმედი.

— საზამთრო წელს გადაირევა, მაგისი იმედი კი უნდა გქონდეს. ოღონდ... რომელ ერთს გააწვდენ?

— გააწვდენთ. საქმისა არასოდეს არ უნდა შეგეშინდეს. ერთხელ კუპრაჟამ მითხრა: თუ გადასწყვიტე ქვა გახეთქო, ქვა თვითონ გიჩვენებს ნაბზარს, სადაც უნდა დაჰკარო. ჭკვიანი კაცია კუპ-



რაჟა. ახლა შენ რას გთხოვ: ტივი წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ედოო. ამ გახსენებაზე, სასადილოში შეივლი და კუპრაჟას ეტყვი, აქ ამოვიდეს. მერე ხალხი მოგროვდება და არ მინდა იმათთან ველაპარაკო. ამ წუთში ამოვიდეს აქ.

— ადვილია. მაინც იქით უნდა ჩავიარო. აბა, მაშ წავალ და ხელოსნებს დავუვლი.

— ეგრე. მოიცა! საბედია-ძალოსთან გადი და სოლიკოს უთხარ, ახლავე აქ დაიბადოს.

— ადვილი სამსახურია.

— ეგრე.

ღამე უკვე გატრეცილო იყო, კუპრაჟა რომ მოვიდა. პირდაპირ შემოაღო კარი და შემოვიდა.

— თავმჯდომარეს სალაში!

— სიმონს გაუმარჯოს! გაიხადე პალატო.

— ჯერ არ მოესულეარ და ესლავე მძარცვავ?

— არ გეყო, რაც შენა ძარცვავდი? — ქურდის ქურდი ცხონდაო.

შავლეგო წამოდგა და კუპრაჟას ტორს აშკარა სიამოვნებით შეაგება თავისი ხელი.

— როგორი ბიჭი ვარ?

— დღემდე ოქროდ ვიცნობდი და დღეს, რაკი ქურაში შეგაგდეს, იქიდან რა გამოხვალ, ალლაჰ ბილირი!

— ვერ ვითავმჯდომარეებ?

— აბა, როგორ ვითხრა, — კუპრაჟამ სკამი მიიწია და მაგიდას მეორე მხრიდან მიუჭდა. — სოლომონ ბრძენსა პკითხეს: „დათვი კვერცხსა სდებს თუ ბელებს ცოცხლადვე აჩენსო?“ სოლომონ ბრძენი ერთი პორცია დაფიქრდა და უთხრა: „ეგ იგეთი გაფუჭებული ნადირია, მაგისაგან ყველაფერი მოსალოდნელიაო“.

კუპრაჟამ დააცადა, სანამ შავლეგო ხარხარს მორჩებოდა.

— ჩემგან კი ეს გახსოვდეს: ჯდომელა ვერასოდეს იცეკვებ.

— ოჰ, რა კაცი ხარ, სიმონ, დიდი მოურიდებელი ჭეილი ხარ.

— ზოგი მოყვარეს პირში აფურთხებს და მე რომ პირში ვუძრახლობდი საქმეა?

— ხომ აგისრულე ნატვრა, მეტი რაღა გინდა?

— რომელი ნატვრა?

— მთხოვდი დარჩიო და, აბა, შენი გულის სახეთქად დავრჩი.

— ვისაც შენი დარჩენა არ გაჰხარებოდა, დღისით თვალეზი სტყიოდეს და ღამე კბილეზი.

— ფუჰ! რა საშინელი წყევლაა. ახლა მითხარი: რა ჰქვია ჩვენს ურთიერთობას? შენ რას უწოდებ: ამხანაგობას, ძმაცაცობას თუ მეგობრობას?

— ეგ მაგ წყევლაზე ძნელი კითხვაა. ჩემი აზრით, ამხანაგობა ცოტაა, მეგობრობა ბევრი, ძმაცაცობა კი არაფრით არ არი.

— პატროსანი კაცი ხარ, სიმონ, გინდა ვითხრა ჩემი გაგება?

— შენი აზრი, რა თქმა უნდა, საინტერესოა, როგორც ყოველთვის.

— ოჰ, რა ქაჯის ნატეხი ხარ! ეშმაკზე სამი დღით ადრე ხარ დაბადებული.

— მე უფრო მეტს ვანგარიშობ: ღმერთი რომ ადამიანს აცეთებდა, მე მაშინ თიხას ვუხელავდი.

— იმ ეშმაკმა წაგიღოს, სიმონ. ღმერთმანი, მიყვარხარ. ცოტაც და, ალბათ, დავმეგობრდებით. ოღონდ ერთი პირობით: სიტყვის გამტეხი ხალხი არ მიყვარს.

— ვინც კუპრაჟას იცნობს, ისიც მოეხსენება, სიტყვის გამტეხია თუ არა.

— მაგას ნუ ამბობ, თორემ სიტყვაზე დაგიჭერ.

— თბილისივით რომ ათასხუთასი წელი ვიცოცხლოთ, მაგას შენ ჩემზე ვერ გაიგონებ.

— მე ახლაც შემიძლია სიტყვაზე დაგიჭირო.

— ვერ დამიჭერ.

— დაგიჭერ. იმ დღეს მე და შენ თელავიდან მოვდიოდით. მე ვითხარი, რომ ძია ნიკოს გაღმრთავდებდი ტახტიდან.

— მითხარი.



— შევასრულე?

— ჰაი, ჰაი, რომ შევასრულე! სამასი პროცენტით!

— ახლა მინდა შენი სიტყვა გაგახსენო.

— რომელი სიტყვა?

— დავაიწყე? აბა, კარგად გაიხსენე.

— ჩემი მზე და შენმა გახარებამ, არ ვიცი, რომელზე ამბობ.

— რომ გაგახსენო, რას იტყვი?

— არაფერს. ნათქვამი ერთი და შესრულება მეორე.

— მაშ, აი, რას გეტყვი: ხვალიდან ახალი კლუბის, დიდი კლუბის მშენებლობას ვიწყებ. აქ ბიჭები იყვნენ, შეეპირდი და სიტყვას არ გავტეხ. თანხა არა მაქვს. არ იფიქრო სესხადა გთხოვდე. ასიათას მანეთს მომიტან. — შავლეგომ რაღაც მხეცურად გაილიმა და გამსჭვალავი თვალი თვალში გაუყარა.

— მომიტან და აი, აქ, — მარჯვენა ხელის გული ისე აატყაპუნა მაგიდის მიწაზე, ხიშტივით მიბჭენილი მზერა არ მოუშორებია, — აი, ამ ადგილას დამიწყობ დადასტავებულს.

კუპრაჯა დიდხანს იდგა ჩუმად და ვაკვირვებით. თითქოს ყურს არ უჭერებო. მისი მზერა დამხედურის იქით მიდიოდა და, სადღაც სივრცეში იკარგებოდა. წამით შეუთრთოლდა ქუთუთობი. თვალთა კილოებთან მიყრილი ნაოჭი წამით გაუმრავლდა. მერე, თითქოს ერთბაშად მოეგო გონსო, ჯიქურ შეხედა ახალ თავმჯდომარეს და გამომწვევად დაჰკრა მუშტი მაგიდას:

— ვინც არა!

— დედალი იყოს!

— ეგრე! მაიტა ხელი!

— ამ გარიგებაში ჩემი ხელი შენსაზე ცოტა სუფთა ხომ არ არი?

— ჯერ ერთი: ეს გარიგება არ არი, — ეს ქველმოქმედებაა. მეორეც: შენთან შეხვედრისას ჩემი სულიცა და ხელიც აიაზმის წყალში იბანება. აი, აბა, შენსაზე ნაკლებ სუფთა არ იქნება მეგობრობაში.

— სიმონ! ღმერთმანი, გამახარე! მაგრამ მეგობრობამდე კიდევ მანძილია

ახლა მინდა ვისარგებლო შენი საქმე-გობრო ხელით და ერთჯერად გუფხოვო.

— შენი თოკი და ჩემი კრსქრსქტქტა.

— ჩემი მხრიდან დიდი სისულელე იქნება, რომ გთხოვო: ვაქრობას თავი ანებე, და ჩვენთან, კოლმეურნეობაში მოდი-მეთქი.

— მაგას არც შავლეგო იტყვის და არც კუპრაჯა დაიჭერებს.

— ვიცი. მე სხვას ვეუბნები.

— თქმა შენი და შესრულება ჩემი.

— არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება კლუბის მშენებლობა. ქვა-ქვიშას ბერხევა მოგვეცემს. კირსა და ცემენტს ვიყიდით. ხის მასალასაც. რკინეულს იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება. ინჟინერს შევათანხმებთ ყველაფერს. თუნუქიც ძნელი საშოვნელია... შენ უნდა ჩაუდგე ამ საქმეს სათავეში და ითავო მომარაგება.

კუპრაჯამ ტუჩები დაბრიცა და თავი გაიქნია.

— ეგ საქმე არ გამოვა. ეგ კი არ შემიძლიან. ძმობის მაღლმა, სეზონი იწყება და ვერ გავაცდენ.

— რომ არ გააცდინო?

— აბა, საიდან! სასადილოს ხომ არ დავკეტავ?

— სასადილო არ დაიკეტება და ის შემოსავალიც შენს ჯიბეში ჩავა.

— პირდაპირ მითხარი.

— სერგო იქნება, შენი ბიჭი, შენს მაგივრად.

— მერე, ღვინის წერტი?

— ღვინის წერტს დღეიდან ვაუქმებ. კოლმეურნეობას ვასაყიდი ღვინო არა აქვს და, მაშასადამე, არც ღვინის წერტია საჭირო.

კუპრაჯას ორივე ქუთუთო აუთამაშდა.

— ნამდვილად გადასწყვიტე დაპხურო?

— ძმობის მაღლმა, ნამდვილად გადაწყვიტე.

— ეგ უკვე მეწყინაა.

— რას იზამ. მაგაზე მეტი საწყენი ღმერთმა ნურა შეგვახვედროს რა.

შავლეგო დაჯდა. თვალს არ აშორებდა კუპრაჰას სახეს.

კუპრაჰა ერთ ხანს იღვა წარბშეყრილი. თავს ოდნავ იქნევდა და ცალ ფეხს ჩუმად აბაკუნებდა.

— კარგი, თანახმა ვარ. როდის დავიწყებთ?

— ხვალდანვე. ოღონდ იცოდე: სანამ კლუბის მშენებლობა არ დამთავრდება, მანამდე თავს ვერ დაანებებ.

— ვიცი.

— რაც მალე დამთავრდება, მით მალე იქნები თავისუფალი.

— ვიცი.

— მიწას გაარღვევ და ყველაფერს იშოვი.

— ეგ კი შენ უნდა იცოდე.

— მეც ვიცი.

— წავედი?

— წადი. ოღონდ... ფულს დღესვე მოიტან და, აი, აქ დააწყობ.

— თუ მთელი მომარაგება ჩემზე იქნება, ფულს რაღად უნდა აქ მოტანა?

— არა, ფულს მოიტან და, აი, აქ დააწყობ. ეს კარადა ცეცხლგამძლეა. შიგ ერთი ზონარგაყრილი წიგნის მეტი არაფერია... მე თვითონ მოგცემ რაზე და რამდენი იქნება საჭირო. ხარჯთაღრიცხვასაც მე და შენ ერთად ვაწარმოებთ.

— ფული რომ დაგინომრო და მერე გიჩვილო, ქრთამად წაიღო-მეთქი?

შავლეგოს თხელი ტუჩები წედანდელმა ღიმილმა გააპო და ნადირის თეთრი, წვეტიანი კბილები გამოაჩინა.

კუპრაჰას მეტი აღარც უხუმრია. გაალო კარი და უშალვე გავიდა.

კარი მიკეტილი არ ჰქონდა, რომ ისევ შემოაღო.

— არ იფიქრო, რომ მუქთი მუშა იშოვე, იცოდე, მაგაშიაც სარგებელს ვნახავ...

შავლეგომ ერთი ღერი შეშა კიდევ შეუყეთა ღუმელს და სოფლის თავისკენ გამავალ ფანჯარას მიადგა. სარკმელი გამოადლო და დილის ცრიატ ბურუსში გახვეულ მთებს გახედა. მწვერვალებზე ბაცი-იისფერი თოვლის სითეთრე და ნარინჯისფერი მზის ათინათი

ბზინავდა. შემდეგ მთლად ლილისფერი დაუყვებოდა პირიმზისამდე. მერე დიარუხი სცვლიდა, ხოლო დაშვებულ კალთების აშკარა სიმწვანე უკვე სოფელს მოსდგომოდა.

მთების სიგრძილე ჭავლად შემოდინდა სარკმელში. ხარბად ისუნთქავდა სუფთა ჰაერს ფანჯარასთან მდგარი. შემოქმედის მადლიანი მარჯვენით აყალყულ მთებს უნებურად გადაჰქონდათ მის სულში თავიანთი ზარიანობა და სიზვიადე. და თითქოს ეს დილა რაღაცით განსხვავდებოდა სხვა ყველა ამგვარ დილებსაგან. თავისი ცივი, ძლიერი, ამაყი მონუმენტურობითა და მკვეთრად ხაზგასმული ძალამოსილებით.

— შაიძლება, შავლეგ შამრელაშვილო, შარშანდელი შამოსაგლის შასახებ შაკითხვა შამოვიტანო?

შავლეგო მოტრიალდა და გაიბადრა.

— თეიმურაზ! ამ დილაადრიანად რა ეშმაკი შეგიჯდა მხარში.

თეიმურაზი შემოვიდა და მდაბალი თურქული სალაში სცა.

— ნება მიბოძე, მზეო ჭალისპირისაო, მპყრობელო მღვდლიანთ უბნისაო, ენუქანთ უბნისაო, შამრელაანთი და კიდევ რომელიღაც უბნებისაო და მისთა მიმდგომთა ადგილთა და სახნავსათესთა და სათიბ-სამკალთა და საძოვარ-სანახიროთა და ბერხევის წყალთა და რიყე-ქვათა და ეკალ-ბარდთა და...

— ახი არ არი, ხმა არ ამოვიღო? როცა ჩამოსათვლელი ვაგითავდება, მაშინ რაღას იზამ?

— როგორ გეკადრება, ძეო მზისა და მთვარისაო და ნაშობო პერკულესისაო და ნაზარდო სამოთხის ალეისაო და მბრძანებელო ხმელთა და ნედლთაო და როგორ გეკადრება შენის ლომგულის...

— მოდი, კაცო, დაჭექ თუ ძმა ხარ, ნუ დამანატრე თავი. სად ეშმაკებში ეხირე წუხელ?

თეიმურაზი მოდიოდა და ღიმილისაგან პირის კუთხეები ყურებამდე მიჰქონდა.

— შეაბეს ბუღა უღელში?

— შენი გადამკიდე, რატომ უარესს არ უნდა ველოდე. სად იყავ წუხელ?

— ჩვეულებრივი ხაფანგი იყო. თეთრ-წყლებში გამგზავნა. იქაც თავმჯდომარე ავირჩიეთ. შენ რა... საიდან, როგორ?

— მინდა შეც მოვსინჯო ხელისუფლების ძალა როგორია.

— სერიოზულად?

— სერიოზულად. შურთხს, ხომ იცი. კეტამზე უყვარს ჯდომა. ახლა მე გაჩვენებთ, როგორ უნდა მართვა სამართავს.

— თუ ხელისუფლებისკენ ასეთი სწრაფვა გქონდა. იტყოდი, შე დალოცვილო, და მოხვიდოდი ჩვენთან, თელავში. უკეთეს ადგილს გიშოვნიდი. რაღა აქ გამოიბოდი — ჭალისპირში?

— არა, ვმადლობთ. მე თქვენს ტრიუმფირატში არ შემოვალ, კეისრისა არ იყოს: მირჩენია ვალეებში ვიყო პირველი, ვიდრე რომაელებში მეორე. ოღონდ მე და შენს შორის რუბიკონი არ იქნება.

— რა შუაში ვარ მე ან რუბიკონი?

— გინდა გიწინასწარმეტყველო, რომ შენ თელავში თეიმურაზ III იქნები? — ოღონდ მანამდე ლექსების წერა უნდა ისწავლო. შენ უკეთესი მმართველი იქნები, მაგრამ, მოგესხენებათ, ამისათვის მარტო სურვილი არ კმარა.

— შენ თუ ფიქრობ, რომ მე ცოტა უფრო მაღალ ქანდარაზე ვაპირებ შეჯდომას ყოყლოყოსათვის, ძალიან სცდები! სადაცა ვზივარ, იქიდანაც შემიძლია ომ-ახიანად შევძაბო ხოლმე.

— თეიმურაზ! შენზე უხეირო რამ არ მაფიქრებინო! გამოდის, რომ მეტი ტვირთის წამოკიდებას გაურბიხარ! განა ისეთი მჩვარი, წუხელ მე რომ კრებაზე ვნახე, შეიძლება ჩვენ გვხელმძღვანელობდეს?

— ოპო! შენ, ჩემო ძმაო, ჯერ არ მოსულხარ და უკვე უპირკიტებ? სად გადამალე შენი დისერტაცია?

— რა დისერტაცია?

— შენი დისერტაცია. ქართველი ტომების წარმოშობაზე და მათი პირველი საცხოვრისი მიწა-წყლის დადგენაზე.

— ეპ, თეიმურაზ, არავითარი დისერტაცია არ მწამს, რომელიც მხოლოდ სტომაქის უზრუნველსაყოფად არი გამოიზნული. მირჩენია კარგი მუშა ან კოლმეურნე ვიყო, ვიდრე უხეირო ინტელიგენტი. ჩემთვის საშუალო არ არსებობს...

— თუ ეგ მაღალფარდოვნება ლიტონი განცხადება არ არი და მართლა ამგვარ რამეს აპირებდი, ერთი სიტყვით მაინც იტყოდი, — რაიონიდან მოგეხმარებოდი.

— რა ეშმაკად მინდოდა თქვენი დახმარება? მე უნდა ხალხს ავერჩიე და არა რაიკომიდან დავესვი ვინმეს თოჯინასავით.

და თეიმურაზმა აღარ იცოდა, რა იყო ხუმრობა და რა იყო ნამდვილი.

— შავლეგ, ღმერთმანი, შენ მე გამაგიყებ!

— ცოტა დამაცა, გაგიყებას შენ მერე ნახავ! თავი საცხე მაქვს, ტვინით კი არა — გეგმებით! უამრავი გეგმა მაქვს, უამრავი მოსახრებანი. მე გიჩვენებთ, როგორი უნდა იყოს თავმჯდომარე და კოლმეურნეობა!

— ვთქვათ და, ვერ შესძელ?

— ჭარბად არასოდეს შემიფასებია ჩემი ძალები. ყურბი დამიგდე: ერთ რამეში მინდა შენი დახმარება.

— თუ შენ ასეთი მონდომებული ხარ, ვინ მამაძალი არ დაგეხმარება. რაც შემეძლება, გამომიყენე.

— წყალსაქაჩის ამბავი უნდა მომიგვარო სამინისტროში.

— მაგას სამინისტრო რად უნდა? თუ გინდა ამ კვირაშივე გაგიჩენ.

— ვეფხვი ხარ, თეიმურაზ!

— მოიცა, ბეჭი ნუ ჩამინგრავ, შენ გგონია მსუბუქადა მკემ? შითხარი, ფულს სად იშოვი?

— მე სპეციალური წურბელები მყავს. როცა დამჭირდება, გამოვწველი. ერთი ახლა მალე მოვა. შენც დავასწრებ წველების პროცესს. ოღონდ ერთი პირობით: რაც უნდა ნახო, რაც უნდა მოისმინო, — არავითარი რეაგირება! შენი მოვალეობა

იქნება: წყნარად, გულგრილად, ისე, სხვათაშორის ჯდომა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ოღონდ წელან რალაც გეგმები ახსენე, რალაც მოსაზრებანი. კოლმეურნეობა... წუხელაც რალაც ოკრო-ბოკრო გილაპარაკია. რწმენაზე ვითქვამს კიდევ რალაცა...

— ოო! რწმენა, უპირველეს ყოვლისა, თვიურაზ! განა შენ ეს გესწავლება? თუ კოლმეურნეს არა სჯერა, რომ მისი შრომა ნაყოფს გამოიღებს, ის არასდროს მუყაითად და გულდადებით არ იმუშავებს. თუ არ სჯერა, რომ მისთვის ზრუნავენ, ის ყოველთვის მაგიერითვე მიაგებს. რატომ ხდება, რომ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე გაცილებით მეტი მოსავალი მოჰყავს გლეხს, ვიდრე იმავე ზომისა და წონის საკოლმეურნეო ნაკვეთზე? მხოლოდ იმიტომ, რომ საკარმიდამოთი დაინტერესება უფრო დიდია. ეს მისი პირადი ინტერესებიდან გამომდის. იქ, სადაც ნაკლებ ეხამება საზოგადოებრივი ინტერესები პირად ინტერესებს, შრომის ნაყოფიც ნაკლებია. გლეხს უნდა სწამდეს: რაც მეტს აწარმოებს, მით უფრო მეტს მიიღებს! სადაც შრომის ნაყოფით მატერიალური დაინტერესება არ არი, იქ ინიციატივა ჩაკლულია. ხოლო, სადაც ინიციატივაა ჩაკლული, იქ შრომის ნაყოფი ნაკლებია.

— მაინც რას გულისხმობ ამაში?

— განა ძნელი მისახვედრია? ყური დამიგდე: როდესაც გლეხის მხრივ ინიციატივა არ არი, მაშინ კოლმეურნე დამოკიდებულია ბრიგადირზე. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ გლეხმა არ იცის, რა უნდა გააკეთოს ზვალ. იგი დამოკიდებულია სხვაზე. იგი თვითონ კი არ ზრუნავს, არამედ ელოდება, რას ეტყვის ბრიგადირა ზვალ: თოხს დაჰქერინებს ხელში, ბარს, ნამგალს, წერაქვს, ცულს თუ ცელს? აი, სწორედ აქ იკარგება ყოველგვარი პირადი ინიციატივა. ანაზღაურებაც ამგვარად ხდება: მაგალითად, ჰექტრის ათმეასედს გათოხნის—ერთი შრომადლე ეწერება, ოცმეასედს გათოხნის—ორი შრომადლე, ოცდაათზე კი სამი და

ასე შემდეგ. ამ დროს რას ზრუნებ გლეხი? გლეხმა იცის, რომ მას, ჰექტრის მიხედვით, მოწეული ნაყოფი მასზე მეტია, ვიდრე უნაზღაურებ, არამედ შრომადლის მიხედვით. მაგალითად, მან იცის, რომ შრომადლეზე ამდენი და ამდენი კილოგრამი მარცვლეული ერგება. იგი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შრომადლე გამოიმუშაოს და არ ზრუნავს შრომის ნაყოფიერებაზე. აი, აქ ხდება დაპირისპირება კოლმეურნესა და მის ხელმძღვანელს შორის. ბრიგადირსა და თავმჯდომარეს გადაწყვეტილი აქვთ თვიურად შრომადლეთა რაოდენობა, მათ თავიანთი განაღდებული აქვთ, კოლმეურნემ კი უნდა სცადოს დღეში ორმაგად თუ არა. ერთმაგად მაინც გამოიმუშაოს. აი, აქ გლეხი უკვე დაქირავებულ მუშასავით არი, რომელსაც მაინცადამაინც ისე რიგად არ ანაღლეებს მისი შრომის შედეგად მოწეული ნაყოფი.

— საინტერესოა, საინტერესო. მერე, მაგის ნაცვლად რას გეტავაზობ?

— აუცილებლად ყოველ კოლმეურნეზე ნაკვეთის გაპიროვნებას. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ გაპიროვნების დროს არ ისობა ინიციატივა. მაშინ კოლმეურნემ იცის, რა უნდა აკეთოს ზვალ. მაშინ იცის, თავისი წლიური შემოსავალი და იმის მიხედვით გეგმავს თავისი ოჯახის ასავალ-დასავალს. მან იცის, რომ თუ მეტს აწარმოებს, მეტს მიიღებს. ამიტომ ცდილობს გაზარდოს შრომის ნაყოფიერება. როგორ და რატომ იზრდება გაპიროვნების დროს შრომის ნაყოფიერება? ეს პრაქტიკაში უკვე არი. ამას თქვენ პრემია-დანამატს უწოდებთ. მაგალითად, ვაზს აბია ათი მტევანი. მევენანაზე, რომელმაც იცის, თუ ათივეს შეინარჩუნებს, აქედან ორი მტევანი საკუთრად მისი იქნება, ცდილობს, რალაც უნდა დაუჭდეს, შეინარჩუნოს ათივე. მან იცის, თუ ათიდან ხუთი შეინარჩუნა, მაშინ ერთი მტევანი იქნება საკუთრად მისი. კიდევ რა ზრდის შრომის ნაყოფიერებას? კიდევ ის, რომ გლეხმა არ იცის, იმ ათიდან რომელია პირადად მისი საკუთარი ორი მტევანი. ამიტომ იგი ათი-

ვეს ერთნაირად უვლის. ამისთვის მას აღარ სჭირდება ბრიგადირის დაძახება ან წაქეზება. იგი თვითონ ცდილობს თავის დროზე შეწამლოს, თავის დროზე გაფურჩხოს, თავის დროზე გოგირდი შეაყაროს, თავის დროზე მოხნას ვახთაშორისები და თავის დროზე ძირები გამოუთოხნოს ვახებს. ვაზი, შენ რაღა გესწავლება, ხომ იცი, როგორია? ზოგჯერ საათებზედაც კია დამოკიდებული. თუ ერთი დღით მაინც დაუგვიანე შეწამლვა ან გოგირდის შეფრქვევა, თუ ერთი დღით მაინც დაუგვიანე მწვანე ოპერაციები, ხელიდან წაგვივა მთელი წლის მოსავალი. წყალში ჩაგეყრება მთელი წლის შრომა.

— ბიჭოს! შენ აღარ სტყუი! მთლად სოფლის მეურნე გამხდარხარ! საინტერესოა, საინტერესო! მაგაზე ღირს დაფიქრება... რაო, რაღაც უნდა გეთქვა წმლან რწმენაზე.

— რწმენა? რწმენა უდიდესი რამ არი: ერთხელ, ხევსურეთში ყოფნისას, ბუჩქურთის ხატში შევიარე. ოდესღაც ჩემი წინაპრების ხატი იყო. გაიხედავ ირგვლივ მთა-გორებზე და ხის ნასახს ვერ იპოვი. აქ კი, ამ პატარა ნანგრევის ირგვლივ ისეთი ხატის ტყეა, ცას წვდება კმნწეროებით. დავეშვი ფერდაზე და ვხედავ, არაგვის პირად ვიღაც შემოვიდა ტყეში. როგორც კი ჩაცუკდა, იგრილა თოფმა და იქვე ათხარა ტყვიამ მიწა. წამოვარდა გულვახებთილი ეს კაცი, შარვლის შეკვრა ვერცკი მოასწრო, ისე გაქმნდა იმ ტყიდან არაგვისკენ. გავიხედე და, ტყის პირას დამდგარა ერთი ბებერი ჯაჯა-ხევსური და ტალიან თოფს სტენის ხელმეორედ... მერე გავიგე: კინოგადიდების ჯგუფი ამოსულა თბილისიდან ხევსურეთში და იმათგანი ყოფილა ის შარვალშეუკრავი.

თეიმურაზი სკამსა და მაგიდას შორის ირწოდა და ძალუმად ხარხარებდა.

— შენი მოგონილია, შე წყვეულო!

— ღმერთმანი, ჩემი თვალთ ვნახე... აი, როგორია რწმენა. გარშემო ყველგან ტყეები დაუნდობლად იჩეხება, მაგრამ, აბა, გაბედე და ხატის ტყიდან თუნდაც ერთი ხმელი წოწკი გაიტანე! ანდა ის

ადგილი წაბილწე! სხვათაშორის, ამ ტყეებზე მომაგონდა: ალაზნის ქალღებს გაუფრთხილდით! მდინარისმხარე ქალღებს გაუფრთხილდით! ეს ტყეები ხომ გავაჩანავთ გეგმის შესრულების გულისთვის! ახლა ამ ქალებსაც მიჰყავით ხელი. მკაცრად აუწიეთ ყური თქვენს მეტყველებს! ერთი სპარსელი პოეტი მაგონდება:

— „ჰოი, ღმერთო, მთელი უსამართლობა და ორპირობა შენგან გამოდის! ჭეირანს ეძახი: „ჰეი — რომ გაიქცეს, მწვევრებს კი უკან დაადევნებ მას!“

— რაზე მთარაყვებ?

— თქვე დალოცვილებო, თან ხოხბის გაშენება ვინდათ ქალაში და თან იმ ადგილებს ანადგურებთ, სადაც ხოხობს უყვარს დაბუღება? მარტო მუცლის გაზრდაზე ხომ არ უნდა ვიზრუნოთ? განა სიღამაზე ნაკლებ საჭიროა? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ყველაფერი ადამიანისთვის გვინდა? ხომ ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ ექმნება მიწაზეც, ცაშიც და მიწის ქვეშაც? განა ვინმე უნდა ცდილობდეს იმ მხრით განდიდებას, რომელიც მეორე მხრით დააქინებებს? და, საერთოდ, მე ერთი რამ მივირის: რატომ ვხუჭავთ თვალს ხშირად ჩვენს საკუთარ უძღურებაზე? განა ეს ღალატი არ არი იმ წმინდა საქმისა, რომლისთვისაც თავი დასდეს ჩვენთა მამა-პაპათა და რისთვისაც თვითონ ჩვენც ვიბრძვით? ო, რა ზიზღსა მგერის ზოგჯერ ინერტულობა და ზოგჯერაც ზედმეტი თავდაჯერება და მიღწეულით კმაყოფილება!

— შენ ცოტა სხვაგან ხომ არ გადაუხვიე?

— ყური მიგდე, თეიმურაზ: გატენილი თოფისა იმას ეშინია, ვისაც უმიზნებ, ცარიელისა კი იმასაც, ვინც უმიზნებს...

— შეძლებისდაგვარად ჩვენ ხომ ყველანი უკეთესი ცხოვრებისთვის ვიბრძვით?

— ცხოვრებისთვისო? ვინ მოგახსენა? მე არასოდეს უკეთესი ცხოვრებისთვის არ მიბრძოლია.

თეიმურაზმა გაოცებისაგან პირი დააღო.

— რაღაც არ მესმის დღეს შენი ფილოსოფია.

— არც გასაკვირია. მე და შენ ხომ ცხოვრებას სულ სხვადასხვანაირად აღვიქვამთ! ყური დამიგდევ. მე ადამიანებს სამ კატეგორიად ვყოფ:

1. ადამიანები, რომლებიც არსებობენ;
2. ადამიანები, რომლებიც ცოცხლობენ;
3. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ.

პირველნი ჩემში სიბრაღელის მეტს არაფერს იწვევენ; მეორეთა წინაშე ქედს ვიდრეც; ხოლო მესამენი... უბრალოდ—ძმულან!... მხოლოდ სიცოცხლეა მძაფრი ვნებებით. ხოლო ვნება თავად შემოქმედია ადამიანში ჩასახლებული.

— მაშ ცხოვრება რაღაა შენი გაგებით?

— ცხოვრება ყველაფრის სიუხვე და მოყირკებაა. ხოლო მოყირკებულთ სიცოცხლისთვის აღარა სცხელათ. ადამიანის სიცოცხლის აზრი მიზნისკენ სწრაფვია. მიზანთან მიღწეული სათბაში შეგდებულ ზარსა ჰვავს, ნებვიერად გაწოლილს, ქონმოდებულს, მამდარი ცოხნით მუხლბოშსა და თვალგაღუნჩებულს...

კარზე დააკაუნეს.

კაცუნი მორიდებული იყო.

შავლეგო მიხვდა, დამკაუნებელი ყოყმანობდა და გაამხნევა.

— მობრძანდით, მობრძანდით!

კარი გაიღო. დაბალმა, ვალეულმა კაცმა გაუბედავად შემოყო თავი.

— შეიძლება? — დაიჩიფჩიფა.

დაფეთებული, შეშინებული ბავშვის თვალები უმწეოდ დაწრიალებდნენ სურავანდით გათავებულ ქუთუთოებში. დადარაჯებული, მოკრძალებული მზერის იქით ღვარძლი, ნალველი, მოულოდნელის მოლოდინი და კიდევ რაღაც გამოუცნობი იმალებოდა.

გაოცებული თეიმურაზი თვალს არ ამორებდა მოსულს.

მოსულმა მუშტისოდენა თავი მაჯის სისქე კისრით უწადინოდ დაიქნია. ძლივს გასაგონი სალამი წაიჩიფჩიფა და კართანვე შედგა.

გაქუცული, ძველმოდური პალტო და ფარფარასაყელოიანი ხალათი წასხვისარივით ადგა გამოფიტულ ტანზე ვრცელი, თბელი ცხვირი თითქმის ზედა ტუჩამდე უწევდა. ქაღარა წვერი მთელი სიმშაგით შესეოდა გამხმარ, ჩაცვნილ ყბებს. უსისხლო შუბლსა და ყვრიმალეებს ავადმყოფური სითეთრე მოსდებოდა. მხოლოდ არაბუნებრივად ამოზურცულ თვალის კაკლებზე იზლანდებოდა ცისფერი ძარღვები.

თეიმურაზმა მონუსხულივით მზერა ძლივს მოაცილა მოჩვენებას და კითხვის თვალი შეგობარს მიაპყრო.

შავლეგომ ტუჩზე იკბინა. რაც გამოკეთდა, მას შემდეგ არ ენახა საბედის ვაგი.

ოდესღაც ლამაზი, შუატანის, ჩასხმული ბიჭი, საქორჩეზე რომ ხელეურებად ეყარა შავ-შავი ქაჩორი, იდგა ახლა კარებს უნდილად აკრული, ჩია, საცოდავი და გალოპრილ თავზე აქა-იქლა ღიმღამებდნენ საფეთქლებთან ბუსუსებად შერჩენილი, გახუნებული ბეწვები.

შავლეგოს გული ატკინა საოცარმა კონტრასტმა. თეიმურაზს მიხედა და ერთხანს თვალი თვალში ჰქონდათ გაყრილი მდივანსა და თავმჯდომარეს.

— შეხედე და დატკბი, თეიმურაზ. აი, კიდევ ერთი ნიმუში ადამიანის გულდრძობისა და ბოროტებისა. მე ამ კაცს ვიცნობდი კარგ მკვურტლესა და მშრომელს, შემმართებელსა და კეთილს, ახალგაზრდასა და გულმზიარულს, ჯანღონით სავსესა და მეზობლისათვის დაუზარელს. მეზობელმა კი გულზევიადობითა და ამპარტავნობით, მხოლოდ იმიტომ, რომ შეეძლო მისთვის, აი, ეს ექნა, თავისი სახლ-კარიდან შორს გადაკარგა და თითქმის მთელი ორი ათეული დაუსრულებელი წელიწადი თავის კერას მოაშორა დამნაშავეის დამლა დასმული. და მანვე აიძულა ეს დანაშაული ჩაედინა. ორი ათეული წელიწადი... ერთიერთმანეთზე ორი ათეული წელიწადი... მთელი შეგნებული სიცოცხლე კაცისა. ახლა მას აღარავინ დაუბრუნებს ახალგაზრდობას. იმ უნაყოფო, ტანჯვა-წამებაში

ჩავლილ წლებს, ცოლსა და შვილებს, რომლებიც ამის გამო არასოდეს არა ჰყოლია, დაკარგულ რწმენას აღამიანის სიკეთისადმი. თუმცა, შეიძლება რწმენას კიდევ ეშველოს რამე, მაგრამ ვინ აუნაზღაურებს იმ აუნაზღაურებელ დანაკარგს? ვინ იცის, მისგან რა იქნებოდა, ვინ იცის, რა შეექმნა, ვინ იცის, ბედის ანაბრად მიატოვეს და, სხვისი ჭირი—ლობეს ჩხირის ვარაუდით, ფეხებზე დაიკიდეს ბედი კაცისა. აი, დაბრუნდა... გასულ შემოდგომაზე დაბრუნდა. დაბრუნდა და თავისი პროტესტი სამაგიეროს გადახდით გამოხატა... ახლა რასაც გეტყვი, მხოლოდ ჩვენ სამს გვეცოდინება...

შველეგომ ახალა შენიშნა, რომ მოსული ისევ კარებთან იდგა. იდგა და დადარაჯებული მზერით ქვეშ-ქვეშ იყურებოდა. დაღლილი ცხენივით ხან ერთ ფეხზე გადაიტანდა სიმძიმეს, ხან მეორეზე. ხელში უსავნოდ აწვალებდა გაზინთულ, ალბათ, უპირველესი ციმიბირულ ზამთარგამოვლილ, გრძელყურებიან, დაბამულ, ქულს.

— გამარჯობა, სოლიკო, მოდი დაჯექი.  
— შველეგო ადგა, სკამი მოიტანა და მაგიდასთან დადგა.

— მადლობთ. აქ ვიქნები.— მოსულის ხმასა და თვალბში შეშფოთება შეიცნობოდა.

— დაჯექი, დაჯექი, ნუ გერიდება. ეს ჩვენი რაიკომის მდივანია, თეიმურაზი. ფეხები როგორა გაქვს? ძია სანდრომ თქვა, საბოლოოდ მოუტრჩინეო.

სოლიკომ შეფარვით შეხედა თეიმურაზს.

— მადლობთ. კარგა ხანია აღარა მტკივა.

— უჯოხოდ დადიხარ?  
— რა ხანია უჯოხოდ დავდივარ.  
— ჯანზე როგორა ხარ?  
— რა ჭირი მიშავ. რაც ჩამოვიტანე, თუ არა მიმიმატებია რა, არც დამკარგვია.

— იცი, რისთვის დაგიბარე?  
სოლიკო შეყოყმანდა.

— რა ვიცი, საბჭოს თავმჯდომარემ მითხრა, გიბარებსო და ჩამოველი.

— იცი, რომ ჭალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახლა მე ვარ?

— ეგრე, კილოკავად ვამუშავებ?

— მაშ არ იცი რისთვის დაგიბარე?

— არ ვიცი.

— აი, რა, სოლიკო: შენ ახლა ჭალისპირშია და ამ ქვეყანაზეც ისეთივე უფლებები გაქვს, როგორც მე და პაპაჩემს. აი ქალაქი და კალამიცი. დაწერე განცხადება და დღესვე კოლმეურნეობაში წვერად მიგიღებთ. დღეიდან შენ ახალ ცხოვრებას, ნამდვილ ცხოვრებას დაიწყებ და უბატონოდ შენი ხმის გამცემი არავინ იქნება. დრო ჯერ კიდევ წინ არი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ. თავისუფალ პაერსა და იმის შეგნებას, რომ

შენ სრულუფლებიანი წვერი ხარ შენი ხალხისა, ყველაფერი შეუძლია და ხშირად სასწაულები მოუხდენია. სადაც მეთყვი, იქ გაგზავნი სამუშაოდ. რა საქმეზედაც მეთყვი, იმ საქმეზე დაგაყენებ.

ჯერჯერობით კი, სანამ მოჭენვიანდები, ორი ადგილი შეგარჩიე შენთვის: პირველი საშრობის ყარაულობა, ოცდახუთი შრომადღე დაგეწერება თვეში; მეორე:

კლუბის ყარაულობა—თვეში ოც შრომადღიანი. კლუბზე ნუ გენაღვლევა, ჯერ საქლუბე მასალას უყარაულებ, მერე თავად კლუბის შენობას. აირჩიე, რომელიც გინდა.

სოლიკო ჩუმად იჯდა. ექვის თვალთ მისჩერებოდა გამოუცნობ მდივანსა და ჩაცეებით მაკქერად ახალ თავმჯდომარეს.

— რათ, არ მოგწონს? თუ ჩვენი წევრობა არ გინდა? იქნებ სულ არ ფიქრობ ჭალისპირში დარჩენაზე?

— მა სად პაპაჩემთან წავალ. სახლკარი აქა მაქ და ის დედაკაცი იმ ეზო-ყურეს ვერ მოშორდება. მეყო... საკმარისი ვიხეტიალე. თუ დამნიშნავ, საშრობში დამნიშნე, თუ არა და, როგორც გინდა.

— საშრობში აღარაფერია, სოლიკო. იენისამღე მოგიწევს დაცდა, სანამ ქერი გაიჭრება. მაგრამ, რომ არ გასცდე, დღესვე კლუბის ყარაულად დაგამტკიცებ გამგეობაზე. მერე კი, თუ გული საშრო-



ბში გაგიწევს, როგორც კი ქერი გაიჭრება, იქ გადაგიყვან.

— ძალიან კარგი... თუკი მემრე იქ გადამიყვან...

— გადაგიყვან. კლუბში ბალამას დაყავნებ.

ბალამას ხსენებაზე სოლიკომ ყური ცქვიტა.

— ბალამას თავის სიცოცხლეში არა მგონია ემუშავნოს სადმე, ყარაულად როგორ დაღვება?

— დაღვება. სხვანაირად არც გავაჩერებ. კაცი არ უნდა დარჩეს ჰალისპირში, შეეძლოს ხელის განძრევა და სოფელს უგანოს. მაგაზე შე ვაგებ პასუხს. დედაშენსაც უთხარ, როცა დრო ჰქონდეს, დედაყავებს მიეხმაროს ვაზის დაკავება-ახვევაში. ცოდვაა, თავისი დღედამოსწრება შინ არი გამოკეტილი. ან თითონ იტყვის რამეს, ან მაგას ეტყვიან და უფულს გადააყოლებს. ახლა მიდი და განცხადება დაწერე. მალევე მოასწარი, თორემ ცოტა ხანში აქ ისეთი ორომტრიალი გაიმართება, ძალი პატრონს ვეღარ იცნობს. ვიკარნახო? სოფელ ჰალისპირის „წითელი ვარსკვლავის“ სახელობის კოლმეურნეობის...

— არ მინდა. განცხადების წერის მეტი რა ვიცი.

— აბა, მაშ მიდი, აპა, მელანიც.

თეიმურაზმა ერთხანს სიბრალულით უცქირა ქალაღზე თავდახრილ მოჩვენებას, მერე ვეღარ აიტანა რვეულის ფურცელზე ჩუმი, მონოტონური წრიბინი კალმისა და შავლეგოს მიუბრუნდა:

— რალაციის თქმას აპირებდი. ჩვენ სამში უნდა დარჩენილიყო.

შავლეგომ წერაში გართულს გადახედა.

— მე მაშინ არ გითხარა. იქნებ ახლაც არ უნდა გეუბნებოდე. თუმცა ახლა რაღა ბედენა... აღარც ის ბიჭია, ვინც ჩემ-მაგიერ აქ უნდა დაგხვედროდა. მაინც არ მინდა, ვინმეს საფლავშიაც პირშავი ეგონოს... აი, ეს კაცია ავტორი ყველა იმ მოვლენისა, რომელიც რევანის ძველ „დანაშაულს“ „ახლად“ მიეტყება.

უცრად განცხადების დამწერს კალა-

მი გაუვარდა ხელიდან. თავი აუტყარ და და სიკვდილის ფერი დაედო. შინითა და სიძულელით სავსე თვალები შეწამულ ქუთუთოებში აცეკვდნენ. საიდანაც მოულოდნელად გაჩენილმა სისხლმა წამით შეაღვივა ყვრიმალის ძვლებზე აკრული ტყავი და მერე ისევ დაუთმო ადგილი ზაფრანას. დამკანარი, ბებრული ტუნები დაიშანჯნენ და ორიოდ შემორჩენილ კბილებშუა ენის ბორძიკით ძლივს გამოწურეს სიტყვები.

— ეგ არი შენი კაცობა? ეგ არი შენი სიტყვა? სხვისთვინ მალამოს დამდები, რალა ჩემთვინა ჰხდები შხამალა და ბალამალ... ოიმევე! რატო არ ვიცოდი! რატო არ ვიცოდი! ვაი, ჩემ ბედსა და ყისმათსა!

თეიმურაზი შეაკრთო საშინელი, ცრემლებისაგან წითლად ალაპლაპებული, უწამწამო ქუთუთოებიდან გამოდვრილმა ზიზღმა და სიძულვილმა. გული ჩაეფუფქა და მეგობარს უკმაყოფილო თვალი შეავლო.

შავლეგო წამოდგა.

„იქნებ ამასთან ერთად არ უნდა მეთქვა?“ — გაიფიქრა და ოთახში ბოლთა დაარტყა.

უკმაყოფილოდ აპრაპუნდნენ მძიმე ნაბიჯებზე იატაკის ფიცრები.

— შენ, სოლიკო, ნურაფრისა ნუ გერიდება და ნურც რამის ფიქრი გაქვს. თეიმურაზი-თეიმურაზია და იცის ყველაფერი. შენი წარსულიცა და დღევანდელიც... ახალი აღრაფერი იქნება. შენ უკვე ორმაგად და სამმაგად მოიხადე ის სასჯელი, რომელიც შეეძლოთ ამჟამად დაედოთ. ეს, რაც ვთქვი, მხოლოდ ჩვენს სამს გვეცოდინება პირობისამებრ. სიტყვა-სიტყვა! შე კი სიტყვა არასოდეს გამოიტეხია. კიდევ გპირდები: ან მე არ ვიქნები ამ ქვეყანაზე, ან შენ მაგის გულისთვის პასუხს ვერაფერს მოგთხოვს... შენ რაც ჩაიღინე, რა თქმა უნდა, ცუდია. საერთოდ, საშინელებაა, საზიზღრთელი, არი კაცკაცობა... მაგრამ, რის ბუნებისაა ის, საც ეგ გააკეთე, რამაც გიბიძგა, ეს უკვე, ჩემი ვაგებნისაა. შე საკუთარ აზრს ახვედრე, ვინა...

11986





ვევ, მაგრამ, ჩემთვისაც რომ ასეთი რამ ექნათ, რაც შენ დაგმართეს, ალბათ, უარესს ჩავიდნენდი. ბევრად უარესს... შენ არ იფიქრო, გაქვზებდე, მაგრამ, ვფიცავ პაპაჩემის ფუმფულა წვერს, მე ბევრად უარესს ჩავიდნენდი! ოღონდ ის ძროხა... ის მაკე ძროხა... რა ხელმა გაგაყრევინა ყელში ხანჯალი... მაგრამ, რაც წავიდა, აღარ დაბრუნდება. რაც იყო-იყო! ახლა მაგისი განსჯის დრო არ არის. თეიმურაზისა ნუ გერიდება. თეიმურაზი ვაჟკაცია და ადამიანებსაც კარგად იცნობს. სულერთია, თეიმურაზი მაინც გაიგებდა ამას ჩემგან. მაშ რაღა ბედენაა, შენთან ერთად ვიტყოდი თუ არა? მაინც არ ვნანობ, რომ შენთან ერთად ვთქვი. არ მიყვარს ზურგს უკან კუქუმალულობა. ასე რომ, შენ დღეიდან ნურაფრის შიში და რიდი გექნება. აშკარად გამოხვალ ხალხში და ყველას დაუმტკიცებ შენს მარჯვენას საკაიაცო რა შეუძლია. როცა ცოტა უფრო ჯანზე მოხვალ, მე თითონ მოგვხმარები შენი „ქარხნის“ აღდგენაში და ჭურჭლის საჭრელადც დაგსვამ. რამდენი მშვენიერა მეჭურჭლე სცდება სხვა საქმეზე. მე ვფიქრობ, ყოველი კაცი იმას უნდა აკეთებდეს, რაც მეტლირებულებიანი გამოვა მისი ხელიდან. ოღონდ ეს საერთო საქმეს უნდა ემსახურებოდეს, და არა მხოლოდ საკუთარ სტომაქს. ოქროს მარჯვენა გაქვს, ვიცი. ეყო, რაც სულ სხვა საქმეზე სცდებოდა. შენ, რაღაც, არა გჯერა ჩემი სიტყვისა. მაგრამ დაიხსომე: ამას მე — შავლეგო გეუბნები. ახლა მოათავე ეგ განცხადება და მერე მარტო დავგტოვე. დღეს სხვაც უამრავი საქმე გვაქვს.

დიდხანს აყოლებდა ეჭვიან თვალს მღუმარე სოლიკო ახალ თავმჯდომარეს. დიდხანს იყო აბურღულ ფიქრებში და მერე კალამი მაინც ააცახცახა ქალღღმურე. კარგახანს გულმოდგინედ ცდილობდა ასოების გამოყვანას, კარგახანს აწვლებდა სამელნესაცა და ძვლადქცეულ თითებს, მაგრამ რვეულის ფურცელზე ახლა უკვე ასოების ნაცვლად უცნაური ხლართები და იეროგლიფები გამოდიო-

და. მერე კალამი მიავდო და მიიმედ წამოღდა.

— ეხლა ამისი გულმოდგინედ დროს დაწერო.

— მე რომ დაწერო შენს მაგიერ?

— დაწერე.

— მენდობი?

— რაღა ჩარაა, უნდა გენდო.

— მაშ ბოლოში, ამ ფურცელზე, იქნებ შენი გვარი მოაწერო.

— ეხლა ვერ მოვაწერ, სხვა დროს მოვალ.

— კარგი, სოლიკო, წადი შინ და სალამოზე დამელოდე. სალამოთი თუ არა, ღამით მაინც მოვალ და გინახულვებ.

თეიმურაზმა თვალი გააყოლა საცოდავ კეფასა და დამქანარ კისერს. მოეჩვენა, რომ ყურები სიფრიფანა შუშისა ჰქონდა და შიგ შუქი თავისუფლად ამიტომ გადიოდა...

— რა უქენი იმ კაცს? რატომ მაშინ არ მითხარ ეგ ყველაფერი? მაშინ, ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა საქმე და რევაზიც...

— მაგას ნუ იტყვი, თეიმურაზ... მე არაფერი მწამს განგებისა, მაგრამ ეტყობა, ყველაფერი მაინც... რაღაც უცნაურად... თავისი გზით... ეშმაკმა იცის, რატომ არ გითხარი მაშინ. უცნაურია, ღმერთმანი, ზოგჯერ მგონია...

— არაფერიც არა გგონია. დაქევი და მითხარ: მილიციამ იცის, რომ დაბრუნდა? სასჯელი ბოლომდე მოიხადა თუ გამოპარულია?

შავლეგოს სახე მოუქუთუხდა.

— სისულელეს მოეშვი, თეიმურაზ. მილიციამაც იცის და ყველა საბუთიც წესრიგში აქვს. როგორ გგონია, გამოპარული რომ ყოფილიყო, აქ საჯაროდ დავიბარებდი?

ეზოში მანქანის შრიალი გაისმა, მერე ერთი მძღავრი ამოღმუილებით სული მოითქვა და გაყუჩდა.

— მოიცა, მერე ვილაპარაკოთ. მგონი, მოვიდნენ. აბა, როგორც გითხარ! არც ერთი სიტყვა და ენესტ-მიმიკა...

კიბეს ამოყოლილი მძიმე ნაბიჯების ხმა კართან შეწყდა.

— მობრძანდით, ბატონებო! შემოდით, შემოდით!

ვახტანგი შემოვიდა და, თითქოს შემოფეთებულ კედელს წააწყდაო, კარებშივე შედგა შემცბარი. დაბნეული, გაოცებული თვალები ახახმახმა, მერე უკან მიბრუნდა და ჩასხმული კეფა გამოაჩინა. კვლავ შემობრუნდა, თითქოს თვალებს არ უჭერისო, ახლა თეიმურაზს დააკვირდა.

თეიმურაზს ჩუჩენი არ გაუღია. იჭდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ცეცხლგამძლე კარადის თავიდან ჩამოღებულ, ქართულ კიბაობაში მოგებულ რაიონის გარდამავალ თასს დიდი გულისყურით სინჯავდა.

— მობრძანდით, მობრძანდით. — სკამზე უჩვენა შავლეგომ.

გაოგნებული ვახტანგი კვლავ კარებში იდგა. შუბლდაკობილი თვალებს ისევ ახახმახმებდა. ოდნავ გახსნილი მსხვილი ტუჩები ნერვიულად უთრთოდა.

— მობრძანდით. გასაგებია თქვენი გაკვირება. ალბათ თქვენმა მომყოლმა გზაში არაფერი გაცნობათ წუხანდელი ცვლილების შესახებ.

ვახტანგი კარს მოსცილდა. თითქოს რაღაც იაზრაო, მძიმედ წამოვიდა მაგიდისკენ და გამოწეულ სკამზე მძიმედვე დაეშვა.

კაბინეტში ჩასაბერი შემოიძურწა. სიცილს ძლივს იკავებდა. თეიმურაზი შენიშნა, თავი ჩუმად დაუქნია, მივიდა და ფანჯარასთან დაჯდა.

— წუხანდლიდან მე ვარ ჭალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. აი, საბუთი. — კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი ამოიღო და ცეცხლგამძლე კარადის გასაღებთან ერთად წკარუნით დადო მაგიდის მინაზე. ამას ბატონი თეიმურაზი — ჩვენი რაიკომის მდივანიც დამიმოწმებს. და, მგონი, არც თქვენი მომყვანი უარყოფს.

თეიმურაზს არაფერი უთქვამს. მოსულნი შეათვალიერა და ისევ თასით დაინტერესდა.

— ჩვენ შორიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი,

თქვენ ჩვენი კოლმეურნეობის ღვინის წერტის გამგე ხართ თელავში. ვახტანგ შაქროსძე კარხალაშვილი ხომ არა ვცდები?

ვახტანგმა აქერცლილი, მშრალი ტუჩები მოილოკა, კეპი მოიხადა, მეორე მაგიდაზე დადო და მუქაში ჩაახველა. ერთხანს ყელს იწმენდდა, მერე ძლივს ამოიხრიალა.

— დიახ, გამგედ ვარ.

— ცხოვრობთ თელავში, მწვანე ხევის შესახვევში, თერთმეტ ნომერში.

— დიახ. — მუქაში ჩაახველა.

— გაქვთ ორსართულიანი სახლი, ზუთი ოთახი, ერთი სარდაფი და ერთი ცდიდი მარანი...

— დიახ. — კიდევ უფრო ცვიფრდებოდა მოსული.

— ამის გარდა: ეზოში სათავსოებში, წინ ვახის დიდი ხეივანი, ოცდათორმეტი სხვადასხვა ჭურისა და ჭიშის ხეხილის ნარგავი... ხოლო, თვითონ ეზო ათასორმოცდახუთმეტი კვადრატული მეტრი... სწორია?

ღვინის წერტის გამგის შუბლზე ოფლმა გამოჟონა. შემდრკალი მზერა თეიმურაზს შეაელო და ჩავარდნილი ხმით დაადასტურა.

— თქვენ გასული წლის ზაფხულის მიწურულს ვარდისუბანში ანდრია ნოესძე ჩაჩიკაშვილისაგან იყიდეთ სამი დიდი ქვევრი: ერთი ასოცი დეკალიტრის ტევადობისა, მეორე — ასორმოცდახუთის, ხოლო მესამე — ორასშვიდისა. და, რადგან მარნის კარებში არ შეეტიო, მოხსენით ჩარჩო, კედელი ორივე მხარეს გამოანგრეთ და ქვევრები მიწაში ჩაყარეთ... სწორია?

ვახტანგმა ვერ გაუძლო პირისპირ მზერას, თვალი აარიდა და ჩაიხრიალა.

— ჩემზე კარგა შენა გცოდნია.

— თქვენ ნაფარეულისა და ქისტაურის ღვინის ქარხნებიდან იძენდით ჭაქს...

— ტყუილია! — ვახტანგმა კეპი დაჰმუქნა და ფეხზე წამოხტა.

— შაქარს შოულობდით...

— იმ ერთადერთ შვილს გეფიცებით,

ტყუილია! — ვახტანგი ხიზინებდა, საყელს იღვღღა, აკანკალებულ ხელს ყელზე ისევამდა...

— დაბრძანდით, რატომ ღელავთ აქ სასამართლო და პროკურატურა კი არ არი. მე, როგორც იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელ კოლმეურნეობასაც ექვემდებარება თქვენდამი რწმუნებული წერტი, და თავად თქვენც, როგორც ჩვენი კოლმეურნეობის წევრი, მინდა ყველაფერში ვიყო გარკვეული... ტანისს...

— ტყუილია! ტყუილია! ტყუილია! თეიმურაზ ლუხუშია!

— მე, ბატონო, აქ გარეშე პირი ვარ და არაფერში არ ვერევი ამჟამად.

— მაშასადამე... დაბრძანდით, რატომ დგახართ?... მაშასადამე, თქვენ ვინდით, რომ მაგ ამბავს მოვეშვათ? რა გაუწყობა, ეგ პროკურატურის საქმეა. მე არ ვავერევი მათ საქმეში. მაგრამ, თქვენ აქ ჩვენს სოფელში, ქალისპირში თქვენი საშრობის გამგეობის დროს კოლმეურნეობიდან მითვისებული ქონებით შეიძინეთ ერთი ორსართულიანი სახლი დაბლა-მაღლა რვაოთახიანი და სათავსოენიანი. ეზოში ათასხუთასძირიანი ვაზის ახალშენია და ოცდაშვიდძირიანი ახალნარგავი ხეხილი...

ვახტანგი სკამზე ჩამოჯდა და შუბლზე დასხმული ოფლის მსხვილი წვეთები დაქმტქნული კეპით მოიწმინდა.

— ვინა თქვა... ჩემი საკუთარი შრომი-თა და მარჯვენით...

— არ არი საჭირო... თქვენ ამ ნახევარი წლის მანძილზე არაერთი შრომა არ მივიძღვეთ ქალისპირის კოლმეურნეობაში. მომისმინეთ! მომისმინეთ, თორემ გაიძულვით, რომ მომისმინოთ.. მე და თქვენ კარგა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და არ მინდა გავიხსენო, რა პირობებში მოხდა ჩვენი პირველი გაცნობა. ეს უფრო დაამძიმებს თქვენს დანაშაულს. ისე რომ, გირჩევნიათ მომისმინოთ... — შევლევომ უკრა გამოსწია და რამდენიმე სუფთა თაბახის ფურცელი დაულაგა წინ. — თქვენ ახლა ორ განცხადებას დაწერეთ: ერთი იქნება ქალისპირის კოლ-

მეურნეობიდან გასვლისა, მეორე... მეორე განცხადებაში აღნიშნულ იქნება. რომ ქალისპირში თქვენმა შრომით დაინაზოგით, აშენებულ, თქვენდამი კუთვნილ სახლს, ეზო-კართა და უძრავ-მოდრავი ქონებით, საჩუქრად აძლევთ თელავის რაიონის სოფელ ქალისპირის „წითელი ვარსკვლავის“ სახელობის კოლმეურნეობას საბავშვო ბაღისათვის... — მელანი და კალამი მიუწია. — ეს, როგორც საჭიროა, სათანადოდ გაფორმდება და ყველა შედგენილი საბუთი მე გადმომიცემა... დღესვე! ახლა ერთიც და. საბოლოო: რაც თქვენ ქალისპირის კოლმეურნეობის სახელით ფულადი თანხა შეგიძენიათ, იქიდან, მყველფელთა დაუწერელი კანონის ძალით, ამ კოლმეურნეობას ეკუთვნის პროცენტები მისი სახელის გამოყენებისათვის. ამ პროცენტების მინიმუმის მინიმუმს — ათიათას მანეთს გადასცემთ ქალისპირის კოლმეურნეობას წყალსაქაჩის შესაძენად!

თეიმურაზმა გოცებისაგან კარადის მაგიერ თასი გახურებულ ღუმელზე დადვა.

— ფულს იმ, ზემონათქვამ საბუთებთან ერთად დღესვე მომიტან და, იი, აქ დამიდებ. არა, აქ კი არა, — ეს ადგილი დაკავებულია, აი, აქ! — და მოცხენა ხელიაგული ისე ძლიერ დაჰკრა მაგიდის მარცხენა კიდე, რომ კალამი სამჯერ შეხტა და იატაკზე მოადინა ჩხაკანი...

— შენ რა, კანონმდებლობასა და კოლმეურნეობაში ახალ წესებს ამყარებ? — ჰკითხა თეიმურაზმა ახალ თავმჯდომარეს, როცა მარტონი დარჩნენ.

— რატომა გგონია ახალი? პირიქით! ადამის ნეკიდან ჯერ ევაც არ იყო გამოგვამანებული, როცა ეს კანონი მოქმედებდა. კანონების შექმნამდე შეიქმნა ეს კანონი.

— დროს რატომ უსწრებ? მაგის შესახებ დღესვე მოხსენდება, სადაც ჯერ არს. მერე კონფისკაციას ვუზამთ მაგ შენობას და ისევ შენ არ დაგარჩება?

— სჯობია დროს გავუსწრო, ვიდრე დრომ გამისწროს. მაგ კონფისკაციას

თქვენ დაელოდეთ. მე შენობა მჭირდება საბავშვო ბაღისათვის.

— ამით იწყებ თავმჯდომარეობას?

— ყველას თავისი მეთოდი აქვს მუშაობისა.

— ისე, თუ გესმის, რომ შენი მუშაობის მეთოდი არასწორი მეთოდი? როდის იყო, პარტიზანული გამოხდომებით ვინმეს რამე გაუტყუებია?

— აი, რას ვეტყვი, თეიმურაზ, ამ ქვეყანაზე ვისაც კი რამე დაუწყია, პარტიზანულად დაუწყია. მე, შეიძლება, ცუდად ვიწყებ, მაგრამ არა მგონია ცუდად წავეყვანო. ქათამი უკულმა ჰქეპავს, მაგრამ თავისი საქმე წინ მიჰყავს.

2

შოფერმა დილაადრიან დაურეკა: აკუმულატორი ჩამეშალა და მოსვლა დამიგვიანდებაო.

მდივანი იძულებული იყო ფეხით ჩასულიყო რაიკომში.

უტროტუარო, ქვაფენილით მოკირწყულულ, ვიწრო ქუჩაზე მარტის ბოლო დღეებისათვის დამახასიათებელი ყინული, ქინკული და ბურუსი იყო. დილის სიგრილე რაღაც უსიამო, მტანჯველ შეგრძნებას იწვევდა. ტანში გამკენწლავად აფრიალებდა, სახსრებსა და იოგებში მოდუნებას ამჩნევდა.

რა არი ეს? ნუთუ ავად არი? უმადობა, მაინცდამაინც, არ ეტყობა. არასოდეს არ ყოფილა ხარბი მკამელი, მაგრამ... მაინც რა უნდა იყოს? ეს ერთი ხანია, რაც სხეულის ყოველ უჯრედში, თვით უწვრილეს კაპილარებამდ დასულ სისხლის ძარღვებში მოთენთილობას, მოდუნებასა და დამდორებას გრძნობს... არასოდეს გულზე არ დაუჩივლია, ახლა კი, თითქოს, რაღაც გაუმხელელი ყრუ ტკივილის ჩუმი კენესით უკენისის... რა არის ეს? ნუთუ მართლა სხეულს ან სხეულის რომელიმე ორგანოს წინათგრძნობის უნარი შესწევს? თბილისიდან, მართალია, ვერ ისმის კარგი ამბები, მაგრამ... ნუთუ სოფრომიჩი იმას ვერ მიხვდება, რომ თეიმურაზის ჩუმი, ვითომდა შეუმჩნეველი აქ-

ტიურობით, ახალი რაიკომსკომის თავმჯდომარის მოსვლითა და ამ ჩემი გამოზრდილი ბლარტის — მედკომის სამსახურში მარიფათიანობის წყალობით თელავში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა? ამიტომაც ვეღარ შეეძელი დღანაშვილის დაცვა...

სველ ქვებზე ფეხი უსხლტებოდა. ბორჩიობდა. გუბეებს უნდილად ახტებოდა. მაინც ეწუწებოდა შარვლის ტოტები ტალახითა და მღვრიე წყლით.

მოედნამდე არც იყო მისული, ერთიან გაეთხუპნა ახალი ფეხსაცმელი და პალტოს კალთები.

კიდევ უფრო უსიამო გუნებაზე დადგა მდივანი.

მაინც რატომ გამოვიდა დღეს უმანქანოდ? დაურეკავდა რაიკომსკომს და... მაგრამ არა! თუნდაც ფეხშიშველი ივლის სახლიდან რაიკომამდე, იმ სათვალთან წმინდანს კი სააუგოს არ ათქმევინებს... რომელიმე მეურნეობას დირექტორისთვის ან კოლმეურნეობის თავმჯდომარისთვის... აი, უკვე სათხოვნელად გაუხდა საქმე...

მოედანსა და მიმდგომ ქუჩებში გულგრილად, სხარტად დასრიალებდნენ მსუბუქი მანქანები ერთმა ისე ახლოს ჩაუქროლა, ერთიანად გაწუწა.

გაბრაზებულმა მდივანმა ბოროტად ანთებული თვალი შურით გააყოლა და ცხვირსახოცი თ გაიწმინდა ლოყა.

„როგორ არიან გათავხედებულნი! ნომერს რას დაიხსომებ, ერთიანად ამოთხუნულა. საოცარია, საიდან მოგროვდა ამ მოკლე ხანში თელავში ამდენი მანქანა? რით დაიმსახურეს მისი მფლობელობა? რა აქვთ ხელფასი, რით ცხოვრობენ, როგორ არჩენენ ცოლ-შვილს. კვირაში რამდენჯერმე რით ქეიფობენ. რით ყიდულობენ მანქანებს და რით ინახავენ? და, განა მარტო მანქანებს? და... ყველაზე მეტად საინტერესო: კიდევ რამდენს მოსდის თავში ეს კითხვა?“

და მდივანს სულ არ მოსვლია აზრად, რომ გუშინ თვითონვე მისცა ნება მაწანწრის რიყის გაღმაც აეშენებინათ „ჭიბის ხაფანგი“.

მთავარი ქუჩა თითქმის უკვე გააწორებული იყო. ერთსართულიანი, პატარა სახლის ნანგრევებზე ითხრებოდა დიდი, ლამაზი, მრავალსართულიანი სახლების საძირკვლები. ქუჩის შუა განიერი, მდიდრული გაზონი კეთდებოდა. უამრავი ყვავილებისა და მარად მწვანე ხეების ნერგები მოეტანათ და რგავდნენ მებაღეები, მუშები და დეკორატორები.

ქუჩის ბოლოში ვიღაც მილიციელი გამწვანებელს ეჩხუბებოდა...

დღეს მიღების დღე არა ჰქონდა და მოსაცდელშიც არავინ დახვედრია.

პალტო გაიხადა და მერე დიდხანს სცემდა ბოლთას ვრძელ კაბინეტში.

გუშინწინდელი ღამე გაახსენდა: როგორ გამოსტაცეს ხელიდან ინიციატივა და მთელმა საერთო კრებამ ცხოველური ღრიალით აირჩია ახალი თავმჯდომარე: განა არ სჯობდა, ისევ ნიკო დარჩენილიყო? ნუთუ იმ თავხედი ბიჭისთვის იღწვოდა იმდენ ხანს? ნუთუ მთელი კრების პირველი ნახევარი მისთვის გზის გაკაფვას მოანდომა? ნუთუ მისთვის გაწირა იმდენი ხნის მუშაკი და უქვეყიანესი კაცი თავმჯდომარეთა შორის? მეგობარივით უყვარდა და მხოლოდ თედოს გულისთვის დათმო! და რა გამოვიდა? — “თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!”..“ არა, უეჭველად არსებობს რაღაც წინათვრძნობა... იმ უთოფო ყაჩაღის გამოჩენის დღიდანვე ქვეშეცნულად შეიგრძნო, რომ რაღაც უნდა დამუქრებოდა მის მყუდრო ცხოვრებასა და არსებობას. მაშინ ძალა მიაინც არა ჰქონდა. ახლა უკვე აქვს გარკვეული ძალა... ძალა, რომელიც კიდევ უფრო შებოჭავს მის ნებისყოფას... და, რაც კველზე საშინელია, თეიმურაზს მეგობრობს! ახ! — თეიმურაზი! თეიმურაზი! ნეტა როდის ამოიღებს ამ ხიწვს თვალიდან?!

„მთელი სიცოცხლე ბრძოლას შევადიე... და აქამდე ერთ ფრონტზე მიხდებოდა ბრძოლა... ახლა იმულებული ვარ შინაც ვიბრძოლო და გარეთაც... ჯანდაბას, გარეთ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ რა უნდა მოუხერხდეს შინ ჩასახლე-

ბულ და ჩასაფრებულ მტერს? ნიადაგ ციხე შიგნიდან გატეხილა და საგარეო ფრონტზე დამარცხება... შინ მიღებული მარცხის შედეგია... ჩემი ხელით არი დასახრჩობი ეფროსინე! ბავშვი დამიღუპა! სამუდამოდ დამიღუპა ჩემი ლურა...

მდივანს რაღაც მწარე გადასცდა ხორხში, ყელი ჩაუფხაჭუნა, თითქოს მინის ნამტყრევები გადაყლაპაო.

„საიდან მომითრია სახლში ის აფერი-სტი, თავაწყვეტილი ყოშარბაზი და ბანქოს შულერი? ქალი სულელია. ნიადაგ სულელი იყო. ახლანდელებს ხო ქუთა თვიდან თვალში გადაუბარგდათ. თოვლი თეთრია, მაგრამ ხშირად რამდენ შავ საქმეს ფარავს... ჩემი სახელი შარაზე გაიტანა და ახლა აღარც პირისპირ მერიდება. რატომ მომერიდება?“

და უკებ მდივანს შეურაცხყოფილი მამრის უღონო ბრაზით აევსო გული. ძარღვები აუთრთოლდა, გაცრეცილი ტუჩები დაეჭიბა და კბილებში სიძულვილით გამოსცრა:

„ისიც კი წამართვა!.. ისღა მყავდა სულისა და გულის მეოხად და ისიც... წამართვა... ის ლამაზი კაპა არ ამბობს, მაგრამ ვიცი, მასთანაც ერთობა... და ამ გახარწილს, სინდისგარეცხილს, ჩემს „უსაყვარლეს სიძეს“, შეუძლია მისი არანაკლებ „საყვარელი“ სიმამრი სიკვდილამდე მუქარისა და შანტაჟის ქვეშ იყოლიოს... რა ჯადო აქვს ისეთი ამ გაქსუე-ბულ ფრანტს? შვილის წართმევა არ მამარა და ისიც... მუქაში გამოიმწყვდია. თუ რამე ვკადრე, შეიძლება საზიზღარი პროვოკაცია მომიწყოს. რაო, ქუთა დაუშლის თუ სამსახური?! ეფროსინე მყავს მოსაკლავი. მოსამსახურეც კი გამიბატონა შინ, არამც თუ სიძე. არც თვითონ ზრუნავს განათლების მისაღებად და... და აღარც იმ გოგოს მიუწყევს გული სწავლაზე. დღედაღამე მის ხსენებაშია. გახდა, დაილია. — ერთი ბეწოთი დააგვიანდება და ადგილს ვეღარა პოულობს: კიშკარშია ჩამდგარი, აივანზეა გადმოყუდებული, ფარდა გადაწეული აქვს და ფანჯარას აღარა შორდება... და ზოგჯერ გათენებამდე ამ დღეშია. მომიკლავს ამ

ბავშვს, ეგ გათახსირებული. დამიღუპავს და მეც დამიღუპავს.

კარი ჩუმად გაიღო და ვიღაცის ბოხმა ზმამ იკითხა:

— შეიძლება?

მდივანი მობრუნდა და შემოსულს დააკვირდა. წელანდელი მოჩხუბარი მილიციელი შეიცნო.

— მობრძანდით.

ღი გაიფიქრა:

„დაიწყო... არ დამაცადეს...“

— პატივცემულო ლუარსაბ სოლომონი, უნდა ერთ რამეზე მიგაქცეინოთ ყურადღება. წელან შეგნიშნეთ, აქეთ რომ მობრძანდებოდით. ამიტომაც ეგრე დილაადრიანად შეგაწუხეთ.

მდივანი გაბრუნდა, საწერ მაგიდასთან დაჯდა და იდაყუები მინახე დააწყო.

— გისმენთ.

— აი... მთავარი ქუჩის გამწვანებაზე უნდა მოგახსენოთ. თქვენ წელან ზედ ჩამოვიღოდი, უეჭველად შენიშნავდით. ყველაფერი კარგია, ძალიან კარგია, მაგრამ ძალიან სახიფათო კია...

— რაღაც გაურკვეველად ლაპარაკობთ.

— არა. ჭერ არ მითქვამს, რისთვისაც მოვედი.

— მაშ თქვით. რაღას აქიანებთ?

— არ ვაქიანებ. მთელი გაზონი, მთავარი ქუჩის შუა გაზონი, ორად გამოყოფი გაზონი ისედაც განიერია...

— მერე, რა არი ამაში ცუდი?

— ცუდი მაგაში კი არა, ცუდი იმაშია, რომ ეს გაზონები მთელი ქუჩის სიგრძეზე რამდენიმე ადგილას წყდება. წყდება იქ, სადაც გადასასვლელები და მანქანის მოსახვევებია.

— არ მოგწონთ?

— არა. ძალიანაც არ მომწონს.

— რატომ? ერთი მთლიანი უნდა ყოფილიყო? უწყვეტი. გადასასვლელების გარეშე?

— არა, მე ეგ არ მითქვამს. რატომ უნდა იქნას გადასასვლელების გარეშე? მანქანის მოსახვევებიც უნდა იყოს, მოსაბრუნებელიც...

— ხაქმე იმაშია, პატივცემულო ლუარსაბ სოლომონი, რომ ამ გადასასვლე-

ლებისა და მოსაბრუნ-მოსახვევებთან თავსა და ბოლოში სწრაფმობრუნ და უკვე გაზრდილი, და, საერთოდ, დიდი ზრდის მულამ მწვანე ხეები დაურგავთ და რგავენ.

— საინტერესოა... მერედა, რა არი მაგაში ცუდი? განა ქუჩა უფრო ლამაზი და გამწვანებული არ იქნება?

— ქუჩა, მართალია, ლამაზიც იქნება და გამწვანებულაც, პატივცემულო ლუარსაბ სოლომონი, მაგრამ ის გადასასვლელები და მოსახვევები დიდად სახიფათო იქნება ქუჩაზე გადასვლელებისთვისაც და მანქანებისთვისაც.

— აჰ! მოიცა, მოიცა, შენ „ტარზანი“ არა ხარ?

— არა, ბატონო მდივანო, მე ავტონისპექციის უმცროსი ლეიტენანტი გივი მგალობლიშვილი ვახლავართ.

— სულ ერთია, განა „ტარზანს“ არ გეძახიან?

— „ტარზანა“ მე შოფრებისთვის ვახლავართ, ბატონო მდივანო... თქვენ ავტონისპექტორი მგალობლიშვილი გელაპარაკებთ.

„ აფთარმა იცის, უცნაური აღლოთი გრძნობს ლომის დუძღურებას. ათეული კილომეტრიდან შეიგრძნობს ხრწნის სუნს... მაგრამ, განა მე ჭერ კლანჭები დამაცვდა? ერთი მოსხლეტილი ნახტომი და გვანადგურებ ამ კოლოს...“ — მდივანს თხელ ტურნებზე ძნელად შესამჩნევი, ზიზღიანი ღიმილი აეკრა.

— ბრძანეთ, რა გნებათ, ბატონო ავტონისპექტორო.

— თქვენ უნდა უბრძანოთ გამწვანების მუშაკებს, რომ გადასასვლელების თავსა და ბოლოში დიდი ზრდის მაღალი ხეები არ დარგონ.

— რატომ? — ახლა კი გაცოცდა მდივანი.

— იმიტომ, რომ მაღალი ხეები მოსახვევებსა და გადასასვლელებზე შოფრებსაც უშლის თვალთახედვას და ფეხით მოსიარულეებსაც. ამ ადგილებზე შეიძლება ხშირი იყოს ავარიები და უბედური შემთხვევები. ის ადგილები, სადაც მანქანები მოუხვევენ და მგზავრები გა-

დავლენ, შორიდან ხედვის არეში უნდა იყოს. არაფერი არ უნდა უშლიდეს და ფარავდეს. როცა ამგვარ რამეს განიზრახავთ ხოლმე, რატომ ერთი თქმით მაინც არ შეგვეკითხებით ავტონისპექციას? განა იმად არ ვლირვართ, რომ...

უცებ ზურგს უკან კარი ხმაურით გაფრიალდა.

მდივანს სიკვდილის ფერი დაედო. მთელი სხეული გაუშეშდა. აიწია და სკამს ვერაფრით ასცდა.

შემკრთალმა ავტონისპექტორმა უკან მოიხედა.

კარებში სველთმებჩამოშლილი, სახეზე ზაფრანავადაყრული, ოფლში გახვეითქული და მუხლმომპრილი თვრამეტცხრამეტი წლის გოგო შემოფრატუნდა.

— ოჰ, მამა! დავიღუპე... მამა!

მდივანმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. ყბები აუცახცახდა და შვილის გაყინული სახე ათრთოლებული ხელებით მკერდზე მიიკრა.

— რა იყო? რა მოხდა, შვილო?

— ოჰ, მამა! ჯოტო წავიდა... გაიქცა... სახლიდან წავიდა ჯოტო... — და მამის მკლავებში გულამოსკვნით აქვითინდა.

## 3

მართას კაკუნი მოესმა და ლოგინიდან წამოიწია. კაკოს ხვალ საღამომდე არ ელოდა.

კიდევ დააკაკუნეს.

„არა, ეს კარზე კი არა, ფანჯარაზე! აი: ფანჯარის გულზეზე სამჯერ! მინებზე აქეთ-იქით თითოჯერ! ღმერთო, ნუთუ ეს...“

პერანგისამარა მართამ ფეხშიშველა მიირბინა და ფარდა გადასწია.

ფანჯრის იქით, კედელთან კაცი იდგა. მართა შეკრთა. ერთ ხანს თვალმოუცილებლად გასცქეროდა ცრიატ სიბნელეში კედელს ატმასნილს.

„როგორ მოიქცეს? ახლა როგორ უნდა მოიქცეს?“

და დაენანა გარეთ მდგომი, კედელს ატმასნილი.

„ნიკოს! რომ არ გასჭირვებოდა, არ

მოაკითხავდა... არა, არ მოაკითხავდა... როგორ მოიქცეს? კაკო ამდღამ კარდაბრუნდება. არა, მართა...“

კაცი ფანჯარასთან ახლო მოვიდა. დიდხანს უყურებდა ქალს ჩუმად, უსიტყვოდ.

მართამ დაინახა თუ იგრძნო, სიბნელეში როგორ მუდარით იმზირებოდნენ ჩაქუფრული ჭრუტა თვალები. გული სიბრალულით შეეკუმშა. ერთიც გაჰხედა და ხელებით ჯვარი შეკრა. ეს ნიშნავდა: კარიდან მოდო.

ოთახში შესული ნიკო მიხურულ კართან შედგა და მასპინძელი შეათვალიერა. ბნელში მხოლოდ შავი სიღრუეტი მოჩანდა, შუა ოთახში დედაბოძივით ჩუმად და უძრავად მდგარი. ნიკოს არ ახსოვს ამ ოთახში უბრალო ბოძიც. როგორც კი კარი გაიღებოდა და ზღურბლს გადააბიჯებდა, ლოგინისა და თბილი პერანგის თავბრუდამხვევი სუნით გაყდენილი მართა ზედ აეტმასნებოდა და ცხელი მკერდით დაწვავდა თავმჯდომარეს... ჰო... თავმჯდომარეს... და ახლა უფრო მძაფრად, ვიდრე ოდესმე, ნიკომ შეიგრძნო, რომ თავმჯდომარე აღარ იყო.

ღუმელისკენ მიიწია და გრილ თუნუქს ხელები მიუფიცხა.

— ჩავიქრია. გარეთ კი ცივა.

და მართამ კი არ დაინახა, გუმანით იგრძნო, როგორ მოძებნა ჭრუტა თვალებმა ის ადგილი, რომელიც მცირე ხნის წინ მიატოვა მასპინძელმა.

დედაკაცი სწრაფად მივიდა, ღუმელს შეშა შეუყვთა და მერე ბოთლით ნავთი დაასხა. ისე ერთბაშად მოედო ალი ხმელ შეშას, ღუმელმა ტკაც-ტყუცი და ძაგ-ძაგი დაიწყო.

მკრთალ სინათლეზე ნიკოს გაუპარსავი, ქალარაშერეული წვერი გამოჩნდა. იდგა და ლოგინისკენ იცქირებოდა. მერე მზერა დედაკაცზე გადაიტანა.

მართამ დიდი შალა მჭიდროდ მოიხურა და გაღვლილი პერანგიდან ცნობისმოყვარედ მოჭიატე მკერდი დაიფარა. მერე შებრუნდა და სტუმარს სკამი



მართვა. მერე თავისთვისაც მიითრია ტაბურეტი და მეორე მხრიდან ღუმელთან ჩამოვდა.

და ისევ გაავსო სინთუმემ წუთით შეფორიანებული ოთახი.

კიდევ უფრო გახურდა ღუმელი.

ღუმელქვეშ მიწოლილ კატას დასცხა და წამოდგა. კუდი აიბრია, წელში აიკუნა, გაიზმორა და სტუმარს ჩუმი კრუტუნით ფეხზე აეგლისა. არ მოეფერნენ და ძლიერ გაუყვირდა. კისერი წაიგრძელა და ახლა მეორე ფეხზე გაეხახუნა.

არავითარი საპასუხო მეგობრული ექსტი.

მაშინ დადგა უკანა ფეხებზე, მუხლამდე აეტოტა და ყურადღების მისაქცევად შარვალზე კლანჭების ლესვა დაიწყო.

თავში ისეთი ჩააფარეს, დავთრები დაუბნიეს.

დაუმსახურებელმა შეურაცხყოფამ კატას ძლიერ დიდი წყენა მოჰგვარა. ხმა ჩიწყვიტა, ყურები დალურსა და გულაცრუებული გაშორდა თავხედს.

იჭდა ნიკო და ჩუმად უცქერდა მჭრქალი ნათელით მოსილ დიაცს. რაც იმ წვიმიან ღამეს მუქარით დატოვა ეს სახლი, ეგრე ახლო აღარ ენახა. წინანდელზე ახალგაზრდა და ქორთა მოჩანდა. მისთვის უცნობი, რაღაც ახალი შეპრილიყო ქალის ცხოვრებაში. შინაგან სითბოსა და სინაზეს იღუმალი შეჭით გაეცისკროვნებინა მისი სახე და გამოხედვა.

ქალმა სტუმარს თვალი შეაელო და გული ეტკინა. ყოველთვის სუფთად გაპარსულ ნიკოს სამი დღის გაუპარსავი წვერი დაწვისთავებამდე მოსდებოდა. ბოლქვა უღვაშებიც შესამჩნევად დაეხირმა კვლარას. კრუტა თვალების ჩრდილოვან უბეებში მიჩქმალული ნაღველი სევდიან იერს აძლევდა ჰკვიანურ გამოხედვას. მსხვილ ტუჩებზე წუთით გაკლავნილმა უფერულმა ღიმილმა კიდევ უფრო ღრმად ჩაახედა დედაკაცი ამ კაცის სულში.

— დიდი ხანია ახლო აღარ მინახიხარ, როგორა ხარ, ნიკო?

ოდითგანვე ნაცნობი, მკვერდილხანწავ მოსული თბილი ხმა კიდევ უფრო დამტკბარი იყო. ძარღვებში სასიამოდ დაუარა მისმა ოდნავ შემპარავმა ღუმელმა.

— კუპრატასავით რო გითხრა: იგრე ვარ, როგორც ერეკლე კრწანისის შემდეგ.

დედაკაცმა აღერსიანად გაუღიმა.

ისევ ძველებურად სწვაგდნენ ირგვლივ ყველაფერს თაფლისფერი ღამით ავსებული თვალები. ისევ ისე იღიმებოდნენ ცბიერად ბევრის აღმოქმედი, ბადაგში გავლებული ზორციანი ტუჩები...

გუშინწინდელი დღე გაახსენდა ნიკოს: იმდენი რომ იწრიალა, ჩასაბერს თავი ნაწყანტობარში გააგზავნიდა. მართალია, მაყვლიანში კონსულტანტით ედგათ თავზე ვაზის მრგველებს, მაგრამ თანდაყოლილმა სიამაყემ და წლობით გამომუშავებულმა ჩვევამ ვერ აიტანა გუშინდელი გამოქყულებილი ბიჭის „ხაზეინობა...“ ეგეტ არ იყოს, გული ამდენ ბოღმას ვეღარ იტევდა, დაუძლეველი სურვილი ჰკლავდა, ვინმე ახლობელთან ამოენთხია ამ უკანასკნელ დღეებში დაგუბებული ნაღველ-ბაღღამი... ნათესაეები ზრუნვას არ აკლებენ, გიორგი ხომ ყოველ დღე მასთან არი და ისევ თავმჯდომარის სავარძელს უწინასწარმეტყველებს, მაგრამ... არა, მისთვის მართა სხვა არი, სულ სხვა, ყველა ნათესავ-მეგობარზე ახლობელი და შეუცვლელი. და გუშინწინ იმდენი ქნა, რომ ჩასაბერს თავი ნაწყანტობარში გააგზავნიდა. დედაკაცები საზამთროს თესდნენ. თესვა ადრე მოათავეს და ახლა ახალგაზრდულ ბრიგადას ვაზის რგვაში უნდა წაშველებოდნენ.

ალაზანზე ჩასულიყვენ ორნი: ვარღუაანთ იოსებას ცოლი თებრია და კაკოს... ცოლი... მართა.

დიდხანს იდგა ნიკო მურყნის ზვირნაყარს მოფარებული და გაპყურებდა, როგორ იწმენდდა წინსაფრით ალაზანში



გაგრძელებულ პირს ცალყურაანთ ყოფილი რძალი. იდაყვებზევით სახელოები თეთრად ნათალ, მსუქან ხელებს აჩენდა. თმების შავი, ხშირი გუნჯალი კობტად ედო კეფაზე შეკრული. მსხვილი, ლამაზად ჩამოქნილი ყელ-კისერი ამაყად აწვდილიყო გაღვლილი კაბის საყელოდან. კისრისა და თმის შესაყართან დახვეული პაწაწკინტელა კულულები სისველისაგან ბზინავდა... თითქოს ამ ბზინვამ თვალი მოსკრაო, ნათავმჯდომარაღს ქუთუთოები დაუფიქროვა და ერთ ხანს ნეტარებით განაბა მურყნებს იქით. მერე... მერე თებრიას ყბაში ჩავარდნას, მგლის ყბაში ჩავარდნა ამჯობინა და უკან გამობრუნდა.

გიორგი კი კვლავ თავმჯდომარის სკამს უწინასწარმეტყველებს...

მართლაცადა, განა რამდენ ხანს ეყოფა ხალისი იმ ბიჭს? ნაქალაქარ კაცს რა გააძლებინებს წლობით სოფელში? კოლმეურნეობის გაძლოლა დისერტაციების წერა არ არი. მალე მოსწყინდება და თვითონვე აიღებს ხელს ძარღვების წეწვა-გლეჯაზე... ჰკვიანია, ეგ მამაძალი, თედოს არ ჩაუგდო ხელში სოფელი! მაგრამ ეგ იმ ჯურათა რიცხვს არ უნდა ეკუთვნოდეს, რომელნიც დასაწყისშივე, ანდა შუა გზაზე ჩერდებიან... კვლავ დიდ პატივს სცემს, გარეგნულადაც ხელქვეითობას არ აგრძნობინებს. გამგეობაშიც დატოვა, თუმცა უმრავლესობა დაყინებით მოითხოვდა მის გაძევებას. ბრიგადირობაზე კი ცივი უარი სტყვიეს! ო, რა მწარეა! მთელი თავისი ცხოვრება და გული კოლმეურნეობას შეაღია და სანაცვლოდ მხოლოდ ეს მიიღო! აქამდე ეგონა, რომ ხალხი ცხვარი იყო. ახლა იმასაც ხედავს, რა დაუნახავი ყოფილა... იმ ბიჭის სიკვდილმა ხომ საბოლოოდ დაუსევა ჯვარი. ეკლიანი ღიჭივით გადაეხლართა ერთმანეთს ურიცხვი რამ... მარტო ის რად ღირს, ერთადერთმა, მისი სიბერის იმედ-ნუგეშმა, მისმა სისხლ-ხორცმა, ღვიძლმა შეიღმა რომ მშობლიურ გრძნობასა და შეილის მოვალეობას წიხლი ჰკრა და გაშანშალელებული სახლი-

დან უბადრუკ ქოხმახში გადასახლდა გადაყრუებულ დედაბერფეხქვეშა მწარე, ნაყოფი უმადღურებმისა მხამი ბოროტებისა. თავმჯდომარეობა დაკარგა ერთადერთი შვილი დაკარგა, უსაყვარლესი და უძვირფასესი ქალი... აჰ, არა! იმ წმინდა სამებიდან ესლა შემორჩა, მხოლოდ მართალა დარჩა, რომელთანაც საკუთარ უძღურებაზე ჩივილიც კი შესაძლებელია. დიახ, საკუთარ უძღურებაზეც კი... და, აჰა, ისევ ერთად არიან, კვლავ მარტო არიან უცხოთა თვალს მოფარებულნი...

დედაკაცი გუმანიტ მიხვდა, რომ კაცს მარტო ქალი კი არა, მისი ნუგეშიც სჭირდებოდა. ახლა იყო საჭირო გამხნეება, რადგან თავზე სამი მხრიდან დამტყდარ ასეთ მეხს თვით ნიკოსთანა ძლიერი კაციც ვერ გაუძლებდა.

— გავიგე, შენ გირჩევია გამგეობისთვის მაცვლიანში ვაზის ჩაყრა. ის ჰკვიანი ბიჭია, შენს დაწყებულ საქმეს არ გააფუჭებს. შენც გვერდში ამოუდგე და სოფელს არა გაუჭირდება. თუმცა აქამდე უნდა მოგეფიქრებინა და ვაზი მეტი გაგეშენებინა. სანიორელები ვაზმა გააკეთა.

ნიკომ ღუმელიდან უკან დაიწია და სკამი პირდაპირ ძირს დაფენილ დათვის ტყავზე დადგა. გვერდულად გაჰხედა და გული მოეწურა. ახლა უკვე მონადირე იყო აქაურობის ბატონ-პატრონი. ის კაცი, ვინც აიძულა დღემდე გარე-გარე ევლო თავისი უკანასკნელი თავშესაფარიდან. თავისი გამოძერწილი, თავისი შექმნილი საყერპედან.

და ისევ აზავთდა დამარცხებული მამრის სისხლი მდედრის წინაშე. ულონო ბრახით შეატყდა შუბლზე მსხვილი წარბები და თავქვე დაშვებულმა უღვაშების წვერებმა ქვედა ტუჩზე დაბჯენილი ორი ეშვის სახე მიიღო...

არ დააცადეს მუქარის შესრულება. ვერც აღრე მოიცალა მისთვის. არადა, საზიარო რა უნდა ამ ქვეყანაზე. მით უმეტეს, საყვარელი ქალი, რომლის გულისთვისაც ამ სახლის ნახევრადსულელი პატრონი საპუნ-გორაზე ასვლას

ვერ ეღირსა. ეს მონადირე კი ქუდბე-  
დიანი გამოდგა. სიყვარულმა თუ მარ-  
თამ ისე მოათვინიერა, ლამის კოლმე-  
ურნობას თან გადაჰყვებს. იმ ბიჭის...  
იმ ბიჭის პოვნამა და ჩამოტანამ ხომ  
სოფლის თვალში გმირად აქცია. და,  
განა მარტო სოფლის თვალში? აი,  
ლუარსაბ სოლომონის კომისია ეწვია.  
სანდო კაცის პირით საიდუმლოდ დაიბა-  
რა კაკო და საპატრო სტუმრებისათვის  
ჯიხვის მწველების გაჩენა მოსთხოვა.  
დღეს შუადღის ხანს წავიდა მთაში.  
ერთ-ორ დღეს მაინც დარჩება იქა. მაგ-  
რამ, ბატონო ლუარსაბ, შენი დღეები  
უკვე დათვლილია... შენი კერაც ისე  
მიინავლა, ზედ კატამ თევი გაიკე-  
თა და მალე კნუტებს დაჰყრის... მე,  
როგორც ვატყობ, ეგ იგეთი ხალხი გეწე-  
ვია, იმ ჯიხვის მოკვლასაც კიდევ ერთ  
დანაშაულში ჩაგითვლიან და მაგ ცოდ-  
ვასაც მონადირის მაგიერ შენს კისერზე  
წაქცევენ... თუმცა... თუმცა... თუმცა,  
ვინ იცის? ჯიხვისა და ირმის მოკვლა  
სასტიკად არაის აკრძალული!.. კაკო  
მონადირეა. მონადირემ მოკლა ჯიხვი.  
კანონი ერთიდან სამ წლამდე პატიმრო-  
ბას ითვალისწინებს. პატიმრობას... ერ-  
თი წლით მაინც. ერთი წელი კარგა  
დრო არა. ერთ წელიწადში ათასი რამ  
შეიძლება მოხდეს. ერთი წლის შემდეგ,  
ვინ იცის... ოჰოო! ძია ნიკო, ჩანს, ყვე-  
ლაფერი ჯერ არ დაღუპულა. აქედან  
შეიძლება იგეთი გოგლიმოგლი გა-  
კეთდეს...

და დედაცაჲ სიამით შენიშნა ჩა-  
ბურღულ წარბებს იქით ჭრუტა თვა-  
ლებმა როგორი შუქით გამოაშუქა.

— არაფერი გაქვს სანაღვლო, ნიკო,  
შენ მუყაითი, ჭკვიანი კაცი ხარ. ხალხში  
მალე აღიდგენ სახელსაცა და პატივის-  
ცემასაც. ეგ ბიჭი აქაურობას კი არ შეა-  
ბერდება. მაგას თავისი საქმე აქვს და  
იმას მიჰხედავს. მერე ისევ შეიძლება..  
ის გოგოც გამოივლოვებს იმ ბიჭსა და  
ისევ შინ მოგივა. რა გაქვს დასაღონე-  
ბელი?

ნიკოს მახვილ ყურს არ გამოჰპარვია,  
რომ წმინდა სამებას მაინც ერთი წმინ-

დანი დააკლდა. იფიქრა: ეს ალბათ, თა-  
ვისთავად იფულისხმებო. ეს იმედით:  
ასულდგმულზედა, თორემ იმ პირველით  
მაინც თავს აღარ იტყუებდა. ოღონდ  
დრო უნდოდა, რათა ჭრილობას პირი  
შეეკრა და მოშუშებულიყო. მაგრამ გა-  
ნა შეიძლება ამ ჭრილობის მოშუშება?  
ყველაზე მეტად ეს სტანჯავდა და აღი-  
ზიანებდა.

— შენ ამბობ, სოფელს გაეცლებაო?  
განა შენ არ იცი, მართავე, რომ მაგან  
წუხელ სოფლის მოხუცებს პენსიები  
დაუნიშნა?

— ყველას დაუნიშნა?

— ყველას რად მისცემდა? როგორც  
მოეპრიანა, იგრე დაარიგა. ვითომ უკე-  
თესი მუშა ხალხი ვინც იყო... ბიძაჩემ  
გაბრუას მოუხსნა და გადარქმეულ  
ზურბას მისცა. განა არ ეუთვნოდა,  
მაგრამ გაბრუას რაღას უხსნიდა? ჭკვიან-  
ნია ეგ მამაძალი: თავის პაპასა და მე-  
ბაღე თომას უარი ათქმევინა პენსიაზე.  
გამგეობაზე კი იგრე გამოვიდა, თითქოს  
პირადად თვითონ იუარეს.

— ზოგჯერ, ნიკო, შეიძლება გაჯავრე-  
ბულ გულზე ზოგი რამ უკუღმა მოგეჩ-  
ვენოს. გოდერძი პაპა და ძია თომაც  
თვითონ იტყოდნენ უარს, თორემ...

— მაგას ნუ ამბობ, მართავე. ეგ ბიჭი  
სხვა ძაღლის ლეკვია. ჩვენოდენა ჭკუა  
ფრჩხილებში აქვს. წუხელ კომისია გა-  
მოყო თავისი პაპის თავმჯდომარეობით  
და შირვანში დოღზე დასასწრებად  
გზავნის ნაბიასთან. მაგის პაპა კი გამ-  
გეობის წევრიცარი და ანლა სარევიზიო  
კომისიის წევრადაც აირჩიეს. ცუდად  
არი ნაბიას საქმე. გოდერძის ბალო-  
ბიდან ვიცნობ. ნაყაჩაღარია, მაგისგან  
კაცი არ დაინდობა... ამასწინათ ხომ პი-  
რადად თვითონ ჩაბრძანდა იქა. რალა-  
ცეები გაუგავა. შეიძლება მაქსიმეც  
უთხრა. სულ აღრენილი იყო ეგ რუსი  
ფერმის გამგეზე. ათასი ხრიკებით  
ძლივს აჩერებდნენ. ცუდად არი ნაბიას  
საქმე. აქამდის მე ვინახავდი. ეხლა ბუ-  
ღალტერიც წავიდა.

— როდის წავიდა?

— განცხადება დაწერა: ავად ვარ,

უნდა ხანგრძლივ ვიმკურნალოო და წავიდა. ჰკვიანურად მოიქცა. სანამ გააფუქებდნენ, გაეცალა. თუმცა ნახევარი ტონა შაბიამანი კი ამოვინა და უკანვე მოატანინა.

— ვენაცვალე მარჯვენაში. ძალიან კარგად უქნია. შარშან კინალამ ვენაზები გაგვიფუქდა შაბიამნის ნაკლებობით. რაო, კიდევ რა არი ახალი?

— რომელი ერთი ჩამოგიტვალო, ყველაფერი თითქმის ახალია: იოსება, ხომ იცო, რომ სარევიზიო კომისიის თემქდომარედ დასვა. ახლა სიკო პარტორგადა ჰყავს.. ახალ კლუბს აშენებს. ტიპური პროექტი არ დამანახოთო. რაღაც თითლიბაზურ პროექტს ადგენინებს. თეიმურაზიც აპყოლია მავის ფეხის ხმას და ყველაფერზე თავს უკანტურებს. ის თავისი დაზრდილი ლეკვებიც იგრე დაწერთნა, თვალის დახამხამებდასაც კი უგებენ. მალე საერთო კრუბას მოიწვევს და ყველა ახალ ღონისძიებას დაამტკიცებინებს. ეპ, მართავ, ეტყობა, ნამდვილად დაჩლუნგდა ჩემი ხმალი და უნდა ჩავაგო. დიდხანს ვიბრძოლე. დიდხანს ვიქნიე. პირი, ალბათ, ყუად ექცა და გამოპირვა აღარას არგებს. თავი რაღად უნდა მოვიტყუო? ძველი მიდის და ახალი მოდის... ჩემული ცხენიც კი ახლო არ გაიკარა. შენ ხომ იცი, მშვენიერი იორდაა. ადგა და გუთანზე უკრა თავი. ის კი, ის ზერდაგი, სტადიონზე რო დაჯირითობდა, გუთნიდან გამოხსნა და საჯდომ ცხენად ახლა ისა ჰყავს.

— შარშანდელი ყაბაზი მაგითი აიღო და ალბათ იმიტომ.

— ყაბაზი... ჭეილობაში მეც ავიდე ერთხელ ყაბაზი და დღემდე ვერავინ ვერ შემეცილა... ეპ, მართავ, ცხოვრებაა თავად ყაბაზი... ცხოვრება ყაბაზია, ჩვენ მოჯირითენი: ვისი ცხენიც უკეთ გაწვრთნილი და ცქაფია, ვისი თვალაც უფრო მარჯვეა და მკლავი დამჭერე, ეს ცხოვრებაც იმისია... ტოპრაკა შემხვდა გუშინწინა და გამაჩერა:

— დაიცა, ნიკო, ანდაზა უნდა გიბრძოლო.

— ხუმრები წელია, ჯერ ერთის თქმაც ვერ მოგიტავებია და ახალს აბი რებამეთქი?

— არა, იმ ძველს მოგიტავებია.

— მაინცადამაინც, იმ ანდაზას რად მეუბნები-მეთქი? ვიცი, რომ ინდოეთში ერთი დიდი კაჯალია, მივა მშვიერი თავვი, ნახვრეტს გამოუღებს და შიგ შეძვრება-მეთქი.

— ჰოდა, ის თავგი იმდენს ჰამს შიგა, იმდენს ჰამს, რო გასუქდება, გასუქდება, გარეთ ველარ გამოეტევა იმ ნახვრეტადან და შიგ გამოიხრჩობაო.

დედაკაცმა ახლა უფრო დაკვირვებით შეხედა სტუმარს და გაოცდა: კიდევ უფრო მოტეხილი და დაბეჩაყებული ეჩვენა კაცი. თითქოს დაპატარავებული იყო და მოხრილიყო. ოდესღაც მჭიდროდ შეკრული, ძლიერი ტრისაგან, რომელიც თავის თავში დარწმუნებული სიმამაკით ჭიქურ მიაპობდა ცხოვრების მრეშ ტალღებს, ახლა ეს მცირე ნამსხვრეველა დარჩენილიყო: უზავირო, უწინელო და უორთაყვირო. და ახლა ეს ნამსხვრევი შიშით ფიქრობდა: უცნებლად მიატანდა თუ არა საბოლოო ნავთსაყუდლამდე. მორვეი ხომ არ ჩაითრევადა თავის ბნელ ფსკერზე, ანდა თავნება მღვრავ ტალღა ხომ არ შეაღწედა სადმე პირქუშ კლდეს?

და კიდევ უფრო შეებრაღა დედაკაცს კაცი: ოჯახურ სითბოს დანატრებული, შეილის ალერსს მოშორებული, ძალაუფლებას მოწყვეტილი...

კაცმა მისი მზერა დაიჭირა და გულზე სიამისაგან თბილმა ტალღამ გადაუარა. უნდოდა გაიღიმა და თავადვე მიხვდა, რა მლიქნეულური გამოუვიდა ეს ღიმილი. იდროვა და წამოდგა. ჯერ ლუმელს შეშა შეუმატა, მერე ხელეები შარვალზე გაიწმინდა და მართასკენ გააბიჯა.

დედაკაცი არ განძრეულა. იჭდა გალურსული და ლუმელს მისჩერებოდა. ზურგს უკან გრძნობდა მდედრს მონატრებული კაცის მღელვარებასა და სიახლოვეს. თავადაც გაატრუნა და ჩუმი მოლოდინით დაიძაბა. მერე პირველად კისერმა იგრძნო დიდი უბეში ხელის შე-

ხება. მერე ყელმა ისტუმრა სასურველი სტუმარი.

და დიაცმა იგრძნო, როგორ ურცხვად წამოყვეს თავები სავსე ძუძუებმა და სტუმრის მოლოდინში ნეტარებით გაინაბნენ.

და სტუმარმაც არ დააყოვნა: რბილად, ჩუმად, ფრთხილად გაეცურდა შიშველ მკერდზე და... პერანგის საყელომდეც არ იყო მისული, რომ დიდმა, მსხვილმა მაცამ იგრძნო, როგორ შემოესალტა ზედ ქალის გრილი, ღონიერი ხელი და საზღვარზევე შეიპყრო.

დედაკაცი წამოდგა, შალი მკიდროდ შემოიხვია ცხელ ტანზე და ყინულში გავლებულ კაცს წინ გაუჩერდა.

— მესიამოვნა შენი სტუმრობა, ნიკო. რაც არ უნდა იყოს, ძველი მეგობრები ვართ. მაგრამ ის ძველი, შენ რომ გახსოვს და მეც არ დამეწყებია, აღარ დაბრუნდება. ახლა უკვე ქმარი მყავს და ოჯახი მაქვს. ამ გაზაფხულზე სახლის მშენებლობასაც დაიწყებთ. მერე მალე... შეილიც მეყოლება. — ქალს ხმა გაუნახდა და ჩურჩულით გაანდო: — ორსულად ვარ. უკვე ორსულად ვარ... ის ამბავი კი უნდა დაევიწყოთ. დავრჩეთ მეგობრებად. ოღონდ ნურასდროს მოხვალ ნურც დღისით, ნურც ღამით. როცა კაცო შინ არ იქნება. მე არ გეტყვი: შენ ბედნიერება ვერ მომანიჭე და სხვაგან ვიპოვე—მეთქი. არა, ის დრო ჩემთვის მაინც ტკბილი მოსაგონარია. მაგრამ ახლა ოჯახს ვერავის გავალანძლებებ. ჩემს შეილს ვერავინ უნდა წააყვდროს: დედაშენი ბოზიაო... წადი ახლა, ნიკო და შენს მეგობრად ყოველთვის მიგულე. დარდს ვგრე ადვილად ნუ დაეჩაგრანები. შეილი მალე დაგიბრუნდება. ვადაიგლოვებს იმ საწყალ ბიჭსა და თვალი სხვას მოძებნის. მერე შეილიშვილებიც გეყოლება. გული არ გაიტეხო... შავლეგოც, ალბათ, ქალაქს მიაშურებს და...

და დედაკაცმა გულის ტყვილით შენიშნა, როგორ ჩამოუცვივდა კაცს მხრები, როგორ დაჩიავდა და დაპატარავდა.

სტუმარი მძიმედ შებრუნდა და ფეხათრევით გაძეწა გარეთ.

ლია კარში იდგა მართა და მწუხარედ გაყურებდა, როგორ მეგობრულად ბნელში ნათავმჯდომარაღუე მამამართა და) ნასაყვარლარი.

და ქალს მოეჩვენა: ეს — კაცი კი არ მილასლასებდა ოკრო-ბოკროდ ეზოს ბილიკზე, არამედ ბობოქარი მდინარის ძალუმ ტალღებზე დამსხვრეული დიდი. ძლიერი ტივისაგან დარჩენილი მკირე ნამუხრევი...

4

მარტი კატებმა ჩხაეილით გააცილეს. მთელ ღამეს ისმოდა ეზოსა და ბოსტანში, აივანსა და სხვენზე ხეადთა გაუთავებელი ხეწწნა-მუდარა და ძუთა გაპრანქული უარი.

ხვადები მაინც არ ეშვებოდნენ, რადგან გამოცდილებით იცოდნენ, რისთვისაც იღებდნენ ღამაზმანები თავპატიყს.

უძილობით გატანჯული ფლორა სულ ჩაძვრებოდა ლოგინში, თავზე საბანს წაიფარებდა და გულვადაღებული ელოდა გათენებას. ტატიბთ ვადიოდნენ ერთიმეორის მსგავსი, უფერული, ნალელიანი დღეები.

სახლის პატრონი დიდი ყურადღებით ექცეოდა. არჩევნებში დამარცხებულ თედოს არ გამოჰპარვია მიზეზი ქალის მათთან ვადმობარგებისა. და, თითქოს ეილაცას აგულისჭირებდო, რაც შეიძლება, პატივისცემითა და მოკრძალებით ექცეოდა. გაკვირებული მდგმურის წინაშე შალვა შინ თუ მუცელზე დახობავდა, ვარეთ მანამდე ბილწსიტყვაობდა, სანამ ჩასაბერისაგან ყბაში ლაწანი არ მიიღო.

შარტს შემდეგ დღეები მზიანი დაიქირა. ეზო-ბაღები თეთრ-მეწამულად აბრიალდნენ. ალაზნის ქალები და წარაფები ყვითლად დანაკვერჩხლებული შეინდებოდა და პანტა-მაჟალოს მამზალებით იწვოდა. გზები და ბილიკები ნუშისა და ტყემლის სურნელოვანი ფიფქებით შეიჭორფლა. აფუებული მიწა მორცხვად ცდილობდა მთრთოლვარე ტანს დაეფარა მწვანე ჭეჭიმით. ანუულს გაკი-

დებულო გუთნის შეხებისას მაინც ვერ იოკებდა ვნების სიმძაფრეს; ალერსიანი თბილი მზის გულზე ერთგულ-ერთგულით ამოჰქონდა თვისი სიმდიდრე და რაღაც დიადის მოლოდინში იღვავდა ბარაქიან მკერდს. გამაბრუნებელი, დამათრობელი ჰაერი სიცოცხლის სიყვარულში გაბანგული ხმებით იესებოდა. სასიამოლო ზუზუნებდა ზამთრის უსაქმობით გულგადაღებული, ნექტარზე სანადიროდ გამოსული ფუტკარი. მზიარული ყიპყიპით ეშვებოდნენ ალაზნის ფშებსა და მორევებში სამხრეთიდან დაბრუნებული გარეული იხვის გუნდები. სიცოცხლის გაუმადლარი წყურვილი და სიმწვანე დაუძლეველი ძალით აწვებოდნენ ცისქვეშეთს.

და ფლორას სულში მაინც ისევ ზამთარი იდგა. საითაც არ უნდა წასულიყო, ყველგან ახალჩაყრილი ვაზის კოკოლები, დამშრალი ქყანტობი, ახალი კლუბის საძირკველი, ფლატე-ფერდობებსა და ციხის გორაკს გაყოლილ ტერასებზე შეფენილი ნერგები ხვდებოდა. საგაზაფხულო ნათესებში მიწის ქვეშაც კი ისმოდა ჩაგდებული თესლის ჩუჩუნნი და შეუჟავებელი ჩუმი ლტოლვა სამზეოზე ამოსასვლელად. ხალხიც კი გადასხვანაირებული ეჩვენებოდა. ხალისიანი რაღაც ახალი შეჭრილიყო სოფლის ცხოვრებაში. მხოლოდ მასთან შეხვედრისას ჩაივლიდნენ ჩუმი და უბრაოდ. და ამით ერთხელ კიდევ აგრძნობინებდნენ, რომ მათთვის ის ძლიერ უცხო ფრინველი იყო.

აქამდე კიდევ იმედი ჰქონდა აქედან წასვლისა, ახლა ეს იმედიც გაქრა სამუდამოდ და ფლორამ ჭალისპირის იქით მიწა-წყალი ვეღარ იგულვა.

სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მამის ავტორიტეტი გამოიყენა და რაიონის განათლების განყოფილების გამგე შეიპირა: მალე უცხო ენის მასწავლებელი პენსიაზე უნდა წასულიყო, წასვლისთანავე მას მისცემდნენ გერმანულის გაკვეთილებს ჭალისპირში.

და ელოდა. თვალგულგადაღებული ელოდა.

მხოლოდ რუსუდანის დანახვას უფროსოდა და ყოველგვარი საშუალებით იცილებდა თავიდან მასთან შეხვედრას, საყვარელი კაცის ნატერფალს აღევნებული.

შავლეგოს უკვე არავისთვის აღარ ეცალა. თავისმა წამოწყებებმა და საგაზაფხულო სამუშაოებმა ისე ჩაითრის, ზოგჯერ ღამეც კი ვერ ახერხებდა შინ მისვლას.

და ქალი იყო მარტოდმარტო თავის თავთან და მოგონებებთან. მოგონებებთან, რომელთაც აიძულეს გაჩახჩახებული თბილისის წინაშე ჭალისპირის ორლობეების ყოვლის შემძლე უპირატესობა ეღიარებინა.

მხოლოდ ერთხელ, ერთი ღამით კვლავ ეწვია ბედნიერება. იმ თბილი ღამის თერთად ჩაეღილი საათების ნაზ ფშვინვაში თავისებური სილამაზით შეიგრძნო დედობრივი ტანჯვისა და სიხარულის ბედნიერება.

იმ ღამეს თედოსთან დიდხანს დაყვეს სტუმრებმა. მერე ისინიც წავიდნენ და ოჯახმაც დაიძინა. ფლორამ თბილი ხალათი მოისხა და გარეთ გამოვიდა. გაჩირადნებული ეზოსა და აივნის შუქი გზის იქით ვენახსაც კი სწვდებოდა. იდგა ფლორა გულგულდაკრებილი და დამწუხრებული უცქეროდა გაბღღვრიალებული ზეხილის ყვავილთა ფერიულ ფერებს. და ღამეული სიჩუმის მტვერში ქვეშეცნულად გრძნობდა, როგორ წყვილდებოდა ბუტკო ბუტკოსთან. როგორ ეკეროდა კვირტი კვირტს და ყვავილი ყვავილს...

ყრულ მისწვდა სმენას გვიანი მგზავრის ფეხის ხმა გზაზე. ხმა აჩქარებული იყო და თანდათან ძლიერდებოდა. მალე უფრო გარკვევით გაისმა ფეხის ტყაპუნი. და თვალი ჰკიდა: ვიღაც მორბოდა ორლობეზე თავქუდმოგლეჯილი.

ფლორა აივანს გადაეყუდა და თვალეზად იქცა.

— გააღეთ! ჩქარა გააღეთ!

ფლორა შეცბა და ერთ წუთს გაშეშდა: ხმა ბავშვისა იყო, თითქოს ნაცნობიც.

— გააღეთ რა, ჩქარა გააღეთ!  
მარნის ახლოს დაბმული ძალი ავად  
აყვდა და ჯაქვს რაჩხუნი აუტება.

ფლორას პირველი მოფიქრება მასპინ-  
ძლების გაღვიძება იყო. მაგრამ დაძლია  
შიში. კიბე ჩაიარა და კიშკრისკენ წავიდა.

შუა ეზომდე არ იყო მისული, პატა-  
რა ბიჭი მესერს ამოახოხდა, ეზოში ჩა-  
მოსტა და მისკენ გამოეჭანა.

— მომდევენი ჩქარა, მომდევენი! დამ-  
მალე, თორემ უკან მომდევენი!

და გაშეშებულმა ქალმა იცნო ღამის  
სტუმარი.

— თამაზ, თამაზ! ვინ მოგდევს, თამაზ?  
მოიცა, ნუ გეშინია, ვინ მოგდევს, თა-  
მაზ?! — და თან სირბილით აპყავდა აი-  
ვანზე.

უეცრად დაუძლეველი სურვილი იგ-  
რძნო, მასპინძლებს არაფერი ვაეგოთ ამ  
ამბისა. ბიჭს უჩუქრჩულა ჩუმად ყოფი-  
ლიყო და თავის ოთახში ჩუმადვე შეი-  
ლალა. ბიჭმა თავი სამშვიდობოს დაიგუ-  
ლა და სული მოითქვა. მერე ფანჯარას  
ეცა და გარეთ დიდხანს იცქირებოდა.

— რა არი, თამაზ, მითხარი, გენაცვა-  
ლე, ვინ მოგდევდა?

ბიჭმა მოჰხედა თავის მხსნელსა და  
ფანჯარას ფარდა კვლავ ჩამოაფარა.

— უჰ, ფლორა დეიდა, — მივიდა და  
ჩაკეტილი კარი გულისყურიანად შეამო-  
წმა. — რა იყო! ის რა იყო!... ფლორა  
დეიდა, ახლა ხომ ომი აღარ არი?

— ომი? რა ომი?

— აი, ომი, ბრძოლა, ხოცვა, მოკვლა,  
თოფის სროლა, ხიშტზე აგება...

— მოიცა, დაჯექი, დამშვიდდი, გენა-  
ცვალე. დაისვენე. საკმელი გინდა? შო-  
კოლადი მაქვს.

— არა, მოიცა, ფლორა დეიდა. ერთი  
მითხარი, ფაშისტები ხომ სულ გაველღი-  
ტეთ?

— რა არის, თამაზ! რას კითხულობ,  
ვინ ფაშისტები?

— აი, ჩვენ რომ გვეომებოდნენ. შავ-  
ლეგო ძია რომ ხოცავდა, მამაჩემი რომ  
მოკლეს.

— კი, სულ გაველღიტეთ. რატომ კით-  
ხულობ?

— აღარავენ დარჩა, სულ აღარავენ  
— არა, გენაცვალე, აღარავენ არ და-  
რჩენილა.

— ფლორა დეიდა, ნუ შატუქებ. დარ-  
ჩა, როგორ არ დარჩა. უჰ, ძლივს გადაე-  
რჩი! გამოვიქეცი! ძლივს გამოვასწარი!  
— კარებთან მივიდა და სმენად იქცა.

— თამაზ, თამაზ, შენ სულ გადამრე-  
სად იყავი, რა ვინდოდა ამ შუალამით?  
საიდან მორბოდი, რატომ მორბოდი?

თამაზი გამობრუნდა და დიდხანს უმ-  
ხერდა თავისი ბავშვური, მაგრამ საოც-  
რად გამჭოლი მხერით. მერე ბარძაყი  
მოისინჯა და მასპინძელს შემცბარი მია-  
ჩერდა. უეცრად შარვალი ჩაიხადა და  
ტრუსის ტოტი აიწია. მარჯვენა ბარძაყ-  
ზე გრძელი ცისარტყელა გადასჭიმვოდა.  
ცისარტყელას ზევით მეწამულ — აში-  
იანი, დიდი ჩაშავებული წერტილი აჩნ-  
და.

— თამაზ, ეგ რა არის, თამაზ?

— აი, ამაზე გეუბნებოდი. ეს პაპაჩე-  
მის ნათესაობაა ეს კი... უჰ!.. ამ წუთში  
გეტყვი: გოდერძი პაპამ მცემა და გავი-  
ქეცი. კოტე პაპას ვენახის ქოხში შევიკუ-  
ნე. ციოდა და არ დაშეძინა. თანაც ნა-  
ცემი ადგილები მეწყოდა. გამოვედი და  
ბერხევას გავუყევი. კვრინჩხიანთან ერ-  
თი თივის ზვინი მეგულებოდა, შიგ შეე-  
ძვერი, ჩავითბუნე და დავიძინე... უჰ!  
აღბათ სიზმარი იყო. მაგრამ ეს რა არი?  
ჰა, ფლორა დეიდა, თუ სიზმარი იყო, ეს  
რა არი? — და ისევ დიდი, სისხლჩაქცე-  
ული, შავი წერტილი მოისინჯა.

— დაჯექი, თამაზ, დაისვენე, გენაცვა-  
ლე, და ისე მიაშბე.

— არა, ახლავე გეტყვი, დამაცა, მოვი-  
გონო... ჰო. პარტიზანი ვიყავი. თოფიცა  
მქონდა, დამბაჩა და აეტომატიც... დი-  
დხანს ეხოცავდით ფაშისტებს... მერე  
ფაშისტებმა დაგვხოცეს. მეღა გადავრჩი  
და იმ თივის ზვინში დავიშალე. მეძებეს,  
მეძებეს და მონც მიპოვნეს. მოკვლა უნ-  
დოდათ და პირდაპირ შიგ თივაში მამგე-  
რეს ხიშტი. აი, ხედავ? — რომ არ გამოვ-  
ქეცოდი, ზედ ამგებდნენ... ერთი მეძ-  
გერა ცოცხლად დაქერა უნდოდა. სიზ-  
მარი იყო? თუ სიზმარი იყო, ეს რატომ

მაქვს, ფლორა დეიდა? — და ბიჭმა კვლავ დიდი დაეჭვებით მოისინჯა ნახიშტარი.

გაოცებულმა ქალმა ვერც რამე გაიგო და ვერც მიზეზს მიხვდა ბიჭის მოულოდნელი სტუმრობისას. ცოტა არ იყოს, თავადაც შეშინებული მივიდა ფანჯარასთან. გარეთ კარგა ხანს იტყირა. მერე გამობრუნდა, სურა მოქებნა, ცხვირსახოცი დაასველა ცოვი წყლითა და ბარძაყზე დადებდა მოუნდომა.

— ეს რაღააო?

— დაგიაშებს, გენაცვალე.

— უპ. ესეც რამეა, — ამისთანები მოუდგია პაპაჩემს! — შარვალი აიწია და უმალ შეიკრა.

ქალმა შეხედა ბიჭსა და გული აუჩქროლდა: საოცრად ჰგავდა ბიძა-ძმისწული ერთიმეორეს!

ჩაცუქულმა ქალმა გულში ჩაიკრა სტუმარი და დიდხანს, დიდხანს უკოცნიდა ქარდაკრულ ლოყებს. მერე თმებში განხებრილი თივის ნარჩენები ჩამოუვარცხნა, შოკოლადი მისცა და ლოგინში ჩააწვინა. მერე თავადაც გაუხდელი მიწვა ლოგინზე და დიდხანს უტკეროდა ოდნავგადაბმულ წარბშესაყარს. და გული უსაზღვრო სინაზით აეგყო: ერთბაშად მოეჩვენა, რომ ოთახი პატარა საწოლებით გაქედილიყო და შიგ ათამდე პატარა პატარა ყაჩაღებს, ქურდებს, ლონიერებს, გონიერებს, და მშვენიერებს ეძინათ.

და იმდამის შემდეგ თვითონაც ასე ტკბილად არ ჩასძინებია.

მეორე დღით მაინც მოასწრო და სანამ მასპინძლის ქალაბი გაიღვიძებდა, ნამძინარევი თამაზი ბერბევას გაღმა გაიყვანა.

მას შემდეგ მთელი კვირა გავიდა. კვირის თავზე დიასახლისმა იდროვა და მდგმურს თავისი თითლიზაშური ქცევის ამოცანა თავადვე ამოუხსნა: ბინის ქირა რა სახსენებელია, რამდენს მოითხოვდა მამამისი, თუ შალვას უმადლესში მოაწყობდა?

შეურაცხყოფილმა ქალმა წყენა დამალა და აშკარად აგრძნობინა: მისი შეიღი მისალებ გამოცდებს თუ ღირსეულად

ჩააბარებდა, ნაშრომს არავინ დაუკარგავდა. სხვაგვარიც კი, ტყუილად დაშვებულბოდნენ.

მეორე დღით

მეორე დღით თედომ მორიდებით დაუკაჟუნა კარზე და მობოდიშებით აცნობა: ოთახი გვეკირდება და დაგვიცაღლეო.

ფლორა ჯერ გაოცდა, მერე ყველაფერს მიხვდა და მსუსხავად გაუღიმა: როგორც კი სხვას ვიშოვნო, მაშინვე გადავავლო.

მამის უკან მდგარი შალვა ბოროტად დაიქლანა და ბილწად მიიჩერდა ქალის შიშველ წვივებს.

— მალე აიბარგე, ჩვენ აქ იმისთვის არ შემოვიშვით, ღამდამობით ბულები ატარო!

თედოსაც კი ეუხებრხულა შვილის გამოხდომა და მკვახედ შეუღრინა.

— შენ არავინ გკითხავს.

ეს უკვე აუტანელი იყო. აუტანელი და მიუტევებელი!

ფლორა უმალ გაიმართა წველში. ამაყი თვალი ზიზღით მოავლო მამა-შვილს.

— თქვე საბრალო, ბინძურო კაცუნებო! ოპ, თქვე საბრალო, ბინძურო კაცუნებო! ან აქამდის როგორ ვცხოვრობდი თქვენს ჭუჭყიან, მყრალ საზოგადოებაში?

უმალ ჩამოხტა საწოლიდან და გამწარებული თავისი ნივთების შეგროვებას შეუდგა.

— მე იმას კი არ ვამბობ... იყავ, სანამ სხვა ოთახს იშოვნიდე. — მაინც შეეცოდა თედოს.

— მადლობა მომიხსენებია. ნაწყალობეც თქვენ და თქვენი შვილი იქნებით დაჩვეული ახლა, სანამ აქედან გავალ, სული შემებუთება, დავიბრჩობი. — და სახეზე აღმოდებული ყველაფერს დიდ ტყავის ჩემოდანში უწესრიგოდ ჰყრიდა.

მერე ფანჯრის რაფაზე ბინისა და ჭურჭლის ქირად ორმაგად ნაგულისხმევი ფული დატოვა და კიშკარში ისე გავიდა, უკანაც არ მოუხედავს...

ასე აღმოჩნდა ამ წვიმიან დღეს ტალახიან ორღობეში.



შეაპუნას გადაელო და ახლა უკვე სკრიდა. წვიმის ციმციმა, წვრილი წვეთები უცხო თვლებივით ბზინვარებდნენ ოქროვან თმებზე. პალტოს საყელოს მოვლებული მელიის ბეწვი კიდევ უფრო შევერცხლილიყო. ხევსურული მძივ-ღიწვილებივით დაყრილიყო მხრებსა და ზურგზე. დიდი, მძიმე ჩემოდანი მალი-მალ ლლიდა. ძვირფას ტყავს აღარ უფრთხილდებოდა, დასასვენებლად პირდაპირ სველ მიწაზე და წუმპეში დგამდა.

და თავის თავს ანგარიში მაშინდა მისცა, როცა ბერხევაში ჩავიდა და აღვარებულ წყალს მიაღდა. აფორიაქებულ თავში აზრები აქ დალაგდა და შიშით შედგა ახვივლებულ რიყეზე.

ამ ადგილას ყოველთვის გრძელი, განიერი ფიცარი იდო. როგორც კი ვალმა გახვიდოდი, ერთი გზა შარამდე ვაგვიყვანდა, მეორე ავიდოდა კლდეზე და იმ მხარეს მიჰყავდი, საითაც ის ერთი სანატრელი სახლი იგულვოდა.

ვახაფხულის პირველ მძლავრ მოვარდნას გაეტაცნა სწორედ ის ფიცარი, რომელიც ქალს მეორე სამყაროსთან დააკავშირებდა.

ფლორამ ჩემოდანი დადგა და თვალი ჰკიდა ვალმა, კბოდეზე წყალდიდობის საცქერლად გამოფენილ ქალისპირელებს. ყველაზე კარგად იქიდან მოჩანდა მთელი რიყე. ვინ იქნებოდა ახლა იმ ხალხში კეთილი სული, რომელიც ასე განდევნილსა და განკიცხულს შეიფარებდა? უკან არავინ ეგულვებოდა, გამოღმა მხარეს. არც იკისრებდა თედოს კარზე ისევ აევლო. აქამდე ისე მოდიოდა, აღიდებულ ბერხევაზე არც უფიქრია. ახლა კი... ახლა ვალმაც რომ გავიდე, ვის მიეკედლოს? ნუთუ არავინ გამოჩნდება ისეთი ვინმე, ერთი-ორი თვით აქირაოს თუნდაც სარდაფი? მანამდე მაინც, სანამ სკოლას შეეფარება, მერე მასწავლებელს ბინასაც უშოვნის განათლების განყოფილება... და დიდხანს, დიდხანს არჩევდა ხალხში ვინმე ღვთისნიერს.

უეცრად თვალი განზე გამდგარ რუსულანს ჰკიდა და გუნება კიდევ უფრო აემღვრა. აქამდე მხოლოდ წყლის შიში

ჰქონდა. ახლა უეცრად შეეპარა სულში ის ყრუოლა, პირველად რომ განიცადა იმ სახლში, რომლის ზღურბლზეც დღე-ღამეობის სველი ნაფეხურები იცნო.

გარინდებული ხალხი ნელ-ნელა ამოძრავდა, ჯერ ერთუროს რაღაც ელაპარაკნენ, მერე მისყენაც აიქნიეს ერთ-ორ-ჯერ ხელი. რაღაცას ანიშნებდნენ, დიახ, რაღაცას ანიშნებდნენ.

და ფლორამ ახლა კიდევ უფრო მეტად შეიგრძნო მიუსაფრობა და სიმართოვე: აშკარა იყო, ხალხს ეს სერიი არა ჰყოფინდა. მეტი სურდა, მეტი უნდოდა. მწარედ უჩხვლიტა გულზე ამ წაქეზებამ, ამ განწირვამ და ადამიანის სიცოცხლის არად მიჩნევამ. როგორ, განა ფლორა ამ აღვარებულ წყალში გავა, ისიც ჩემოდნით? აი, ნიმუში ადამიანის გულგრილობისა მოყვასისადმი!.. ეს ოხერი, ნეტავ მანქანა ან ურემი გამოჩნდებოდეს. მაგრამ ტრანსპორტი ალბათ ქვევით გადის შარავზაზე, სადმე ფონთხელში.

ვალმიდან უფრო მოუხშირეს ნიშნებსა და ხელების ქნევას. რაღაცას ყვიროდნენ, რაღაცას ემახდნენ. მთელი კლდის პირი ტორტმანებდა ხალხის ჩოჩქოლით, მაგრამ გამოღმა ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. ყველაფერს ნთქავდა აბღავლებული, მღვრიე ტალღები და თან მიჰქონდა კახეთის ყველა მდინარის დედის—ალაზნისაკენ.

მერე მიწყნარდა მოძრაობაცა და ყვირილიც. ხელების ქნევაც. მხოლოდ რაღაც სინანულის მსგავსს გამოხატავდნენ თავის ქიციანით.

ფლორამ ცუდი რამ იყნოსა იმ უმოძრაო მდგომარეობაში. წინ დაიხედა და ნაპირის მოახლოებაზე მიხვდა, რომ წყალს ძალიან მომატებოდა. გადაწყვიტა ჩემოდანი აელო და ცოტათი უკან დაეწია. როგორც კი დასწვდა და ოდნავ უკან შებრუნდა, ადგილზე გაშეშდა. პირველი მისი შეგრძნება სიცვიე იყო. შემდეგ წაშში აპკრა თავში სიმსურველემ და საშინელებამ გულგვამი გაუყინა:

მდინარეს მის ზემოთ ნაპირი გადაედრინა და ახლა უკანაც ბერხევა მოგვლავდა!



წუთით დაბინდულ გონებას ნისლი თანდათან გადაეცალა. უკვე აშკარად მიხვდა: უკან დასაბრუნებელი გზაც მოკრილი იყო.

ახლად მისწვდა ყურებს რა საშინლად ბლაღდა წყალი! რუხ-ყვითელი ტალღები როგორი ჭიხვინით გადადიოდნენ მის წინ ერთურთზე! ზევით მოგდებული ნარიყი და ფესვებიანად ამოთხრილი დიდი კუნძები როგორ მოქროდნენ როკვაროკვით გაშლილ ფაფარზე. როგორი ხრიალ-გრიალით მიაგორებდა თავქვე ქვა-ლოდებს! და ნაპირზე ყოველი დარტყმა მღვრიე დუჟად როგორ აღწევდა მის ფეხებამდე!

პირველი მისი მოსაზრება მაინც უკან გაქცევა იყო. დასტაცა ჩემოდანს ხელი, მაგრამ კუნძული ათიოდე ნაბიჯის სიგანისა გამოდგა და მალე გათავდა. არც სიგრძე ჩანდა ოციოდე ნაბიჯზე მეტი. უმაღლეს დარწმუნდა: შეუძლებელი იყო უკან გაღწევა. ერთ წუთს უტკირა შიშისაგან გათავებულმა და, როცა კუნძული დაიძრა და ზევით გაიქცა, ჩემოდანი დააგდო და თვალბზე ხელი აიფარა.

როდემდე იყო ასე, აღარ ახსოვს. მხოლოდ მაშინ მოეგო გონზე, როცა სიცივე ფეხებზე შემოეჭო. ერთხანს გაუჩნდა და გაუყვარდა. მერე თვალთაგან ხელები მოიშორა, შეკვივლა და ინსტინქტურად უკან მიიწყდა: ჩემოდანი აღარსად იყო. ხოლო თვით მასაც წყალი შემოსდგომოდ და კოჭს ზევით სცემდა.

კუნძული განახევრებულიყო. წყლის დონე კი უფრო და უფრო მაღლა იწევდა. სიცივემ ახლა მუხლებზევით აინაცვლა და მერე გულამდეც მისწვდა. ოღონდ ეს სიცივე სხვა სიცივე იყო, უფრო გამყინავი და შემზარავი. ფლორა მიხვდა, რომ იღუპებოდა. მთელი ტანით აცახცახდა და გაღმა ნაპირისკენ ხელები მუდარით გაიწვდინა.

კუნძული ისევ და ისევ ვიწროვდებოდა. მალე ტერფის დასადგმელსაც აღარ დატოვებდა ქაფქაფა ტალღები...

უეცრად თვალი ჰკიდა გაღმიდან გეზად როგორ ჰკრიდა წყალს ერთი კუნძი. როგორ უსხლტებოდა ტალღებს ხე-

ლიდან და ცეკვა-ცეკვით მისკენ მოაწევდა.

მარტინული

კუნძი თანდათან მოახლოვდებოდა თან ვადიდდა, მერე წყლიდან ამოიზარდა და... და გონდაკარგული ქალი დონიერმა მკლავებმა ერთი მტკაველა „მშრალად“ დარჩენილი მიწიდან აიტაცეს...

ფლორას არ დაუნახავს გაშმაგებულ წყალს როგორ დაუსხლტნენ. არც ის უგრძვნია, გაღმა ნაპირს როგორ მიაღწიეს.

სამშვიდობოს გასული მშველელი ისე ჩამოჭდა ლოდზე, ქალი ხელიდან არ გაუშვია. მიძიმედ სუნთქავდა. დაღლილი გული ისე უცემდა, ფლორას ეგონა, დიდი დგუშის დაგადუგი ესმოდა ყურში. დაქუჩქუხებულ მუხლზე მჭდარმა თვალი გაახილა. აზნაზარებულ წყალს გახედა. მზერა ვერ გაუმართა. ახლა თავის მხსნელს შეხედა. შეხედა და ჩუმად, ტკბილად ამოიოხრა. კიდევ უფრო მჭიდროდ შემოხვია სველ კისერზე მკლავები და განიერ მკერდზე მონაფერები კნუტივით გაინაბა.

ფლორამ ვერ გაიგო, როდის გაჩნდა კბოდზე შავლეგო, როდის გადაწყვიტა მიშველება და როდის გამოტოპა აზავთებული წყალი.

იჭდა და მხოლოდ ერთსა ფიქრობდა: იცნო და მისთვის შეეკიდა ამ აულაგმავ ბუნების დგანდგარს თუ სულ ერთი იყო მისთვის, ვისთვის ბედავდა წარღვნასთან შებმას? და გული დასწყდა, საშინლად დასწყდა, რადგან ეჭვის ნამცეცსაც ვერ შეიტანდა შავლეგოს კეთილშობილებას. ახლა მხოლოდ ერთსა ნატრობდა. ერთ პატარა ნატრას ნატრობდა: აქა მსხლარიყვნენ ასე ჩაკრულ-ჩახვეულები, აქა მსხლარიყვნენ ეინელსა და ღვარში.

მსხლარიყვნენ.

მსხლარიყვნენ.

მსხლარიყვნენ მანამდის, სანამ ეს წვეული წყალი ყელამდის არ მოადგებოდათ და მერე... მერე თუნდაც ასე ჩაკრულ-ჩახუტებულნი წაიღო თან და ჩაემარხა გაუშამლარ თავის სტომაქში...

ფლორამ გაბედა, თავი ასწია და ბიქსკვლავ შეხედა. შავლეგო მკაცრი, წარბებშეყრილი, მოქურუხებული თვალით

ბურღავდა ებოდეს მოზღვავებულ მღუ-  
მარედ მღგარ თანასოფლელებს. მერე  
შეინძრა, წამოიწია და წამოდგა. დიდი  
ბავშვივით ისევ აიხუტა თავის დიდ მკე-  
რდზე და დიდი ნაბიჯით, დიდი ჩექმების  
ჭყაპა-ჭყუპით გაალაჯა დიდი წყლის დიდ  
რიყეზე.

და ფლორამ შეიცნო: რაღაც დიადი,  
რაღაც მანამდე მიუწვდომელი და შეუც-  
ნობელი გარდამოვიდა მისი სულის გას-  
რესილ გვამში, პირამდე გაავსო ყველა  
კუნძული, ასწია მაღლა და ცაში აიტანა.  
რაღაც მოაწვა ყელში ბურთივით, ერთ  
ხანობას იქ გაიხირა და მერე ერთბაშად  
ბედნიერების ყრუ კივილად გამოხეთ-  
ქა გარეთ.

ებოდეზე ასვლისას ხალხს თავისი ლა-  
მანი თვალეზი მოაფლო. განაპირას  
მღგარ რუსუდანს დაუფარავი ნეტარე-  
ბით საესე მზერით შეხედა ერთ წამს.

აგრონომს სახეზე ისეთი ფერი ედო,  
თითქოს სისხლისაგან მთლად დაცლი-  
ლაო. გაცრეცილი ტუჩები უკანკალებდა  
და თავჩაღუნული მწვანე ბალახის წვი-  
მიან გუნჯალს ფეხის წვერით ტალახში  
სრესდა.

და ქალი მიხვდა, რომ ეს ბალახი კი  
არა, თავად ფლორა ეგდო იმ მყუყუ ლა-  
ფში და რუსუდანი მას სრესდა თავის გა-  
აფთრებულ ფიქრებში.

შავლეგომ ისე ჩაუარა თანასოფლე-  
ლებს, ზედაც არავისთვის შეუხედია.  
არც ის უგრძენია, რამდენი წყვილი შემ-  
ცხარი თვალი მიაცილებდა. ჩექმების შე-  
უსვენებელი ჭყაპუნით გაიარა კარგა მა-  
ნძილი და მკერდზე ახუტებული ქალით  
იმ ბილიკზე გადაუხვია, რომელიც მისი  
მამაბაბეული სახლის კიშკრისაყენ მი-  
დიოდა.







ვტოვებდით სოფელს,  
 მინდვრებს, კორდებს,  
 რიყეს და ჭალას, —  
 ვუბრუნდებოდით  
 კვლავ ვეება  
 ნაცრისფერ ქალაქს.  
 მოაყვირებდა  
 დიდუბიდან  
 საყვირი თბილისს  
 და უცბად გულიც,  
 ბავშვის გულიც,  
 იწყებდა ყვირილს:  
 ხალხის ზრიალში  
 მშობელ მამას  
 ეძებდა თვალი —  
 ხვატთან ნაბრძოლი,  
 ნაჯაფარი,  
 კუნთი და ძვალი,  
 სატინის ბლუზით,  
 წარბშეკრული,  
 ჩუმი და მკაცრი —  
 პერონზე იდგა  
 და გველოდა  
 ერთგული კაცი...  
 გოგოლის ქუჩით  
 ქურთი მუშით  
 მოგვექონდა ბარგი,  
 ქაერში იდგა  
 უცნაური სიმწიფის ბანგი.  
 და უცბად,  
 როგორც უაზრობა,  
 აბსურდი სრული, —  
 ნაწვიმარ ასფალტს  
 ჰქონდა  
 გაჭრილ საზამთროს სუნი...  
 ეს ყველაფერი  
 ახლა გროში  
 არა ღირს სხვისთვის —  
 ნეტავი  
 რისთვის დაიწერა,  
 ნეტავი რისთვის!



\* \* \*

ელენუბა — მაისის ღამეს  
 მარტო ვხედვით თუ სტუმრებს ვაკილებთ,  
 დავსხდებით ბოლოს, მაჩუქებ თვალეზა  
 და გავიხსენებთ  
 ჩვენს სიყმაწვილეს...

ჩემი დღეების შავი მდინარე  
 ისევ და ისევ შენს დღეებს ურთვის —  
 არვინ ყოფილა ისე ნაზი, ისე მძვინვარე,  
 როგორც შენ იყავ  
 ამ ოცი წლის მანძილზე ჩემთვის...

დღეები გადის, თვეები გადის,  
 წლები გადის — იყვნენ დღენი დამათრობელნიც,  
 მადლობელია ძუც, ალბათ, ზვადის —  
 ბარი-ბარსა ვართ,  
 ყველაფრისთვის ვარ მადლობელი!

## მ ა ტ ა რ ე ბ ღ ი რ ა ნ

სალამო მშვიდი.  
 ბინდი. ხიდი. ხიდებქვეშ ჭავლი.  
 გარბის ბაქანი,  
 ბორცვები და სარკმელი გარბის.  
 მატარებლიდან  
 ეფერება თვალებით მგზავრი  
 მშვენიერ სოფლებს:  
 რუისს,  
 ურბნისს,  
 ატოცს და  
 აბისს...

აგე, მოხისი!  
 აგე, გომი!  
 მსუდროა ქართლი!  
 აგე, მუხრანიც! —  
 გაწეწილი ძეწით და რუთი!  
 მამის ორმოცზე  
 ჭირის პურის მადლით და ხათრით  
 სადღაც მანდ იყო,  
 მანდ ჩამისხეს თოთხმეტი ფუთი...



შუალამისას  
 შინ მივუხტით გლუხაკს ძახილით —  
 პატროსანი ღვინის პატრონს  
 ვერქვა სამება...  
 ჰოი, წამებავე,  
 სიყვარული გვრქვას სახელად!  
 ჰოი, შენ ჩემო სიყვარულო,  
 გვრქვას წამება!

• • •

როგორც ყოყმანის  
 და თანხმობის  
 შემკრთალ დროშებს  
 ძლეულ ქალაქის  
 მოქალაქენი  
 ალყის შემდეგ  
 აივნებზე  
 გადმოჰკიდებენ, —  
 არც იქით იყო  
 და არც აქეთ, —  
 გზაგასაყართან  
 იდგა იგი,  
 მშვენიერი  
 შუახნის ქალი, —

ჩახედა სარკეს,  
 მოწყენილმა,  
 და ბაგეზე  
 პომადა იცხო...  
 და გამახსენდა  
 აკაკის ლექსი  
 და დღესაც მახსოვს  
 ბერი ვენერა:  
 „აღმართ-აღმართ  
 მივდიოდი მე ნელა,  
 სერზე შევდექე,  
 ჭმუნვის ალი მენელა“.

• • •

რა მოსწყურდა  
 სისხლი და  
 რა მოსურდა  
 მძორი,  
 (ვეშაპივით!)  
 ნისლიდან  
 გამოცურდა ქორი...  
 — ქორო, ქორო,  
 თავს ნუ დაჰფრენ

ხალხებს!  
 — ვგ ჭანგები  
 დინჭილებად —  
 ბალღებს!  
 — ვგ ბუმბული  
 ჩიტებს —  
 ბუღის საფენად!  
 — ვგ შენი ფრთა  
 ქართველს —  
 ისრის საფრენად!

## ბასნი, იალე, და იარე კელაპტრით ხელში!



სადღაც —  
 კიპლინგი!  
 სადღაც —  
 ბერსნი!  
 სადღაც — კანდელოთ  
 გალაკტიონი — შორეული შენთვის ნათელი!  
 ლადო, ტიცვიან —  
 მშობლიური და მახლობელი!  
 ბოლოს — რუსთველი —  
 ქვეყნად ყოვლის დამამხობელი!..

ვინ გაქცევია ქვეყნად — სიყვარულს!  
 ვით გაექცევი მხატვარი დიდებს!  
 და რომ ახალმა ნერგმა იყაროს,  
 წინამორბედი შორს სანთელს გინთებს...

გასწი, იალე  
 და იარე კელაპტრით ხელში,  
 რომ მოგაშურონ  
 და შენსკენაც ვიდოდნენ ბნელში!

\* \* \*

მეტყვის კლდეში სწვრია  
 ოთხი სტრიქონი ბრწყინვალე:  
 — რა უფრო მშვენიერია:  
 დიაცი — უბემჩინარე,  
 თმადათოვლილი — მოხუცი,  
 ჩვილი — აკენიდან მცინარე,  
 ვაჭკაცი — ომში გასული,  
 მამულისათვის მძვინვარე,  
 თუ უკვე შუბლგაჩეხილი —  
 გაულვიძებლად მძინარე?!

\* \* \*

ბარბაროსულ გზებს მთელი ღამე ოხრავს შოფერი  
 და პა, ცისკრისას, მგლისფერ ბინდში, ყივილი მამლის...  
 დამძიმებული თოვლით სოფელი,  
 იშვიათი აქა-იქ კვამლი...

პა, ძველი სახლიც! მოხუცები ჭიშკარქვეშ დგანან,  
 გამორბის ძალღი და გამორბის მეზობლის ბიჭი.  
 შავით მოსილი დიაცები ჭილყვავებს ჰგვანან —  
 გადმოაქვთ წყნარად მანქანიდან დოში და ბრინჯი...

თოვს, მთებში თოვს,  
 შორს ათოვს შოვს,  
 ათოვს კვაშხიეთს და თეთრდება თოვლში „ვილისი“.  
 დაემარხავ მკვდარს,  
 მოვიხდი ვალს  
 და დავბრუნდები ამ სიზმრიდან სინამდვილეში.

## გიორგიან ზაბიძეს



მე შენი ლექსი ბროწეულის ყვავილს მაგონებს,  
 თუ შეიძლება, რომ ყვავილი ნაკვერჩხლის იყოს.  
 გამწვევი ხარის ვენაცვალე ქედს და ძალ-ღონეს,  
 ვენაცვალე შენს მშანთავ სტრიქონს!

წმინდა გიორგის სამშობლოში ბევრი აღონებს —  
 გადახვევია ჩვენი ვაზი დღეს უცხო ჭიგოს.  
 მაგრამ მოგძებნის, გამოგარჩევს, არ დააყოვნებს —  
 დაგახატავს მაგ შუბლზე ნიკორს.

შენი ცისფერი და მზისფერი ორდენის ღირსი  
 კიდევ არიან პოეტები, გასძლებენ ჭირში —  
 არ ჩამძვრალან ჯერ სამალავში.

დამადე მკერდზე მოწყალების ყვავილი — შანთი,  
 რომ აწიშხინდეს ხორცი ჩემი, წამიძებ სანთლით  
 და ჩამრიცხე შენს ამალაში!

\* \* \*

იოსებ ნონეშვილი:

სიღნაღიდან  
 მოდიოდა ბიჭი,  
 წერილკისურა,  
 ფეხშიშველა ბიჭი,  
 თან მოქქონდა  
 გულით ობლის ზინჯი,  
 ქვეყნის შიში,  
 წუთისოფლის იჭვი —  
 თბილისისკენ  
 მოდიოდა ბიჭი.

ორი მწვანე,  
 ორი მწარე ბორცვის,  
 ორადორი  
 იმ საფლავის გარდა,  
 არაფერი  
 არ გააჩნდა ყმაწვილს,  
 შიშით შედგა  
 საოცნებო კართან.

უცებ შედრკა  
 ცაში ღრუბლის ჯარი,  
 მზე აღმოსხდა,  
 მზის დაადგა თვალი,

შვედრიალდა  
 საოცნებო კარი:  
 და გამოინდა  
 საოცრება ქალი...  
 დაიხარა  
 საქართველო — დედა,  
 დასწვდა ყმაწვილს,  
 მიიხუტა ყელში,  
 არაფერი  
 რომ არ ქონდა მეტი, —  
 სალამური  
 მისცა ყმაწვილს ხელმა.

მოიწმინდა  
 ბიჭმა ობლის ცრემლი  
 და შეახო  
 ტუჩი ლერწამს ფრთხილად;  
 და გათენდა  
 წუთისოფლის ტვერი  
 და ლერწამმა  
 იწკრიალა ტკბილად.



საქართველო —  
 საოცრება ქალი!  
 საქართველო —  
 საოცნებო დედა!  
 ბიჭს დაედო  
 საქართველოს ვალი  
 და მადლობას  
 სალამურით ბედაუს.  
 და გადიან  
 ლერწმით ხელში წლები  
 და წვრიალებს  
 სალამური ობლის:  
 ქალს ადიდებს —  
 ქალს — ცოლსა და დედას,  
 მიზეზს, საწყისს  
 და სათავეს ყოვლის...

სიღნაღიდან  
 გამოვიდა ბიჭი ქვეყნიდან  
 დიდთვალა და  
იმ კაცს რაღაც უცნაური ხანელი ერქვა — ჯარისკაცები ხან ნაპოლეონს ეხანდნენ, ხანაც უბრალოდ ნაპოს. ხანე ყინვისაგან მანდარნის ქერქეთი გადატვაებოდა. შევიწლი სისხლის ღაცები შვად აჩნდა მწითურ სახეზე, თითქოს ვიღაცას ლაფი შეესხიაო. წვდან ისიღ მიეშველა ზურაბს სარტლის თრევაში, მაგრამ მალე ბანდზე სისხლმა გამოიონა და იძულებული შექნა თავი გაენებებია. აზლა კი ბრაზობდა სარტალზე — რა გააჭირე წუწუნით საქმელა სარტალმა არაფერი უბასუბა.

სხვა ჯარისკაცებიც ჩამოსხდნენ, ნაპოლეონისა და სარტლის ლაპარაკით დაინტერესდნენ. ზურაბიდ მიჩრჩნოდა თავის საქმეს და ოთახში შემოვიდა. მი-სო ამანავი და ჰეტრდა საქმიანობდნენ გარეთ.

— კი, მაგრამ სად მიღალავ ამ სწყალ ცხერებს? რა გასაჭირია ამისთანა... სხვათამორის იკითხა სარტალმა და მალულად კეთხემი მიკუნქულ ნაპოლეონისკენ გაიხედა, კიდევ ხომ არ მიჩრჩნებდაო.

სარტლის შეკითხვამ ყველანი დააინტერესა. „მარ-თლავ სად მიაკავს ცხერები?“ რაზე იკლავს თავს? — ჯარისკაცები ცნობისმოყვარე მწერით ზაატრდნენ ბიჭს.

— ალბათ ბიძაშისთან მილაღვს გამოსაზამთრებლად, არა თიმი? — თქვა სურამბა. — ხომ იცით ჩვენი ზამთარი, უმამაკაცო ოჯახში თივა კი არა, სხვა რამეც ჭირს...

თიმი ფიქრით კვლავ თავის სოფელში გადამარგდა. ყურებში ჩაეხმა შორეული ჩირქოლ-ჭურჭლი. მოედანზე შეერეხილი მოხუცები და ქალები, ოჯახის შუფროსები და ბავშვები ადტყინებულნი მისწრაზობდნენ ლოდზე ყოცნიყოს დასასხებლად შემარჩულ მამალივით მკერდწამოწვეულ გაღსტუბიან სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს და მის გვერდით მდგარ რაიადმსაკომის წარმომადგენელს.

— კაკასიონზე ჩიტა ვერ გადმიფრინდება... — კვლავ დაიასხა ხალხის შუაგულიდან ვიღაც მოხუცმა და წერველად დარტყა ხელჯახში მიწაზე.  
— ვერ გადმიფრინდება!.. დაიგუუნა ხალხმა.

ბილის წუთიერი სიზუმე რომ ჩამოვარდა, რაიადმსაკომის წარმომადგენელმა იახოვა სიტყვა.

— ამანაგებო... — დინჯად წამოიწყო მან — ნუ დაეცივიწყდება, მტერი შესაძლოა სხვა მხრით შემოვიბტყოს...

ხალხის ზოქოლი მინვლდა. აღმასკომის წარმომადგენლის სიტყვებმა ჩააჭიკრა ყველანი.

— კაკასიონზე რომ ვერას გახდება, იგი შეეცდებოდა ზღვით მოადგეს ჩვენს ხანაპიროებს... — განაგრძობდა ორატორმა — ჩვენ გვაქვს ცნობილი, რომ მან უკვე დაიბრუნა თადარიგი... ზღვა კი მოვებუნებოთ, აქვეა, უფროსბრში, ხელის გაწვედნაზე... ზღვა ჩვენი კეთილმისყოფელი მეგობარი იყო ოდიოთგანვე... მისი არილით ირწყვებოდა ჩვენი ყანები და სათიბები. გვაღუიანობის დროს სოფლის მახვებები შეიკრებოდადნენ მაცხოვარის ეზოში და ზარების ეღრა-აღიით შესთხოვდნენ, წვიმები მოეცინებინა ღმერთს ზეონისათვის, გავითოფლებული ხომინდნარებისა და ოხანარებისათვის... ზღვა დიდი იმედი იყო მუდამ და არც აროდეს გამოუგმამავს ყურები ჩვენს ღალადისზე... ახლა კი მტერს სურს, იგი თავისი შეხებული ზრახვებისათვის გამოიფინოს, ხმელთაშუაზღვიდან წყალქვეშა ნაგები ურჩხულბივით მოცოცკენ თბილი ხანაპიროსაგან, პირველი ჯერი მოატარეს კიდევ ჩვენს მიწაზე. ახლა, ამანაგებო, ზღვა გვთხოვს, შევლა-დაძმარებას... ზღვა გვიხიბოს... ზღვა გასაჭირში... — დამთავრა სიტყვა აღმასკომის წარმომადგენელმა.

სიტყვა იხვე საბჭოს თავმჯდომარემ გაავრძელა: — საბჭოთა ზომადღებმა უნდა ჩააჭიროს ისინი... ჩვენმა რაიონის მშრომლებმა შესანიშნავი თასისობა გამოიჩინეს. მათ გამოთქვეს სურვილი რომ ამ ორთაბრძოლაში ზეობის სახარებით აებებული ნაყოფი მომწიფდებოდეს... ნაგი მთელი სენეთის სახელი და დიდება იქნება...

იხუ ატყდა ჩირქოლი და ხმაური. მოხუცები და კორფალი შემტეხით იშუქრებოდნენ. მათი რისხვა სენური ზარივით უსიტყვო და შემზარხნი იყო. ისინი ამბობდნენ:

— ჩვენი გემები ცეცხლს მოანთხვენ უკიდვანო ზღაბზე და შინ გამარჯვებულნი დაბრუნდებიან. მანს შიარის „სენაეთიც“ იქნება. ნავის უფროსი,

ღმობის ზეობიდან წასული კაცო, გემბანზე გადმოდგება და სცე, როგორც ძველად სწველიდა მანაც მევიხოვნეთ, ზე აღმართავს ორთავე ხელს და გადამიბებს — და ეს იქნება სახელოვანი გამარჯვების წამანი... — საღამოს მოელს სოფელში ატყდა ერთი დაციფვცი. ყველას სურდა თავი გამოეჩინა და თუ რამ ებადა, თუ რა გააზნდა, არაგინ არ იშურებდა დიდი ხანებისათვის. ვისაც ფული უქონდა, საქონელს მიწარმოებდა სოფლის მოედანზე. მაცხოვრის ეზო შემოწირული ცხერებით, ძრიხებითა და ხარებით გაიტენა. ყველა ალალი გულით ტოვებდა გაჭირვებით გამოზრდილ ღვინიებს, წიჭარებს... არავის, მთელს სოფელში არავის არ შეაწუხებდა სინდასის ქენჯნა.

საღამოვამს თიმიმაც მიურეკა მოედანზე საქონელი. ბღელდა წინ მიუძღვოდა თავის ნამიერთ. ცხერები ბღელივით მიადგნენ სახელდახვლოდ შემოღობულ ბარაკს.

— თითო წევრზე, თითო სული იქნება — უთხრა სახლში თიმის დედამისმა და ბეღელა, კოხტა და ცქვიტოვი გამოურეკა... — ნეტავი მტერი შევევლოს და... — ეღუნენ მუხლი მობრახმა და დმერთს შევევდრა მშვიდობით დაებრუნებინა ოში წასული შეილი. მერე მოხმდურთა წყველა-კრულვას მოჰყვა.

მეტრამ თიმი თავისი ცხერებით უკან გამოაბრუნეს — უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახშიდან შემოწირულობას არ ეღებულობო. სახელმწიფო, აქით ეს-მარტა ასეთ ოჯახებს, უთქველიდაც იოლად გაეცალოდა...

თიმიმ ასეც გადასცა მათი ნაოქვანი დედამისს. თითქმის იშუათაღ ენახა ეღნენ ატირებული. ამ წუთას კი ცრემლები წასცა და ატყითინდა. მის ეზოლზე დარტყა დაითლიდა კაცი. თმა თითქმის ერთხმად გაუთიარდაო. ისინი ხომ შვილებს სახელზე შესწირა, ალალი გულით შესწირა. ეღნენ სხვა ვეღარაფერი მოახერხა, ხელი შემოსხვია თიმის და მატრად ჩაიკრა მკერდში. თიმი გრძობდა, როგორც ატყახებდა დედამისი.

— ზეალ დილით ისევი მიერეკავ, დედი... იქნებ მიიღობ... უთხრა თიმი.

ეღნენ ოღნაც დამშვიდდა. ორიგენი შინ შევაღნენ.

მეტრამ მეორე დილით მოედანი ცარიელი იყო. საქონელი გაერეკათ რაიონში. თიმიმ აღარ იცოდა, რა გქნა. როგორ მისდგომოდა დედამისის ხელმეორედ ცხერებისადა. დედა გულანაკულით დარტებოდა, რომ არ მოეხდა საყოფილოთა ვალი ქვეყნის წინამე.

— რა გვიჭირს შესაცოდებელი... წუხელის მოვლი დამე იმეორებდა იგი.

თიმი ამშვიდებდა, ზეალ ჩავაბარებოო. აკი დღე-საც ვეღარ ჩააბარა. როგორ შეხვდეს ახლა ეღნენს? რა უთხრას?

დედა ტიშკართან გამოეცემა. თვალები ცრემლით ატყებოდა. ქვედა ტუჩი უთრთოდა.

— იღი, რა დედი. საქონელი წუხელისევი გაურეკათ... მეტრამ იქნებ დავაწიო როგორმე. ანდა სულაც გაეღალაო რაიონში და ეს იქნება... ლაიზე გადავიყვან, მატას რა უნდა...

ეღნენს თვალები გაუბრწყინდა. იმედინაღდ შეეც



ქრდა თიმის, თქმით არაფერი უოქვამს, უკან შებრუნდა კომიარნი და სამზადის შეეღდა.

\*\*\*

— რისაბჭოსთვის უნდა ჩამებარებინა... ეს დედაჩემის ნება იყო და ვეღარ შევესრულე... ჩვენმა რაიონმა წყალქვეშა ნაგის აგება ითავა, ყველამ გაიღო რაღაც სახსარი ჩვენს გარდა...

საოცარი რამ მოხდა იმ წუთში. ჯარისკაცები თითქოს უწინდელად ქანდაკებულად იქცნენ. ოთახი ღრმა მღუმარბამ მიიყვა. თვალები გაუმტვრდათ; მოქუჩურულ სახლებზე უსიამო განცდითა ჩრდილი გადაფინათ. ზურაბი ჩაფიქრებულიყო, მისი ამზანავი სავარიო ტურება იყენებდა, ცალი თითი კი ნიკაპზე მიეჭრა. დაიროქნილი, ტუჭიანი მინიდან დაგრძელებული მონადენი დასაბუნებელი ცხენები. მუხის ქვეშ დეფორმირებული ყხვებით რომ იცოზნებოდნენ. იქვე ტყვეები ვარანენ, მათ თავს პეტრე დასდგომოდა ავტომატომიარკვებელი.

— „თერმე რატომ იკლავდა თავს ეს ბავშვი...“ ფიქრობდა ზურაბი. ამასვე ფიქრობდა სავარიო და შევეჯერებინა, ინფინერი და სარტალი. ასევე ფიქრობდა კუბოები თავისთვის ზემად მიმქადარი ნაბოლონი. უეცრად იგი შემლიღივით წამოხტა ზეზე, დასტავა კავზე ჩამოყიდებულ ქვაბს ზელი და ზღურბლთან გაიარა.

— ჩვენ უნდა ჩავაბაროთ ეს სადაც ჯერია... — რიკრიკობით ამოალავა ქვაბიდან გადაყარავებულ კარადანზე ხორცის ნაჭრები — ვალდებული ვართ ასე მოვიქცეთ...

დუმობა ჩამოვარდა. ჯარისკაცებმა აღმაცვრად გადახედეს ველმჭებულ ნაპოლონს. მერე ვიღაცა წამოგდა და გარედან ცარიელი ზურგანითა შემოიტანა. სულთად ჩაალავა ხორცის ნაჭრები...

— აქტი უნდა შევაღვივოთ, — თქვა ინცინერმა — მე შევაღვეწ, მოშეყით საწურქაბაღლი... — თავი გამოიღო სარქალმა.

— დღეს, ამა და ამ წლის ამა და ამ რიცხვში, ლას მთის ხეობაში შევძლოდ გახდა და დასაქლავ შევექნა თიში ხარაბის მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი დედაცხვარი (სახელად ბეღელა), რასვე ზელს ვაწვით რაზმის წევრები... სარქალმა ღმწხივით ჩამოწრა ჯარისკაცთა გვარი-სახელები, პირდაც უნდა აშლილიყო. საითთაოდ გაილაღნენ გადასცა დასადასტურებლად.

\*\*\*

ოთხბი მაცთურებელი სენი იდგა. შევძლებელ იყო გაჩერება. რაზმმა საქარისად დაიხვენა და ისევ დევ უნდა აშლილიყო. საითთაოდ გამოიღნენ გარევი. ფრთხილად გამოიყვანეს დაჭრილი და ისევ ვეღლაფერი თავიდან დაიწყო. ჯაბაგა ცხენები

კვლავ ჩაუდგნენ რაზმს სათავეში, ფრუტურ-ფრუტურით დაადგნენ გზას. მათს გაკვალულ ბილინს ტყვეები, მალაღ-მალაღი, აწოწილი ტიპები მიჰყვებოდნენ, ხანდახან, ფებს რომ შეუნელდნენ, პეტრე ჩვეული მჭკბარე ხმით დაუყვობდა ხილმე:

— შეველ... შეველ!.. — თითქოს მივლი დარდი და დალილითა ამ ვრთი სიტყვისათვის სურდა ამოუყოლებინათ.

— შეველ!.. შეველ!.. — იმეორებდა მის ნათქვამს მთები, დიდი და პატარა გორაკები, თოვლიანი მწვერვალები.

სარქალს ისევ ზურაბი და სავარიო მიათრებდნენ. ხილი ნაბოლონი, შევეჯერებანი და ინფინერი მხნობა რომ არ დაეკარგათ, ხმაშეწყობით, რუმად დიღინებდნენ სავარელ სიმღერას კატრუმასზე. „რასვეტალი იაბლონი ი გრემი, პიპლილი ტუმანი ნად რაკიო“. მათ სამთავს ჩაბლეროდა ხმა, არ გამოხდილიათ, მაგრამ მინც დიღინებდნენ. ეს გატირების სიმღერა იყო.

თიში სულ ბოლოს მიდიოდა. მხარზე ზურაბის ავტომობი მივდოდა და ნელნელა მოლაღავდა ცქი-ტის და კობტას. მას აღარ უნდოდა ბეღელაზე უფიქრა. იგი ახლა კვლავ თუარ გემებზე ფიქრობდა. არასოდეს არ ენახა ნამდვილი წყალქვეშა საბრძოლო სომელები, და ამიტომ თუარ, სამეზავრო გემებზე ფიქრობდა. მაგრამ აი, გემბანზე უზარმაზარი ზარბაზნები შეაგორეს. ფოლადის მიშისმკვრელი ლულეები ყოველისმხრით განაწილდნენ. მუხლგაურებმა სკაფანდრები მოირგეს, სათვალთვალო ჯისურებით ჩაცუცქნდნენ და მალე გემმა ჩაყვინთვა იწყო. ჯერ წყალწვეის წითელი ხაზი დაფარა წყალმა, მერე გემბანს უჩინ ტალღებმა, ზარბაზნები სულაბივით ჩაატრებინდნენ, ბოლოს ანძაც გაუჩინარდა, თითქოს არც ყოფილიყო ზღვაში გემი, ფოლადისფერი სივრცე დაეპარა... ოვანე რევერაწვეით გაიქცა სადაც და შორეულ ნაპირებს მივლიცილიც...

— ბახ... ბახ... ბახ... — ცხმიდა ნაპირზე ტალღების ტყლამური.

— ბახ... ბახ... ბახ... ეს ტალღები კი არა, წყალქვეშა გემის მრისხანე ბაქო გუგუნებდა.

— ბახ... ბახ... — იცავდა იგი ჩვენს ქვეშის მეორე კომიარს. სადაც დასავლეთით, მუქი მუწამული აღი ავარდნილიყო მალა ცამი. და თავბრულამევეი სისწრაფით რაილუბა ჯვარი, სვასტიკის ნაღვევი. მოისმინდა რაღაცნაირი ავებდითი ღრილი. ეს უხამსი კანონები იხრჩობდნენ, ზღვათა სიღრმეში კბოვებდნენ საშუამო სასუფვევს.

— შეველ... შეველ!.. — კვიროდა გზადგვა ავტომატომიარული ჯარისკაცი — შეველ... შეველ!..

და უცხი სიტყვას ცოვად იმეორებდნენ კავასიონის მთები.

— შეველ... შეველ!.. მალე უკან მოიტრეხეს საბურვე და სადევ ადგილები, ლას მთა მშრალი და წყლიანი ხევივით. შეველ დარჩა ფერდობზე ზღაპრული სანგარივით შევერული ადგილის მღვიმე“ და გამომარი ბალახის მადისამღვრელი, სასიამოვნო სურნელებით გაღვრთილი ზებრა — მწყემების ქობი.



თოვლის ხაფარს მიღმა, იმ ძირხვეწებსა და ჯალბურჭებთან მიყვებულყო თითქოს გუმინდელი ზაფხვობა. იქ განისვენებდა აწ გარდასულ უღარდელ დღეთა მოგონებები. სავარჯიშო იარაღთან ატუზული, ყურებამდე გაწითლებულა ბიჭი მტვრიან ლეიბს დასწერებოდა. დამატებით გაკვლილზე თინიკო მზიანი სამწყობრო სიარულს ამუშავებდა თავისი ფარხუნა შარვლით. — ერთი... ერთი... ერთი!.

მალე თოვა წამოიწყო. უხვად წამობარდნა. ფანტაზიები ფარფატიო ცვიოდნენ და თითქოს ამ სვედიანი განწყობილების დარღვევას უფროხიანო, ზუმად, ჩუმად უერთდებოდნენ ზეობაში განფენილ თეთრ მდუმარებას. ფანტაზიებს გაუფოთო მთელი სიურცე. მათს რიალს დასაბამი არ უჩანდა ამ უჩინარი ბილიკივით...

წამობნელდა კიდევ. ცით იღუმალმა ზელებმა მრუ-

მე ფარდა ჩამოუშვეს, რაღაც მნიშვნელოვანისა და აუცილებელის მარწყვებელი. ტყვეთა და დაჭრილთა რაზმი ხლებითა და კენესა-რბერით... განაფრთხილდა გზას. სადღაც შორს, ათასი და მილიონი ფანტელეების მიღმა მაცდურ მოჩვენებასავით ხედავდნენ ისინი ღამისეულ ქალაქთა ღამობონების ოქროსფერ ანაბზინს. და ყოველთვის, როცა უკანასკნელ ძალას მოიკრებდნენ და თავს წამოსწყვდნენ მაღლა, ეს, ირკალური სამყაროს იდუმალი გადმოძახილი მზისფერ ნუკვმად იღვრებოდა ილაკმიხდილ სხეულში.

თიშის გააზსენდა ნაპარლთა საუფლოში ჩამოწოდებული დუღგულას სხივი, კვლავ წარმოიდგინა, როგორი ალტკინებით მიჰყვებოდა მის გზას მარტოდ შთენილი აღამაანი.

და ეს შორეული ანაბზინიკ სწორედ იმ დუღგულასავით ეძახოდა სადღაც დასასრულისაკენ...







მე ფიქრი მტკიავა, როგორც ხეიბარს  
დიდი ხნის წინად მოჭრილი ფეხი  
ტკივდება ხოლმე.

და ზურგიტ დამაქვს შენი სინათლე,  
როგორც ჟანგბადით სავსე ბალიში.

მღვიმის წყვედიადში დუმს სტალაქტიტი,  
ვით ზარის ენა ჩამოხსნილ ზარში.

დახეტიალობს ჩემი კუნძული,  
მთელი ქვეყანა ზღვა არის მისთვის.  
ის ერთ ადგილზე ვერ გაჩერდება,  
გამოცლილი აქვს ფეხქვეშ საყრდენი.

დახეტიალობს ტალღების ქაფით  
თავშემკობილი  
და თოლიების მჭახე სიმღერით  
გაბრუებული...

მას დაექებენ!

გაშლილ რუკაზე  
გრძელი ფეხებით დასდევს ფარგალი  
და იფარება მთელი ქვეყანა  
ჯვრებით, წრეებით და კვადრატებით.  
გადაზნექილა ქარში ანტენა,  
წამომართული გაწერთილ გველივით  
და იოფლება ხელში ჭოგრიტი,  
სივრცისგან თვალგაბრუნებული.

დახეტიალობს ჩემი კუნძული  
და ზღვაზე გააქვს რძისფერი ხნული,  
ხოლო იმ ხნულში თესლივით ცვივა  
მისი ამაყი რწმენა და ფიქრი.

მას დაექებენ!

მაგრამ ჭოგრიტში  
არ გამოჩნდება არახდროს იგი  
და ვერც ფარგალი ვერ დაეწევა  
და ვერც ჯიუტი და ბასრი წვერი  
საგულდაგულოდ გათლილი ფანქრის.  
ტყუილად ქსოვენ ამხელა ბადეს  
ეს სიგრძედებიც და განედები.

ის შენში უნდა აღმოაჩინო;  
შენს არსებაში!

მაგრამ ამისთვის  
ბევრ რამეს უნდა უთხრა უარი:  
უნდა ჩამოხსნა მძიმე ფარდები



და გამოაღო სულის სარკმელი  
და აღარ მიწვევ უსუსურობის  
და მორჩილების დამპაღ ძონტებზე,  
ნარკომანივით გაოგნებული  
ყალბი სინათლით.

ფეხით გასრესილ ლოკოკინას სუნი დგას ირგვლივ.

მიარღვევს ტალღებს ჩემი კუნძული  
და ნაპირებზე გადმოდის წყალი:  
აქაფებული და აფოფრილი  
მღვიმემდგე აღწევს და ჩემს გარშემო  
ტოვებს ნიჟარებს.  
და ნიჟარებში ჩაბუდებული  
მარადიული სული ბუნების,  
მაგნიტოფონის სუფთა ფირივით,  
შრიალებს ბნელში.

აი, ამ ფირზე იწერება ჩემი სათქმელი.

დახეტიალობს ჩემი კუნძული  
პირველყოფილი გულუბრყვილობით  
დარწმუნებული, რომ საჭიროა,  
რომ ვინმეს მაინც მიუსწრებს სულზე  
ამხელა ზღვაში.

ესაა მხოლოდ მისი მიზანი.  
თვითონვე მოვა იგი შენამდი,  
თვითონ მოგნახავს და გადაგარჩენს,  
თუ აღიარებ, რომ იღუპები.

მაგრამ ხარბია ადამიანი:  
დროს არ დაკარგავს აღსარებისთვის.  
ტიპით სიზიფეს ლოდზე მიბმული,  
ძლივს მოპოვებულ სულს და გონებას  
იმორებს გზაში, რომ შემსუბუქდეს  
და მიათრიოს ძვალი და ხორცი  
სალაფაგამდე.

აჰა, გამოჩნდა!

ფერშეცვლილ ფიცარს  
წურბელასავით მიჰკერია კაცი,  
რომ სიკვდილამდე მთლად გამოწოვოს,  
თუ რამე დარჩა გამოსაწოვი.

ვეძახი: შეველა ხომ არ გჭირდება?  
(ხელში მიჭირავს რკინის კაუჭი).  
— გამომადგება! — მპასუხობს იგი



და დაღუპული გემის ფიცარი  
შინისკენ მიაქვს.  
და გაღუმპული მისი მკლავები,  
შეყვარებული სელაპებივით,  
წვანან ფიცარზე...

ქვის იატაკზე განწმენდის ცრემლით  
ამოჭრილია შენი სახელი.  
მის წასაკითხად საკმარისია  
ასოებიდან წყლის ამოხაპვა  
და სულ პატარა ნაჭერი სანთლის.

მადლობელი ვარ სიმარტოვისთვის.

სული იზრდება სიმარტოვეში.  
მე შესმის, როგორ იზრდება იგი  
და ვზედავ, როგორ იკეთებს ყვავილს  
და როგორ მიაქვს მზისკენ ყვავილი  
გაქვავებული კოცონის მსგავსი.

\* \* \*

...და აი, როგორც სველი ძაღლები,  
ისევე მოგროვდნენ კართან ჩრდილები  
და მოითხოვენ კარის გაღებას:  
ყვით, წკმუტუნით და დაქინებით.

და წვეთავს ისევე წყალი თუ ღამე,  
ღამე თუ შლამი, შლამი თუ სული,  
თუ უაზრდობით შემკრთალი წამი,  
თუ სიმარტოვით გახსნილი წყლული...

რალა აზრი აქვს, ან რითი შეცვლი  
ფუძემამოცლილ ცასა და მიწას,  
ვერც სისხლის სითბოს ვერ შეცვლი  
ცეცხლით,  
ვერც დაპირებას ვერ აქცევ ფიცად.

თავს ვერ დააღწევ ბედის მარწუხებს,  
ვერ დააბრუნებ გასროლილ ტყვიას

და სხვას არასდროს არ შეაწუხებს  
ის, რასაც შენი წუხილი ქჭვია.

ადგილს მიწაზე ყველგან იშოვის  
დღეის აჩრდილი და ხვალის მტვერი,  
მაგრამ ვერაფერს ვერ მოიშორა  
იმედი — სულის მთავარი მტერი.

ჩემი ცხოვრებაც, ბუნების სარკე,  
კვლავ განსაზღვრული სიჩქარით მიჰქრის  
და მაინც ხალხში დაეძებს საკვებს  
მშვიერ თავივით თამამი ფიქრი.

ნახვამდის, ზღვაო, თავისუფალო!  
ნახვამდის, თუმცა შენთან ვარ ისევ  
და დაყრუებულ სხეულით ვისმენ  
შენს ხმას თუ ხმაურს: მხნეს და უბრალოს.

\* \* \*

ჩემი აივნის ქვის მოაჯირზე  
გადაწოლილა ტოტი სუროსი,  
მწვანე გველივით.

ხოლო ქვესკნელის სახურავივით  
ზღვა ბრწყინავს მზეზე.



მე კი ოთახში უძრავად ვდგავარ,  
 ვით მეძებარი ძალის მინდორში:  
 თითქოს მომესმა, ან დავინახე,  
 ანდა ვიგრძენი რაღაც ნაცნობი.

მთვრალი, ჯიუტი და ბრახიანი —  
 ირგვლივ ზუზუნით მივლის ფეხტარნი...  
 და დრო და სივრცე, ჩემში კუთვნილი...  
 თანდათან მიწოვს, როგორც ჭაობი.

## გუბე და ღობე

შენი ლანდია ქუჩის გადაღმა  
 და ღრუბლის ტოტი, სველი და მძიმე,  
 და სიჩუქია. მხოლოდ ხანდახან  
 ვიღაცა აფრთხობს უჩინარ სიშებს.

არ გადმობვიდე! წადი! იარე!  
 ჩემს თავშესაფარს რქმევია სორო,  
 შიში რქმევია ჩემს სიტკვიანეს,  
 ცა ტერფის ჩრდილი ყოფილა მხოლოდ.

და ისევ, როგორც დიდი ხნის წინად,  
 ოღნავ ბრჭყვიალებს გუბე და ღობე.  
 ხეების ჩრდილებს იქნევენ ფრთხილად,  
 თითქოს მოკლეულის ტანსაცმელს ყოფენ.

წადი! მშდალა ჩემი სურვილი,  
 ყალბი ღიმილი ალბემა პირზე  
 და ასახიჩრებს ბლაგვი ცულივით  
 შენს განათებულ მხრებსა და კისერს.

ეს ერთადერთი გზა არის, ალბათ,  
 რომლის გავლასაც ვერ შევძლებ ახლა.  
 სურვილის თოკი, ძველი და ცალფა,  
 ვერ ამოწიდავს ჩემს სხეულს მაღლა.

ქუჩის გადაღმა ჩრდილივით მდგარი  
 ისევ ამოდ აღვიძებ გრძნობებს,  
 რადგან ჩვენს შორის ღმერთი წევს  
 მკვდარი და არა მხოლოდ გუბე და ღობე.



რაც დასახარჯი არსებობს — ვხარჯავ.  
 რაც სანახავი არსებობს — ვნახე.  
 და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას,  
 მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.

ყველა ზეიმზე დავიგვიანე,  
 ყველაზე ადრე მოსულმა დღემდე.  
 არც მდიდარი ვარ და არც ჭკვიანი,  
 მაინც ვერაგინ ვერ ცხოვრობს ჩემდენს.

ვერ დავარბიე ჩემში ველური,  
 კანდაშაშრული მზით და მარილით,  
 ვერ მივაჭუდე სულს სახელური,  
 რომ გამოაღოს ყველამ კარივით.

მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მტანჯავს,  
 თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ  
 და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას,  
 მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.



ოს, მახსოვრობის ბოროტო ღმერთო!  
 ჯერ კიდევ გუშინ ცეცხლივით ენთო,  
 რაც დავიწყების უკუნეთს ერთვის  
 და უკვე აღარ არსებობს ჩემთვის  
 აღარც ის სახე... აღარც ის წუთი...

და ახლა როგორც პანდორას ყუთი,  
 ცარიელი ვარ.  
 ჩემს ფსკერზე მხოლოდ  
 განმეორების იმედი ცხოვრობს.

## პირსახოცზე ამოქარგული მამალი



საქართველოს  
წიგნების კავშირი

განა არ ყვივის ჩემი მამალი,  
შენს პირსახოცზე ამოქარგული  
წითელი ძაფით?  
როცა პირს იბან, ხომ ყვივის ხოლმე?  
ხომ გათამამებს სიცოცხლისათვის?  
კისერგაწვდილი და აფოფრილი  
ხომ ემზადება საიერიშოდ,  
რომ გაგიფანტოს უემური სიზმრით

მოგვრილი სევდა?  
ანდა ცალფეხზე ხომ ხტუნავს ხოლმე,  
რომ გაგაცინოს და გაგახსენოს,  
ცხრა მთის გადაღმა თუნუქის ყუთში  
კიუტი ხელით ჩასმული ცეცხლი,  
ამოსტომას რომ ცდილობს ყუთიდან,  
როგორც მამალი... ფეხებშეკრული...

\* \* \*

თუ არ გიმტყუნა გზაში ფეხებმა  
და ისევ ხალხად თუ დარჩა ხალხი, —  
შენ, რა თქმა უნდა, არ შეგებება  
ამქვეყნიური ნესტი და თალხი.

ჯერ კი იცხოვრე და დაარიგე  
შენი ნაფიქრიც, ხმაც და იერიც.  
სიმდიდრე ჰქვია შენს სიღარიბეს,  
უმწიფობით ხარ ასე ძლიერი.

## ბუღბუღილო ზღაპრები

1

ნაფოტი — ქოთანს რომ ადევს თავზე,  
დედაბერმა რომ იპოვა იმ დღეს,  
როდესაც იგი შინ ბრუნდებოდა  
დილის წირვიდან და თან გზადაგზა  
ფიჩხს აგროვებდა, ხელცარიელი  
რომ არ მისვლოდა ჩაფერფლილ კერას,  
მასავით ჯიუტს, კაპასს და ბებერს,  
მაგრამ მაინც რომ ვერ გაიმეტა,  
რადგან მოხიბლა მისმა სითეთრემ  
და მისმა ხორცმა, ნაზმა და გრილმა,  
და ამ ქოთანს რომ დაადო თავზე —  
მზეთუნახავად იქცევა ახლა!

2

საფლავის ქვაზე ჯდებოდა თინა,  
მინდვრის ყვავილებს იყრიდა ირგვლივ  
და გვირგვინს წნავდა.

თი-ნა! — ეძახდა შინიდან დედა.  
თი-ნა! ეძახდა ყანიდან მამა.  
თი-ნა! — ეძახდნენ გოგო-ბიჭები  
გაფანტულები ოთხივე მხარეს.

ის კი უფლისწულს ელოდებოდა  
და გვირგვინს წნავდა.

\* \* \*

შარშანაც ასე დაიწყო ზუსტად:  
უცებ გადაწყდა ფოთლების საქმე.  
და მხოლოდ ერთი, ყველაზე სუსტი,  
ხელისგულივით აწვება სარკმელს.

მოცოცავს ლურჯი ასფალტის ხავსი.  
შიშვლდება ქუჩა და სახეს კარგავს

და გაქვავებულ მდინარის მსგავსად  
ყველაზე უფრო თავის თავს არ გაეს.

გაქვავებული მდინარის მსგავსი,  
სილის ქვეყანას ველარ მიათრევს  
და ლაქებივით აყრია ტანზე,  
რაც მორჩენიათ სახლებს სინათლე.



თავაუღებლად წერდა და წერდა,  
თითქოს რაღაცის მოსწრება სურდა  
და უკვე აღარ მიჭონდა გულთან  
გარესამყაროს მუხი და ელდა.

ვით დამალული ხენი ან სევდა  
ტანჯავდა რაღაც და აჩქარებდა.

\*\*\*

ჩრდილი ძაღლივით იწვა კარებთან,  
ის კი ჯიუტად წერდა და წერდა.

და როგორც მტვერი გარდასულ წელთა  
ეფინებოდა ნაწერი ოთახს.  
გარეთ ციოდა და ქარი ქროდა.  
ის კი ჯიუტად წერდა და წერდა.

\*\*\*

ამოვითრიეთ ნაპირზე ნავი,  
დავაგდეთ, როგორც ზვიგენის ლეში...  
და სიგარეტი, სველი და შავი,  
მკვდარი მწერივით მეჭირა ხელში.

შემზინეველი სხვა დღეთა შორის,  
(ასე უკვალოდ გაქრობის ღირსი)  
და როგორც არა ერთი და ორი —  
ჩვეულებრივი დღე იყო ისიც.

\*\*\*

ეს წელიც გაქრა, უკვალოდ გაქრა,  
და არა მხოლოდ ჩემთვის... ყველასთვის.  
მეც უნდა გული მწყდებოდეს, მაგრამ  
მოლოდინით ვარ სავესე ყელამდის.

როგორც ღრუბლებში მწვერვალის წვეტი,  
როგორც გაქურდულ ტაძრიდან ხატი.

და მიხარია, რომ გაქრა ისიც,  
როგორც გადაღლილ ხსოვნაში ქორი,  
ანდა ვარსკვლავი რომ ტრება დღისით,  
გადაყვარებულ ქალივით შორი.

კეტავენ კაფეს. გამოდის კინო.  
გაჩერებებზე გროვდება ხალხი  
და უნებურად ფიქრობს და ცდილობს  
დამალოს მკაცრი ნაკვთები სახის.

გარემოცული თოვლით და ქარით  
თავის ბუნავში ცხოვრობს ქალაქი:  
იხურება და იღება კარი,  
საფეხურებზე ხმება ტალახი.

ქუჩებში დაძრწის თოვლი და ქარი  
დაღლილი ყალბი ცრემლით და ფიცით  
და ყველა ჩქარობს, რომ ბებერ მთვარეს  
მიუკახუნოს კარები ცხვირწინ.

წელი კი გაქრა, ვით წვიმის წვეთი,  
როგორც უთვალავ ლანდებში ლანდი,

იმედისა თუ ოცნების მსგავსი  
ფანჯრებში ბზინავს ნაძვის ტოტები  
და საახალწლო ვნებებით სავესე  
კიდევ ერთი წლით გაიხლოვდები.

## გ ა ნ შ ო რ ე ბ ა მ რ ე

დრომ გაიარა, ვით შავმა კატამ  
ბნელ დერეფანში (უხმოდ და უცებ).  
და ზამთრის სახე, მკაცრი და სადა,  
მოშორდა ფანჯრებს.

მაგრამ ამ ფურცელს  
მარადიული შეკრავს ყინული,

ხოლო ყინულზე აირგვლება  
ჩვენგან ცხადში თუ სიზმრად ხილული,  
რომ გახსენების მწარე ეკლებმა  
გამომიფხიზლონ სულის თვალები —  
გაოგნებულნი ერთფეროვნებით  
და ხელოვნური მზის ბრწყინვალეებით  
და ნაქურდალი ცით და ცხოვრებით.



ბრწყინავს ლოლუა, ვით ზამთრის კბილი.

ამონასუნთქი კაცის და მილის,  
ახლახან დაკლულ მხეცივით თბილი,  
ფართხალებს ჭარში.

და აი, თითქოს ასი წლის შერე,  
უკვე გადაღლილ ხმება და ფერებს  
ვთხოვ, დაიბრუნონ ყველა უფლება,  
რომ დაეწიყებინ შავმა ღრუბლებმა  
არ გადაგვთულონ.

მომეცი ხელი,  
ჩვეულებრივად სუსტი და ცხელი  
ჩვეულებრივად ცხელი და მკაცრი  
მომეცი გული!

და სანამ გვაცლის  
ღმერთი თუ ბედი, გვჯეროდეს ისე,  
რომ ჩვენს ნაფიქრალს ქვეყანა ისმენს,  
ჩვენი თავები მკერდზე უწყვი  
და ცდილობს, მაგრამ არ შეუძლია,  
რომ გარდაიქმნას.

## რ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

თავჩადუნული და შეფუთვნილი  
ლიფტს ელოდება ჩემოდნით ხელში,  
ჩემოდნით მიაქვს მისი კუთვნილი  
წუთების ფერფლი, ღორღი და ხრეში.

მისთვის არაფერს არ ნიშნავს ახლა  
აბრუნებენ თუ ბრუნდება თვითონ,  
ქვევით წაიყვანს ლიფტი თუ მალა,  
დაუჯერებენ მართლა თუ ვითომ.

ოღონდ არავის გაუმხელს იმედს,  
დე, სულის ფსკერზე თავისთვის იდოს  
და ჩამოხსნილი ზარით მძიმე  
ვალი და ფიცი ბოლომდე ზიდოს.

ის შედის ლიფტში, როგორც საკანში,  
ქვეყანა თავქვე ხარხარით მიხტის,  
მაგრამ რაღა აქვს მას საგანგაშო, —  
მან დრო გაფლანგა და სასჯელს იხდის.

• • •

ვით სიმარტოვის სული (ხილული)  
გაშეშებულია ქაერში ბოლი  
და დანასავით ბრწყინავს ცინული,  
უკვე განვლილი ცხოვრების ტოლი.

ოთხივე მხრიდან მიყურებს მთვარე,  
სიზმრის ლეშივით აგდია თოვლი  
და ყრუდ გუგუნებს ჭალაჭი გარეთ,  
უკვე განვლილი ცხოვრების ტოლი.


• • •

რომ დაინახო და გაგიხარდეს  
რაღაცა მაინც უნდა გიყვარდეს.

ტყუილებრალოდ რომ არ იღვწოდე —  
რაღაცა მაინც უნდა იცოდე.

რაღაცა მაინც უნდა გჯეროდეს —  
ნაძალადევად რომ არ მღეროდე...

რაღაცა მაინც უნდა გახსოვდეს —  
რომ არ დანებდე მტერს არასოდეს.





შალვა მოზალიშვილი  
გულნარა მოზალიშვილი

## ვ. ი. ლენინის სხვა ქართულ პროზაში და დრამატურგიაში

ქართულ მხატვრულ პროზაში პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თემამდე დაწერილი მხატვრული ნარკვევები ჯერ კიდევ მეფის თვითმპყრობელური რუსეთის დამპყობის შემდეგ, 1917 წლიდანვე გამოჩნდა.

მწერალმა დავით სულიაშვილმა ვ. ი. ლენინის თემამდე პირველად მოგონების სახით დაწერა მხატვრული ნარკვევი — „შვეიცარიიდან საქართველომდე (ემიგრანტის შთაბეჭდილებანი)“. მაშინ მისი ეს ნარკვევი დ. ლხვიას ფსევდონიმით პირველად 1917 წლის მაისის გაზეთ „ალიონის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა.

ავტორმა შემდეგ, უკვე ხანდაზმულობისას, თავისი ზემოთ აღნიშნულ მოგონებათა საფუძველზე, მხატვრული ნარკვევი მთლიანად გადაამუშავა, გააღრმავა, წარსულის ახალი ფაქტებითა და ამბებით შეავსო და სრული სახით მიაწვდო ქართველ მკითხველს („შეხვედრები ვ. ი. ლენინთან ემიგრაციაში“).

მწერალი თავისი წიგნის წინათქმვაში ქართველ მკითხველს ასე მიმართავდა: „ნახევარი საუკუნეა მას შემდეგ, რაც ვაიციანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, 1917 წელს შვეიცარიიდან ჩვენ ვრთად გამოვემგზავრეთ რევოლუციური პეტროგრადში. ითი წლის ემიგრაციაში ყოფნის დროს ბევრი ბედნიერი შემთხვევა მომეცა მასთან შეხვედრისა და საუბრისა.“

ახლა, ჩემი მოხუცებულობის დროს, მინდა ახალ თაობას გადაეცე ჩემი შეხვედრების შთაბეჭდილება იმ ადამიანთა შორის, რომელთაც ე. მინახავს ჩემი ცხოვრების ვხაზე, ყველაზე გენიალური და იმავე დროს სულ უბრალო ადამიანის შესახებ.

მინდა ზუსტად და სიმართლით აეწერო დავითმწერარ და ჭეირფას ილიანთან შეხვედრები“.

დ. სულიაშვილმა თავისი ეს კეთილშობილური განზრახვა შეასრულა და მოგონებების — მხატვრული ნარკვევების ცალკე წიგნად გამოცემით დიდი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას.

ამ წიგნის გამოცემამდე, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, შვეიცარიიდან საქართველოში ახლად დაბრუნებულმა მწერალმა 1917 წლის მაისის გაზეთ „ალიონის“ ნომერში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნარკვევში „მიმოიხილეთ და დამაჯერებლად აგვიწერა ლენინის გარეგნობა, მისი ფესტი, აღწერა ლენინი საუბრის დროს, ტრიბუნაზე პაექრობისას, ლენინი ჩაფიქრებულ, გახარებულ, აღტაცებულ; ლენინი — ყველას გამამხნევებელი, შთამაგონებელი, მასების გულის ერთბაშად დამპყრობი და დამარხმავი. ამ ნარკვევში ჩვენ ვგვრძობთ ლენინის სიღაღესა და უბრალოებას, სათნობასა და ღრმა პრინციპულობას“<sup>1</sup>.

თვით ავტორის დახასიათებით, წარსულში მენშევიკებთან, ლიკვიდატორებთან პოლემიკის დროს, მათთან ბრძოლაში — ლენინი არას მუშათა რევოლუციური პარტიის ნამდვილი ხელმძღვანელი, სულისჩამდგმელი. მისი მოამაგე, მისი სიამაყე, კუშპარტი მებრძოლი. ლენინი? ლენინი ამ დაქსაქსულობის დროს ჯერ არნახულ სიმაღლეზე ავიდა, ხელში მუშათა რევოლუციური მოძრაობის სადავეები დაეკა-

<sup>1</sup> ვრიგოლ კაკიაშვილი, ლენინი ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, ტომი 13, 1960.

ვა, იმ სიმაღლიდან უნათებს გზას პროლეტარი-  
ატის მსვლელობას. ლენინი შეუმცდარი გამგე-  
რებელია რევოლუციური მარქსიზმისა<sup>1</sup>.

დავით სულაშვილის მოგონებებიდან ბევრ  
საყურადღებო ფაქტთან ერთად, ქართულ ლი-  
ტერატურაში ისიც ხდება ცნობილი, რომ  
სტალინმა პარტიის უშიშარ ბელადს — ლენინს  
„მთის არწივი“ უწოდა, ხოლო თავით ბელადმა  
კი სტალინს „მგზნებარე კოლხიდელის“ სახე-  
ლი დაანათლა.

ლენინის შესახებ ზეენ სტალინისაგან აღ-  
ფრთვანებულ წერილებს ეღებულობდითო, —  
გაღმომგვცემს მწერალი. — „სტალინისაგან მი-  
ღებული ერთი წერილი ლენინის შესახებ, და-  
ვითაშვილმა ჰგუფში წავაგოთხა. სტალინი  
წერდა: „ის ვინც ზეენს პოზიციიზე დგას,  
მტკიცე და შეუღრკეველი ხმით უნდა ლაპარა-  
კობდეს. — ამ მხრივ ლენინი ნამდვილი მთის  
არწივია...“

ჩვენ ეს წერილი მოგვეწონა, გადავთარგმნეთ  
და ლენინს ვაღაუგზავნეთ ენეგეში. შალვა,  
რამე კვირაში, მივიღეთ ლენინის პასუხი —  
სტალინისადმი. ამ წერილში ლენინი მას  
„მგზნებარე კოლხიდელს“ უწოდებდა, მხტრ-  
ვალე, ამხანაგურ საღამს უგზავნიდა.

ასეთი იყო ამ ორი დიდი ადამიანის წერა-  
ლობითი გაცნობა, ჩვენი ჰგუფის მეშვეობით<sup>2</sup>.

შემდეგში ეს ბრწყინვალე ისტორიული ფაქ-  
ტი — „მთის არწივი“ და „მგზნებარე კოლხი-  
დელი“ ქართული ლიტერატურისათვის შთამა-  
ვონებელ თემად იქცა, შესანიშნავი ნაწარმოე-  
ბები შეიქმნა პოეზიაში, პროზაში, დრამატურ-  
გიაში.

აგრორის ისტორიულ-რევოლუციური წარ-  
სულის ამ მოგონებათა ეს ფურცლები არის  
გასვენება იმ ნათელი, დიდებული ისტორიული  
დღეებისა, როდესაც 1905 წლის ნოემბერში,  
რევოლუციის აღმავლობის დროს, რუსეთში  
ჩამოდის ლენინი, შემდეგ ჩვენს თვალწინ ერთი  
გაღვებით ვაღაშლევა აგრეთვე იმავე წლის  
16 დეკემბრის ისტორიული დღეები, როცა ტა-  
მერფორსში ჩატარდება ბოლშევიკების კონ-  
ფერენცია. აქ მოხდა პირველი შეხვედრა ლე-  
ნინისა და სტალინისა, რომელიც შთამავონე-  
ბელ თემად გამოიყენა ცნობილმა ქართველმა  
დრამატურგმა შალვა დადიანმა თავისი ხელო-

მედებიანი ისტორიულ-რევოლუციური დრა-  
მისათვის („ნაპერწყლიდან“).

მეთხველის შესხივრებში<sup>3</sup> მოცულდება  
პირველი რევოლუციის დახატვის შესხედვე  
გაშეღებული რეაქციის მიმე, აგტანელი სუ-  
რათებები: აგტარის ორი წლის პატიმრობა ჰუ-  
თაისის ციხეში 1907 წელს, შემდეგ ციხის.  
ქვეშ გაყვანილი ზერელი, სხვა რევოლუციო-  
ნერ პატიმრებთან ერთად მისი გაქცევა, ავლავ  
საზღვარგარეთ ყოფნა, ახლა — რევოლუცი ემი-  
გრანტისა; შვეიცარია, ჰალაქ ციურისში ცხო-  
ვრება, ლენინთან შეხვედრების ბედნიერი წუ-  
თები, როდესაც ისმენდა კაცობრიობის უდი-  
დესი გენოსის, სწორუპოვარი ბელადის საუ-  
ბრებს რუსეთის პირველი რევოლუციის შედე-  
გების შესახებ.

ჰეშმარტი მწერალი-მემუარისტი ახლოს ეც-  
ნობა ლენინს, ყოველმხრივ სწავლობს მას და  
მისი სრული პორტრეტის დახატვისას ეთამხმე-  
ბა დიდი მწერლის მაქსიმ გორკის გამოხათ-  
ქვამს, რომ „ის იყო კომუნისტრი არა მარტო  
იღვებით თავის ბროკალიში, არამედ განსახი-  
ვრება იმ ადამიანებისა, რომლებიც ჰეშმინი  
კომუნისტურ საზოგადოებას. ყველა დროს  
დიდ ადამიანთა შორის ლენინი ყველაზე  
მეტად და ნათლად გამოხატავდა გენიალი-  
ბას. — ის იყო უბრალო და პირდაპირი, რო-  
გორც სიმართლე და რაც უშთავრესია, თავის  
დიდ ადამიანობას როდი მისაღება გარეგნული  
ეშუქტებით. იგი მთელი არსებით იღწოდა  
სოციალური სამართლიანობის განხორცილე-  
ბისათვის, რისთვისაც უარყო პირადი კეთილ-  
დღეობა და ყოველი სიმხიარულე ცხოვრებისა,  
ერთი აზრით, ერთი მიმართულებით გატაცბუ-  
ლი, სპეტაკი და პატიოსანი, რუსი ინტელიგენტ-  
რევოლუციონერი, ხშირად შორს იხედებოდა  
და შეუმცდარი აღლოთი აღნიშნავდა, თუ რო-  
გორი სოციალური ძერები იყო მოსალოდნე-  
ლი და რომელ ნაბიჯს როგორი ცვლილება  
მისდევდა“.

ლენინის პორტრეტის სისრულით წარმოდ-  
ვისათვის, მწერალი დ. სულაშვილი თვითო-  
ნაც, ერთგვარი დასკვნის სახით, წერდა: „მი-  
სი შალვალი, მელამ გახსნილი და ნაფიქრბუ-  
ლი შუბლი ერთი მიზნისაყენ, ერთი იღვსაყენ  
ილტვოდა. ეს იყო რევოლუციური პარტიის  
სიმტკიცე და მისი ჰეშმარტება“.

დავით სულაშვილი ათი წლის ემიგრაციაში  
ცხოვრების პერიოდში, უღარესი გულწრფე-  
ლობით და სიყვარულით, მიშხიდეულად, მხა-  
ტრულად აგვიწერს ლენინთან დაუეიწარ  
შეხვედრებს.

დიდი მღვლეარებით, გინდითა და ინტრე-  
სით ეკითხება მწერლის „შეხვედრების“ მეო-  
რე ნაწილი, სადაც მოთხრობილია რუსეთში

<sup>1</sup> დავით სულაშვილი, შეხვედრები ვ. ი. ლე-  
ნინთან ემიგრაციაში, „საბჭოთა მწერალი“, თბ.,  
1958, გვ. 20-21.

<sup>2</sup> დავით სულაშვილის დასახელებული წი-  
გნი, გვ. 12-13. შალვა. ა. სტალინი, ტომი I, გვ.  
55, 371, (მეცხრე შენიშვნა).

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ლენინის მეთაურობით ემიგრაციიდან რევოლუციონერთა დაბრუნების ამბავი. „როგორ გაძლგბდა ლენინი უცხო მხარეში, როცა მისი საშობლო რევოლუციური ზანძრით იყო მოკლული? — მოვიფიქრობს მწერალი. — როგორ დაუთმობდა ვინმეს, მრუდე ხანით წაყვანა რევოლუცია და ნამდვილი გზიდან აეცდინა პარტია?“

ბელადი მოისწრაფოდა რევოლუციურ რუსეთისაკენ და ავტორი ადვრთოვანებულა, რომ მისად წილად ჰქონდა მისთან ერთად, მისი მეთაურობით წამოსულიყო სამშობლოსაკენ. „ათი წელი ემიგრანტობისა სამარეში ვშვებოდა. მივიდიოდი სამშობლოში — გადმოგვეყვს იგი. — იმდებოდა ახალი პორიზონტი, ახალი გატაცება, მშობლიურ მიწაზე მოქმედება,— მისი ჰერისა და ევრაზიის განიარება... თვალუბი ცრემლით მვესებოდა, როცა უშნოდ და უფერულად დაარბული, უცხო მხარეში გატარებული ზემა ცხოვრების დღეები შავონდებოდა.“

რევოლუციონერთა მატარებელი რუსეთის საზღვრებს უახლოვდებოდა. „ლენინის შებლს მქნენარების იერი გადამკრავდა. შუქით მოელავარ თვალუბი აღარ ციალებდნენ, მოღუშული წარბები, ჩაფიქრებული შებლი მღელვარებას გამოხატავდა. აჩქარებული ნაბიჯით დადიოდა ევროპაში.“

დასრულდა გერმანიაზე გამოვლით, შორეული მატარებლით მგზავრობა. მგზავრობა ბალტიის ზღვით გრძელდება. გეში მღელვარე ზღვის აქონრილ ტალღებს მიარღვევს. „გემის წინა კონცხი გაძალეებით ტალღებს ამსხერვევდა. კონცხის შემადლებულ ადგილზე იდგა ლენინი, ღორჯ სიერცეს გასცქეროდა...“

გეში უახლოვდებოდა რუსეთის სანაპიროებს, თან მიპყავდა რევოლუციის მესაქე — დიდი ლენინი. სიერცეში იფანტებოდა ინტერნაციონალის სიმღერა ახალგაზრდა ხმებისა...

მძლავრი ქარისაგან ზღვის შებეფები გემის ბაქანზეც შხაუნობდნენ. ავტორ ლენინის პალტოს აფრიალებულ კალთებსაც წვიმის წვეთები ესხურა.

— ესეც თქვენ, აშხანაგო ილინი! ეს, რუსეთიდან მოგორებული რევოლუციური ტალღა, რომელმაც ამბორი გაძღუნათ! — იხუმრა ერთმა.

ლენინიც იცინოდა, ცხვირისაბოცით იცილიდა წვეთებს.

...რწვეით, ქანაობით, გუგუნით მიარღვევდა გეში აყირავებულ ტალღებს, ჰარბუქისაგან აყარდნილი თოვლის კორიანტელივით იმსხერეოდნენ ისინი რკინის მძალა კედლებზე.

ზენი რევოლუციონერი სიმღერა კვლავ სიერცეში იფანტებოდა. ვ. ი. ლენინი უცხად მომღერლებისაკენ მობრუნდა, ჰგუფში ჩადგა.

მსრებზე მკლავები გადაგვიხა. სიმღერის აქვდა ტალღებით აქონრდა და ატლდა. ლენი გული, ლენინს ვეხეოდით, ახტოდი, ვმღეროდიოთ...

ვგრანობდით, თითქოს მზის სხივები ჩაეშენენ ჩვენს გულეში, თითქო წითელი დროშები ფრიალებდნენ უსაზღვრო სიერცეში... გეში გუგუნით მიარღვევდა მჩქეფარე ტალღებს.“

დიდისნის ვანშორების შემდეგ დაბრუნებულ ბელადსა და მასწავლებელს გზად მიეგება იოსებ სტალინი.

„მამინ არ იყოდა დროებითმა მთავრობამ, რომ ფინეთის სადგურით პეტროგრადს უახლოვდებოდა ორი დიდი ადამიანი, რომელთაც რუსეთის რევოლუცია სულ სხვა გზით წარმართეს...“

რუსეთის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა. მოაზრდებოდა უკანასკნელი მოქმედება დროისა. იხსენებოდა ახალი ფარდა, ახალი ხილვა, ახალი ცხოვრება.

იწყებოდა ისტორიის ახალი ფურცლები\*. ამბობრბებულ პეტროგრადის პროლეტარიატი დიდ ლენინს რევოლუციური სულით ანთებული შეახილებით მიაცილებდა. „გაუმარჯოს რევოლუციას!“ „გაუმარჯოს ლენინს!“ ბობობრბობდა პეტროგრადი.

საზღვარგარეთიდან ლენინის სამშობლოში დაბრუნებით „რუსეთის ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყებოდა.

ახლოვდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“.

იმავე პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ლენინის პორტრეტის ასახვისათვის ვარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ავრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ივანე გომართელის ნარკვევს: „ლენინი“. ეს ნარკვევი 1918 წლის იმავე გაზეთ „ალიონში“ დაიბეჭდა.

ავტორმა თავისებური ვაზრებით, პირადი დაკვირვებისა და შობაბეჭდილებების საფუძველზე სცადა მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად წარმოედგინა დიდი პოლიტიკური მოღვაწის ფიგურა, მშრომელი, დაჩაგრული კაცობრიობის ბელადი.

„ლენინი... რამდენი იმედები, ადვრთოვანება, გატაცება, სიხარულია ამ სახელთან შერთებული!“ — წერდა ივანე გომართელი და აღნიშნავდა, რომ მის „შისდევდნენ ხალხისათვის თავდადებულნი, ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლნი...“

დაჩაგრულები ოცნებობდნენ ლენინს განა-

\* ივ. გომართელი, ლენინი, გაზ. „ალიონი“, 1918, № 5, გვ. 1-2. ეს ნარკვევი არ არის შესული 1966 წელს ვლ. წოწილას მიერ გამოცემულ ავტორის რჩეულ თხზულებათა ორტომეულში.

ხორციელებს საერთო ბედნიერებას და გვის-სწისო\*.

უხადია, ავტორს არც პუბლიცისტური აღ-ლო ღალატობდა და არც მწერლური ილღო-მას უკუშობილად ღრმა დაკვირვებით გამოიქონ-და დასკვნა, რომ „მას სწყუროდა, რუსეთის დემოკრატიისათვის ბრწყინვალე გამარჯვება მოუბოებია... ამბობენ, ლენინი დიდი ადამიანი იყო, დიდი და სპეტაკი, დაეუმატებ მე... ლენინი დიდი, სპეტაკი პიროვნება“.

და ასე განაგრძობს ავტორი მსჯელობას, ფრ-თმანეთის საბრძოლო აზრთა ანალიზის შედე-გად აღიარებს სიმართლეს და სხარტ სურათე-ვად ხატავს ლენინის სახეს. ავტორი განაგრძ-ობს ლენინის პორტრეტის ძერწვას: „...ადამი-ანი, რომელიც ხელთ ჩაიგდებს მთელ ამო-ღენა ქვეყნის ძალაუფლებას და ამ ძალაუფ-ლებას — და მთელ თავის სიცოცხლეს დატყ-თა და გაუვლეფილთა ბედნიერებას შესწირავს, რასაკვირველია დიდი და სპეტაკია. ისტორიამ არ იცის ამისთანა ბევრი მაგალითი.

...ლენინი რევოლუციის გმირია. ასეთი მტყი-ცე ხასიათი, ძლიერი ნება და დაუშრეტელი ენერჯია რევოლუციის მეორე არ მოუცია და ვფიქრობ, ვდარდ მოგვეცემა...

ლენინმა დაიხსნა მიზანი და გაეჭანა ამ მიზ-ნისაკენ. კერძისის მიწვევა-გრეხასა და ფრა-ზებს მან დაუპირისპირა საქმე, მან მოინდომა ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა და შე-უბრალულად, სასტიკად დაუწყო განადგურე-ბა ყოველივეს, რაც იმის მიზნის წინ ეღობებო-და, რაც მას ხელს უშლიდა.

თავის გულში ის ატარებდა უდიდეს სიყვარულს კაცობრიობისადმი. მაგრამ დიდ სიყვარულს თან დასდევს დიდი სიძულელი: ლენინის დიდი სიძულელი მიმართული იყო პრო-ლეტარიატის მტრების მიმართ.

რევოლუციას არ მოუცია ვერ მეორე ამდენ-ნად ვატყებელი, ამდენად აღფრთოვანებული ადამიანი, რომელიც წინ თავის მიზნის მერს არაფერს არ ხედავს, არაფერს ერიდება, ყო-ველივეს ანგრევს და ანადგურებს თავის გზა-ზე.

მაგრამ იმ დღადის შესაქმნელად, საითკენაც იგი მიისწრაფოდა, საჭირო იყო დიდი ნგრე-ვაც\*...

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვერ მწე-რად დავით სულიაშვილის მხატვრულმა ნარ-კვევამ „შვეიცარიიდან საქართველომდე (ემი-გრანტის შთაბეჭდილებანი)\*“ (1917 წ.) და შემ-დეგ იგივე გომართლის ნარკვევამ „ლენინი“ (1918 წ.), როდელიც ვერ კიდევ თითქმის არა-ფერი დაწერილიყო დიდი ბელადის შესახებ, შემდეგისათვის ვარკვეული როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურაში ლენინისადმი მიძღ-ნილ მხატვრულ თხზულებათა შექმნის დიდ და საპატიო საქმეში.

ასევე დიდად მნიშვნელოვანი მხატვრული ნარკვევები, ჩინახატები, ტიპოგრაფიკები და მოგონებები გამოქვეყნდა 2 ქართულ ენაზე 1924 წელს ე. ი. ლენინის ვარდაცვალების შე-მდებ-

ამთვან განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ტაროშვილის — „ე. ი. ლენინი“, ს. შანშია-შვილის — „ლენინი ციურბში“, კ. დოლობე-რიძის — „უღიანოვ“, ლეო ქიანელის — „შე-ხვედრა ილიჩთან“, ს. ეულის — „შეხვედრა ლენინთან“ და სხვ.

ე. ი. ლენინის თემაზე შემოქმედებითი მე-შაობის გასაშლელად ქართველი მწერლობისათვის საუკეთესო პირველწარბო იყო და არას გამოჩენილ ქართველ ძველ რევოლუციონერ მოღვაწეთა მერ წლების მანძილზე გამოქვეყ-ნებული მდიდარი მემორიული და პოლიტიკ-ურ-პუბლიცისტური ლიტერატურა.

ამის ბრწყინვალე მაგალითია ი. ბ. სტალი-ნის შესანიშნავი, ნათელი პოლიტიკურ-პუბლი-ცისტური ნარკვევი „მთის არწივი“. იგი შთა-გონებდა ქართველ მწერლებს დიდი ბელადის თემაზე შეეჭმნათ შთაბეჭედავი ნაწარმოებები. ამისათვის საჭიროება გავიხსენოთ შალვა და-დიანის პიესა „ნაპერწყლიდან“ და ირაკლი ამა-შიძის ლექსი „მთის არწივი“.

შალვა დადიანმა თავისი პროზის ერთ შესა-ნიშნავ მხატვრულ ესეის — „ქაბუქი“ — ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „ქაბუქი“ „ჩამო-კრულეს“ შორის ყველაზე ბოლოს არის და-წერილი და გასაგებია ვისადმიც არის მიძღუ-ლი\*.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ამ პატარა მოთხრობაში გადმოცემულია ისტორი-ული ფაქტი მეფის რუსეთის დროისა, რო-დესაც შორეული ციხიბრიდან, ვადასახლებიდან გამოიქცა იოსებ ბესარიონის ძე ჭულაშვილი, შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი — სტალინი.

ჩვენი საუკუნის რევოლუციური მოძრაობის ამ უმაღესი ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ისტორიული მომენტი მწერალმა შესანიშნავი ოსტატობით მხატვრულ სურათად წარმოგვიდ-გნა. მკითხველის თვალწინ ისახება მეფის რუ-სეთის ხალხთა საპრობილეში — „ნარიშის მხარეს: ტაფასა და ტუნდრებში ჩაცევილი ბევრ მამაცთა ძელები“.

ავტორმა მხატვრული სიტყვის გასაოცარი სიმკვეთითა და სინატივით ჩამოაქანდაკა უხა-ნიწელის სტიქიასთან შებრძოლება მტყიე ნებისყოფის ადამიანისა, რომელიც შეძლე-ბელსაც კი სძლევს და იმარჯვებს.

ვერავინ ვერ გაშეკვევა, ვერავინ. ჩემს და-რჩევებს ამა ვინ წასვლია! ნარიშის მხარეს

1 შალვა დადიანი, რჩული თხზულებანი, ტომი I, 1958, გვ. 532.

ტუვლად კი არ ემახიან პოლიტიკურთა სასა-  
ფლათს. ამისთანა ამინდში ზომ ეშვამეც ვერ  
გაბედავს გარეთ ფეხის გამოდგმას. ჩვენ, აღმი-  
ნისტრაციას, ძალიან გვეჭმარება ეს ქარბუქი.  
უნეველიდაც ფეი ჰუნიავს სისხლს გამოქცეულუ-  
ბისას<sup>1</sup>... ასე ტრამპობდა თავის ამქარში მე-  
ფის რუსეთის პოლიტიკა.

მაგრამ „ის არ შეჩერებულა, მხარი არ აუქ-  
ცევია, არც ჰედი დაუდრეკია. განაგრძობდა  
თავის გზას ნაბიჭით, მტკიცედ და შეუტყუე-  
ლად. ბრძოლა კი გრძელდებოდა, ბრძოლა არა-  
თანასწორი“.

შწერალი თვითონაც არანაკლებ თავგანწი-  
რული სიყვარულით დაქანალებს თავს განწი-  
რულებაში მყოფ თავის მოთხრობის უმაჰაყეს  
გმირს, რომელიც შეუპოვრად მიისწრაფის თა-  
ვისუფლებებისაყენ. გმირი ვადალახავს ყოველ-  
გვარ დაბრკოლებას. სიცოცხლე იმარტუებს.

ეკითხულობთ თითქოს გრანიტით წამოქნილ  
ამ „ქარბუქს“ და გეოტაცებს მასში მოცემული  
თავდათმევებელი გატაცება, თავგანწირულება,  
მზნისაყენ, სიცოცხლისაყენ, თავისუფლებისა-  
ყენ სწრაფება... ეკითხულობთ ამ მოთხრობას და  
ჩვენდა უნებურად გვახსენდება მაქსიმ გორ-  
კის „ქალიშვილი და სიყვდილი“, სადაც სი-  
ყვდილი ამარტუებს სიცოცხლეს, სიყვარული,  
თავისუფლებისათვის ბრძოლაში აღამიანი ვა-  
შოდის გამარჯვებული.

მოთხრობის გმირი დიდი მიზნისათვის იბრ-  
ძოდა... მასთან ერთად ამ საერთო ბრძოლაში  
იყვნენ ათასობით თავდადებული მამაცნი, რომ-  
ელთაც წინ მიუძღოდათ დიდი ბელადი ვ. ი.  
ლენინი.

მართალია, მოთხრობაში პირდაპირ არ არის  
მითითებული არც იოსებ სტალინი და არც  
ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, მაგრამ მკითხვე-  
ლისათვის ადვილი მისახედრია, თუ ვის გე-  
ლისმობს მწერალი, როდესაც წერს: „მას ჰყავ-  
და ამხანაგები, ჰყავდა ხალხი, ჰყავდა დიდი  
მასწავლებელი, მხოლოდ ამჟამად შორს იყვნენ  
მისგან.“

ინიტომ მიდიოდა ახლა, რომ ის მათთან უნ-  
და ყოფილიყო, ამ ხალხთან, ამ ამხანაგებთან,  
ამ თავის დიდ მასწავლებლებთან, რომლის სა-  
ხე და სიტყვები მას გონებიდან არასოდეს არ  
განშორებია.

თუმცა მანვე იცოდა, რომ ამჟამადაც მასთან  
იყო ხალხის სიყვარული და ეს ათბობდა მის  
ეაყაყერ გულსა“.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში თავიდანვე  
განუტყრელ ურთიერთაყვამირნი იმყოფებოდა და  
იმყოფება საბჭოთა ეპოქის ორი უდიდესი აღა-  
მიანის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — დიდი  
ბელადის და იოსებ ბესარიონის ძე სტალინის,

მისი ერთგული მოწაფისა და მისი დიდი სემ-  
მის გამგრძელებლის ცხოვრებისა და უფლებე-  
კური მოღვაწეობის თემა. ათეულებს მღერეუქმენ-  
ძილზე ჩვენი მწერლობის ყველა ეანრში იქმ-  
ნებოდა ერთობლივი მნიშვნელოვანი თხზულე-  
ბები, რაც ცხადი ვახდა თუნდაც ზემოთ მოყვა-  
ნილი მაგალითიდან.

ამასთანავე, ვ. ი. ლენინის — ბელადის ცხოვ-  
რებისა და მოღვაწეობის თემაზე ქართულ ბე-  
ლეტრისტიკაში დღემდე მეტად მცირეა შექმნი-  
ლი და დაწერილი. ამ მხრივ ქართული პროზის  
დარგში, ისევე როგორც დრამატურგიაში, მო-  
მუშავე მწერლები უდავოდ დიდ ვალში არიან.  
იმედია, რომ ბელადის დაბადების მე-100  
წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, მომა-  
ვალში ქართული პროზის ეს ჩამორჩენა გამოს-  
წორდება.

შალვა დადიანის „ქარბუქის“ განხილვის შე-  
მდეგ მკითხველის ყურადღება გვირდა მივაქ-  
ციით მწერალი დენმა შენგელიას პოპულარულ  
მოთხრობებზე „თებერვალი“ და „ფეი“.

მოთხრობა „თებერვალი“ ავტორმა ფევისაზა  
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-  
ყარების პირველი დღეების საინტერესო ეპი-  
ზოდია.

1921 წლის თებერვალია. ზამთრის სუსტიანი  
დღეები დაიჭირა. მდგომარეობა უფროდაუფ-  
რო დაძაბული ხდება. წინააღმდეგობა მძაფრ-  
დება. ხალხში ყრუ გმინვა ვაისმის, მღელვარე-  
ბაა.

„სამხედრო წესრიგი დაირღვა, — ვადმოვე-  
ცემს მწერალი. — იმ თებერვლის გათოშილ  
ღამეს მენშევიკური გვარდია მცხეთიდან უკან  
იხევდა, საიდანაც ისმოდა ზარბაზნების შო-  
რეული გუგუნი და არავინ იცოდა, რა საჭირო  
იყო ახლა ეს სროლა, როცა არც ომი და არც  
ჭარი.“

თვდა. მუდამ ყრუ, წყნარი საავარაკო სად-  
გური გამოცოცხლდა. მენშევიკური მთავრობა  
გარბის, ჭარები უკან იხევენ, ეშელონი ეშე-  
ლონს მისდევს“.

მენშევიკურ მთავრობაში არეუდარევაა. გა-  
საქცევადა ეშხადება. მისი დამცველი გვარდია  
უკანისკრულ დღეებში უფრო მეტს სიმყარეს  
იჩენს, აძლიერებს რეპრესიებს და აღარავის  
ინდობს, მათი აღსასრულის ეამი მოახლოებუ-  
ლია. მიუხედავად ამისა, ისინი ვისაც მოახლოებუ-  
ბენ ამატობრებენ ქართულ ბოლშევიკებს.

მოთხრობაში ყურადღებას იქცევს პატარა  
ქართული გოგონა თინა, რომელიც მატარე-  
ბელში დედის ჩამორჩენია და მთავრობის ჭა-  
რისყაყებს შორის აღმოჩნდა. სიცივისაგან გა-  
თოშილი და შეშინებული ბავშვი ერთმა ხნიერ-  
მა ჭარისყაყმა შეივარდომა, დაუყავა და მზრუნ-  
ველობით მოეკადა.

აღმოჩნდა, რომ გასაქცევად გამზადებულ  
გვარდიელებს, სხვათაშორის პატარა თინას მა-

<sup>1</sup> შალვა დადიანი, რჩეული თხზულებანი,  
ტომი 1, 1958, გვ. 11.

მაც დაუბატირებელით და თან წაუყვანიათ. შიშით შეცბუნებული გოგონა გრძნობს, რომ მისი საყვარელი მამა განსაცდელშია, რომ მას საცდელი ემუქრებინან.

ზნეირა ჯარისკაცის თანაგრძნობით გამხნეებული ატირებული თინა ზურჩულით უამბობდა მას: — „რა უჭნა, ბიძია... დედამე მიმ მატარებელს ვაპყუა... დაბატირებული ბოლშევიკები რომ წაიყვანეს... მამამჩემი წაიყვანეს... ისიც დაიჭირეს და ციხის ვაგონით წაიყვანეს... ხალხი ასკდებოდა... ეგრე მოვახებრე ვაგონში შესვლა და დაერჩი“...

ზნეირმა ჯარისკაცმა ისევ მამაშვილურად დაუყვავა გოგონას და მცირე რამ საჭმელიც უთავაზა. თინა ზავშვური გულუბრყვილობით, შეღართით განაგრძობდა საუბარს: „მამას უნდა, რომ ყველა კარგად ცხოვრობდეს... ერთხელ ასე მოთხრა: საერთო საქმისათვის თავი უნდა დაედო და შენ არ შეგეშინდეს... მე არ შეშინა... მაგრამ მიინც შეშინა. თქვენ კი თოფს ესვრით... ნუ ესვრით... ნუ ესვრით მამას თოფს. ღმერთმანო, თქვენთვის კარგი უნდა...“

მამა ლენინის ამხანაგია... ლენინი... ლენინი ღარიბების ამხანაგია... თქვენ არ გინახავთ ლენინი? მე ლენინი სურათში ვნახე... ის იცინას... თვალები წერილი აქვს და იცინის, ბიძია ლენინი... — ისეთი გულითადობით ლაპარაკობდა თინა, რომ ირგვლივ მყოფთა ყურადღება ნელ-ნელა მიიქცია. ისინი სულგანაბული მთვრალთაგანდნენ მისკენ. ახლოს მიიწეოდნენ, რომ უკეთ გაეგონათ, რას ამბობდა ეს ცქრილა გოგონა და შალე ყველამ მის ირგვლივ მოაყარა თავი. ზოგი წამოწოლილიყო, ზოგი ფეხბორთხმული იჭდა და ყურს უვადებდა ვატაკებით ატირებულ ბავშვს. უსმენდნენ და ეს პატარა გოგონა იმედის ცეცხლივით ენთო მათ შორის“.

სურათი ნათელია. მწერალმა სრულიად მარტივად, ერთი გაეღვებით, ზელშესახებად, შთამბეჭდავად წარმოგვისახა ლენინის სახე. ლენინის იმდელი გამხნეებული ჯარისკაცები სასოებით შესაყურებდნენ ჰვალინდელი დღის გათენებას. სურათად, რომ შთაღწევდნენ სანუკეარ მოშავალს, თავისუფლებას, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი საქართველოშიც ვაიმარჯვებდა.

დ. შენგელიას შემოქმედებაში მოთხრობამ „ფიცი“ თავიდანვე ქართული მოთხვრელის ურადლები და დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი გამოირჩევა უშუალო გულწრფელობითა და განცდების მხატვრული აღწერით. თვით ბუნებაც კი ესადაგება მოთხრობის დედაზრს, მკითხველზე დიდ ზემოქმედებას ახდენს და უქმნის წარმოსახვის შთაბეჭდილებას. ნაწარმოები წითლებელს ამ მძიმე და მწყავე დღეებს განაცდევინებს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი საერთო სახალხო

გლოვასა და მწუხარებაში ენოვებოდა. რაგვის დიდ ბელადსა და ქვეყნის მოქირხნახულ მამას — ვ. ი. ლენინს.

მწერლის გულის სიღრმეში

მწერლის გულის სიღრმეში... მამას... მამასად გაისმა მისი სიტყვები: „არასოდეს სიკვდილს არ მოსწრებია ისეთი დიდი გამარჯვება, როგორც იმ დამეს, როცა ლენინი მოკვდა, რადგან არასოდეს კაცობრიობას არ ყოლია მიაგვრულა ისეთი დიდი მტერი, როგორც ლენინი იყო.“

არასოდეს აჭალი არ ყოფილა ისე ამაყი და საშინელი, როგორც 1924 წლის იანვრის 21-ს. საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე ვადათარა მან ფრთამოტეხილი ყოჩაღივით სოფ. გორკაზე“.

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მხატვრულად ასახა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შედეგად გამოწვეული შიშიმე მომენტია როცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ყრილობაზე იოსებ ბესარიონისებ სტალინი, თითქმის ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვამდა დიდი ბელადისადმი მიცემულ ფიცს. ამ მოთხრობაში მოჩანს მწერლის მხატვრული ოსტატობა, უშუალობა, გულწრფელობა, სიყვარული და თანაგრძნობა დიდი ბელადის ფიზიკურად ჩვენგან წასვლის გამო. „ბელადი წაივდა და დედამიწას ამოხდა: — ლენინი!.. მაგრამ ლენინი არ გამოვხმავთა ამ გმინვას. — წერდა მწერალი. „მისი გაციებული გეამი სოფ. გორკას უსადაში ესვენა. ლენინი წაივდა, — დარჩა ლენინიზმი“.

დ. შენგელიას მოთხრობამ „ფიცი“ ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი აღკვეთი დაიკავა. შალვა დადიანიც პირველმა მისცა მას ასეთი შეფასება: „ფიციში“ დიდი დამაყრებლობითაა ასახული ის დღეები, როცა ჩვენი ქვეყანა ეთხოვებოდა დიდ ლენინს. შესანიშნავად ვადმოუყვია ავტორს ეს ისტორიული მომენტი, როცა საბჭოების ყრილობაზე დიდი სტალინი წარმოთქვამდა ფიცს.

დემან შენგელიამ ამ მოთხრობაში დიდი მხატვრული ტაქტი და ოსტატობა გამოიჩინა! კითხვობით მწერლის მიერ მკვეთრად ჩამოქნილ ამ ნაწარმოებს და ღრმა ტრევილს ვანიცდით, თითქმის მთელი სამყარო შეირუა, სულმოუთქმელ დემილში გარინდებული შესაყურებ საშუამოდ დადუმებულ დიდ ადამიანს და ამ დემილში გამოკვეთილად ჩაგვსმით ყურთ „ფიცის“ თვითეული სიტყვა: — „5 დღე და ღამეა არ სძინავს მოსკოვს, არ სძინავს კავშირის ქვეყანას იმიტომ, რომ მათ მაგიერ ლენინმა დაიძინა... ათასები, ათათასები მიემართებიან გრძელ დაუსრულებელ მწკრივად დაკლა-

1 შალვა დადიანი, რჩეული წერილები, წიგნი I, „ხელოვნება“, თბილისი, 1950, გვ. 21.

კნის სამგლოვიარო კორტეჟებად კავშირთა საზღისაკენ სვეტებიან დაბრუნში.

კოლონა კოლონას მისდევს, მწკრივი მწკრივის და გული იყუჩდება, რომ ეს ზღვა ხალხი მიდის სამარისებური დემილით..."

კითხვობით ამ გამოკვეთილ სიტყვებს და ამ მოთხრობასთან ერთად ერთხელ კიდევ თვალწინ ვიდგებათ საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტის ელადიმერ მაიაკოვსკის პოემის — „ელადიმერ ილიას ძე ლენინის“ ის შთამბეჭდავი ადგილი, სადაც პოეტურად არის გადმოცემული დამწუხრებული ქვეყანა: „მთელი მოსკოვი გათოშოდა, ქუჩა გუგუნავს. ვეხდაც — კოცონთან გაუჩინელა ხალხი წუხელის..."

დამწუხრებული საბჭოთა ქვეყანა ეთხოვება ზენი ეპოქის უდიდეს ადამიანს. და ამ დროს აქ ხდება უჩვეულო ამბავი, რაც ესოდენ უდადეს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მოთხრობაში ერთგან გადმოიკვეთება, თუ როგორ აღის ერთი უსინათლო ახალგაზრდა კაცი გოხის ფათურითა და წველებით ხალხით გაქედილ კიბეზე, რათა უკანასკნელად მოიხადოს თავისი კეთილშობილური ვალი და გამოეთხოვოს საყვარელ ადამიანს. და როცა მის ველაცა გამოელაპარაკება, თუ რატომ იწუხებს თავს ამ ყინვაში, — „სულფრთია, შენი თვალებით მაინც ვერადგერს დაინახავო“, უსინათლო ადამიანი აღმოფრთხილ გულისწყრომით შეეპასუხება: — „ნუ წუხდებით, ამხანაგო, თქვენ ნუ გეშინიათ. სიწუხეს ხომ დავინახავ, ილიას ხომ ვივარძობ? მე ისეც შეყოფა სინათლედ ჩემ ბნელ სიცოცხლეში!“ — და იგი მაინც ავიდა „კიბეებზე ამხანაგის მკვლავზე დაყრდნობლი, რომ თავისი ბრმა თვალებით ილიას დემილი მაინც დაინახოს“.

კუშმარტად, დიღია მხატვრის ზემოქმედებითი გავლენა მკითხველზე და ეს არის სწორედ ავტორის დამსახურებული გამარჯვება.

„ყინვა ისეც უჭერს და ლენინის ქარიშხლიან წლოვანებასათვის დანთებულ ორმოცდაცამეტი ცეცხლი ისეც ისე ღაღადებს ქერებში. ხალხის სურნაქვა ღვან ბუღავით და თვალდათვალ მოსწანს. ხეით, ექვსი საათის განმავლობაში ელიან რიგს და გაუჩინელი თბებიან ცეცხლთან.“

იქ, წითელ მოედანზე, დიდი კრებლის ზღუდესთან, ისეც გვგვინებს წიაღფაფრული დედაშიწა, აფრთხებენ ყინვისაგან თუჩვიით დადუღებულ მიწას — თხრიან ილიას სამარეს“.

ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატი დ. შენგელაია ფრიალ სეროზული ამოცანის წინაშე იდგა — აესახა თემა გენიოსი ლენინისა. ლენინის მოწაფის, თანამებრძოლისა და მისი საქმის გამგრძელებლის, იოსებ სტალინის დახატებით: „უბრალოება და თავმდალობა... წარმოადგენს ლენინის, როგორც ახალი მსახეის ახალი ბელადის, კაცობრიობის უღრმესი აქვეყდა ფენების“ უბრალო და ჩვეულებრივი მან-

ბის ბელადის ერთერთ უძლიერეს მხარეს“. მწერალი შეევიდა ამ ფრიალ დიდ ფენას... ცეცხლა მადლიანი ძარღვიანი ქართული... მკვეთრ მხატვრულ სურათებად ჩამოქვეყრა... სიღრმე ჩვენი ეპოქის უპირველესი ადამიანისა. მწერალმა ეს ამოცანა მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატობით შეასრულა.

სურათი სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ მწერალთან ერთად ბოლოს არ ვიტყვით იმასაც, რომ „ფოლადის კაცი“ ძალეზად შეარსება ბელადის სიყვლილმა. — „რა ვუყოთ, რომ საბელში ფიცხი ფოლადი წყრიადღებს, ხანდახან ფოლადი ილღვება, მაგრამ რომ ვაცივდება ერთი ორად იწრობა და მაგრადება.“

...მუსიკა რომ მიუყრდა, ზვირთი ისეც მიიქცია ზღვისაკენ და ფსკერში წაღებულ ზეინქიკის ხმაურით დასხდნენ ისეც.

სტალინი ადგა. ცალი ზელი შებლზე გადასევა, მძიღებით მაგიდის ძვიდღეს ჩამოყრდნო და დაიწყო ისე მტკიცედ, რომ ეკვისათვის სულ უბრალო კენჭულიც არ რჩებოდა:

ზენ, კომუნისტებო, სულ სხვა წყობის ხალხი ვართ. ჩვენ სულ სხვა მსაალითა ვართ ნაყირი. ჩვენ ის ვართ, პროლეტარიატის დიდ არმიას, ამხანავ ლენინის არმიას რომ შევადგენთ“...

ი. სტალინიმა უადრესად დამაბული სინქმის ვითარებაში წარმოთქვა ფიცი დიდი ბელადისადმი.

„სხლამა გვიან დაიხურა. — განავრძობს მწერალი. — ყველა გაბრებულია იმხ. სტალინის ფიციით, რომელიც განგამვიით ვაისმა ამ საერთო გლოვაში და სასოწარკვეთილებაში.“

ეს ქედმაღალი სიტყვა, სიტყვა კი არა, ყინვა იყო, რომელიც მომავალ ბრძოლებსაკენ მოუწოდებდა გაბედულად ყველა მუშებსა და გლეხებს, ყველას, ვინც დაჩაგრულია და ფეხქვეშ გაგდებულ კავშირის მიმდა არსებულ წესწობილებით.

— გფუციებით შენ, ამხანავო ლენინ, რომ პირნათლად შევასრულებთ ყველა შენს ნაანდერძეს!

გული იმედებით ავისო. ბელადი წავიდა, მაგრამ ის მაინც აქ არაა. ამ სიტყვების მოქმელი აზარტის წინ არ შედრკება და წაიყენის ქვეყანას იქით, სითოც ამხანავი ლენინი მოუწოდებდა.

გვიან ღამით ერთხელ კიდევ ჩაიარა ილიას კუბოს წინ მთელმა მერთე ურილობამ, მთელმა საბჭოებმა.

— გფუციებით შენ, ამხანავო ლენინ, რომ პირნათლად შევასრულებთ ყველა შენს ნაანდერძეს!..

...ბელადის გაციებული გვამი იქ ესვენა მაეზოლუდში.

სტალინი იდგა ტრიბუნაზე.



ტანთ ქარისკაცის ლევა მანარა ეცვა და ისე გადასცქეროდა ათითასებს, ასითასებს.

ხალხი უტყუროდა მას და სჯეროდა, რომ წუთით შეტორტმანებული ამაყ დროში კომუნისმისა სამიფრო ხელშია. ეს ხელშია ცოშია აზოდული და აფრიალებული ბრალა დროში ფართქალობს მალა ფრთა ვაშლილ არწივით.

რ. ქორჭიას სამწერლო მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია ისტორიული წარსულის, მშეთა რევოლუციური მოძრაობის, განსაკუთრებით ბათუმის 900-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის ამსახველი მდიდარი ფაქტობრივი ამბების ცოდნა, რასაც მწერალი თავის მოთხრობებსა და ნოველებში უხვად იყენებს.

მწერლის მოთხრობამ „არწივის ბუდე“ და ნოველებმა ქართველ მკითხველს ინტერესი აღძპრა და თავი შეაფარა მწერლის „მარია აკანში“ ქართული საბავშვო პროზის ერთერთ საუკეთესო მოთხრობად არის აღიარებული. მწერლის ცხოვრებაში ნამდვილად მომხდარ ფაქტებზე შექმნილ მოთხრობებს განსაკუთრებით ვატაცებთ კითხვლის ჩვენი მოზარდი თაობა. ეს ითქმის მწერლის იმ მოთხრობებზეც, რომლებიც ვლადიმერ ილიას ჰე ლენინის ცხოვრებიდან აღებული ნამდვილ ამბებზე არის აგებული.

ვ. ა. ლენინისადმი მიძღვნილი რ. ქორჭიას საბავშვო მოთხრობების კრებული „კარგი ამხანაგი“ გამოცემულა „ნაადრულა“ 1967 წლის დასასრულს ვაშისცა. წიგნი უმაღლე ვაყიდა და იშვიათობად იქცა. ისე სიყვარულითა და სიხარულით მიიღო ზენნა მოზარდმა თაობამ ლენინის ცხოვრებაზე დაწერილი მოთხრობები.

წიგნის შესავალ თავფურცელზე გამოცემულა „ნაადრული“ თავის მკითხველთა მიმართავს: „ძვირფასო ბავშვებო! ეს პატარა წიგნი როდის ქორჭიამ თქვენთვის დაწერა. თქვენ აღბათ განიტყვებთ თა ლენინის ცხოვრება. დიდ ბელადს ბებრი მეგობარი ჰყავდა. ვაჭირებულ ამხანაგებს ეხმარებოდა, უყვარდა წესრიგ და ზრუნავდა ბავშვებზე. ამ მოთხრობებში ლენინის ცხოვრების პატარ-პატარა ეპიზოდებია ნაამბობი“.

კრებულში წარმოდგენილია 12 პატარა მოთხრობა: „ალუბალი“, „ჩიტბატონა“, „ბავშვები და თევზი“, „ციკურები“, „წესრიგი“, „ზღვა“, „ოთხ კაცს წაფიყვან“, „ავეჯი“, „ძვირფასი წველი“, „დედა“, „ატამანი“, „კარგი ამხანაგი“.

კრებულში შესული მოთხრობები თემატურად აქტუალური, მეტად მნიშვნელოვანია და ხალხთა დიდი ბელადის — ლენინის ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს გადმოგვცემს. თავისთავად ცხადია, რომ ბელადის ცხოვრებიდან ქართული ორიგინალური მოთხრობების, ნოველებისა და ნარკვევების შექმნა მოზარდი თაო-

ბისათვის (და არა მარტო მოზარდობისთვის) მეტად დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ლენინის ცხოვრებიდან ნამდვილი ამბები მეტად საინტერესოდ, მხატვრულად, დამაფრთხილად არის გადმოცემული. ცალკეული სურათები, სახეები, ხასიათები, ამბები თავისი ბუნებრივობით, ბავშვთა შემეცნებაში დიდ შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს მომავალი ცხოვრებისათვის მათი აზროვნების მომწიფების, ადამიანურიობისა და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებაში.

ყველა მოთხრობა დაწერილია უაღრესად დახვეწილი, მარტივი, მიწილველი, გულში-ჩამწვდომი ძარღვიანი ქართული ენით.

აი პირველი მოთხრობა „ალუბალი“, რომელშიც მკითხველი ზატონად წარმოიდგენს დიდი ბელადის დედის მარისა უყვადს სახეს. ლიტერატურაში მარად უყვადი დედის თემა რა მარტივად და იმავე დროს რა შთამბეჭდავად არის დახატული მწერლის მიერ!

ლენინის დედა მარია ნამდვილი აღმზრდელია შეიღების. იგი თავიდანვე აჩვევდა შვილებს წესრიგს, ზრდილობას, პატიოსნებას, გულწრფელობას, სიმართლეს, რაც აუცილებელია კარგი ადამიანობის, ნამდვილი მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის. „წესიერებას ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა მიეჩვიოს“ — როგორც კანონი, ისე მკვეთრად გაისმის დედის სიტყვები.

პატარა მოთხრობა „ბავშვები და თევზები“ ძალზე ბევრის მიქმელი და ჰუკის სასწავლებელია პატარებისათვისაც და დიდებისთვისაც. ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაშისადევი და სასარგებლოა ლენინის ცხოვრების ყოველი მივალაობი.

1918 წელი ყველგან სურსათის საერთო ვაჭირებაა. უჭირდა ყველას. უჭირდა ლენინსაც. და აი, ჰალაქ არხანგელსკის მეზადურებმა ლენინს ძალიან დიდი თევზი გაუგზავნეს.

„მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, ამხანაგებო! — უთხრა ლენინმა მუშებს. — ვაღუციოთ ჩემი მადლობა მეზადურებს“.

მერე ლენინმა საქმეთა მმართველი გამოიძინა და უთხრა: — „ბავშვები შიმშილობენ! ეს თევზი ახლავ საბავშვო ბაღში ვაგზავნით!“ ეს ადგილი ვანმარტებას აღარ სავირობებს და, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

მოთხრობა „ავეჯი“ — 1918 წლის მარტში საბჭოთა შთავრობა პეტერბურგიდან მოსკოვს გადმოვიდა. ლენინს ბინა კრემლში მისცეს. ვილაცას აზრად მოუვიდა, ეს ბინა მდიდრულად მოეროთ. შეიტანეს მეტად ძვირფასი ავეჯი და, რითაც კი შეეძლოთ, მორთეს.

ლენინი და კრუჰსიაია ახალ ბინაში შევიდნენ, ეს დიდაკური მორთულობა რომ ნახეს, ძალიან ეწყინათ. ლენინმა გამოუძახა კომინდანტს და უთხრა:

— ახლავ გაიტანეთ ეს უმსგავსო ავეჯი! სა-  
დაურთო კაპიტალისტი მე მნახეთ?..

გაიტანეს ეს ზარზემორი მორთულობა და  
ბინა უბრალოდ, სადაღ მოაწყეს. ლენინი მხო-  
ლოდ მაშინ შევიდა ახალ ბინაში.

რამდენად განუზომელია ამ მოთხრობის აღ-  
მზრდელობითი მნიშვნელობა! რიველი მო-  
თხრობა გინდათ დასახელოთ ამ პატარა კრე-  
ბულიდან, რომ ესთეტიკურ სიამოვნებასა და  
სიხარულს არ განიკვებდეთ.

აიღეთ თუნდაც მოთხრობა „ჩიტბატონა“,  
რომელშიც ვადმოცემულია პატარა ვალოდის  
ბავშვური მღელვარება, თავისუფლებისადმი  
სწრაფვა. ბავშვებში თავიდანვე წესიერების  
აღზრდისა და დაცვის აუცილებლობის შთაბე-  
გონებელია მოთხრობა „წესრიგი“. ამასთანავე  
იგი უფროსებისადმი ღრმა პატივისცემისა და  
თავმდაბლობის საუკეთესო მაგალითია.

მღელვარების განცდის მომნიჭებელია აღე-  
გორიელი ხასიათის მოთხრობა „ზღვა“. მკო-  
თხველი ნათლად ხედავს, თუ რა შეუპოვარ  
ბრძოლას ეწევა ლენინი ახალი ცხოვრების და-  
კვიდრებისათვის. აქ ზღვა, სიმბოლურად, ძვე-  
ლი სამყაროს ამღელვარებისა და ამბოქრების  
მანიჭარბელია. „იგი სახარლად ბორჯავდა,  
ღმუოდა, მზუოდა. — უფსკრულში ეწყოდა  
გემს. გემი არ ნებდებდა, იბრძვის, გრილით  
მიიკვლევს გზას...“

უცებ ერთი უხარმაზარი ტალღა მთასავით  
აღიმართა ზედ გემის ჭიმთან, ეცა გემს, წამით  
შეაჩერა და საშინელი ზმურით ამოგორდა  
გემბანზე. განა ტალღა იყო? ურჩხული იყო  
და ხახა დაელო, რომ შთაენთქა გემი და ისიც,  
ვინც უშიშრად ხედებოდა ტალღას. მაგრამ  
გემმა გაუძლო ურჩხულს, გაუძლო ლენინმაც.

ლენინი მყვრდით შეხედა ტალღას, ტალღა  
დაიშხვრა, შხეფშხეფდა ჩამოცვივდა და და-  
სხვრეული, დამარცხებული, ისევ უკან ჩაეშვა  
ზღვაში.

გემი გასწორდა, ისევ ეკეთა ტალღებს და  
ბრძოლით გასწია წინ.

ისევ ღმუოდა ზღვა. ისევ გემბანზე იდგა  
ლენინი და გააუტრებდა წინ... წინ, სხვა ფორ-  
ტისაკენ! სხვა ბრძოლისაკენ! საბჭოთა ზელი-  
სუფლებსაკენ!“

ეს მოთხრობები ლენინის ცხოვრების ცოც-  
ხალ მავალითებზე მოზარდებს უნერგავს ადა-  
მიანის სიყვარულს, პატივისცემას („ოთხ კაცს  
წაუყვანა“), თავმდაბლობას, უბრალოებას, ხალ-  
ხის დიდ სიყვარულს ბელადის მიმართ („ძუარ-  
ფასი წელიდა“), ხალხის მზადყოფნას, თავგან-  
წირვასა და ღრმა რწმენას ბელადისადმი  
(„ატამანი“).

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ლენინის ცხოვ-  
რებისა და მოღვაწეობის თემსზე მწერალი  
კვლავ განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას.

ამას ნათელყოფს მწერლის მიერ უკანასკნელ  
ხანს გამოქვეყნებული მოთხრობები.

ქართულ პროზაში ლენინის შემსწავლელ-  
როდ ორიგინალურ მოთხრობებში „საქმისა-  
ნავია აგრეთვე მწერალ ვიორგი ნატროშვილის  
— „ლენინის უკვადება“, გ. კასაბაშვილის —  
„ნობათი“, მ. ასათიანის — „ლენინის სურათი“,  
მ. მიქაშის — „მისი ნათელი ვეფენია“, თ. ჯან-  
გულაშვილის — „ლენინი ფრონტზე“, ც. მეს-  
ტიაშვილის — „ლენინმა გამოგზავნა“, გ. ხო-  
ფერიას — „ლენინის სურათი“ და სხვ.

ქართულ პროზაში სხვადასხვა დროს გამო-  
ქვეყნდა აგრეთვე მხატვრული ნარკვევები,  
ეტრედები, ესკიზები, ჩანახატები. ამათგან უე-  
რადღებას იქცევს ზ. ნაყოფის ნარკვევი —  
„ლენინი ქართველი გულგახვის ოქსში“, ვ.რ.  
ბერძენიშვილის ეტრედი „ნატერა“, რ. ქორ-  
ქიას — „რამდენიმე ეპიზოდი“ (ლენინის ცხოვ-  
რებიდან), ე. სიხარულიის ჩანახატი — „ლენ-  
ინის დღე-ღამეები“, მ. გოგიშის ეტრედი —  
„ლენინი და ბავშვები“, ა. გობრონიძის ნარ-  
კვევი — „აღზრდა უღიანოების ოქსში“ და  
სხვ.

ვ. ი. ლენინის თემსზე შექმნილ მხატვრულ  
პროზაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აგრე-  
თვე რუსული და მოჭმე საბჭოთა რესპუბლიკე-  
ბის ხალხთა ლიტერატურიდან თარგმნილ  
თხზულებებს.

განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ბელა-  
დის დაბადების მე-100 წლისთავის იუბილეს-  
თან მზადების პერიოდში, გამოიცა მრავალი  
მხატვრული თხზულება — ცალკეული მოთხრო-  
ბებისა და მხატვრული ნარკვევების კრებულე-  
ბი.

განხილულ ქართულ ორიგინალურ მოთხრო-  
ბებსა და შემოთარულ ნარკვევებთან ერთად,  
თარგმნილმა ლიტერატურამაც ქართველი მკო-  
თხველის ცოდნის პოპოლარიტი უფრო გააფარ-  
თოვა, გაამდიდრა და ნათელი გახადა ვ. ი. ლე-  
ნინის დიდი ცხოვრება.

ქართულ საბჭოთა პოეზიასთან შედარებით,  
როგორც ქართულ პროზაში ისე, მით უმეტეს,  
განვლილი პერიოდის ქართულ დრამატურგია-  
ში ვ. ი. ლენინის თემსზე მცირე რამ შეიქმნა,

ჯერ კიდევ ადრე, ლენინის გარდაცვალების  
პერიოდში, 1924 წელს გამოიცა ახალი პიესე-  
ბი, სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობას  
სასცენო მასალების კრებულნი. ამ კრებულში  
შევიდა ს. წერეთლის ინსტენირება 1 სურათად  
— „ლენინი აღარ გყავს“.

იმევე პერიოდში დაიბეჭდა ნ. ჩაჩავას მიერ  
შედგენილი აგიტაციონია „26 ოქტომბრის  
გარშემო“. ცოტა მოგვიანებით, 1930 წელს,  
გამოვიდა გ. ჩარბიშვილის — „ლენინის ბარი-  
კარებზე (მე-2 თუ ბატონი), რველუციური  
პიესა 5 მოქმედებად“. ცხადია, ეს მცირე რამ  
იყო, დიდი ლენინის თემსზე სრულფასოვანი რამ

ქართულ დრამატურგიაში ჯერ კიდევ არ ჩანდა. ამის გამო იყო, რომ 1939 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე, ცნობილი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი გულისტკივილით აღნიშნავდა ქართული დრამატურგიის ჩამორჩენას ბელადის თემაზე ნაწარმოებების შექმნის საქმეში. სამწუხაროდ, დიდი დროის შემდეგაც, ამ მხრივ მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. ის, რაც ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ლენინის თემაზე დღემდე შეიქმნა, გულისხმიერ დამოკიდებულებას, ურთოდლობით განხილვას და შეფასებას საჭიროებს. ამ მხრივ, ქართულ ორიგინალურ დრამატულ ნაწარმოებთა შორის პედნიერ გამოჩაყლის შეადგენს დრამატურგ შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“.

ავტორი თვით აღიარებდა, რომ ქართულ დრამატურგიაში ლენინის თემაზე ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის საქმეში მას წინაპარი არა ჰყოლია. ცხალზე უტყავსი კუმარბეგბა... „ასე, რომ, ამ მხრივ,—წერდა შ. დადიანი,—ჩემი გზის გამწვანებელი მე თვით ვახლავართ და ამისათვის უთუოდ ბევრი რამ მომეტყუებია...“ მწერალი იქვე დასძენდა: „ბევრმა ჩვენთანავე ჯერ კიდევ ვერ იგრობა, რომ პოეზიაშიც, პედაგოგიაშიც, დრამატურგიაშიც ახალ გზებს უნდა ძებნა, ახალ ხერხებს, ახალ საჭურველს“.

პიესა „ნაპერწყლიდან“ ისტორიულ-რევოლუციურ თანის მიყვითვნება, მას საფუძვლად უდევს 1901-1902 წლებში ქ. ბათუმში და 1905 წელს თბილისსა და ტამერფორსში მომხდარი ნაშედეგი ამბები.

მოქმედ პირთა შორის გამოყვანილია ხალხთა დიდი ბელადი ლენინი და ახალგაზრდა სტალინი, რომლებიც ერთმანეთს პირადად პირველად ხელახლან 1905 წელს ფინეთში, ტამერფორსის ისტორიულ პარტიულ კონფერენციაზე. პიესის ეპილოგია ე. ი. ლენინისა და სტალინის შეხვედრა.

ტამერფორსში პარტიული კონფერენციის დელეგატების შეკრება, სხდომა ჯერ არ დაწყებულა. დელეგატები ჩვეუ-ჩვეუდ საუბრობენ. სტალინი კითხულობს: — „უკაცრავად, ამხანაგებო, როგორა ფიქრობთ, ლენინი კიდევ დიდხანს დაიგვიანებს?“ — მის ხომ ჯერ პირადად ბელადი არ ენახა! და რაოდენ დიდი იყო მისი განცდილება, როდესაც უპასუხეს, იგი უკვე აქ არის სხდომათა დარბაზში. ყველაზე ადრე მოვიდა და ამხანაგთა ჩვეუმი საუბრობსო.

— „შევინა, რომ ლენინი არამც თუ პოლიტიკურად არის გოლიათი, — ამბობს სტალინი, — არამედ გარეგნობითაც-მეთქი: მაღალი, წარმოსადგე!“

გამორიკვა, რომ თურმე სხვებაც ასე ფიქ-

რობდნენ: — „ბევრ ჩვენგანს ესეთი წარმოდგენა გვიონდა, — ეუბნება მკერქრფე ფლეგატთაგანი, მაგრამ რა არის უკეთესი წყვეტილი? მისი თავმდაბლობა და უბრალობა!“

— „არასოდეს არა ცდილობს, რომ თვალში წამოეფიხნობს, — ამბობს სხვა, — რომ უსათუოდ შეამჩნიოთ, რომ ხაზი გაუსვას თავის მაღალ აღამაინობას“...

ფიქრში წასული სტალინი მაშინვე ეთანხმება მათ და ამბობს: — „ღიახ... ღიახ... სწორედ ავრე უნდა იყოს — ახალი ბელადი ახლის მისისა, უბრალო და ჩვეულებრივი მისის, კაცობრიობის ქვედა ფენის სიღრმიდან რომ არის წამოსული“...

ლენინი კი ამხანაგებთან საუბარში ანალიზს უკეთებს განვლილ, რევოლუციურ ამბებს: — „ღიახ, აიღეთ 1902 წლის ბათუმის ამბები. ამ წლის მარტის 9-ს ბათუმის მუშების დემონსტრაცია და მათი სისხლის დათხვევა უარესად დიდი მნიშვნელობისა იყო საერთოდ, მუშათა მოძრაობის ისტორიაში და კერძოდ ამიერკავკასიისათვის. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია კი ჩამოაყალიბა აი იმ ამხანაგმა, რომელზედაც გელაპარაკობდით... მან პირველმა დარამმა ბათუმელი, ბავოელი და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლისათვის. მან მოელს ამ მნიშვნელოვან უბანზე გააჩაღა დიდი მუშათა. საერთოდ იგი დიდი ორგანიზატორია, მტაცეუ ხასიათის და დიდი ნებისყოფის. იგი უკვე იყო დატუსაღებული და ვადასახლებული. მაგრამ მაღე გამოიქცა და კვლავ თავდადებით და უშიშრად მუშაობს... აქ უნდა იყოს უთუოდ. ამიერკავკასიამ წარმოგზავნა. ვერ ეციონო პირადათ“.

სტალინი ყურს მოკრავს ამ საუბარს. იგი სწრაფად მივა მასთან და მოახსენებს: „დელეგატი ამიერკავკასიისა“.

ლენინი გაბარებული შეხედება: „აა, სწორედ თქვენ გასწენებდით ეხლა. ამგზნებარე კოლხიდელი, არა?“

სტალინი (ღიმილით) — „თქვენ რომ მიწოდეთ? ღიახ, — „მთის არწივო!“ და ერთმანეთს მხურვალედ ჩამოართმევენ ხელს.

შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“ ისტორიულ-რევოლუციური ბრძოლების გმირული პეროიკის ბრწყინვალე ეპოპეაა, რომელიც შევიდა საბჭოთა დრამატურგიის ისტორიაში.

ამ პიესაში ვველაზე პირველად გამოიკვეთა დიდი ბელადის — ლენინისა და მასთან ერთად, მისი საქმის ერთგული გამგრობობის—სტალინის მხატვრული სახეები.

შ. დადიანის აღნიშნული პიესის („ნაპერწყლიდან“) დადგმა პირველად 1937 წელს დიდი წარმატებით განახორციელეს შ. რუსთაველისა და კ. მარგანიშვილის სახელობის თეატრებმა.



პიესამ საერთოდ დიდი როლი შეასრულა დიდი ლენინის სახის მხატვრულად წარმოსახვაში, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, იგი ერთ-ერთი პირველი სამუქოთა დრამატული თხზულება იყო, რომელშიც სამუქოთა მსაჯურებელმა სცენაზე ნახა განსაზღვრებული ციციხალი სახე დიდი ბელადისა.

როდესაც შალვა დადიანი ქართული სამუქოთა თეატრის წინაშე ცნობილი ქართველი მსახიობის შაქრო ვომელაურის დამსახურებას აღნიშნავდა, წერდა: „მას აქვს მრავალი როლი შესრულებული და მათ შორის შესანიშნავად აქვს ჩამოქრწილი... გვირგვინი მისი მსახიობური შთაგონებისა და შესრულებისა, უდიდესი სახე დიდებული ლენინისა პიესა „ნამკრწაღში“, და ბოლოს, როგორც თვით ავტორი აღნიშნავდა ხოლმე, მასთან ერთად ჩვენც კმაყოფილებით კიდევ ერთხელ უნდა გათმეოროთ, რომ ამ პიესამ რიგაინი სახელი გათქვა“.

საქართველოს რევოლუციურ-პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ცნობილია ის დიდი ყურადღება, რომელსაც ვ. ი. ლენინი იჩენდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისადმი. კერძოდ, პირველი რევოლუციის პერიოდში გურიის გლეხთა მოძრაობას ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებით დიდი შეფასება მისცა: „გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში. ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ საესეებით შეგნებულ პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემშობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“.

ვ. ი. ლენინის ამ დიდმა ისტორიულმა შეფასებამ შთაგონა დრამატურგი ვრ. ბერძენიშვილი, გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თემაზე დაწერა „დაქრილი არწივი“, ხალხური დრამა ოთხ მოქმედებად, 11 სურათად.

ავტორმა „დაქრილი არწივი“ ეპიკურად წაუშმღვარა ვ. ი. ლენინის მიერ გლეხთა მოძრაობის ისტორიული შეფასება. თვით დრამის შესავალშივე მოჩანს ისტორიული სინამდვილე გლეხთა რევოლუციური მოქმედებისა. გურიის კომიტეტის ახალგაზღვრ კრებაზე შეკრებილ რევოლუციონერებს ახალგაზრდა კობა (ი. სტალინი) ასწავლიდა, განუმარტავდა და შთაგონებდა ლენინის იდეებს. იგი მათ ასე მიმართავდა:

„კობა — ამხანაგებო, არ დაგვიწყდეთ, რომ მხოლოდ გურიის კომიტეტი ვერაფერს გახდება, თუ მტკიცე კავშირში არ იქნებით სამეგრელოს კომიტეტთან, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის ორგანიზაციებთან, კავკასიის კომიტეტთან, რუსეთის მშრომელებთან. არ ჩაიკეტოთ, არ გამოითიშოთ. მენშევიკებსა და შემთახნ-

ებლებს ისევე ებრძოლეთ, (რატომღაც) მტკიცეს. მეფის მთავრობასთან შესაძლებლობა არ გვაქვს. არ დაგვიწყდეთ მეშთან და გლეხთა მოძრაობის სწორუპოვარი ზელმწიფანელი არის ამხანაგი ლენინი.

უკლა — ლენინი!  
კობა — მარქსი და ლენინი, მარქსი ლენინური გაგებით.

უშანგი — ვანა მარქსი სხვა გაგებითაც შეიძლება?

კობა — არიან მარქსიზმის გამუღებულენიცი...“

დრამის მეორე მოქმედების შეოთხე სურათშიც გურიის რევოლუციური კომიტეტში აჯანყებული „პოტიომკინიდან“ გაზზავნილი მეზღვაური ფეოდოროვი გურიის რევოლუციონერებს ატყობინებს:

„ფეოდოროვი — ჩვენი „პოტიომკინი“ რუმინეთს წავიდა, მე კომიტეტის დავალებით თქვენთან მოვიდა... გურულებო! იციოთ, თქვენ შესახებ რას წერს ლენინი?

უკელანი — ლენინი?!“

ფეოდოროვი — აი, აქ წერია (ვაზეთს ამოიღებს ქუდიდან) 1905 წელი 30 აპრილი. ვაზეთი „კუბრიოდი“. „გურიის გლეხთა მოძრაობა“...“

ფეოდოროვი უკითხავს მათ ვაზეთ „უბერიოდი“ დაბეჭდილ ლენინის წერილს. წაკითხულის შთაბეჭდილებით აღფრთოვანებულ გურულებს დათყო შევარდნამე მიმართავს: „ამხანაგებო, გესმით, ჩვენზე ლენინი ლამაზკობსო!“

ვრ. ბერძენიშვილის „დაქრილი არწივი“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა განახორციელა 1958 წლის სექტემბერს.

დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის როლი განსახიურა მსახიობმა პიერ კობახიძემ, ხოლო ახალგაზრდა კობას (ი. სტალინის) როლი — მსახიობმა ა. კობალაძემ.

ამ ბოლო დროს დრამატურგმა ვალერიან კანდელაკმა გამოაქვეყნა „იხატებოდა სურათი“ (პიესა ვ. ი. ლენინზე). მოქმედი პირებია: ალექსანდრე, თოფიანი კაცი და სოფლის საბჭოს თავმჯდომარე.

ავტორი აგვისახავს ნამდვილად მომხდარ ამბავს ცნობილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე კომაკურიძის ცხოვრებიდან, მის მიერ ვ. ი. ლენინის მხატვრული პორტრეტის შექმნას.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემა სამუქოთა ეპოქინათვის საერთოდ, და, კერძოდ, ლატერატურისა და ხელოვნებისათვის ამოუწურავი, ცხოვრებისეული, თვალწარმატები, აქტუალური და მარადიული თემაა.

### პ. ი. ლენინი საშობლოსა და პატრიოტიზმის არსის შესახებ

პატრიოტიზმის გრძნობა თავისი ბუნებით სუ-  
 ბიექტურია, ვინაიდან იგი ადამიანის ცნობიერ-  
 ებაზეა დამოკიდებული. მაგრამ მისი შინაარსი  
 ობიექტურია, საშობლოს და ხალხის ობიექტ-  
 ტურ ინტერესებზეა დაფუძნებული. სიტყვა  
 „პატრიოტი“ პირველად გავრცედა საფრან-  
 გეთში, XVIII საუკუნის დასასრულს, ბურჟუ-  
 აზოულ რევოლუციის ეპოქაში. პატრიოტიზმად  
 იწოდებოდნენ რევოლუციის მომხრეები, რე-  
 ვოლუციის მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ.  
 თეორიული დასაბუთება პატრიოტიზმისა, რო-  
 გორც ლენინი აღნიშნავდა „ჩერ კიდევ XVIII  
 საუკუნის დიდი რევოლუციით იწყება“ (ლენინი,  
 ტ. 13, გვ. 599), ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის-  
 ტორიულად პატრიოტიზმი გრძნობა წინ უსწ-  
 რებს პატრიოტულ იდეოლოგიას.

პატრიოტიზმის გრძნობამ, როგორც ეკონო-  
 მიურ ურთიერთობათა ფსიქოლოგიურმა ასახ-  
 ეამ, მოამზადა ნიადაგი პატრიოტიზმის იდეო-  
 ლოგიისათვის. პატრიოტიზმის გრძნობა ცალ-  
 კეული ადამიანების პატრიოტულ გრძნობათა  
 შექაჩვით ერთობლიობა როდია, ეროვნული  
 გრძნობა ასახედა ერის ზოგადი ინტერესებისა.  
 ეს უკანასკნელი აისახება ცალკეული ადამიანის  
 ეროვნული გრძნობით, რომელიც ერთ მთლიან-  
 ნობაში ვერ მოიცავს ერის ზოგად ინტერესებს.  
 ზოგადი ცალკეულის სახით არსებობს, ცალკე-  
 ული, ასე თუ ისე, შედის ზოგადში. ცალკეუ-  
 ლი და ზოგადი აბსოლუტურად რომ ემთხვეო-  
 დეს ერთმანეთს, მაშინ არც ცალკეული გვექნე-  
 ბოდა და არც ზოგადი.

ხალხის ინტერესებზე რომ ელამბარაკობთ,  
 საშობლოს ინტერესებს ვგულისხმობთ. ერ-  
 თიცა და მეორეც, როგორც საზოგადოებრივი  
 მოვლენები, ისტორიულია, ე. ი. მოძრაობა-გან-  
 ვითარების კანონს ემორჩილება.

არ არსებობს ხალხი, როგორც ისტორიულად  
 ჩამოყალიბებული ერთობა, ერთხელ და სამუ-  
 დამოდ მოცემული, მოძრაობა-განვითარების  
 კანონს რომ არ ემორჩილებოდეს. ასევე არ არ-  
 სებობს საშობლო, შინაგანი განვითარების  
 კანონს დაუმორჩილებელი. ხალხისა და საშობ-  
 ლოს ობიექტური ინტერესების მოძრაობა-გან-  
 ვითარება საფუძველია პატრიოტიზმის  
 მოძრაობა-განვითარებისა. პატრიოტიზმის ობი-  
 ექტური შინაარსი — საშობლოს და ხალხის  
 ობიექტური ინტერესები, როგორც საზოგადოდ  
 პატერიალური ცხოვრების პირობების ასახვა,  
 იცვლება და ვითარდება, ამის შესაბამისად პატ-  
 რიოტიზმიც ვითარდება. ხალხისა და საშობ-  
 ლოს ინტერესები უნდა ემთხვეოდეს მთელი  
 საზოგადოების ინტერესებს. გაბატონებული  
 კლასი ყოველთვის ცდილობდა და დღესაც  
 ცდილობს კაპიტალისტურ საშობლოში, საშობ-  
 ლოს და ხალხის ინტერესები, საზოგადოების  
 ინტერესები დაიყვანოს თავის კლასობრივ ინ-  
 ტერესებამდე და თითქმის საშობლოს და ხალ-  
 ხის ინტერესებს მთელი საზოგადოების ინტე-  
 რესებისაგან.

ხალხის, როგორც ისტორიულად ჩამოყალი-  
 ბებული ერთობის, და საშობლოს — ე. ი. —  
 „მოცემული პოლიტიკური, სოციალური და კუ-  
 ლტურული წრის“<sup>1</sup> ჩამოყალიბება უწყე კლასობ-  
 რივ საზოგადოებაში ხდებოდა.

საშობლო ყოველთვის როდი არსებობდა.  
 იგი წარმოიშვა საზოგადოების ეკონომიური გან-  
 ვითარების მოთხოვნილების შესაბამისად. სა-  
 შობლოს ისტორიული ხასიათი მისდამი და-  
 მოკიდებულობის ისტორიულობას განსაზღვრავს.  
 არ შეიძლება საშობლოს ინტერესების მოწყ-

ვეტა ხალხის ინტერესებისაგან, ეინაიდან სამშობლოს ბედის გადაწყვეტას, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ხალხის ბედის გადაწყვეტა, ხოლო ორივე დაკავშირებულია პატრიოტიზმის გრძნობასთან. პატრიოტიზმის საკითხის დაყენება ასე გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს სამშობლოს, ხალხების ინტერესებთან დაკავშირებით.

კაპიტალიზმის ეპოქაში ეროვნულ საკითხში მოქმედებს ორი ისტორიული ტენდენცია. პირველი ტენდენცია—ჩაგრული, დამოკიდებული ერების ეროვნული ჩაგრვის მოსპობისაკენ მიწრაფება, ჩათა მიადროს დამოუკიდებლობას და შექმნან საერთო ეროვნული სახელმწიფო; მეორე ტენდენცია, ის არის, რომ ყოველი ერი მიისწრაფვის ეკონომიური დაახლოებისაკენ. ეს ტენდენცია იმით განისაზღვრება რომ განვითარებული კაპიტალიზმის პერიოდში ყალიბდება ერთიანი მსოფლიო მუდრეობა და ერთიანი მსოფლიო ბაზარი, რომლებიც აღმართავენ სურვილებსაგან დამოუკიდებლად ამსხვრევენ ეროვნულ საზღვრებს და ხალხების ეროვნულ კარნაყეტილობას, აახლოებენ ერებს. მაგრამ იმპერიალიზმის ეპოქაში ეს ორი ტენდენცია შეურიგებელ წინააღმდეგობაშია ტენდენციაა, ეინაიდან იმპერიალიზმში ნიშნავს ერების ჩაგრვასა და ექსპლოატაციას. იმპერიალიზმს ერების ვაერიალიზმსა მხოლოდ ძალდატანებით, დაპყრობათა გზით შეუძლია. ეს კი გარდუვლად აძლიერებს ჩაგრული ერების მოსწრაფებას გათავისუფლდნენ იმპერიალიზმის მონობისაგან.

ამგვარად, ბურჟუაზიული სამშობლო აღმოჩნდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მშრომელი მასების ექსპლოატაციისა და დათრგუნვის, უცხო ქვეყნის ხალხების განუწყვეტელი ძიარცვისა და დამონების, მტრობისა და შედლის სამშობლო.

მაგრამ ბურჟუაზიული სამშობლოს, ისე, როგორც მედალს. მეორე მხარეც აქვს. მისი ჩამოყალიბება, საერთოდ მარტო უარყოფითი კი არა, პროგრესული მოვლენაც იყო. ბურჟუაზიული სამშობლოს ეპოქაში ეროვნულ ჩარჩოებში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიის მესაფლავე პროლეტარიატის კლასი, რომელმაც უნდა მოსპოს კაპიტალიზმის უდიდესი ბოროტება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მისი ეკონომიური საფუძვლის — წარმოების საშუალებებსა და იარაღებზე კერძო საკუთრება, შესაბამისობაში მოიყვანოს საწარმოო ძალების ხასიათთან წარმოებითი ურთიერთობა და ამით განახორციელოს კაპიტალიზმის საწევარი ოცნება, — ააშენოს კომუნისტური საზოგადოება. პროლეტარიატის ამ ისტორიული მისიის ხორცშესხმის უთუო და აუცილებელი პირობაა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. მარქსმა და ენგელსმა განსაზღვრეს მუშათა კლასის ისტორი-

ული მისია, შეიარაღეს მუშათა კლასი ახალი მსოფლმხედველობით. მარქსისტულ მსოფლმხედველობის შემადგენელი მუშათა კლასის პატრიოტიზმი და მარქსისტულ ინტერნაციონალიზმი. მუშათა კლასის იდეოლოგია, მარქსიზმი, მუშათა კლასის ინტერესების მეცნიერული გამოხატულებაა. კაპიტალიზმის ისტორიაში არცერთ ჩაგრულ და ექსპლოატირებულ კლასს არ ჰქონია თავისი მეცნიერულად დასაბუთებული მსოფლმხედველობა. ერთადერთი კლასი პროლეტარიატია, რომლის ცხოვრების ეკონომიური პირობები ჰქმნის შესაძლებლობას შექმნაედეს მისი მეცნიერული მსოფლმხედველობა.

მარქსისა და ენგელსის ცნობილი დებულება, ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტიის მანიფესტში\*, პარდაბარ და აშკარად აცხადებს: „მუშებს არა აქვთ სამშობლო“. როგორ უნდა გაეგოთ ეს დებულება?

ე. ი. ლენინმა მოგვცა ამოწურავი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა გაეგოთ მარქსისა და ენგელსის დებულება „მუშებს არა აქვთ სამშობლო“. „მუშებს არა აქვთ სამშობლო, ეს რომ ნიშნავს, — განმარტავდა ე. ი. ლენინი, — რომ მისი ეკონომიური მდგომარეობა... ნაციონალური არ არის, არამედ ინტერნაციონალურია; (2) მისი კლასობრივი მტერი ინტერნაციონალურია; (3) აგრეთვე მისი განთავისუფლების პირობები, (4) მუშების ინტერნაციონალური ერთიანობა ნაციონალურზე უფრო მნიშვნელოვანია“<sup>1</sup>. როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, დებულება „მუშებს არა აქვთ სამშობლო“ ნიშნავს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერნაციონალურ ხასიათზე მითითებას. ბურჟუაზიული სამშობლოს არსებობის პირობებში მუშათა კლასი განიცდის ექსპლოატაციას, ჩაგრინილია სიდატაცესა და უეცობაში. რომ განთავისუფლდეს ამ მდგომარეობიდან მან კლასობრივი ბრძოლის გზით უნდა მოიპოვოს სამშობლო. გვიდან არ გამოვიდინარეობს პროლეტარიატის ანტიპატრიოტულობა, კაპიტალიზმის დროს სამშობლოსადმი ნილიდისტური დამოკიდებულება, რის დამტკიცებასაც ცდილობდნენ და ცდილობენ ბურჟუაზიული იდეოლოგები. პირიქით, მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ მხარს უჭერდნენ პროლეტარიატის ბრძოლას, რომ დაეცვათ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობა და არასოდეს არ ატკიცებდნენ თითქოს კაპიტალისტური წყობილების პირობებში მუშათა კლასისათვის სულერთი იყოს თავისი სამშობლოს ბედი. ე. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „სამშობლო, ე. ი. მოცემული პოლიტიკური, კულტურული და სოციალური წრე, უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს პროლეტარიატ-

ის კლასობრივ ბრძოლაში... პარლეტარიატს არ შეუძლია განერჩეველად და გულბრილად მოეკიდოს თავისი ბრძოლის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებს, მამასადაძმე, მისთვის არ შეიძლება სულ ერთი იყოს საკუთარი ქვეყნის ბედები<sup>1</sup>. მოცემულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პირობებს შეუძლია ან გააძნელოს ან გააადვილოს პარლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგალითად, ფანსისტურ და ნეოფაშისტურ პირობებში პარლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა უფრო გაძნელებულია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ფორმალური დემოკრატია კვლავ განავრცობს არსებობას. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინმა, მარქსისა და ენგელსის ერთი დებულება („მუშებს არა აქვთ საშობოლო“), რომ განმარტა, მხოლოდ ამ დებულების მეორე დებულებასთან კავშირზე: მუშებში ჯერ უნდა მოეწყონ ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრებში.

მარქსიზმის მთელი არსი, მთელი მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებულება განეხილოთ მხოლოდ ისტორიულად, მხოლოდ სხვა დებულებებთან, მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოვლილებასთან დაკავშირებით. საშობოლო ისტორიული ცნებაა. ერთია საშობოლო ეროვნული წიგნის დამზობისათვის ბრძოლის ეპოქაში ან, უფრო ზუსტად, ამ ბრძოლის მომენტში, სხვა საქმეა იმ მომენტში, როცა ეროვნული მოძრაობა შორს არის მიტოვებული.

არ შეიძლება ყველა პირობაში ერთნაირად გამოიყენოთ დებულება „საშობოლოს და მისი“ დაცვის შესახებ“. „კომუნისტურ მინიფესტმ“<sup>2</sup> ნათქვამია, რომ „მუშებს არა აქვთ საშობოლო“. მაგრამ იქ ნათქვამია არა მარტო ეს, არამედ იქ მოითხოვბულია, რომ „ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის დროს პარლეტარიატის როლი რამდენადმე განსაკუთრებულია“.

თუ ავიღებთ პირველ დებულებას (მუშებს არა აქვთ საშობოლო) და დაევიწყებთ მის კავშირს მეორე დებულებასთან (მუშები ყალიბდებიან როგორც კლასი ეროვნულად, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ბერძენებია), ეს უღარესად მცდარი იქნება.

რა არის ამ კავშირის არსი? ის, რომ დემოკრატიულ მოძრაობაში (ასეთ მომენტში, ასეთ კონკრეტულ ვითარებაში) პარლეტარიატს არ შეუძლია უარი თქვას მისთვის მხარდაჭერაზე, მამასადაძმე, „ეროვნული ომში საშობოლოს დაცვაზე“<sup>2</sup>. ვ. ი. ლენინის ამ მოთხოვნიდან გამოპლდინარეობს, რომ არ არსებობს ზოგადი პასუხი კითხვაზე, მხარი დაუჭიროს თუ არა პარლეტარიატმა საშობოლოს დაცვის ღონისძიებას.

სათვის საჭიროა კონკრეტული ვითარების კონკრეტული ანალიზი და ამის შესაფერისი გარკვევა საკითხისა: რა ისტორიულ-სოციალურ-პოლიტიკურ, რომელმაც კლასმა და რა მიზნით გამოაცხადა საშობოლოს დაცვის ღონისძიება. თუ რეალური კლასი იმპერიალისტურ ომში აცხადებს საშობოლოს დაცვის ღონისძიებას, პარლეტარიატს მას მხარს ვერ დაუჭერს. სულ სხვა საკითხია, როცა საფრთხე დაემუქრება ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, როცა ერთადერთი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამ შემთხვევაში მუშათა კლასი უთვლიდ იბრძოლებს თავისი ქვეყნის თავისუფლების, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვაზე. აქვე, ამასთან დაკავშირებით, ისმება საკითხი კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის როგორც რევოლუციური კლასის პატრიოტიზმის როლისა და მნიშვნელობის შესახებ მაშინ, როცა პარლეტარიატს ძალაუფლება ჯერ კიდევ არა აქვს დაპყროლი. ისმება კაპიტალიზმის პირობებში მუშათა კლასის პატრიოტიზმის გამოვლინების თავისებურებათა საკითხი. ცნობილია მარქსის მოთხოვნა საზოგადოების განვითარებაში იდეების როლზე, როცა იდეები ხალხის მსგეობს ეუფლება. იგივე ითქმის საერთოდ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაზე და კერძოდ პატრიოტიზმის გრძნობაზე. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ პატრიოტული ძალაუფლებული პატრიოტიზმის გრძნობა. ეს არის ადამიანების პრაქტიკა, საქმიანობა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსხვავებულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში განსხვავებული სახით ვლინდება. ხალხისა და საშობოლოს სიყვარული ეროვნულ განმათავისუფლებელი რევოლუციის ეპოქაში ვლინდება საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახით. ამ შემთხვევაში პატრიოტად ის იწოდება, ვინც იბრძვის საკუთარი საშობოლოს, ერის სუვერენული უფლების მოპოებისათვის, ხოლო როცა ქვეყნის დამოუკიდებლობა მოპოებულია—მისი შენარჩუნებისათვის.

მაგრამ ბრძოლა ყოველთვის იარაღით ბრძოლის როლი იწმინავს. ვიეტნამელი ხალხი, რომელიც ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ იარაღით იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ინდოეთის მუშათა კლასი, მთელ ინდოელ ხალხთან ერთად, ძალასა და ენერჯიას არ იშვრებს საკუთარი შერეულობის, ეროვნული ეკონომიკის შექმნისათვის, ეს ერთნაირი პატრიოტიზმის გამოვლინებაა, ოღონდ განსხვავებული ფორმით. ერთი — ბრძოლის ფორმებზე იბრძვის ეროვნულ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მეორე—წარმის ფორმებზე, მოპოებული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ერთი იარაღით

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 15, გვ. 226.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 35, გვ. 256-257.



ქედაც თავის სამშობლოს, ხალხის, ერის მომავალს, მეორე ქარხანაში თუ ფაბრიკაში—სამშობლოს აწმყოფსა და მოამბლს.

პირველ მსოფლიო ომის პერიოდში ბოლშევიკების პარტია ერთადერთი პატრიოტული პარტია აღმოჩნდა მუშათა კლასის, მთელი მშრომელი მასების, ერისა და სამშობლოს ინტერესებს რომ გამოხატავდა და კონკრეტულად დააყენა საკითხი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. პატრიოტიზმისადმი ასეთი მიდგომა დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშია. ომით მოშლილი და გაპარტახებული ეკონომიკის, გაწამებული და გაღატაკებული ადამიანების ხსნა, სამშობლოს სრული განადგურებისაგან გადარჩენა შეიძლება ომიდან მხოლოდ რევოლუციური გამოსვლის, სამშობლოს ხალხის ინტერესთა გამყიდვლი თვითმწყობებულობისა და ბურჟუაზიის დამხობის გზით, ძალაუფლების იმ კლასის ხელში გადასვლის მეშვეობით, რომლის კლასობრივი ინტერესები და სამშობლოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა ერთსა და იმავე დროს პატრიოტული იყო და ინტერნაციონალურიც. პატრიოტული მოქმედება იმდენად იყო, რამდენადღაც საკუთარი ქვეყნის პროლეტარიატს ხელთ აძლევდა სამშობლოს, ბურჟუაზიის მიერ გაყიდულს, ინტერნაციონალური—იმდენად, რამდენადღაც არყევდა მსოფლიო იმპერიალიზმს, აკეთებდა ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საქმეს. იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ტაქტიკა ერთადერთი ინტერნაციონალური ტაქტიკა იყო, ვინაიდან იგი ერთ ქვეყანაში გამსაბორცელებლის შაქსიმუშს ატარებდა ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარების, მზარდაპერის, გამოწვევის მიზნით<sup>1</sup>.

II ინტერნაციონალის ლიდერთა მკერ ბოლშევიკების პოლიტიკური ხაზი დახასიათებული იყო როგორც მუშათა კლასის პატრიოტიზმისაგან დაშორება, ეროვნული ინტერესების ლაღატი, მაგრამ ეს პატრიოტიზმისაგან დაშორება კი არ იყო, არამედ მისი პრაქტიკულად განხორციელების ერთადერთი შესაძლებელი გზა, რომელიც უზრუნველყოფდა „კაპიტალისტური სამშობლოდან სოციალისტურ სამშობლოზე გადასვლას“<sup>2</sup>. მუშათა კლასის პატრიოტიზმის, სამშობლოს საკითხი უნდა დაუკავშიროს თავისი კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. პატრიოტულია ის მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ვ. ი. ლენინი სამშობლოს სიყვარულს უკავშირებდა მისი განთავისუფლებისათვის,

მისი ხალხის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

„ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველზე მეტად ვუყვართ მშობლისადავს, რომ მისი მშრომელი მასები (ვ. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამალლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებაში“<sup>3</sup>.—ღნიშნავდა ლენინი. მუშაობდე სამშობლოს, მშრომელი მასების განვითარებისათვის, დამოუკიდებელი ახალი ცხოვრების შექმნისათვის, აი, როგორ უნდა გვესმოდეს მუშათა კლასის პატრიოტიზმის დედაარსი.

ახლაც, თანამედროვე ეპოქაშიც, კომუნისტების იდეოლოგიის წინააღმდეგ სხვა ბრალდებითა შორის, რომელსაც ბურჟუაზიის იდეოლოგები და მუშათა მძრაობაში ბურჟუაზიის აგენტები — რეფორმისტები და რევოიზიონისტები აყენებენ, ერთ-ერთი ბრალდება ის არის, თითქოს მუშათა კლასი და კომუნისტები ანტიპატრიოტული ძალა იყოს. სინამდვილეში კი სწორედ პირიქით არის. როგორც მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდგომმა ფაქტებმა დაადასტურა, კაპიტალისტურ ქვეყნებში სამშობლოს, ხალხის მსახურსა და ერის ინტერესების დამცველნი, უემპირიო პატრიოტები მუშები, კომუნისტები არიან. მუშათა კლასი იცავდა და იცავს ერთსა დამოუკიდებელი არსებობის უფლებას, იბრძოდა და იბრძვის ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი ფორმების წინააღმდეგ. ფრ. ენგელსი წერდა: „ევროპის ერების გულწრფელი საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ თვითველი ეს ერი სრული ბატონპატრონია თავის საკუთარ სახლში“<sup>4</sup>. ერთსა და მოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს თანმიმდევრულად ატარებდა და იცავდა ვ. ი. ლენინი. ერთა თვითგამორკვევის უფლება სწორედ ამ პრინციპის გამოხატულებაა. მუშათა კლასი და კომუნისტები იცავდნენ ერთს თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს, რომელიც მუშათა კლასის პატრიოტიზმით გამოიხატება.

მუშათა კლასის პატრიოტიზმის აქტუალობა თვალსაჩინოდ გამოვლინდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს დაცვაში. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში, სამშობლოს ცნება შერაყმულია სოციალისტურ წყობილებასთან. სოციალისტურმა წყობილებამ გარდაქმნა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე და შექმნა ახალი სოციალური,

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 111.

2 კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გვ. 31.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28, გვ. 358.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 23, გვ. 37.



კლტბრელი და პოლიტიკური წრე. ვ. ი. ლენინმა მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა საბჭოთა სამშობლოს დედაასის: „ჩვენ ობორონეები ვართ 1917 წლის 25 ოქტომბრიდან. ჩვენ „სამშობლოს“ დაცვას ევმბრობით. მაგრამ ის სამაშულო ომი, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ, არის ომი სოციალისტური სამშობლოსათვის, საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რევოლუციური სოციალიზმის მსოფლიოს არმიის რაზმისათვის“<sup>1</sup>. სოციალისტური საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი ხალხის მხურვალე სიყვარული, თავდადება და ერთგულება ის საბჭოთა პარტიოტიზმის არსებითი თავისებურებაა. საბჭოთა პარტიოტიზმის პოლიტიკური საფუძველია საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება, სოციალისტური დემოკრატია.

სამშობლოს სიყვარული ამავე დროს საყვარულია ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა. იგი წარმოშობს მისწრაფებას განამტკიცოს არსებული წყობილება და ხელი შეუწყოს მის პროგრესს. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხმა თვითონ შექმნა თავისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მას იმისათვის სჭირდება, რომ უზრუნველდოს მშრომელი ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარება და გაფურჩქნა. სწორედ ამიტომ არის ხალხურთგული სოციალისტური სახელმწიფოსი.

საბჭოთა ადამიანები სოციალისტური სამშობლოს შეგნებულ სიყვარულს უშეალოდ უკავშირებენ კომუნისმის საქმისათვის ბრძოლის იდეას. სამშობლო და კომუნისში ერთიანია, განუყოფელია.

სამშობლოს სიყვარულის კომუნისმის მშენებლობის იდეასთან შეერთება საბჭოთა პარტიოტიზმს ნამდვილ პროგრესულ, ღრმად რევოლუციურ ჩასაბის ანიჭებს, ზრდის მის როლს და მნიშვნელობას სოციალისტური საზოგადოების განვითარების პროცესში.

„ჩვენი წარმოდგენით, — წერდა ლენინი, — სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმს-

ჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სიდიან“ (ლენინი, თხზ. 26, გვ. 297).

საბჭოთა ადამიანების გმირული მშრომელისაზინო შევალისათვის სამშობლოსადმი სამსახურისა, ნაოლე ნიმუშია კომუნისტური შეგნებულობისა, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი აღმაკვლობისა და ხალხის მატერიალური და სულიერი დოვლათის სიზუსტის შექმნისათვის მილონობით ადამიანების თავდადებულ ბრძოლისა.

კომუნისმის მშენებლობის დიდი მიზანი მილონობით ადამიანებში წარმოშობს დიდ ენერჯიას, უღვევლ ძალასა და უნარს, მზადყოფნას მისცენ სამშობლოს იმისი მაქსიმუმი, რის მიცემაც მათ შეუძლიათ თავდადებული, შეგნებული შრომით. საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში შრომისადმი ადამიანის შეგნებული დამოკიდებულება მისი პარტიოტული გრძნობის გამოვლინების სახეა. „კომუნისში იყვება იქ — წერდა ლენინი, — სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამატევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე“ (ლენინი, თხზ. ტ. 29, გვ. 499).

თანამედროვე პირობებში პარტიოტული საქმიანობის გამოხატულებაა, კომუნისტური შრომის კოლექტივების მოძრაობა, სადაც შემდგომი შემოქმედებითი განვითარება პიროციალისტური შევობების ძირითადმა პრინციპმა — შრომაში ერთიერთადმარებად და მხარდაჭერად, ჩამორჩენილების მოწინავეთა დონეზე აყვანამ, რამაც უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მძლავრი აღმაელობა.

კოლექტიური შრომის კომუნისტური ბრიგადები ისახევენ რა ამოცანად, ისწავლონ, იმუშაონ და იცხოვრონ კომუნისტურად, ხელს უწყობენ იმას, რომ საბჭოთა პარტიოტიზმის პრინციპები გადააქციონ ყოველდღიური ქვეყნის ნორმებად, წარმოებაშიც და, საერთოდ, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, საბჭოთა პარტიოტიზმი უდარესად ინტერნაციონალურია, მისი საფუძველია ხალხის ღრმა სიყვარული და ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა მხრივ თანამეგობრობა, კომუნისმის მშენებლობისათვის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესების ერთიანობა.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, გვ. 179.

## სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა და მისი უმძღვრომი განვითარება პარტიის მიერ

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის ძირითადი პერიოდი (1926-1929) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პერიოდია კომუნისტური პარტიის ისტორიაში, საბჭოთა ხალხის მიერ სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის ისტორიაში. მარქსიზმ-ლენინიზმი გვაძლავს, რომ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ძირითადი, გადამწყვეტი პირობაა სოციალიზმის ეკონომიური საძირკველს ასაშენებლად.

1917 წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამარცხა კაპიტალიზმი პოლიტიკურად და თავისი დიქტატურა დაამყარა. სოციალისტური რევოლუციის მეორე დღესვე პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დაისვა. მთავარი ის იყო, რომ პროლეტარიატს უნდა გამოეყენებინა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება რაგორც ბერკეტი და მასზე დაყრდნობით გარდაეჭმნა ძველი, ჩამორჩენილი ეკონომიკა, შეექმნა ახალი, მოწინავე სოციალისტური ეკონომიკა, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა პროლეტარული რევოლუციის ძირითადი ამოცანაა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე შეუდგნენ ძირეულ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებას, რათა გაეტეხათ კაპიტალიზმის სამეურნეო-ეკონომიური ძლიერება და შეექმნათ პირობები სოციალისტური სახალხო მეურნეობის შესაქმნელად. 1917-1920 წლებში პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნა: მოსპო კერა-7. „მწათობა“, № 11.

ძო საკეთობა წარმოების ძირითად საშუალებებზე და სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო საკეთობა დააწესა ფაბრიკებზე, ქარხნებზე, ტრანსპორტზე, წიაღისეულზე; მოახდინა ჩვენს ქვეყანაში ყველა მიწის ნაკიონალიზაცია და იგი სახელმწიფო საკეთობად გამოაცხადა; დააყენა ერების თანასწორფლებიანობა და დამოუკიდებელ ეროვნულ ან ავტონომიურ რესპუბლიკათა შექმნას შეუდგა; დაამსხვრია ბურჟუაზიისა და მეშაშველთა სახელმწიფოებრივი მანქანა და საბჭოების საფუძველზე, ახალი სახელმწიფოებრივი მანქანა შექმნა.

ეს ისტორიული გარდაქმნები მწვავე კლასობრივი ბრძოლის, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირობებში მიმდინარეობდა. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება, სოფლის მეურნეობის გამოცოცხლება და განვითარება, ნაკიონალიზებული სახელმწიფო მრეწველობის აღდგენა და მშენებლობა. ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის აშენებას.

### ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა

თუმცა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთი სწრაფი ნაბიჯით მძლიოდა წინ კაპიტალისტური, სამრეწველო განვითარების გზით, იგი ჩვენი საუკუნის დასაწყისში მიიწვ უღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. თავისი სამშობლოს ბედზე მუდამ მზრუნველი ვ. ი. ლენინი შემფოთებული იყო ამ ჩამორჩენილობის

გამო. „გულზეა განთავისუფლების შეზღვევა. — აღნიშნავდა იგი 1913 წელს, — ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენს მოხმარება რუსეთში გადიდდა ერთი ხუთად და მაინც რუსეთი რჩება წარმოუდგენლად, გაუგონარად ჩამორჩენილ ლატაკ და ნახევარად ველურ ქვეყანად, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე იარაღებით მოწყობილ ინველისზე ერთი თოხნად უარესად, გერმანიამზე ერთი ხუთად, ამერიკამზე ერთი-ათად უარესად“<sup>1</sup>.

წერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, ამუშავებდა რა სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიულ გეგმას, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ ხელისუფლების აღების შემდეგ რუსეთის პროლეტარიატის მთავარი ამოცანა იქნება ლიკვიდაცია უფოს ქვეყნის საუკუნოებრივ ეკონომიურ ჩამორჩენილობას. სტადიაში კატასტროფის შექარა და როგორ ვებრძოლოთ მას“, ვ. ი. ლენინი წერდა: „მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო... რუსეთში სხვა ქვეყნებზე ადრე იფეთქა რევოლუციამ. რევოლუციამ ქნა ის, რომ რუსეთი რამდენიმე თვეში თავისი პროლეტარიატით დაეწია მოწინავე ქვეყნებს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ომი უღმობელია, იგი საკითხს შეუბრალვებელი სიმკვეთრით აყენებს: ან დაიღუპე ან დაეწიე მოწინავე ქვეყნებს და გაუსწარბ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც.

... დაღუპვა თუ შიელი ძალღონით წინ დაქანდა. ასე დასვა საკითხი ისტორიამ“<sup>2</sup>.

დღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დაწყების გეგმა. მაგრამ ლენინური გეგმის შესრულება შეაფერხა სამოქალაქო ომის და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დაწყებამ. სამოქალაქო ომის მძიმე დაღმრთივ კი ვ. ი. ლენინი ახალ-ახალ ღონისძიებებს სახავდა სოციალისტური საზოგადოების ასამუშავებლად. წერ კიდევ 1920 წლისათვის, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომის ხანძარი ენთო, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ცნობილი გოელროს გეგმის მონახაზები. მან წამოაყენა მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის იდეა, რადგან მას სწამდა, რომ ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან ერთად მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია უმნიშვნელოვანესი პირობა იყო კომუნისტების ასამუშავებლად. „კომუნისმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წერილგულებური რჩება და საჭიროა ეს ნათლად შევანთო... მხოლოდ, მაშინ როცა

ჩვენი ქვეყანა ელექტროფიკირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს შეუქმნით მანამდე, ვიდრე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ. თუ როდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ქვეყნის ელექტროფიკაციას, იქიდან ჩანს, რომ „გოელროს“ გეგმას პარტიის მეორე პროგრამად თვლიდა.

მსხვილი მრეწველობის განვითარება განუხრელად დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროფიკაციასთან. ელექტროფიკაცია ვ. ი. ლენინს ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიიჩნდა.

...თუ რუსეთი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრი ტექნიკური მოწყობილობების ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამოქალაქო მშენებლობა ნიმუშად გადაიქცევა მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის“<sup>3</sup>.

სამოქალაქო ომის დამთავრებისა და მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ ვ. ი. ლენინმა არაერთხელ დააყენა საკითხი ინდუსტრიალიზაციის როგორც სოციალიზმის ასმუშავების ძირითადი რგოლის სწრაფი განვითარების აუცილებლობის შესახებ. 1921 წლის მაისში, რკა(ბ) სრულად რუსეთის X კონფერენციასზე წარმოთქმულ სიტყვაში, ასაბუთებდა რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „რუსურსებას განსამტკიცებლად, სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ნამდვილი და ერთადერთი ბაზა ერთია და მხოლოდ ერთი — ესაა მსხვილი მრეწველობა... თუ არ არის კარგად დაყენებული მსხვილი მრეწველობა, ისე სავრთოდ სოციალიზმზე ლაპარაკი კი შეუძლებელია...“<sup>4</sup>

1922 წელს, კომინტერის III კონგრესზე, როცა ლაპარაკობდა სოციალიზმის მატერიალური საფუძვლის შესახებ, ვ. ი. ლენინი კვლავ აღნიშნავს, რომ „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუშს მიწათმოქმედების გარდაქმნაცა“<sup>5</sup>.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საკითხის სოციალურ-კლასობრივ მხარეს. ამ პროგრამის განხორციელება მატერიალურ ბაზას ქმნიდა ექსპლოატატორული კლასების, ქალაქისა და სოფლის ბერძენიული ელემენტების ლიკვიდაციისათვის. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა რომ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 634-635.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 637.  
<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 509.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 584.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 342-343.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 444-445.



სოფლის სოციალისტური გარდაქმნა შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი მასშტაბით გამოყენებას, მასობრივი მასშტაბით მოწყობილ ელექტროფიკაციას. ახლა გარდაქმნის ძირფესვიანად უდიდესი სისწრაფით წერის მიწათმოქმედებას<sup>1</sup>. სწორედ ეს იყო სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის როგორც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება.

1922 წლის ნოემბერში კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე, თავის მოხსენებაში — „რუსეთის რევოლუციის 5 წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივაზე“ — ვ. ი. ლენინი საკითხს აყენებდა მძიმე მრეწველობის განვითარებას წყაროების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ წყაროდ ვ. ი. ლენინს მომჭირნეობის რეჟიმს მიიჩნედა. „...ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი. — ამბობდა იგი. — უნდა ვიმოჭირნეთ, რამდენადღაც უნდა შევამოწმოთ. ჩვენ მომჭირნებთ უფლაფურზე, სკოლებზედაც კი, ეს უნდა იყოს, რადგან ვიცო, თუ იგი ვერ აღვადგინებთ, ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაგებთ, უამისოდ კი ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, საერთოდ დაეღუპებით“<sup>2</sup>.

იმავ მოხსენებაში იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთისთვის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, არამედ მძიმე ინდუსტრია. მაგრამ მძიმე ინდუსტრიას სჭირდება სახელმწიფო სუბსიდიები, — ამბობდა ვ. ი. ლენინი. — თუ ჩვენ მათ ვერ გამოვძებნით, მაშინ ჩვენ როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, — მე უკვე აღარ ვამბობ, როგორც სოციალისტური. — დავიღუპებით“<sup>3</sup>.

ეკონომიკის და მომჭირნეობის საკითხებს ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა. 1923 წლის მარტში დაწყებულ სტატიის „უმჯობესება ცოტა და კარგი“, იგი აღნიშნავდა, რომ საჭიროა „...მეურნეობის უდიდესი და უდიდესი ეკონომიით მივადგინოთ იმას, რომ უკლებლარა სულ მცირე დანახოვი გადავღოთ ჩვენი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განსაკუთრებლად, ელექტროფიკაციისა და ჰიდროტორფის გასავითარებლად, ვოლხოვშინის დასამთავრებლად და სხვ.“<sup>4</sup>.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების საქმეში უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მითითებებს.

თებებს მრეწველობის ისეთი განვითარების შესახებ, რომელიც კიდევ უფრო განვითარდება და განამტკიცებს მუშათა კლასის ინტერესების კავშირს მუშათა კლასის ხელმძღვანელ რიგის შენარჩუნების პირობებში. ინდუსტრიალიზაციის ხელი უნდა შეეწყო ძველად ჩაგრული და ჩამორჩენილი ერებისა და ეროვნებათა ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის; საერთოდ წარმოებას სწრაფი განვითარებისათვის ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა აღრიცხვის გაუმჯობესებას, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, ერთმართველობის დანერგვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური შეიჩიბების გაშლას და ყველა ამ ნადავზე შრომის ნაყოფიერების ისეთ ამაღლებას, როგორც არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობებში.

როგორც ვხედავთ, ლენინის შრომებში ღრმად დისამბუთებულია სოციალიზმის აშენების მთავარი რგოლის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გატარების არა მარტო აუცილებლობა, არამედ მისი განხორციელების კონკრეტული გზები და საშუალებებიც. ვ. ი. ლენინი უდამ ხაზგასმით აღნიშნავდა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების აუცილებლობას, რადგან კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ამის გარეშე შეუძლებელი იყო მიგვეღწია ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა და სახელმწიფო თავდაცვითი ძლიერების ამაღლებისათვის. ამაში მდგომარეობდა უპირველეს ყოვლისა ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის ეკონომიური მნიშვნელობა. რაც შეეხება ამ გეგმის პოლიტიკურ მნიშვნელობას, იგი იქნა ამდგომარეობად, რომ ინდუსტრიალიზაცია ამაღლებდა მუშათა კლასის ხვედრით წონას და ხელმძღვანელ რიგს საზოგადოებაში, ამტკიცებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს და ამით ამტკიცებდა პროლეტარიატის დიქტატურას.

**ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის შემდგომი დამუშავება და განვითარება პარტიის მიერ**

ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენა სწრაფი ტემპით მომდინარეობდა. 1924-1925 სამეურნეო წელს სოფლის მეურნეობამ ოპამდელი დონის 87 პროც. მიიღწია, მსხვილი მრეწველობა ოპამდელი სამრეწველო პროდუქციის 75 პროც. იძლეოდა. სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის პროდუქციის წილი მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 81 პროც. შეადგენდა, ხოლო კარმომრეწველობა-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 2637.  
2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 504.  
3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 504.  
4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 593.

სა —19 პროცენტს. მაგრამ ომამდელ დონეს ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩებოდა მეტალურგია. 1925 წელს გამოღობილ იქნა თუჯი 1.309 ათასი ტონა, 1913 წლის 4.216 ათასი ტონის ნაცვლად ანუ ომამდელს 31 პროცენტით. ფოლადი — 1868 ტონა, 1913 წლის 4 231 ათასი ტონის ნაცვლად ანუ ომამდელს 44 პროცენტი. მოხმარების საგნების შერამიკული მრეწველობა კი ომამდელი პროდუქციის ორ მესამედს უშვებდა.<sup>1</sup>

საერთო წარმატებების კვალობაზე საგრძნობლად გაუმჯობესდა მეშათა კლასის მდგომარეობა, გაიზარდა მათი ზღვრისა, გადიდდა შრომის ნაყოფიერება. გაუმჯობესდა აგრეთვე გლეხობის მატერიალური მდგომარეობა. წარმატებით სრულდებოდა „გოელროს“ ლენინური გეგმა. აღდგენილი პერიოდის დამლევსათვის ამენებელი იყო ელექტროსადგურები: კაშირისა, შტერისა, „ქრასნი ოქტაბრი“ (ლენინგრადი) კეზელისა, ნიენი ნოვგოროდისა (ბალახნისა), მთავრდებოდა შტეროცკის, ვოლხოვისა და ზემოაკვალის (თბილისა) ელექტროსადგურების მშენებლობა, გააზარდა მუშათა კლასისა და გლეხობის სამყურანო და პოლიტეკური აქტივობა, განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა, გაიზარდა ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი.

მრეწველობის დიდი წარმატებას მიუხედავად ქვეყანაში ერთ მილიონამდე უმუშევარი ითვლებოდა.

თუმცა სახალხო მეურნეობის აღდგენა და სასრულს უახლოვდებოდა, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნისათვის ეს სრულებითაც არ იყო საკმარისი. მეურნეობის ომამდელა დონე მეფის რუსეთის მკტად ჩამორჩენილი დონე იყო.

საჭირო იყო შემდგომი მშლავი წინსვლა. მაგრამ აქ მთელი ძალით ისმებოდა საკითხი ზვენი განვითარების, ზვენი მშენებლობის პერსპექტივების შესახებ. შეიძლებოდა თუ არა ეკონომიურად და ტექნიკურად ჩამორჩენილ საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის აშენება, კაპიტალისტური გარემოცვისა და კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პირობებში? საკმარ იქნებოდა თუ არა საამისოდ შინაგანი ძალები და რესურსები?

პარტიისა და ლენინიზმის მტრები — ტროცისტები ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ ევროპის გამაჩქრებელი პროლეტარიატის მხრივ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის აშენება შეუძლებელია. ამით ისინი მუშათა კლასს უიმედობას, უპერსპექტივობასა და გამარჯვების რწმენის უქონლობას უნერგავდნენ. ტროცისტთა კაპიტულიანტური ქადაგების მიუხედავად

<sup>1</sup> „სსრ კავშირის მრეწველობა“ სტატისტიკური კრებული, მოსკოვი, 1957, გვ. 106-107

პარტიამ მტკიცედ და უყოყმანოდ განაცხადა, რომ სოციალისტური მეურნეობის შექმნება აშენდეს და უნდა აშენდეს ჩვენს ქვეყანაში ნაინადან ჩვენ გვაქვს ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ ავაშენოთ სოციალისტური მეურნეობა, ავაშენოთ სრული სოციალისტური ხაზოგადობა. ახლა მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთელს ჩვენს ქვეყანაში გაშლილიყო ახალი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა და ამით ბოლო მოღებოდა კაპიტალიზმს ეკონომიურადაც. პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის პრაქტიკული საქმიანობა ამ მთავარი ამოცანის შესრულებას უნდა დაქვემდებარებოდა. პარტიის აზრით, ამ გრანდიოზული ამოცანის შესრულება უნდა დაიწყოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით.

—სტე(ბ) XIV კონფერენციამ, რომელიც 1925 წლის აპრილში შეიკრიბა გარკვეულად განაცხადა, რომ „...პროლეტარიატის პარტიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ააშენოს სოციალისტური საზოგადოება ამ რწმენით, რომ ეს მშენებლობა შეიძლება იყოს და ნამდვილად ძლევამოსილი იქნება კიდევ, თუ მოხერხდება ქვეყნის დაცეა რესტავრაციის ყოველგვარი ცდებისაგან“<sup>1</sup>.

პარტიამ იცოდა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები დასძლევდნენ საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენი ქვეყანა სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების დროსაც არ იქნებოდა გარანტირებული კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ ინტერაციისაგან, სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის ცდებისაგან. „...სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების ერთადერთ გარანტიას, ე. ი. გარანტიას რესტავრაციისაგან, — ნათქვამია კონფერენციის რეზოლუციაში — წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში“<sup>2</sup>.

Сила его таланта сложилась из глубоких мыслей, мудрых раздумий, определивших содержание его поэзии, и с другой стороны — из подлинной народности, простоты, ясности, возникших в результате долгой и тщательной работы над формой.

В своей поэзии он соединил в крепкий слав опыт, накопленный предшествующими мастерами грузинской мировой поэзии, и то певучее, драгоценное золото, которое содержится в подлинно народном творчестве.

Однажды, несколько лет назад, я сказал ему:

— Я люблюсь твоим ростом, Ираклий.

Он мне ответил:


— Грузия маленькая страна. Мы можем расти только вверх.

Это была шутка, но, как и в его поэзии, она одновременно содержала глубокий смысл, если подумать, что не только о высоте плеч поэта, но и о высоком содержании всей грузинской культуры сказал он этой своей улыбкой.

Ему 60 лет, он прошел по многим дорогам мира, некоторые из этих дорог мы прошли вместе, я знаю его в течение половины его жизни, знаю его силы и говорю ему:

— Расти, расти выше, Ираклий: возраст не останавливает роста мудрецов, возраст только помогает росту быть более целеустремленным, более непреклонным.

60-летие Ираклия Абашидзе — это новая ступень в его прекрасном творчестве.



Ираклий Абашидзе — поэт эпической лирики и лирической эпичности, он не только развил и обогатил современную грузинскую поэзию, но и приумножил славу Грузии среди всех соседних и отдаленных народов и государств.

Желаю ему долгой и светлой песни.



Благодаря самоотверженности проводников, пролагателей путей, переводчиков, мы, русские читатели, в последние десятилетия оказались способны подняться на высочайшие горные пики грузинской поэзии прошлого и настоящего: Шота Руставели! Николоз Бараташвили! Давид Гурамишвили! Важа-Пшавела! Георгий Леонидзе!

В последние годы у нас появился еще один, неожиданный и прекрасный спутник в этом путешествии, чья книга «По следам Руставели» вдруг магически приблизила к нашим глазам и сердцам трагически-величавый вечер жизни создателя «Витязя в тигровой шкуре»; сделала великого грузинского поэта нашим современником и собеседником.

И в своих новых стихах, посвященных Бараташвили, Пирсmani, Леонидзе, Ираклий Абашидзе как бы следует старому обычаю «чествования доблестных», оставивших по себе добрую славу в летописи грузинской истории.

Не могу не гордиться тем, что в картину, как бы осиротевшей без своего певца, грузинской природы, естественно, и закономерно влетает романтический образ, созданный русским искусством — от Лермонтова до Врубеля и Пастернака:

Как уход твой сказался:  
и осень,  
и ранняя темень,  
и измена небес,  
и агония солнца во мгле—  
будто в наших горах  
пролетал пастернаковский демон  
и всю прелесть Аччалы и Мцхеты  
унес на крыле.

(«Георгию Леонидзе». Перевод Ю. Ряшенцева).

Не могу не радоваться тому, что прикоснувшись к этой живительной почве великого искусства, Ираклий Абашидзе обретает в своей лирике новую силу, тот самоотверженный драматизм, головокружительную влюбленность во все проявления земного бытия, которыми издавна была сильна грузинская поэзия.

Сердечно поздравляю Вас, дорогой Ираклий!

*А. Турков*

Радуюсь возможности сердечно поздравить и приветствовать дорогого друга Ираклия Абашидзе, в расцвете сил и таланта встречающего свою 60-ю годовщину. Приветствую его как выдающегося поэта, вдохновенного певца прекрасной Грузии, как славного патриота родного народа и всей Советской Родины, как ученого-академика, как гражданина и борца за коммунизм.

Особенно приятно мне приветствовать Ираклия Виссарионовича как коллегу депутата, достойно представляющего Советскую Грузию в Верховном Совете СССР четвертого, пятого, шестого и седьмого созывов.

Желаю юбиляру доброго здоровья, энергии, благополучия на жизненном пути, чтобы он еще долгие годы радовал нас новыми творческими успехами, плодами своего таланта и труда.

Ю. ПАЛЕЦКИС,

Председатель Совета Национальностей Верховного Совета СССР

24 октября 1969 года.

*Ю. Палецкис*

Дорогой Ираклий, поздравляю Вас!  
Моя юность была освещена осенним отсветом строк из Вашей «Баллады спасения»:

Доцветал сентябрь, Смеркалось. Полусонно  
Опускалось солнце, совершив свой путь.  
И тогда раздался крик бповещенных.  
Помню долго-долго мы не могли уснуть...

Всегда поэзия, осень и крик оповещения соединялись для меня. Осень всегда — осыпающаяся фреска, где под облетающей охрой, шелухой кармина иду новые слои фактуры, подмалевки, тайны. Всегда нерасшифрованная надпись.

Разгадать ее, различить сквозь наслоения быта, истории — миссия поэта. Спасибо Вам за то, что Вы не только строкой в жизни явили пример искусства, доказали, что поэзия — поиск, что разгадка народного лежит за тридцать земель, что древнее носит глазом из сегодня, что поэты — как рыбы и птицы — чтобы оплодотвориться, продолжить род, песнь, призвание природы, проходят тысячевосточные маршруты — географические, исторические, духовные.

Спасибо, что Вы доказали это не умоглядно, а судьбой, взяв в аэропорту билет не в туррейс, а на 700 лет вглубь, и куда бы Вы не уносились, сквозь все эти километры, века, палестины — находили родную, божественную Грузию...

Так живут поэты, пишут собой.  
Обнимаю, поздравляю Вас.

*Андрей Вознесенский*  
25.X-19

იტყვიან ხოლმე, — „ამ კაცის ცხოვრება პოეზიაა“, — ასეთებს ირაკლი აბაშიძე ეკუთვნის.

ირაკლის ლექსები ზემოირად რომ იციან, ანდა მღერიან, — გულის სიღრმემდე წვდება არა მარტო ქართული ლექსის მოყვარულთ, ირაკლის პოეზიას ჩვენი ქვეყნის გარეთაც იცნობენ და უყვართ.

რა ეუყოთ, რომ ირაკლის სამოცი წელი შეუსრულდა, — ირაკლი თვითონ ლექსს გავს, — ნამდვილი ლექსი კი არასოდეს არ ბერდება.

სულით და გულით ვულოცავ ჩვენს ირაკლის იუბილეს.

*კახიკი შიშკერი*



შალვა შორჩხიძე

სიხყვა ბულისა

ირაკლი ამაშიც მუდამ ჩვენი მღელვარე ცხოვრების შევადგენი ტრიალებს. მისი ცხოველყოფილი პოეზიის განუყრელი თვისებაა ცხოვრებისეული, მძაფრი პოლიტიკური სიტუაციების სწორად ასახვა. ზოგადკაცობრიული მადალი იდეების პოეტურ ფოკუსში მოქცევა, სამყაროს იდეალების შეცნობის წყურვილი, ადამიანის ყოფისა და სიცოცხლის აზრის ფილოსოფიური ჩაღრმავება, ყოველივე რეალურია სიმართლით აღქმა და, ბოლოს, ყოველდღიური, პროზაული მოვლენების ქეშმარიტ პოეტურ კატეგორიზაციას გარდასახვა. მისი ღრმავრთვანი პოეტური შემოქმედება უშუალოდ ახალი საქართველოს პირშია. ქართულ პოეზიაში იგი იმ დროს მოვიდა, როცა „ციხეჭერაწველებს“ და ძველი თაობის სხვა პოეტებს უკვე საბოლოოდ ჩამოცილებული ჰქონდათ წვრილბერძენული შეხედულებები ბელოვებასა და პოეზიაზე. რინი ახლა მთელი შემოქმედებითი გამოცდილებითა და შინაგანი ენერგიით თითქმის ერთმანეთს ეტოვებოდნენ თავისუფალი საქართველოს განახლებული ცხოვრების ასახვაში. მაგრამ ირაკლი ამაშიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისმა პოეტურმა სიტყვამ ქართული ლექსის ნაკად რსტატებს შორის იმთავითვე უცხოვდ გამოანათა. მან თითქმის მოკრძალებით მისწიამოსწია უფროსი თაობის პოეტები და თავისი კეთილი ადგილი დაიკავა. ამ პერიოდში შექმნა მეტად კოლორიტული ლექსები: „გადარჩენის პალადა“, „მბრთი“, „არსთაველის სახე კავშირთა შახლან სვეტებიან დარბაზში“, „ყვავილები ქალქში“, „ზღვა“, „ბარათი ესპანეთის მებრძოლთ“, „თბილისს“, რითაც ქართულ პოეზიაში მკვეთრია დადგა თავისი მომავალი პოეზიის საძირკველი.

ირაკლი ამაშიც უფრო მიწიერი ცხოვრების, სიცოცხლის სიამისა და სილამაზის პოეტიკა დატყვევია. მოქნილი სტიქონების სილბო-სიმეტრიულ მომიზნებულ კეთილმოვანებას ანიჭებს

მის ლექსს. მისი ზელამოდ ნაქსოვი პოეზია გატენილია კაცთმოყვარეობითა და კეთილშობილებით: იგი ვერ ეგუება ერთნაირ, სტაბილურ მდგომარეობას, ყოველთვის შემოქმედებითი ძიების პროცესშია, ახლის აღმოჩენისათვის იღწვის, მისი დაუცხრომელი პოეტური სული საქართველოს კონტრასტებით საესე ბუნებასა ჰგავს. მისი პოეტური ხმა ხან მცხუნვარე მზის სხივებით დნება, ხან ფოლადით რყის, იმისდა მიხედვით თუ რანაირ პოეტურ თემაზე წერს. ამ ასპექტებში გვინდა განვიხილოთ მისი მალამხატვრული პოეზია, ვთქვათ, როგორ მიუახლოვდა და ჩაწვდა მარად ღეთაებრივი სხივით განათებულ პოეზიის უკუდავ მშვენიერებას. როგორ იხილა ძნელად სახილველი, უზენაესის იდეალური ხატება, რომელიც შემოქმედების ბედნიერ წუთებში, ალბათ, მუდამ გამოცხადებათ ხოლმე ქეშმარიტ პოეტებს.

• • •

ი. ამაშიძეს არასოდეს არ დალატობს ზომიერების გრძნობა, პოეტური ტაქტი, იგი მუდამ გარიდებულა ყალბ პათეტიკრობასა და თვალში საცემ არაბუნებრივობას, მისი პოეტური ენა მუდამ რადიკალური ლირიზმითაა შეზავებული, ხოლო ლექსებში იგი რაღაც უხილავი, ჯადოსნური საწყაოთი ანაწილებს უცხო, თვალისდამატყვევებელ ფერებს და მხატვრულ სიტუაციას არასოდეს არ აყლებს საღებავს, არც დაპირბებს ხოლმე. ყოველივე ეს იმთავითვე ნათლად გამოჩნდა ირაკლი ამაშიძის პოეზიაში. მისი ახალგაზრდობისდროინდელი ლექსი „თბილისს“ დღესაც ინტერესით იკითხება და სიამოვნებას გვეტრის: „შენ ჩემს მაგვრად მტკარას მოახსენე, შორით რომ შესსენე მოეხარება, რომ შენი მიწა და სასახლენი მას ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.“ ამზობს პოეტი და იქვე ძველ საქართველოს კოლორიტულ სურათს გვიხატავს:

„პარილს უთხარი (შველად იცოდნენ ჩვენში მისგვარი ნაპტოს საბანი); შენს საყვარელში ვერ გამისწორებს, ბევრიც მოგართვის იასამანი.“

ვერ შევიმაგრებ მე თავს და მორჩი... როს აყვადება ზღმში შეინდები, ჩამოვიფხატე ცხვირ-პირზე ქოჩორს, შუა ქალაქში ავიფინდები“.

ასევე დაუფიქრებ პოეტურ სახეებს ვხვდებით ახალგაზრდობის დროინდელ მის შვირე ლექსში — „ყვავილები ქალაქში“, რომელშიც პოეტმა ოსტატურად გამოკეთილი სტრიქონებით იმ-თაერთვე მშვენიერად გამოთქვა თავისი პოეტურ-მა მრწამსი:

„და აღივინდა ეს მინდვრის მახრა, სიტყვიც შონახა, ზალიც ინება... ასე სთქვან მაშინ: მგოსანმა ნახა ვარდებში ქვეყნას აღორძინება.“

მაშინ აღსრულდეს ან ერთი კვება, ან მეტროს რკინის ნაყვა კბილებით: — მე უნდა დავრჩე მგოსანი ქვეყნად ახალ სიციცხლის და ყვავილების.“

სწორედ ახალი სიციცხლისა და ყვავილების საყვარელითაა გამოხარი მისი პატრიოტული ლექსები, რომელთა ფოლადივით მტკიცედ ჩამოსხმულ სტრიქონებში პოლიტიკური სიმბოვი-ლე და ვაჭრიახობა გამოსტვივის და მის პოე-ზიას მეტ ემოციურ ძალასა და მასშტაბურობას ანიჭებს.

იმაველი აბაშიძის ერთ აღრინდელ ლექსში — „მე აღბანაში არ გელოდები“ დიდი შინაგანი მღელვარებითა და განათებით აქვს დახატული თავისი პოეტური ბუნება, ხასიათი, სიციცხლის სიხარული და მშობლიური მიწა-წყლის თავ-ბრუნებულ მშვენიერება. ბუნების მომხიბვ-ლელა, ზღვისფერ წიაღში ჩაძირული პოეტი გაოცებული კითხულობს: „ეს რომელ მხარეს ვეახლოვდები?“ და მერე გახარებული განა-გრძობს:

„ვარ ტყის შრიალში, შურბოხთა კრიახში, ვარ ქარაფებში მაღალ მთებში ვარ, მე ბუნებაში უგზობ შევეღიარ და ეძიარება ზღვისფერ წიაღში. და მხოლოდ თვალთ ევქერ ბუნებას, მისი მშვენიების ეშხით ვბრმავდები, მის საიდუმლოს არ ვუღრმავდები, აღარ მივეუბნი ამგვარ ცდუნებას. ჩავეწვდი, შინაც ვარ დაკლებული, მკაცრად მოითხოვს ჩემს გარინდებას, ასყერ მიუთვენ კეშმარტებას, მაგრამ ასყერ ვარ გაწიბლებული“.

ამ ლექსში მთელი სიციცხლით უხვდავით მისი სულისა და სხეულის მოძრაობას, მისი ჭაბუ-კური გულის ფრიალს, შინაგან მღელვარებას სწრაფვას მიუწვდომელისაკენ. უგზობ ვეწვდები ბობს: ბუნების საიდუმლოს არ ვუღრმავდები, აღარ მივეუბნი ამგვარ ცდუნებასო, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ მას უნდა ყველაფერს ჩაწვდეს, და-ტყებს კეშმარტების ასყერ მივინებთ, ასყერ გაწიბლებით და შინაც მკებით მოვილას იღუ-მალისა და უხილველის შეცნობის წყურვილი.

იმაველი აბაშიძის შინაგანი, ჭაბუკური მღელ-ვარება, მომეტებული გრძნობიერება და სულის სინაზე სიციცხლად მოჩანს მის სატრფიალო ლექ-სებში. „სიმღერა პირველი თოვლისა და ყვე-ლა სიმღერა“ მუდამ დარჩებიან ახალ ქართულ პოეზიაში საყვარელის, მშვენიერებისა და გულ-წრფელობის მეტად თავისებურად გამოსახვის უზადლო-ნიმუშებად. საჭმე იმამია რომ პოეტი ერთ სიტყვასაც არ ამბობს აღრესატიან გარე-ნულ მშვენიერებასა და მომხიბვლელობაზე, არ უხსენებს ფაქთთ თვალეს, აღუდღისფერ ბა-გეს, ცისფერ თუ შინდისფერ სამოსელს, რო-გორც ეს ჩვეულებრივ გვხვდება ამგვარ ხასია-თის ლექსებში, ერთი სიტყვით, არაფერს ისეთს, რითაც მან პოეტის ყურადღება მიიქცია. იგი საქართველოს კოლორიტულ პეიზაჟს ხატავს, პირველი თოვლის ფეფქების ცვენა გაზაფხულს თვითრად აფეთქებულ ტყემლის ყვავილებს ახსე-ნებს, თოვლით დაფარულ ზღმებში თვითრად გა-ბუმბლული ბუნებები იმერულ ფაფანაყო ფრი-ალსა და აქვალში დაბანაყებული ქარის თვით კარებებს აგონებს, ბუნების სილამაზითა და პირ-ველი თოვლით გამოწვეულ სიხარულზე გველა-ზარაყება და ბოლოს ორი სტრიქონით იტყვის: „ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას, მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი“, და თვალწინ გვე-ხატება ზღაპრული მშვენიერების მქონე არსება. ასევე ნაზი ფერებითა და ინტიმით არის დაწე-რილი მისი „ყველა სიმღერა“. ვისაც ეს ლექსი ერთხელ წაუკითხავს, არ შეიძლება, რომ სამე-დამოდ არ ახსოვდეს: „ყველა სიმღერა რასმე გაგონებას, ყველასიმღერას თავის წლები აქვს“, ამბობს პოეტი და ზოგში ძველი წყობილება ელანდება. ზოგში დედის თავსასთმალის, ზოგ-ში კი მაშის სამოსი და ბოლოს შენიშნავს:

„მაგრამ, ძვირფასო, რაც შენ გიბოვნე, რომ სიციცხლში წინ წაგიძღვარო, ყველა სიმღერა შენს თავს მაგონებს, შენ საყვარელო, დაუფიქრარო!“

იმაველი აბაშიძის ლირიკული ლექსების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოთ მისი ლექსი, ყოველთვის ახალი ძალით მოქმედებს ჩვენზე, ახალი იღუ-მალეობით აღავსებს და აღფრთოვანებს ჩვენს



სულს. ამის მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ მისი ლექსი ყოველთვის რთული შემოქმედებითა ძიების შედეგია. ერთბა, იგი წერდა მანამ არ ჯდება, ვიდრე პოეტურ თემას ყოველი კუთხიდან არ გასინჯავს, ვიდრე ისეთ წერტილს არ აღმოაჩენს, რომელიც ჩვეულებრივი თვალისათვის ყოველთვის შეუუმჩნეველია. ამიტომ მისი ლექსი ყოველთვის გვაოცებს ორიგინალური მოფიქრებითა და თემის მოულოდნელი, თავისებური გადარწმუნებით. ასეთებდა მივაჩნევა ძველ ციხე-ქალაქ დმანისზე დაწერილი ლირიკული ლექსები: „ავტო და დმანისი“, „დმანისის ქვეში“ და „იქნებ ნატრობენ“. პოეტი მეტად მეტყველო ფერებით აგვიწერს ძველი, გაუღებურებელი ციხე-ქალაქის ნანგრევებს, „ქვეშე რომ სტირის მყუდროება უღმარეთის“. ვხედავთ, როგორ მიადგა დამინდელ, დანატრებულ ნაქალაქარს „ფროთაშალი ავტო“, „მიღებში როგორ უღუღს სისხლი ნამალი, როგორ გუგუნებს ნაქედებში ძარღვი ძლიერი“ და ვიცით, რომ ეს ძარღვი ახალი საქართველოს ძარღვია, ქართული ხალხის გამარჯვება. „პარტოლ უშენოდ არასოდეს დმანისს არ მოვალ, ნანგრევმა იყოს — მარტოობის სენს შეგთავაზებეს.“ მიმართავს იგი თავის ლირიკულ გმირს და მეგრე თითქოს სინანულით განაგრძობს: „ამ ქონგრებებში, ასეთ ქვეში დაძინებული, ო. როგორ მესმის, როგორ მესმის, ქართლის ზღაპარი“... და ჩვენც გვესმის პოეტის მწუხარება და დარდი თავისი სამშობლოს ძნელბედობით გაღვივებული.

ირაკლი აბაშიძე უღრესად ორიგინალური ხმისა და ინტონაციის პოეტია. იგი არასოდეს არ იმერეთის პოეტურ თემებს, განწყობილებებს, არ უყვარს გრძობების ვარიაციული გადასღერება, მისი პოეტური ტემპერამენტი საოცრად არის შორგებული მის ლირიზმით გაყვანილი ხმაზე. ოდესღაც მაიკოვსკის უთქვამს, პოეტი თავისი ხმის შესაფერისად უნდა სწერდეს ლექსებსო. და როდესაც ჩვენ ირაკლი აბაშიძის გემოვნებით დაწერილ სტრაქონებს ვკითხულობთ, მართლაც, საოცარ მსგავსებას ეპოულობთ მისი ხმის ტემპრასა და პოეტური მეტყველების დარბაისლურ ტონს შორის. მას არ უყვარს მრავალსიტყვიანობა, სათქმელს მუდამ პოეტური აზრის უღრესი შეკრმებით, სიტყვის უდიდესი ეკონომიით გადმოცეცემს და ამით დიდ ეფექტურობას აღწევს. ამ თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა ერთი მისი პატარა ლექსი „მამა“. ვკითხულობთ ამ ლექსს და ვხედავთ იმერეთის განათებულ სივრცეებს, სინათლით სავსე პოეტის შრობლიურ პატარა თემს, ორლობებს, მწვანე ბალახზე ალვის ხეებისა და იმერული ოდების დალაგებულ ჩეროებს და თემშარაზე ჩალისფერ ჩოხაში გამოწყობილ, უსინათლო ვაკაცს, რომელიც სიკვდილისა და სიცოცხლის შუა ბამბუკის ჯობით მიიკვლევს გზას:

„თუ იმერეთში სინათლით სავსე  
გინახავთ ჩვენი პატარა თემი  
და უსინათლო ვაკაცს ვახსენებთ  
შრობელი მამა ის იყოს ჩვენი მამა“

მას ერთხელ გააკრა სიკვდილმა გვერდით, და თვალში მოხვდა რჭულაძის ცელი, და მერე ჩამქრალ თვალების სველით ოდამი იქდა თხეთმეტი წელი.

ხან თემშარაზეც ფრთხილად და ჩემად გამოჩნდებოდა ჩალისფერ ჩოხით და სიცოცხლის და სიკვდილის შუა გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯობით.

და მოკვდა ისე, რომ მას სიკვდილი არ დაუნახავს — გამხმარი ძვალი. და მოკვდა ისე, რომ ტბილზე ტბილიც არ დაუნახავს ქვეყანაც თვალით.

არ ჩარჩენია წაგრად მშველება ლურჯ ველებს, ლურჯი ქვების... მე კი, მე იმ დროს რა მემშველება, ორივე თვალში რომ ვიხედებო.

ამ მეტად ინტიმური ხასიათის ლექსში შეუდარებელი ოსტატობით გადმოცეცემს პოეტი უსინათლო შრობლის მწუხარე ცხოვრების ამბავს, მის ტრაგიკულ ბედს, შრობლიური ცისა და მიწის თვალშეუდგამ სიღამაზეს და ფიჭის იმაზე რაც ყველასათვის გარდუვალია, როცა ამბობს: „მე კი, მე იმ დროს რა მემშველება, ორივე თვალში რომ ვიხედებო“.

ამნაირი პოეტური სახეების ოსტატი ვახლავთ ირაკლი აბაშიძე. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ აღრე, ძალიან ადრე იყო, სამამულო ომის მრისხანე დღეებამდე...

ირაკლი აბაშიძეს პოეტური სიტყვის კეთილსიმწიფის ეამს წამოეწია ომის წლები. და როგორც ყველაფერმა ჩვენს ქვეყანაში, მისმა პოეტიამაც მისივე იცვალა ნირი. ომის მჭინვარე წარმშლბის გუგუნში მის ლირიკულ ხმას მეტი სიმძაფრე და სიმკაცრე შეერია, მისი ლექსის კოლო თითქოს უფროსი ცეცხლის ნაბერწლიებით ავისო, მწვავედ განიცადა სამშოთა ხალხის და შრობლიური მიწის მძიმე განსაცდელი და, როგორც ყველა პატრიოტი და მებრძოლი, მისი პოეტური სული უფრო ვაკაცდა, ხოლო მისმა პოეტურმა სიტყვამ უფრო მეტი სიმტკიცე და ნაკველობა შეიძინა. მან ბევრი კარგი ლექსი დასწერა ამ პერიოდში: „როცა ბრანდენბურგს ვუახლოვდები“, „მრისხანე ცხრაას ორმოცდაორია“, „ლესელიძის სსოვნას“, „ქართველებო, კვაფოო მტერი“, და სხვ. მაგრამ ისეთი ზედი, როგორც მის „კაპიტან ბუხაიძეს“ ეწოა, მგონი, საეროთოდ არა რაგებია ჩვენში ომის თემაზე დაწერილ ლექსს. ჰემშარტი სისადაეთა და უშუალობით

აქვს ეს ლექსი შექმნილი პოეტს. მის ძალდაუტანებელ, ბუნებრივ, ნათელ სტრუქტურებში ჩაქსოვილია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავგანწირული ვაჟაკის ბოხოქარი სულის სიძლიერე, სამკოთა მებრძოლის უბადლო გმირობა. ამ ლექსში პოეტი უბრალოდ, სასაუბრო ენით, ყოველგვარი ეპითეტებისა და სამკაულების გარეშე შეშარბილი ხელოვნების სილიადეს განგვაცდევინებს. მის სტრუქტურებში იმდენი გულწრფელობა, გრძობა, სიმართლე და სინათლეა ჩაღვრილი, რომ შეითხველის გულს პირველ წაყოთხისთანავე იპყრობს და მერს თავს აღარასოდეს ავიწყებს. ამიტომ იყო, რომ იგი გამოიყვეყნებისთანავე აიტაცა ხალხმა, ქართულმა ჯარის ნაწილებმა და ომახიან ხმაზე მღეროდნენ. მას დღესაც სიყვარულით მღერიან საქართველოში.

უდიდესი შინაგანი მღელვარებითაა შექმნილი ომისდროინდელი მისი ლექსები, ხოლო სამკოთა ხალხის მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, როცა ჩვენს თვალწინდებულ სამშობლოში მშვიდობიანი შრომის სუფთვა კვლავ კალაპოტში ჩადგა, ირაკლი იბანიძის პოეტური პალიტრა კიდევ უფრო მსუყვე ფერებით აივსო და დაიტვირთა. მისი ტევალი, ბევრის მიქმული პოეტური. ფრაზისა და მხატვრული სახეების ეშბი, და ფეროვანება კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალეობით გამოჩნდა ლექსების ციკლში „მონადირის ღამეები“. კეთილბოობით ამ ლექსებს და თვალწინ გვეხატება წარღმისდროინდელ წარმართებითი კოცონთან მიმსადარნი, დალაღებული ინგილოები. ვხვდებით მონადირეთა ნაბადის სველ კალთებსა და წინდებს, ვევაბა წიფლის ტოტებზე გაფენილთ, როგორ ასდის ოხშივარი, როგორ შიშინებენ ნედლი კუნძებზე, როგორ უყუფენ მეძებრები კოცონის ირგვლივ გაწოლილ ხეებისა და ადამიანების ლანდებს, გვესმის უსიორ ტყეში როგორ ტყვეობს რკოსა და რძიან ბაღახის ფესვებს ნადირი, ეტყებებით ბუნების პირველადქმნილი სიმშვიდითა და მშვენიერებით, ხოლო ხანდახან შეეკრთებოთ, ოდეს ბერძენის უკან მგლის თვალი გამოაჩინებდა, მურყანის უკან — ფოცხეერის ფეხი გამოჩნდება და ეუსმენთ სულგანაბლენი, მეძებრები რომ კვლავ უყუფენ ესულთ: „მდინარის დედენს, ფოთლების ცეენას, ცეცხლის ენებს, ზეცისკენ წასულთ, ვით ბუნქში დამფრთხალ ხოხბების ფრენას“. ვეთოხტობოთ და ვხედავთ უღრანში კუბრისფრად ჩაძვარ შუღამეს, გაბრძდებულ ბერძენებს, კოცონთან თვის ბულღებზე თავშიდებულ, მოიხნებულ, ზარისოდენა ძაღლებს და ტკბილ ბურანში წასული, ჩვენც ძველი წარმართებით ვლოკავთ ჩაღვდღებულ, ეშხიან დადარს, ზედ რომ მონადირის შოკლელი ტახის ცვრიანი მწვადებია მიფიცხებულ, ვლოკავთ თვის ტყავის გულში ჩასხმულ, დადღებულ ყურძნის წვეს და გვიხარია ბუნების წილში ინგილო

ღამის მებრძობთან ყოფნა. ეუცყოით, როგორ დინჯად ესაუბრება ინგილო ელევა, ნასუფლადგარა ლახარეს, მათარით რომ აწუფის ღეროსკლე გევეწება, მოუყვეს თანასოფელლებს სამაშულო ომის მრისხანე დღეებზე, რაც უნახავს, რაც თავს გადახდენია. მან ხომ ბევრი იარა ომის ძნელად საველ სისხლიან პილიტზე, მან ხომ, „ხეისგუბივით იცის პრუსია, ვით ზაქათალა და ბეულაქანი“. და ყველა ლახარე დაუსრულებლად ომის შემპარწუნებელ ეპიზოდებს. უსმენენ დაფიქრებელი ინგილოები და, აღმათ, ტანში უსიამოდ აყრიალებთ, მაგრამ როდესაც ლახარე იტყვის:

„ჩემს თვალწინ გატყდა მისი ბრესლაუ — ციხე-ქალაქი ქვეყნის ოდენი, მე ინსტენბურგის ვარ შემშუსრავი, მე გადაეცურე მისი ოდერი.“

მე ფერფლად მახსოვს გადაქცეული, ბევრი სიმაგრე, ბევრი ბანაკი, მე აღნი ენახე გამოხვეული, მისი შევხველი დედაქალაქი.“

გვეყრა სიხარულსა და სიამაყეს გრძობენ გულში და ინგილო მებრძეს ისევე ღვინიან მათარას აწვლიან... მერე პოეტი ინგილო გლეხის, ვინმე შიოს კერასაც არ ივიწყებს. მისი ოჯახის მამა-პაპეულ საგანძურს, საუნახელს, მუხის სუფრას და თაროზე შემოღმულ ძველ ხელადას მოეფერება, რამდენამე სტრუქტონი გვიხატავს, შიოს ბაღლები ცეცხლის პირას როგორ სწავლობენ „კახეთს“ დედაენაში. მათი მასწავლებლის კეთილშობილ სახეს, მამულშვილობას, ღირსეულ საქმიანობას კი რაღაცნაირი ინტიმით ვადმოგვეცემს, გულში ჩაწვდომად:

„მე არაფერი არ მეხარბება... მაგრამ ნამდვილად გამეხარდება — საინგილოში მის გვერდით დაჯარე და „დედაენა“ ვასწავლო ბავშვებს.“

ძველ მუხის ძირას შეეკრიბოთ ერთად და შეეყვაროთ თვით სულზე მეტად, როგორც სიციცხლე და სიხარული ჩვენი სამშობლო, ჩვენი მამული!“

მამულის უსაზღვრო სიყვარულით და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების ისტორია განსაცვიფრებელი ოსტატობით აქვს პოეტს გაღმოცემული ღირიველ ლექსში, რომელსაც „სამი ციხე“ ეწოდება. „მურის ძველ ხიდთან, სადაც გორმახებს თითქოს მდინარე მდანა დაუსეა“, მას სამი ციხე უნახავს, ყველა ამ ციხეს თავისი სახელი რქმევია — ციხე „დაუხვდი“, ციხე „დაკარი“ და ციხე „არ გულშეა“. სწორედ ციხის ამ სახელწოდებებზეა ასხმული

ლექსის მოკლე სიუჟეტური ქარგა. მომხდურ მტერს პირველად ციხე „დაუხვდი“ ეგებებოდა ხმალოდებული, მას განსაცდელის ეპოს, სისხლიან ომებში ციხე „დაჰკარი“ ეშველებოდა, ხოლო როცა მტრის ალყაში ციხე „დაჰკარი“ სისხლიანგან იცლებოდა, მტრე ციხე „არ გაუშვა“ ერკინებოდა მტერს და, როგორც პოეტი შენიშნავს, ასე იყო ციხე ციხით და კაცი კაცით მაგარი საქართველოში საუკუნეების მანძილზე.

„უფრო მიუგდე, როგორ გადურჩა, მტრის ხმალს ქვეყანა ტრემლდანიშნული... „დაჰკარი“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“ — აი, რა არის ჩვენი მამული“.

მწელი საფიქრებელია რომ ციხის ასეთი სახელწოდებები სადმე სხვა ქვეყანაში არსებობდეს — ეს მხოლოდ საქართველოს ხედრია, პოეტისათვის კი ბედნიერი მიგნება და ასეთი ბედნიერი მიგნებები იშვიათი როდია ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში.

ვინ იცის, საქართველოს კონტრასტებით საეესე ბუნების სილამაზეს, ქართველი მშრომელი ხალხის კოლორიტული ყოფის სურათებს რამდენი უცხოელი გაუოცებია, რამდენი პოეტი მოუყვანია აღტაცებაში, ვინ იცის, რამდენი რამ დაწერია ამის შესახებ. რანაირი პოეტური სახეებით, მეტაფორებითა და ეპითეტებით არ შეუშვიათ საქართველოს ბუნება, მისი დოვლათიანი ველ-მინდვრები, მდინარეები, შვიფე ხოდაბუნები და მათგან დაშლილებული ბლკენახები, და მანტი, როდესაც ირაკლი აბაშიძის ამგვარი ხანათის ლექსებს ვკითხვლობთ, მოხბბლელი ვართ მისი პოეტური აღმფრენით, ფერების სიახლითა და ახალი განწყობილებებით. მისი ლექსების ორი ციკლი: „სიმღერა მკის დროს“ და „ჰყავის გურია“ დიდი შინაგანი მღელვარებითაა შექმნილი. ისინი ამოშწერავედ, შთამბეჭდავად მოგვითხრობენ ახალი საკოლმერტნეო სოფლის აღორძინებაზე, კოლექტიური შრომის დიდებაზე. ახალი ცხოვრების რეალურმა აღქმამ გამოიწვია, ალბათ, უჩვეულო, ახალი ფერწერული სურათების შექმნა, რითაც მან საოცრად გაამდიდრა ქართული პოეზია. პოეტი მეტად კონხლად გეოხტავს გურიის განუშეორებელ პეიზაჟებს, მის თვალს არაფერი რჩება მხედველობიდან. იმასაც კი ხედავს სოფლის ორღობებში მაღალღეროიანი ბალახები და გრძელულორტებიანი ყვავილები როგორ აცოცხლებლან ღობებზე. და როდესაც ამგვარ სტრიქონებს ვკითხვლობთ, თითქმის მათ სერუნელავს ვსურთქავეთ და გვესმის პოეტის აფეთქებული გულის ამოძახილი:

„ამიერიდან აქ დავსახლდები,  
ჩემი ქვეყანა არის გურია;  
სტრუქტურა, მოყვარეს აქვე დავხვდები,

მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.“  
მაგრამ პოეტს ასხენდება თავისი ტყბილი იმერეთი. სადაც ბავშობის სიხშირეში და ოქროს დღეები დარჩენია, ასხენდება ოდიშის ზღვის-ფერი ჰალაკები, დიდებული სალხინო და ძველი ნაქალაქები, რაქა-ლენხეში, კახეთის ზვიადი მთები, მოღდუნე აღახნის ყველები, ახალი აფხაზეთი და ქართლი, საქართველოს ღირსეული დედა და სინანულით დასძენს:

„რომელ ერთს ვუთხრა: შენ მეგებები,  
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,  
ყველა ტრამალი, მთები, ქედები,  
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.“

დიბ, ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა პოეტისათვის ყოველივე ქართული, ყოველივე მშობლიური, რაც კი ქართველი კაცის გონებისა და მარჭენის მაღლითაა კეთილად განათებული!

ასე მზლდებოდა და იტრებოდა ირაკლი აბაშიძის მაღლიანი პოეტური სიტყვა, ასე უახლოვდებოდა იგი თავის ნახევარ საუკუნეს. და გამოცდილი, შეუშეორი, შეწერვალზე ასვლას მოწყურებული მთასველეივით, იგიც უხილავი ბილიყებით პოეზიის თვალშეუდგამ, მარად განათებულ შეწერვალისაყნ ისწრდოდა, ხოლო წერაყინის მაგვრად კალამი ეჭირა, დამხარე თოკის მაგვრად თავის მოქნილ სტრიქონებს იმოკლებდა და იგრძელებდა ხელში, ყინულესა და კლდეებში ჩასობილი ჰალოების ნაცვლად პოეტურ ხილვებს ეჭიდებოდა და ალბათ, პირქმე ქარაფებს ჩაფრენილ იმ მთასველეივით სისხლი სწვეთავდა თითბობიდან, როცა „მახბლოვებლას...“ და „პალუსტინა პალუსტინას“ წერდა — ამ ლექსებში გამოჩნდა მთელი სისასესთა და სიმწიფით მისი შინაგანი, სულერი არისტოკრატბში, ცხოვრებისა და ვარე სამუაროს უაღრესი, ინტელექტუალური შემეყნებისა და აღქმის დიდი შესაძლებლობანი, შემოქმედებითი პროცესის დროს პოეტური ფაქტის უღიდესი დამაბუთლობით განცდა და აზროვნების სიღრმე, მისთვის, ალბათ, მუდამ დაუწიყარია ის ბედნიერი წუთები, ოდეს ეს ლექსები შექმნა. ალბათ, ასეთი ბედნიერი წუთებით იგრძელებენ წუთი-სოფელს დიდი შემოქმედნი...

სწორედ ასეთი ბედნიერი წუთების განცდამ დააწერინა ირაკლი აბაშიძეს ლექსი „ხან წუთი, ხან საუკუნე“. პოეტმა ასეთი ერთი წუთი მთელ საუკუნეს შეუწონა. ყოველდღიური ზრუნეითა და ფუსფუსით გართული, ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, როგორ ჩქარა გადის დრო, როგორ ჩქარა იწურება ჩვენი დღე და სოფელი. ისე, რომ ერთ ტრფობასაც ვერ ვასწრებთ, როგორც შეჰფერიან“, მაგრამ „ასიე რომ მოეასწროთ, განა ბერია!“ და მანტი, როცა შეა ხანს გაიცლ-



ბული უკან მოვიხედავთ, ჩვენგან გავლილი წუთისოფელი საუკუნედ გვეჩვენება, აღარც კი გვახსოვს, როდის ვთლიდით „ჩალის ურემსა“. გვიჭირს ვახსენება, „ხან დამწვარი, ხან კმაყოფილი“ ჩას ვუსმენდით, ჩას ვხედავდით, ჩას ვანეციდდით, მაინც წინ მივისწრაფით, წინ მი-გვიხარია და აღარ ვეციით, რომელი სჯობდა — ქვეყნის დღლილში განცდილი სიხარულის წუთი თუ ჩვენგან გავლილი ცხოვრების გრძელი ჭბა, რომელიც საუკუნედ გვეჩვენება: პოეტის სიმპათია უთუოდ შემოჭმედისათვის ძვირფასა, იმ ბედნიერ წუთისაკენ იხრება, რომელიც ალა-მზაბებს ჩვენს ცხოვრებას და აზრს აძლევს ალა-მიანის სიცოცხლეს, თორემ ისე ადამიანმა გინდ ეკრტა იცოცხლოს და გინდ ბევრი, მარადისო-ბისათვის ზომ მაინც წვეთია!

ლი ცოდნითა და სილამაზის შეგრძნებით ამყარება და ვეებერთელა ციხე-ტაძრებს, გვეჩვენებთ ქმნიდა საყოფაცხოვრებო ნივთებსა, და სამკაულებს, მზესა და სინათლეს, სისხლსა და ოფლს ატანდა ყველაფერში და ამით იმედიღრებდა უკვადევებს. როდესაც პოეტი მცხეთის სამარტხეში ხედავს ათასი წლობით ნადებ ნივთებს, მის მეხსიერებაში უმაღლესი დიდებული შემოჭმენ-დნი ცოცხლებიან, და აღტაცებული იმით, რომ ათას წელს ქვეშში მოწმედ დებულებს, ათას წლის შემდეგ მაღლა ეწვეთ სურებს, სასმერებს, მათგან მოწოდებულებს, პოეტი ყველა შემოჭმედლებს იმ ბედნიერ წუთებს, რომელსაც, აღ-ბათ, ამ ნივთების შემოჭმედნი განიციდდენ, ათასწლეულებს უტოლებს, სვეტიცხოველისა და ჭვარის მონასტრის ვამძლეობას იმოწმებს და ადამიანის ყოველის შემძლეობით შთაგონე-ბული ამბობს:

„ქვეყნის დღლილში  
მართლა წუთს ჰგავს წუთისოფელი,  
მართლაც ხანდახან  
სიოს ერთი დანაბერი;  
შენ ერთი ტრფობაც  
ვერ მოასწარ,  
როგორც შეპურის,  
ასიც მოგესწრო,  
მერე ისიც განა ბევრია?!  
მაგრამ სოფელი  
ხანდახან ჰგავს საუკუნესაც,  
რა გზა გივლია,  
ისევ მიხეაღ, მივიხარია...  
ის როდის იყო,  
შენ რომ თლიდი ჩალის ურემსა?  
მაუ, მას შემდეგ,  
რა უზმოდ დიდი ხანია!  
შუა ხანს ვასციღ,  
ხან დამწვარი,  
ხან კმაყოფილი;  
ჩას არ უსმინე,  
ჩას არ შეხედი,  
ჩას არ უყურე...  
პო, წუთიც არის,  
საუკუნეც არის სოფელი...  
რომელი სჯობდა:  
წუთი სჯობდა თუ საუკუნე?#

„არა არ წაგვევს,  
არ წაგვევს ჭვარი.  
თუ ბინდისფერი არის ყოველი,  
რატომ დვას, რატომ დღეს მცხეთის ჭვარი,  
რატომ დვას ისევ სვეტიცხოველი?#

რაკლი აბაშიძის პოეტური თვალის გამჭოლი მზერა ღრმად ატანს საგნებისა და მოვლენების ექვეყნებში, ყოველთვის მეტი სიზრტით, სრულყოფილად აღიქვამს ცხოვრებისეულ სიკეთესაც და ტრაგიკულ მოვლენებსაც. მან საოცარი ფერწერით დავეიხატა ცნობილი ქართველი პოეტის პაოლი იაშვილის პორტრეტი, მისი კაცთმოყვარე ხასიათი, ნიჭიერება და ნათელი ბუნება:

„შეყვარებული მოქნილ სიტყვას,  
მოძმის ქებასა,  
სულ უზრუნველი,  
სულ პარალი,  
სულ უდარდელი,  
გადაყოლილი მრუდს და მართალს...  
პო, დედასა!  
ასე გიყნობდა,  
თუ გიყნობდა  
სადმე ქართველი.“

ამ ლექსში გამოთქმული აზრის ლოგიკურ ვაგარძელებად მიგვანინა პოეტის ლექსი „მცხეთაში“. წუთისოფლის სწრაფრამელობა დასაბამიდან აღაფიქთებდა გონიერი ადამიანის სულს და იმის შეგნება, რომ სამუდამო და წარუტოციელი არაფერია სოფელში, უფრო მწვავედ უღდეკებდა სიცოცხლის სიყვარულს და უფრო მეტი სიჭიჭიტი ებრაოდა ამოვებას, კეთილი აზრისა და იღვის დანერგვითა და განხორციელებით ცდილობდა მის დათრგუნვას. ამიტომ უფრო მტკიცედ აგებდა მიწიერი, რეალური ცხოვრების საძირკველს. ხელოვნების განსაცვიფრებე-

უფრო შთამბეჭდავად, შემზარავად ხატავს ქართველი ხალხის იმდროინდელ ძნელებდობას, პოეტის სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს, როცა ამბობს: „შენ, შენ დაეცი იმ წელს, როცა საქართველოზე კენის სულის აღზევებამ გადასრიალა...“

ასე ძლიერად და მწვავედ განიცდის პოეტი ყოველთვის მშობლიური ხალხის სიხარულსა და ტკივილებს. მისი მოუხვენარი, მაძიებელი სული თითქმის სხეულში ვერ ეტყევა და პოეტს მუდამ სამოგზაუროდ, მუდამ ახალ საოცრებათა

სახილველად უბიძგებს. იგი ხან ბუშქინის ლანდს ესაუბრება დარიალესთან ქართული ხალხის ბედნიერ ყოფაზე, განახლებული მიწისა და მზის სილამაზეზე, ხან ქუთაისის მიდამოებში თეთრად „გაფარფაშებული“ ტყეების ზეებისა და „ჭაფ-მოღებული“ ვაშლის შტოების ნათელში მისცურავს, ხან ძველ სამარყანდში, „ცა რომ ბუღია და მიწა ხატით დღეს სამინელით“, გამოუნისას თავისი სამშობლოს ტრაგიკულ წარსულზე ფიქრობს და მოკლედ მის ნაღვლიანი ხმა ეწვეთება სულმა, „ბიჭო გოგას რომ ეძახის“, მე-ერთ ნახევრად ძილდობილში უცნაური ხმა წვდება, „იო სუსხი მწყავე გოდების“ და ფრინველს უხმოდ ეძახურება ფიქრებში: „შენ კიდევ აქ ხარ?! კვლავ ელოდები?!“ და, როცა თვალწინ ელის უსწრაფესად ძველი საუბრეები გაირბენს, მწარედ ასვენდება მშობლიური ხალხის „აწიოკება... ვაწყვეტა... ცემა... გადარჩელება... ყმობა... მძევლები...“ ახალ საქართველოს წარმოადგენს და ლოცვასავით იმეორებს:

„სამშობლოე ჩემო,  
სამშობლოე ჩემო!  
შენა ახალ დღეებს შემოვევლები.“

ორაკლი აბაშიძის ბიოგრაფიის ერთი ფურცელიც რომ არ ვიცოდეთ, მისი გულში ჩამწეღოში ლირიკული ლექსების წყაიბთვის შემდეგ ჩვენ თითქმის შეუცდომლად შეგვიძლია აღვადგინოთ მისი პოეტური ცხოვრების დამახასიათებელი მთავარი შტრუხები. მისი ლირიკული შედეგებია, უმრავლეს შემთხვევაში, მისი ბიოგრაფიის ნაწილია, სხვადასხვა დროს განცდილი, ალბათ ეს აძლევს მის ლირიკულ ლექსებს, მის პოეტურ სიტყვას მომავადობელ მოზიბდელობასა და სითბოს, სითბოს — გულისა და სულის შემწეველს, დიდ სიხარულს რომ გვიანიჭებს, სიხარულს — ხშირად ტყვილამდე რომ დადის. ალბათ ამიტომაც, რომ მის სტრიქონს არასოდეს ზედმეტი ხორკლი არ აყრია, მაგრამ არც ზედმეტად არა თლის ფრანს იმის შიშით, რომ ნათალს თან არ გაყოლოს ლექსის ვაჯარი, ის, რაც მან უშეღად და მძაფრად განიცადა, რამაც აიძულა წერად დამქდარიყო.

„ვერათფრს ქვეყნად ვერ შეველიე-  
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერცე,  
გულში ვიკრავდი ამ ტუბლ მზანანთს,  
მშერდა წამლო ყველა სიამე,  
ყველა სიმწიფის მენახა გემო...  
სივრცე და ვანი... ზემო და ქვემო...“

ამ სტრიქონებში მისი სული და ხორცია მოქცეული. მას შეენის სწორედ ასეთი წრფელი ლირიკული აღსარება. იგი, მართლაც, მეტი სითამამით ევახება ცხოვრების ბოპოქარ ზვირთებს, „სამ ადღზე გაშლილი მკლავებით“ გულში იკრავს ამ ტუბლ მზანანთს, უნდა, შეიტყ-

ბოს ყველა სიამე, ჩაწედს ცხოვრებისა და ადამიანის სიცოცხლის სიბრძნეს, ტილოს ყოველივე რეალურისა და უხილავის „სიხარულ და ვანი... ზემო და ქვემო...“

ორაკლი აბაშიძემ რამდენჯერმე გადასჭრა საპაერო თუ სახმელეთო გზებით თანამედროვე მსოფლიოს მერიდიანები. მან საოცრად ბევრი ნახა, შეიძლება, გაიცლებით იმაზე მეტი, რაც, სიკვებეში მხოლოდ ფანტაზიით შეეძლო წარმოედგინა. იგი როდესაც დედამიწიდან ათი-თხუთმეტი კილომეტრით დაშორებული რაქტიული თვითმფრინავით პაერში ფრენდა დიდი სიჩქარით, ალბათ, მისი გონებაც უფრო სწრაფად მუშაობდა და ელვისებურად აღიქვამდა ათასანაირ უცხო ფერებში გამოხვეულ დედამიწის მშვენიერებას, თვალწინ ეხატებოდა უხარმარარი სივრცეები თავის უღაბანობითა და ზღვებით. თაზისებითა და უსიგარი ტყეებით, მთებითა და დაბლობებით, თვალწინ ეშლებოდა უცხო ქალაქები და ქვეყნები, ოღონდ თავისი მშვენიერი სამშობლოს ლამაზი ხატი ოცნებაში განუმორგებლად წინ ედგა. ამ მრავალფეროვან შთაბეჭდილებათ შედეგია მისი ლექსი „ფესვები“. ევფრატისა და ტიგროსის მიდამოებზე გადაფრენისას პოეტის ფიქრები უძველეს ათასწლეულებში გადადის და მის მესხიერებაში ურარტუს ციხე-კოშკებთან ერთად ძველმშენებელი და ძველხეობური თიხის ფორტები და ძველი ფოლანტები ცოცხლდებიან, ქალდეველთა გამჭრალი ქალაქები ეჩვენება და თითქო გრძნობს ქართველთა ტომების ამ შორეული წინაპრების თუ ნათესაების ნაერადქვეული ფესვების თრთოლვას, და ყველაფერს ამას ისე ცოცხლად წარმოიდგენს და ხატავს, რომ თითქოს ჩვენც ცხადად ეხედავთ, როგორ ფეგვიან ათასწლეულებიდან მათი გამჭრალი „ქვამლის სვეტები“, როგორ „ფრთხებიან“ უხსოვარ ბანზე“ თეთრი შტრუღები და გვიხარია, ჩვენი ფესვები, ფესვება ჩვენი შორეული წინაპრებისა, უხსოვარ ათასწლეულებში რომ გართხმულან:

„მიწიდან დისკენ,  
ვარდისფრად,  
თეთრად  
დადგა იმ გამჭრალ ქვამლის სვეტები,  
უხსოვარ ბანზე დაფრთხნენ შტრუღები,  
შარებზე განდნა ნიაქარული  
ელამთა ზღაპრულ ცხენთა თქარუნე,  
ყველა ლეგენდის, ყველა მითების  
ყარინა, ბორჯვა ელამიტების,  
და თრთოდნენ,

თრთოდნენ ნაერადქვეული  
ფესვები ჩემი ათასწლეული...  
ქვეული ნაერად, ქვეული ფერფლად...  
გადავუფრინეთ ტიგროსს და ეფრატს...“

ირაკლი აბაშიძემ ეროვნული ფესვების ამგვარი შეგრძნებით დააბიჯა ფეხი ინდოეთის მიწაზე, ამგვარი პოეტური თვლით აღიქვა მან ამ ზღაპრული მიწის ფლორისა და ფაუნის საოცრებანი და როცა იგი ამ უცხო პეიზაჟებისა და ფერების ხილვით ტკბებოდა, უმკველად გულში რუსთაველის გრძელულ სტროფონებს იმეორებდა და როცა ავთანდილის სიმღერა გაიხსენა: „რა ესმოდის მღერა უმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“, აღბათ, ოცნებით წარმოიდგინა რუსთაველის სახე და იფიქრა, ვინ იცის, იქნებ ამ მიდამოებში ოდესმე მართლა გაუფლავა, იფიქრა და შერე წლების მანძილზე მისი ნაკვალევები ესაზმარებოდა, მის იდუმალებით მოცულ ცხოვრებაზე, ბედ-იღბალზე ოცნებობდა და ქართული პოეზიის შედეგებს თხზავდა:

„ნახე ეს ცა...  
 ამ არწივის წამოფრენა,  
 ამ ტუის ცეცხლი...  
 პორიზონტი მკრთალი...  
 არა; შორით  
 ამ სამუაროს წარმოდგენა  
 ჟერ არ ძალუძს  
 კაცს გონების თვლით.  
 წარმოიდგენ  
 თერაინის მტერიან ბინდებს,  
 მაგრამ ვერა  
 ფენჯაბსა და ლახორს,  
 უნდა ნახო,  
 უნდა ერთხელ ჩამოფრინდე,  
 უნდა ნახო,  
 შენი თვლით ნახო.  
 ნახო ამ გზებს,  
 ჟერ უზილავს, ჟერ უხსოვარს,  
 რა მზე აჭერს,  
 რა ბუღბუღი უსტყენს...  
 ეს ქვეყანა  
 თვით გენიოსს, სწორტპოვეარს,  
 არ იქნება,  
 არ ენახოს რუსთაველს.  
 და აუც დავალ  
 ვინძლო მის კვალს ვინისმებდე  
 ინდოეთის  
 გადაჯარგულ გზებზე;  
 შეიდასი წლის,  
 შეიღიათას წვიმის შემდეგ  
 მის ნაფეხურს,  
 მის ნაკვალევს ვეძებ“.

ირაკლი აბაშიძემ დიდად გაამდიდრა ქართული პოეზია უცხო ქვეყნებში მიღებული შთაბეჭდილებებით, ჩვენთვის უცნობი „საკვირრელებანი“, უცხო მზისა და მიწის უთვალავი

ფერითა და პეიზაჟებით, შორეული ფენჯაბისა და ლახორის ბუნების თავისებურებით გაცილებული, განვის ნამირას იანერის გმირმებულ მზინს დილას ისე აგვიწერს, თითქოს მსჭაქმჭაქმით თბათვეში არაგვის ამწვანებულ ქალებს ხატავდეს:

„მწერი ჩქარობდა ნექტრის აკრფას,  
 პეპლებს უხსნიდნენ მყერდს გულბრუნები;  
 ცხელ ზაფხულისთვის საზრდოდ, საყვებად,  
 ტვირთს მიათრევდნენ ჰინაწველები.  
 ხე ისწორებდა მხრებს არწივივით  
 ცისკენ იწვედნენ თითქო ბუნქებიც,  
 მაღლა ქალწულის კივლა-წივილით  
 დასარალებდნენ თეთილუშები;  
 მერცხლებს მოველოთ ჩვენი ქვეყნები  
 უველა ფრინველის შესანატრებლად;  
 ლაქეარდს გაჰკროდნენ ლურჯი ქედები  
 ზეცის სილურჯის შესამატებლად“.

და გვერვენება, თითქოს მომზიბულელ ზღაპარს ვისმენდეთ. მაგრამ „რუსთაველის ნაკვალევზე“, დაწერილი ლექსები ჩვენ უფრო მეტად იმით გვბობლავს, რომ ისინი, უპირველესად, შთაგონებულნი არიან სამშობლოს უსახლეურო სიყვარულით. იმით, რომ პოეტი შორეულ ინდოეთშიც შესჭოთხ ფიქრობს, ფშავ-ხევსურეთსა და არაბულ იხსენებს, უოველი მერცხალი იქიდან მოფრენილი ჰგონია მას უცხო მიწაზე. საჭაროველოზე ფიქრობს და ინდოეთის თვალწინდელ სივრცეებს გასცქერის, მერე ოცნებაში რუსთაველის ხატებას ეკითხება: „— რამ გადმოგხვეწა ამ მწველ აღმურში, რამ ავიყარა მესხეთს კარაივი?“ მტრობამ, შურმა, ღალატმა, ცბიერებამ თუ სიძულვილმა? — ვინ იცის, იქნებ არცერთი გამორიცხული არ იყო, მაგრამ ყრუ ტრამალებიდან რუსთაველის ხმა ასე პასუხობს: „რამ? — სიყვარულმა.“ და იქნებ ეს სიყვარული სამშობლოს სიყვარული იყო და პირმშვენიერი თამარისაც, როგორც ამაზე ლევენდა მოგვითხრობს. იქნებ სწორედ სამშობლოს უნაპირო სიყვარულით იყო გამოწვეული რუსთაველას უთანხმოება სამეფო კარის დიდებულებთან ქართველი ერის მომავალი პერსპექტივების გამო და იგი იძულებული გახდა უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო. იქნებ, ინდოეთიც მთარა და არაბეთიც და ბოლოს პალესტინაში ქართველთა ჟეარის მონასტერში დაივანა, რომ იქ სიყვდილამდე სამშობლოს ხატზე ელოცა, გონებანათული აღამიანისათვის სამშობლოს სიყვარული, კემპირიტად, უველაფერზე მაღალია აღამიანი სამშობლოსაგან რაც უფრო შორსაა, აღბათ, მის სიყვარულს მით უფრო მძაფრად განიცდის.

ირაკლი აბაშიძე ინდოეთის ზღაპრული ბუნებით მოხიბლული ფენჯაბის, ლახორისა და განვის მიდამოებს სამშობლოს ადარებს და გრძნობს, რომ საქართველო მისთვის მარტო ბუნება არ არის,

რადღაც უსაზღვროდ მეტია და მისი სიყვარულით გულზე ცეცხლწაიკვამილებელი სწერს, კი არ სწერს, თითქოს ლოცულობს:

„ბევრი ამ ქვეყნად ერთ თბილ დღეს ნატრობს,  
ბევრს თოვლიც არ წვავს,  
გულით რომ სტრდეს,  
მე კი სხვა მიწის რა უნდა მშურდეს,  
სამშობლოვ ჩემო, შენს შვილს და პატრონს.

ცხელ ინდოეთის ვიყავ სტუმარი,  
სულთ შევეწყე, გულით გავუნდე,  
მიწას არ ქონდა რამ საწუნარი  
ოკეანიდან ოკეანემდე.

რის დაწუნება, რა დაწუნება,  
ისიც შენ გვარად არის ზღაპარი,  
მაგრამ შენ არ ხარ მარტო ბუნება,  
მაგრამ შენ არ ხარ მარტო მთა-ბარი.

სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანქალი,  
ლხენის აფრენა, ჭირის მოთვნა,  
მაგრამ მკირე ხარ, შენ გენაცვალე,  
სულ პატარა ხარ, გულისოდენა;

არ გასწვდომიხარ მერიდლანებს,  
ამ დედამიწის სიგრძე-განედებს,  
შენი ფოთოლი არ მიფრიალებს  
ოკეანიდან ოკეანემდე.

მაგრამ შენ სვე-ბედს ვანა დამრბავს  
შენი მგოსანი, შენი პოეტი?!  
იყავ, რაცა ხარ,  
იყავ, რაცა ხარ...  
დაგვილოცნა ეს ინდოეთი“.

მერე, სამშობლოზე სიმღერით გულმოყვრე-ბული, ინდოეთის პოეტებს მოსხლეტილი ღირი-კული ლექსით ვაეპაეჭრა, დელში და კალკუტაში ხელშეორედ ჩასვლას დამპირდა, მთავარიან ცის ქვეშ მუშაირაზე შეხვედრა აღუთქვა და ბოლოს რუსთაველის ნაცვალევა, პალესტინაში, ქართ-ველთა ჭვარის მონასტერში მოიყვანა. იქ თავისი წინაპრების დეაწლითა და მადლით გასპეტაკე-ბულ მონასტრის ვედელს მოკრძალებით ეამბო-რა, ზედ რომ რუსთაველის გამოსახულება უჩ-ვენეს. მერე, როცა მონასტრის მიდამოებში ზე-თისხილის ვეაილებიხა და დაფნის ფოთლები სურნელით გაედუნდილი პაერი ისუნთქა, შიგ რომ ხავსმოდებული თაღების ნესტი და საეშე-ლის სენი ერა, ინდოეთის ყრუ ტრამალეგში გაგონილი რუსთაველის ხმა უფრო მკაფიოდ შემოესმა: „ახლოს, სულ ახლოს, შენი ხმა მოწე-და ჩემს მგოსნერ გუმანს“. და პოეტი ენდო თა-ვის მგოსნერ გუმანს, ალღოს, ირწმუნა, რომ რუსთაველი სწორედ აქ, პალესტინაში, ქართ-ველთა ჭვარის მონასტერში აღესრულა, აქ კოცა

სამედამო სამეოფელი, რის შესაძლებლობა გა-მორიხებული არაა, თუ გაეითვალისწინებთ იმ-დროინდელი საქართველოს სპილიტეტერ და ეკონომიერ ვითარებას, მას უფროსი რისიოქსისა და-საეღუთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებ-თან და იქ მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტ-რებში ქართველ მწიგნობართა და ფილოსოფოს-თა მოღვაწეობას. მშობლიური შესხეთისა და სამცხის მიწიდან აედევნა პოეტი რუსთაველის ნაცვალევის, შორეული ინდოეთი მოიარა და მის-სეთერ არდილს“ პალესტინაში შეპლადდა:

„შენ აქ ხარ,  
აქ ხარ...  
დასრულდა ავალა,  
მშობელი მიწის  
ეს მედო ვალი;  
აქ შენი მშვიდი  
ნაბიჯი შეწყდა,  
აქ დაწდა ცრემლი,  
ხმელეთს რომ რეცხდა,  
ვღავარ შენ სახლთან,  
შენს ჩამქრალ ცეცხლთან,  
წუხილი მესხთა,  
მახილი მესხთა“.

ირაკლი აბაშიძემ უჩვეულო ინტიმით, ინტე-ლაქტუალური ჭვრეტით აღიქვა რუსთაველის უზენაესადე ამალეებელი გონების სიმღერა-მისი უკიდევანო ბობოქარი სულის სიღრმე და ჭეშმარიტი პოეტური ხილევებით გვიჩვენა მისი შინაგანი საეყარო, სამშობლოდან გადახვეწილი, მახლობელთა და მეგობართ ნუგეშს მოკლებულ-ლი დიდი შემოქმედის აღამიანური წუხილი და შემოფოთება ბედის ურულმართობითა და საწუთ-როს გაუტანლობით გამოწვეული. რუსთაველის საიდუმლოებით მოკული ბიოგრაფიისა და ტრა-გიკული ცხოვრების ზოგეერთ დეტალს იგი პო-ეტური ფანტაზიით აღადგენს, საეუთარ სულის წიაღში ვაატარებს, ნაფიქრსა და ნაერძობის ზორს შესახამს, განასხუელებს და ისე ცოცხ-ლად, დამაყრებლად წარმოგვიდგენს, თითქოს ყოველივე ეს დიდებულ წინაპართან ერთად ჰქონდეს განცდილი და გადატანილი. ეს არის ირაკლი აბაშიძის პოეზიის მაღლი!

„ვეფხისტყაოსნის“ აეტრის იგი მშფოთეარე, მეამბოხე, პროვკესული იდეების მქადაგებულ მოძღვრად წარმოგვიდგენს, რომლის ბობოქარი სული, ალბათ, ვერ ეტეოდა საშეალო საეუენე-ების სქოლასტიკური ფილოსოფიის ჩარჩოებში, როდესაც ჩვენ ირაკლი აბაშიძის პალესტინა, პალესტინას“ ეკითხულობთ, თვალწინ გვხვებტება ჭვარის მონასტრის ზეთისხილის ბაღში განმარ-ტოებული მოხეცი, რომელიც ანტიკური დროის ვარსკვლავთმრიცხველით მნათობების მოძრა-ობას ეკვირდება, თავისი ცხოვრების ქარაშხლი-ან გრძელ გზას იხსენებს, ოცნებაში თამარის სა-



ზე ეხატება და ხელაყრობილი და თვალანთებული საშობლოზე ლოცულობს:

„სხვა რამ არ მწამდა  
საშობლოზე წმიდათა წმიდა, —  
შეშინდებ, ღმერთო,  
მამულისთვის უოცლის დათობა;  
მნათობი შენი  
საქართველოს მწამდა მნათობად,  
თოვდა თუ წვიმდა,  
მამულისთვის თოვდა და წვიმდა.

რუსთაველი ჭვარის მონასტრის ფრესკაზე ღრმად მოხუცებული ჩანს. ეტყობა, წელთა სიმრავლემ მისი სხეული რამდენადმე მოღრია, მაგრამ მისი სული და გონება, სიციცხლის აღსასრულის გამსაც ისევ ჰემარტიზების არსის საბოლოოდ გარკვევის სურვილით აღგზნებული, შეუპოვრად ეკამათება უოცლისშემოქმედ განგებას: „შენ მოხოვდი თაყვანს, მხოლოდ თაყვანს, თაყვანს განუსჯელს, მე მხოლოდ განსჯის, მხოლოდ განსჯის ვიყავ მლოცველი“. „და თუ შენ მაინც ეოცდები მითელი ამ ჩემს საწადელს, ეოცდა, არიოცდის ჰემარტიზი სად ძვეს საზღვარი?!“

პოეტს დიდი სიმამფრთხი და მღვდლოვებით აქვს ვადმოცემული სიყვდილის პირას მისული ადამიანის განცდები, ადამიანისა, რომელმაც, აღზათ, ნახევარი მსოფლიო შეშოიარა, ამომწურავად შეიარაღო და შეიციო კეთილია და ბოროტიც, იგემა ყველა ამქვეყნიური სიტყბოცა და სიმწარეც, დატყმა შთაგონებული შემოქმედების ნაყოფით, ახლა იცის, ეალმობილი და დამაშვრალი სამუდამო სირქმეს, მარადიულ მღუმარებას რომ უნდა შეუერთდეს, თითქოს აღარფერი დარჩენია საბოლოარი განგებასთან, მაგრამ გულს უღრღნის ფიქრები შიტოვებულ საშობლოზე: „ვინ იციო, როგორ მელის ვარძია...“ „ვინ იციო, როგორ მელის მესხეთი...“, „როგორ მელთან მტკვარზე მერცხლები...“ და ელანდება საქრისტიანოსაგან მოწყვეტულ საშობლოს როგორ ესევთან სპარსნი თუ არაბნი, როგორ ტირიან ქართლში სამრკელოები და უოცლის შემოქმედის იყვება: „აკმაზე კიოი,

მტრის მონობა,  
სპარსი არაბი;  
აშორე ცრემლი,  
უსჯელობა,  
წარღვნა, ქართვი;  
შენ გვედრებო,  
შენს დიდ გზაზედ  
ლოცვით მარება:  
არ დაუტეო საქართველოს  
პონტის კარები“.

ირაკლი აბაშიძის წარმოდგენით, ასე ლოცულობს საშობლოს მოწყვეტილი, დაუძღურებუ-

ლი, დიდებული მოხუცი საშობლოზე და ბიბუნიდში იგონებს სიკვამლის ეამს განცდილ სიჭარხლისა და ბედნიერების წუთებს, მშობლიურ მიწაზე, თვისტომთა შორის, თამარის, სიბოლოვეთა და ეჭვრით რომ განიცდიდა. და ერთხელთა გვიცილის, როდესაც ვკითხულობ: „— თამარ, გოდეზა, უსასრულო და უნაპირო, თამარ, ლეთა-ება, თამარ, მზეო; მზეო ჩასულო!“ ანდა: „— დამაშობებლმან მე საწუთრომ დამაშხო, თამარ!“ — მე იქ ვათოვდი, სადაც ჩაქრა შენი ნათელი, შენს გარდასახვას ნიჭიე წაყვა ზემიტრფილის“. მაგრამ ჩვენს ვათება, სინანული და მღვდლოვება უმაღლეს წერტილს აღწევს, როდესაც ვისმენთ რუსთაველის გამოთხოვებას ყველაზე ძვირფასთან, ყველაზე მაღალთან — შობლოურ ენასთან. ყველაფერი შორჩა, ყველაფერი ვათოვდა. მაგრამ სიყვდილის პირას ენსვერ ამობს, ენას, რომელშიც ყველაზე მეტად არის ვაცხადებული მისი ერის უცდებება.

ნატიფი ფერებითა და პოეტური სიტყვის უაღრესად ფაქიზი განცდილ დავიხატა ი. აბაშიძემ „ეუფხისტყაოსნის“ აეტორის ნათელი პიროვნება, მისი უსაზღვრო სინათლის მომცველი ღვთაებრივი სახე. ამტომაც დიდი სიხარულითა და სიყვარულით ხვდები მის ყოველ ახალ ლირიკულ ქმნილებას ქართული ხალხი. მისი მოქნილი პოეტური სიტყვა, მოხდენილი, ფრთიანი ფრაზა ყოველ ახალ ლექსში ახალ მომხიბვლელობას იძენს. სწორედ მის სტრატონებზეა მორგებული რუსთაველის ნათქვამი: „სილბოქმონდა ნაქსოლისა და სიმტყიე ნაწვიდისა“. მის პოეზიაში დიდი ადვილი უქირავს ენის ფენომენს, როგორც ესთეტურ კატეგორიას. იგი ყოველ სიტყვას რაღაც ინტიმურად განიცდის და გრძნობს, მისი ლექსი უღრესად ქართულია არა მარტო განწყობილებით, შინაგანი აგებულებით, სტრატონების კეთილნამუნობით, არამედ გარგვეთი ელვარებითა და ტემპერამენტოაც. იგი ყოველ სიტყვას ეროვნულ საბურველში ახვევს. სწორედ ეს აძლევს მის პოეზიას დახვეწილ ეროვნულ სახეს. იგი დღესაც დაუშვრტული ენერგიითა და შთაგონებით იბრძვის ქართული პოეტური სიტყვის ამაღლებისათვის, პოეზიის ახალი მწვერვალების აღმოჩენისათვის. ჰემარტიზი, მისი ცხოვრების სამოცი წლისთავზე შეუძლია ამაყად გაიმეოროს „მახლოვებაში“ ნათქვამი სტრატონები:

„მე შენახელი მაქვს შთაგონება,  
ის ხმა გულისა, სიტყვა გულისა,  
ხან სიხარული, ხან დღონება —  
ეცხლი პირველი სიყვარულისა.  
სევდა, სიმღერა ათასეული,  
ომიანობა, შრომა, ბუნება...  
როგორც საუნჯე, ვით ფასეული,  
მე შენახული მაქვს შთაგონება“.



წიგნი ბაიძე

# „ესთეტიკური ლაბირინთი“ და მისი განსაზღვრა

შერჩა „მნათობის“ მიმდინარე წლის მეხუთე და მეექვსე ნომრებში კრიტიკოსმა გივი ვარდოსანიძემ გამოაქვეყნა წერილები: „კრიტიკული აზროვნების მაღალი დონისათვის“ (№ 5) და „კრიტიკა-მეზობელი, შთამბავთების, დამამკვიდრებელი“ (№ 6).

კრიტიკოსი მიზნად ისახავს კეთილშობილურ ამოცანას — კრიტიკის კრიტიკას, რაც ჩვენში ესოდენ დაუმსახურებლადაა მივიწყებული და შეუარაღებლად მიტოვებული.

გ. ვარდოსანიძე ეხება გასული წლის „მნათობში“ გამოქვეყნებული წერილების ავტორებს, რომელთა შორის მეც მოეხედა. შინადაზოგადი შენიშვნის თაობაზე გამოვთქვა ჩემი მოსაზრება და ვცადო მათი უზუსტობის დამტკიცება.

დროულად კრიტიკოსის ტონი დაუმსახურებლად გამკლავი და რამდენადმე ცინიკური გვეჩვენება. მაგალითისათვის ჩამოვთვლით ზოგიერთ იმ ეპითეტსა და ფრაზას, რომლებითაც იგი ველურვად „შამკობს“. აი, ისინი: „ანალიზის დროს ზედმეტ მონდომებას“, ერთგვარ „გადაჭარბებას“ ამჟღავნებს“, „ეს უზომო მისწრაფება „სიღრმისადმი“, ეს გაზეიადებული ხელოვნური პროფესიონალიზმი, ეს ზედმეტი „ესთეტიკური კრიტიკა“ არა იშვიათად (?) თვითმიზნურ ხასიათს იღებს და „გართლებული ანალიზის“, „შეუსაბამობათა და ბუნდოვანების სათავე ხდება“, „ესთეტიკური ლაბირინთი“, „ესთეტიკური ცინიანიზმი“, „ან ეს რა ახალ მხატვრულ პრინციპს „ჩაწვდომია“ კრიტიკოსის“, „ლიტერატურული კოწიწობა“, „განა, (?) რა ფასი აქვს კრიტიკოსის ასეთ „მონდომებას“, მის სურვილს — თქვას ღრმად, ახლებურად; მის მისწრაფებას — „ღიღი პროფესიონალიზმისადმი?“ (მნათობი“ № 5, გვ. 97-98), „კრიტიკოსი ზოგჯერ... ზედმეტ მეტიკტიკობას ამჟღავნებს“ („მნათობი“ № 6, გვ. 106) და სხვ.

ახლა მივევთ როგორ ასაბუთებს გ. ვარდოსანიძე ამ „საბრძოლო“, შეურაცხყოფელ ზალს. კრიტიკოსს „მნათობის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კრიტიკული აზროვნების მაღალი დონისათვის“ მოჰყავს ციტატა ჩემი წერილიდან „ლირიკული თრთილვის ექო“ — „მნათობი“, № 10, 1968 წ. (წერილში განხილულია ოთარ ჭელიძის პოემა „ჩემი მავნიტური არე“).

ამ ციტატაში მე აღვნიშნავ, რომ ოთარ ჭელიძემ მონაპა მოხდენილი პოეტური საყრდენი წერტილი, რომელშიც ერთ მთლიან მხატვრულ ფენომენად აქცია გარეგანი და შინაგანი და ეპიკურ სამყაროში ფართო სამოქმედო ასპარეზი შეუქმნა პირად პოეტურ „მე“-ს, ლირიკული ხატვისა და წვდომის თავისეულ ენს. ამ დებულებებს გ. ვარდოსანიძე „ესთეტიკურ ლაბირინთის“ უწოდებს და მწვავე ცინიკური ტონით დასძენს:

„მაინც რა მოხდენილი საყრდენი პოეტური წერტილი მოხდა ეს ოთარ ჭელიძეს, რომელშიც ერთ მთლიან მხატვრულ ფენომენად აქცია გარეგანი და შინაგანი? რა „გარეგანი“ და რა „შინაგანი?“ რით შეუქმნა სამოქმედო ასპარეზი ეპიკურ სამყაროში პირად პოეტურ „მე“-ს, ლირიკული ხატვისა და წვდომის თავისეულ ენს? როგორ გავიგოთ ყოველივე ეს. როგორ გავერკვეთ კრიტიკოსის მართლაც ამ „ესთეტიკურ“ ცინიანიზმი?“

როგორ გავიგოთ და როგორ გავერკვეთ — ეს ცოტა არ იყოს აბორებული კითხვებია, მაგრამ რა გაფიქობა-ვეცდებით გვანათოთ ეს „ესთეტიკური ლაბირინთი“ და გ. ვარდოსანიძეს დროულადრო შევასხვინოთ, რომ აღმაშფოთებელი და დასაგმობი აქ არაფერია.

ობიექტურის (გარეგანის) ესე იგი, შემოქმედის სუბიექტის შინაგანი სამყაროს ვარჯთ არსებული ფენომენის პრიმატი ეპიკის თავისებურების ანბანური ნიშანია. ეპიკაში ავტორის

მხატვრული პოზიცია, მისი განწყობილება, იდეური წინაფიქრი უშუალოდ ობიექტშია განდგენილი. მართალია, ობიექტი შემოქმედის სულიერ სამყაროში სახეცვლილებების რთულ პროცესს გაივლის, რამდენადაც კარგავს პირველყოფილ სახეს, მაგრამ გარეგნულად იგი მაინც იმპრინტებს სუბიექტს, უკან პლანზე გადასწევს მას და თავის თავში აენიხნარებს. მავალითისთვის ავიღოთ ილია ქაქავაძის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ავტორმა თავისი ადამიანური მრწამსი, მოქალაქეობრივი პოზიცია, პროტესტანტული სული, მობალური კონცეფციები კაკოსა და ზაქროში გაამყარა; ესე იგი, პირადი „მე“ ვასხვისსა, ობიექტში, გარეგან ფენომენში განდგინა. „ელეგიაში“ კი წინა პლანზე წამოსწია პირადი „მე“, უშუალოდ თავის შინაგან მგრებზე, განგაშზე გადაიტანა აქცენტი და სტლერ რეაქციაში გვანიშნა ობიექტური ფაქტი (სამშობლოს უბედურება), რომელიც პოეტის შინაგან სამყაროში იძირება და უჩინარდება. მკითხველზე მოქმედებს უშუალოდის განცდა, სტლერი მდგომარეობა, ასოციაციითა კომპლექსი, რაც პოეტს ამ ფაქტმა შთააღონა და მისა ფსიქიკური სამყაროს ექვივალენტად იქცა; მაშასადამე: „კაკო ყაჩაღში“ მხატვრულ ფენომენად განსახიერდა ობიექტური, გარეგანი „ელეგიაში“ კი შინაგანი, პირადი, სუბიექტური. დავიმოწყოთ ავტორიტეტები.

პეგელი პოეტური ეპოსის თავისებურებაზე ამბობს: „სუბიექტმა ობიექტის უკან უნდა დაიხიოს და მასში გაუჩინარდეს“, იმასაც კი, რაც გმირების შინაგან სამყაროში ხდება, პოეტი ობიექტურად ხსნის“ (თხუზუბანი, ტ. XIV, მოსკოვი, 1958 წ; გვ. 234-35).

„აქ (ეპიკურ პოეზიაში — ფ. ბ.) არ ჩანს პოეტი; სამყარო, პლასტიკურად გამოყვებითი, თვითონვე ეთარდება, და პოეტი თითქოსდა უბრალო მონტრებელია იმისა, რაც თავისთავად ხდებოდა. ეს არის ეპიკური პოეზია“ (ბელინსკი, რჩეული თხუზუბანი, ტ. 1, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1952 წ. გვ. 357). „ეპიკური პოეზია უპირატესად ობიექტური, გარეგანი პოეზიაა“ — იქვე, გვ. 360. როგორც ვხედავთ, აქ გარეგანი გარკვევითა და ცხადად ელერს ობიექტურის სინონიმად. გერმანელი ესთეტიკოსი რ. პრელსი ეპიკუ-

რი პოეზიის განხილვისას აღნიშნავს: „იქსაფენის, რომ საგანი შიველი თავისი ობიექტურობით აისახოს, აუცილებელია, შემოქმედელს ღლიად გაათვისუფლდეს საკუთარი „გარეგანუბნისაგან“, (ესთეტიკა“, პეტერბურგი, 1895 წ. გვ. 240).

ახლა ამ სახათბალო „შინაგანზე“ გადავიდეთ. დავიწყოთ კვლავ ბელინსკით: „ღობიკული პოეზია... უპირატესად სუბიექტური, შინაგანი პოეზიაა, თვით პოეტის გამოხატულებათ“ (რჩეული თხუზუბანი, ტ. 1, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1952 წ; გვ. 360) „შინაგანი, იდეატური (სუბიექტური) იქცევა გარეგანად, რეალურად (ობიექტურად)“ (იქვე, გვ. 358). (ფრჩხილები ბელინსკისად). აქაც უნდატა ბელინსკიმ გ. ვარდოსანიძეს და სუბიექტური შინაგანის იდეატურ-ექვივალენტურ ცნებად წარმოვიდგინა.

„...რამდენადაც ღირიკა შინაგანის მთლიანი გამოხატულება“...

„ნამდვილად ღირიკამ... ადამიანის გულის არსი უნდა გახსნას“ (პეგელი, თხუზუბანი, ტ. XIV, მოსკოვი, 1958 წ; გვ. 302-300). თუ „შინაგანისა“ და „გარეგანის“ საკითხი ოდნავ მაინცაა გარკვეული, გადავიდეთ კრიტიკოსის მეორე კატეგორიული კითხვა-შეძახილის პასუხზე. შოლუად: ოთარ ჭელიძის პოემას ღირიკულ-ეპიკური, ესე იგი, ორპლანიანი ნაწარმოებია. პოემის სრულყოფისათვის აუცილებელია მოინახოს სუბიექტურისა და ობიექტურის, შინაგანისა და გარეგანის გამართთანებული მოდუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ან შრალი, ცეკო, უეშოციო, არამაღულეუბელი თბრობა და აღწერა (ეს როცა ეპიკური ფენომენი დომინანტობს) ვაბატონდება ან გაჰანურებული, ხელოენური, ეგრეთწოდებულო, თითებდან გამოწოვილი ღირიკული გრძნობა, პირადი განცდის მომამბურებული, არამუნებრივი და არაუშუალო პიპერბოლიზაცია (აქ ღირიკულის, ანუ შინაგანის ვაზვიადებულ პრიმატს ევულისხმობ, პატივცემულო კრიტიკოსო!).

მოვეხსენებთ, რომ არც ერთთა სასიამოვნო და არც მეორე. თუ „ესთეტიკურ ენიანიობას“ არ დაიწვიებთ, ჭქსას არ აუგლებთ და თავს არ შეუშეერთ, შეგვიძლია პირდპირ ვთქვათ, რომ თრთვე ეალმბრიეობა აშკარა მარცხს გადაპყრიდა პოეტს.

ოთარ ჭელიძემ პოემას ეპიკური ელფერი შეუნარჩუნა (სოუეტის ვანვითარება, აშბის.

1. გ. ვარდოსანიძე ხშირად იხსენიებს ბელინსკის: „ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ღეაწილ თავისი დროისა და შთამომავლობის წინაშე განსახლერა დიდი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით“... „ბესარიონ ბელინსკისათვის ღიტერატურული მასალა საშუალება იყო აზრების გამოსათქმელად...“ „ბელინსკი აღარ იქნებოდა დიდი მობოქარი ბელინსკი...“—

„მნათობი“, 1969 წ; № 5, გვ. 95. ეტუობა, გ. ვარდოსანიძე დიდად აფასებს თავის კოლეგას და ეს მისსაღებუელია, მაგრამ ცოტა უფრო ღრმად რომ ჩაეხედა საკითხში, ბელინსკის მაინც დაუქვრებდა, მეც გადაერჩებოდი და აღარ დამტუქსავდა—რა „გარეგანი“ და რა „შინაგანი“?.

კომპონიციის საგნობრიობა და სხვ.) და ამავე დროს ყოველი ობიექტური დეტალი, ეპიზოდო, გმირი და საერთოდ შთელი მასალა ღრმად და ორგანულად გაატარა პირად პოეტურ სტიქიაში, დაძლია ემოციურ-სახგობრივად და ყველაფერს საკუთარი ნერვი გადაუნერგა. მისი ლირიკული „მე“ გააქტიურდა, გაბედულად შეიჭრა ეპიკურ, ობიექტურ სფეროში და სინთეტიკადა, ერთობლივ მხატვრულ ფენომენად აისახა გარეგანი და შინაგანი, სუბიექტური და ობიექტური. კრიტიკოსი რომ გვეკითხება — რით შეუქმნა სამოქმედო ასპარეზი ეპიკურ სამყაროში პირად პოეტურ „მე“-ს, ლირიკული ხატვისა და ქველმის თავისუფლ ენისო, ეს სწორედ ამ კითხვის პასუხია. თუ გ. ვარდოსანიძეს ჩემი არ ჯერა, შევახსენებ თავისივე მოსაზრებას: „ლირიკული გმირი მძაფრად აღიქვამს და განიცდის სინამდვილეს... ამასთანავე ლირიკული გმირისათვის დამახასიათებელია შინაგანი სულიერი კონფლიქტები და კოლიზიები“ — („მნათობი“, 1969 წ.; № 3, გვ. 129-130).

ამჯერა, რომ კრიტიკოსი უვრადღებებს ამხევილებს პოემის ლირიკულ, შინაგან, სუბიექტურ ნაგადზე. მგონი აღმოჩნდა „ესთეტიკური ლაბირინთის“ გასაღები. აქვე თავს უფლებას მივცემ და აღენიშნავ, რომ გ. ვარდოსანიძე ცნება „შინაგანი“ შექანიერება ხმარობს. სხვაგვარად არ შეიძლება ავხსნათ ის ავღებელი ტონი, რითაც მე იგი ამ ტერმინისათვის მომართავს.

შემდგომ მე ეწერ, რომ ავტორის (ოთარ ჭელიძის — ფ. ბ.) სულიერ-ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ერთობლივი მოქმედება პოემის ყოველ ეპიზოდს იდეურ-ემოციური ცენტრისაკენ გამოიხატავს, დეტალებს შორის იქმნება თანმიმდევრული აზრობრივ-ემოციური კონტაქტი და ასე იკვეთება იდეისა და განწყობილების ცენტრი. გ. ვარდოსანიძე მორაგ შეტევას ამ დებულებებზე თავდასხმით იწყებს და გვეუკითხება: „როგორ გავიგათ ავტორის სულიერ-ინტელექტუალური შესაძლებლობათა ერთობლივი მოქმედება? ან ეს მოქმედება როგორ გამოიხატავს პოემის ყოველ ეპიზოდს იდეურ-ემოციური ცენტრისაკენ? ან რას ნიშნავს „იდეურ-ემოციური ცენტრი“, „იდეისა და განწყობილების ცენტრი“? პასუხი: სულიერ-ინტელექტუალური, ანუ ემოციურ-ინტელექტუალური, გრძობად-ინტელექტუალური. პედალი, ბელონსკი და სხვა მრავალი (რამდენიც გნებავთ) ავტორიტეტი „სულიერს“ ხმარობენ გრძობადის, ემოციურის ექვივალენტად. მიგაღლითად: „მუსიკა უპირატესად სულის შინაგანი სამყაროს გამოხატულია“... „მეტყობები კი თუშეცა სულს ბევრს ეუბნება, მაგრამ გონებას ნათლად და გარკვევით არაფერს...“ (ბელონსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, სახელმწიფო გამომცემლობა, 1952 წ.; გვ. 357).

„...ამიტომ უფლება აქვს (სუბიექტ-ლირიკოსს-ფ. ბ.) შეზღუდეს... სულიერ-ფუნქციებს...“... რა სუბიექტუალურად შინაგან სულიერ განწყობილებას“ (ქვევლი: „სულიერობა“, ტ. XIV, მოსკოვი, 1958 წ.; გვ. 297-309).

გ. ვარდოსანიძე ხშირად ხმარობს „სულიერს“ და ალბათ ისიც გრძობას, ემოციის გულისხმობს მასში; სხვა გამოსავალი არ არის. აი, მისი ფრაზები: „სულიერ და გონებრივ სიმწიფეს“, „სულიერი ტრავმები“, „სულიერი კონფლიქტები“, „მძაფრა სულიერი ტრაილი“ და სხვ. „მნათობი“, 1969 წ.; № 3, გვ. 125, 127, 130, 132).

ახლა ერთობლივი მოქმედების საკითხს მივხედო. გრ ვამბობ: პოეტის (ოთარ ჭელიძის-ფ. ბ.) პერსონა და გონება ერთმანეთს არ ეთიშება, ერთიანად მოქმედებს და იცვრება აზრობრივი ემოციის, ანუ ემოციური აზრის რჯალი. უფრო დაწერილებით: პოეტის მხატვრული ემოციისა (გრძობის) და ინტელექტის (გონების) შესაძლებლობანი ერთმანეთს ერწყმიან, ერთმეორეში გადადიან, იქმნება აზრობრივ-ემოციური გაბა და არა მხოლოდ გონებრივი ან შიშველი, აზრისაგან დაღლილი ემოციური სქემა. აზრისა და ემოციის ერთიანი მოქმედების პრინციპი პოეტის და განსაკუთრებით ლირიკის თეორიის ერთერთი ძირითადი პრობლემაა. პერაკლიტე ამბობდა-უფროსი შეგრძნებებს მხოლოდ უხეში სული ენლობათ. ბელონსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, უაზრო გრძობა ცხოველების ხვედრია; იგი აღაშინანს ამცირებს.

მხატვრის კრიტიკოსმა და ამ ქვეყნად რომ ყველაფერს აქვს თავისი ცენტრი, ეს ყველამ კარგად იცის. მხატვრულმა ნაწარმოებმა რაღა დააშავა? დიახ, იდეური ცენტრი, მაგისტრალი, რომელშიც თავს იყრთან შემაღდგელი იდეები, ცალკეული კონცეფციები, ხელოვნების ქეშმარიტი ნაწარმოების გარდაუვალი და აუცილებელი ფაქტორია. ნუ შეგვაშინებს ხოლმე სხვის შირი სხვაგვარად თქმული. ყველამ ერთ ხმამზე რომ ვიღვრათ, მსმენელს რა ეშულება? მე ეტყობო იმასვე ვგულისხმობ, რასაც გ. ვარდოსანიძე პოეტური ქმნილების მხატვრული ორგანიზმის განმსაზღვრელ ფაქტორს უწოდებს („მნათობი“, 1969 წ.; № 3, გვ. 124).

ცოტა ქვემოთ იგი წერს:

„პოემის მთავარი მათობი სწორედ ის არის...“ (იქვე, გვ. 126).

„პოემის წამყვანი იდეის ხორცეშესმას, მის შთაბეჭდვად გამოკვეთას ემსახურება (?) შედარებით უცანა პლანის პერსონაჟები, ბევრი მხატვრული დეტალი, სახე და სურათი“ (იქვე, გვ. 129.) ამ სტრიქონებში გ. ვარდოსანიძეს აქვენიტი გადააქვს პოემის მთავარ, ცენტრალურ ნერვზე, რომელშიც გაერთიანებულია იდეა და განწყობილება. ყოველი იდეა, ცე-



ნტრალური იქნება იგი თუ ეპიზოდური, შემაღგენელი, თავისი ბუნებისა და მისშტაბის შესაბამის განწყობილებას, ემოციას აღგვიძრავს. შესაძლოა, კრიტიკოსი იმას მსაუვედრობს, რომ აღნიშნულ ციტატაში იდეურ ცენტრს სახელი არ ჰქვია. უფრო მეტი გულმოდგინებით რომ ჩავეთხა წერილი, ამ სახელსაც იპოვიდა. აი, რაში ვხვდავ მე პოემის იდეურ ცენტრს, მის შესაბამის განწყობილებას — ემოციურ გამას და, ვგონებ, არც გ. ვარდოსანიძეა შორს ამ მოსახრებებისაგან: „პოემა ნათლად გადავიშლის ლირიკული გმირის აღმამანურ სამუაროს. გვემთხობს მის მალღ მოქალაქეობრივ იდეალებს, ზნეობრივ სისპეტაკეს. ნაწარმოების ყველა ნერვი ლოგიკურად უერთდება მაგისტრალს — მოქალაქეობრივ პათოსს და ჩვენს თვალწინ წარმოსდგება ჰუმანიზმის სიკეთით გამსჭვალული, ლამაზი აღმამანური თვისებებით შემქმელი გმირი, რომელიც დამაჯერებლად შთააგონებს მკითხველს სულიერ და ფიზიკურ სიმხნევებს, გამარჯვების რწმენას, იდეალის მიცვლვის იმედს, სიცოცხლის მშვენიერებას“ („მნათობი“, 1968 წ.; № 10, გვ. 166).

თუ ტერმინი ცენტრ არ მოსწონს კრიტიკოსს, შევივილია ამ შემთხვევაშიც დავიფიქსოთ ავტორიტეტი — „...ლირიკული მხატვრული ნაწარმოების ერთიანი ცენტრი რომ შეიქმნას...“ (ქეგელი, თხზულებანი, ტ. XIV, მოსკოვი, 1958 წ.; გვ. 306).

ზემოთ უკვე ვთქვი და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოების იდეა მხატვრულ განცდაში, განწყობილებასა და ემოციაში ფიქსირდება. ჩემი ოპონენტისაგან დამრახული „იდეური ცენტრიც“ თავის შესაბამის ემოციასა და განწყობილებაშია გაცოცხლებული. აი, რას ნიშნავს იდეურ-ემოციური ცენტრი, იდეასა და განწყობილებას ცენტრი.

ორიოდე სიტყვა ამოზენის თაობაზე. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ გ. ვარდოსანიძის სტრიქონები: „პოემის წამყვანი იდეის ხორც-შესხმას, მის შთამბეჭდავად გამოკვეთას ემსახურება შედარებით უკანა პლანის პერსონაჟები, ბევრი მხატვრული დეტალი, სახე და სურათი“.

იმ ცალკედ დეტალებს, სახეებს თუ სურათებს, რომელთაც გ. ვარდოსანიძე გულისხმობს და საერთოდ მხატვრული ნაწარმოების ყოველ უმნიშვნელო ეპიზოდსაც კი „წამყვანი იდეისაგან“ (რასაც მე იდეურ ცენტრს ვწოდებ) დამოუკიდებლად აქვთ არადაც ვარკვეული აზრი და განწყობილება. რად დასარტყელი, სრულყოფილი, მაგრამ ფრაგმენტული მანერა. მაგალითად:

„ავთლები უსაშველოდ მოთენითლი ჩემი უღიმღამო არსებობით, საბანს ვაეცავდი კონვერტავით და შიგ წერილივით ვთავსდებოდი“.

ანდა სულაც ერთი სტრიქონი დავიფიქსოთ: **მარცხენული**  
„სუნთქვას ერთი ათად მიმავსებდა“  
(ოთარ ჰელიძე — „ჩემი მაგნიტური არე“)

ეს სტრიქონი და სტრიქონი (სტრიქონის თითოეული სტრიქონიც) სხვადასხვაგვარად მოქმედებენ მკითხველზე, სხვადასხვა ორიენტირებისაგან მიმართავენ მის გრძნობასა და გონებას, მერნაკლებად დამოუკიდებლად, თავისთავად იდეასა და განწყობილებას შთააგონებენ. სად ერთიანდებიან ეს შემადგენელი, ფრაგმენტული აზრები (იდეები) და განწყობილებები? იდეურ-ემოციური ცენტრში, ანდა როგორც გ. ვარდოსანიძე იტყვის, „წამყვან იდეაში“.

ცენტრალური იდეაში (იგივე „წამყვანი იდეა“) დეტალების აზრთა და განწყობილებათა გაერთიანება, ცენტრალიზაცია, ავტორის იდეურ-მხატვრული პოზიციის, ნაწარმოების დედაზრის გაცხადება რომ საჭირო და აუცილებელია, ამაზე გ. ვარდოსანიძეც თანახმაა.

ამას აღსატურებს ზემოთ მოყვანილი მისი დებულება წამყვანი იდეის ხორცშესხმის შესახებ, მაგრამ კრიტიკოსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ეს პროცესი. სხვას კი კატეგორიულად სთხოვს ყველაფერი ახსენი და ახსენიო, როგორც ჩანს, ზოგადად, განუვლებულად თქმა თქვენი პრივილეგია ყოფილა, პატერნული კრიტიკოსო! ახლა კი კატეგორიულად მოითხოვთ ჩემგან დაწერილებით ანალიზს, მაგრამ ისიც ხომ ვახსოვთ, რომ სწორედ ასეთი ანალიზისთვის შენახურეთ — „ხელმეტი ესთეტიკურ კირკიტს“, „ხელოვნურ პროფესიონალიზმს“ მისდევო. სხვა გზა არა მაქვს, ამყარადაც „სოციალური კირკიტი“ უნდა დავიწყო და მასუხი ვაგვეთ.

ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებში ასოციაციები უფრო პრინციპული სახით ვლინდება, გრძნობის, ემოციის მოძრაობა, ლირიკული ნაკადი, უფრო ენერგიული, თვალაწინი და ფუნქციონალური; ესე იგი: ოთარ ჰელიძის პოემაში ეპიზოდებს, დეტალებს, ინტელექტსა და საგნობრივ სიუჟეტთან ერთად იდეურ-ემოციური ცენტრისაგან გამიზნავს, გ. ვარდოსანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წამყვანი იდეაში“ აერთიანებს, ლირიკული გრძნობის, ემოციის მოძრაობა ასოციაციებში. მე აქ ხაზს ვუსვამი ლირიკულისა და ეპიკურის მთლიანობას, ერთსახეობას, სწორედ ამ სინთეზს ვეწოდებ მოხდენილი საყრდენი პოეტური წერტილი, რომელშიც ავტორის პოზიცია გამოიკვეთა, გ. ვარდოსანიძის თუ დავიფიქსოთ, მოხდა „პოემის წამყვანი იდეის ხორცშესხმა“. მგონი მკითხველი დამოთანხმდება, რომ მაქვს უფლება (განსაკუთრებით იდეურ-ემოციური ცენტრის, ლირიკულისა და ეპიკურის ურთიერთობის და ნაწილობრივ სხვა საკითხების გამო) კრიტი-

კოსს ვეითხოვსხეის დებულებები რომ არ მოგწონს, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ თქვენი მოსაზრებები რატომღა გუეცხოვბათ?

ლირიკაში ყველაფერი ლირიული ჰქვია, — გრძობასაც, ემოციასაც, აზრსაც, რატმსაც, ინტონაციასაც... მაგალითად: ილ. ჭავჭავაძის ლირიული გრძნობა სანთლის წვის უბრალო ობიექტური სურათიდან (იგულისხმება მისი ლექსი „სანთელი“) ადამიანური უფინა-არ უფინის, მოკვადებისა და უკვადების დაპირისპირების, სიციცხლის წარმავლობის მხატვრულ პრობლემამდე ამაღლდა. ეს ხომ ფაქტია?! მაინც როგორ და რა გზით? ასოციაციებში იმობრავა და ავტორის ესთეტიკური იდეალის შესაბამის იდეასთან ერთად დასრულდა, ლესინგს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „პოეტს, თუ მოისურვებს, შეუძლია დასაწყისიდანვე აიღოს რა სახის მოძრაობაც უნდა და უოველგვარი სახეცელილებით მიიყვანოს იგი ბოლომდე“ — („ლაოკონი“, მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამოცემლობა, მოსკოვი, 1957 წ; გვ. 97).

„...რამდენიც (სიტყვები-ფ. ბ.) გადაგვიშლიან გამოთქმული სუბიექტის (ლირიკოსის—ფ. ბ.) გრძნობას“ (პეგელი, თხზულებანი, ტ. XIV, მოსკოვი, 1958 წ; გვ. 305).

მოძრაობა და გრძნობა არის, ახლა ასოციაციები გვინდა.

აგერ ოთახსაც ჩრდილმან გადაჰკრა,  
კედლებზე ძლივს სცემს ბნელადა შექი,  
აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა...  
რა დამარჩა მისგან? — მწეარი პატრუქი.

გერეთაც კაცი ძლიერი ქრება,  
რა ეწყვევა მას სიკვდილი-მტერი;  
მშენიერ არსის მაგიერ გერჩება  
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტერი...

(ილ. ჭავჭავაძე — „სანთელი“)

აქ საესებით ცხადი და ნათელია წარმოდგენათა შორის კავშირი, ერთი მეორეს რომ იწყვეს და განაპირობებს; ასოციაციებიც სწორედ ეს ვახლავთ. პოეტრმა გრძნობა მასშტაბური გზა გაიარა, უბრალო ობიექტური ეპიზოდი მთელი სამყაროს, ადამიანური უფინა-არუფინის მხატვრულ სინამდვილედ იქცა.

კრიტიკოსს ბუნდოვნად, უფრო მეტიც, გაუგებრად მიანია ჩემი მოსაზრება, რომ: პოეტის (ო. ჭელიძის) ლირიული გრძნობა ერთი მხრივ ასოციაციებში მოძრაობს, ვითარდება და იშლება, მეორე მხრივ კი მკაცრი ლოკალიზაციით ხასიათდება, იჭედება ასოციაციების გამაერთიანებელი ღერძი, რომელიც ცხადყოფს ნაწარმოების მხატვრულ არსს, ავტორის იდეურ-ესთეტიკურ პოზიციას... საგანთა და მოვლენათა ერთმანეთზე გადატანის მხატვრული

პრინციპი მაშინაა ეფექტური, როცა მსახლერული და სახლერული ერთსა და იმავე ღერძს კიდევ შორდება ერთმანეთს და კიდევ უახლოვდება. გ. ვარდოსანიძე მსახლერულს ასე უკვირებს:

„ძნელია მიხედვ, როგორ მოძრაობს ლირიული გრძნობა ასოციაციებში, როგორ იჭედება ასოციაციების გამაერთიანებელი ღერძი და როგორ ცხადყოფს ეს ღერძი ნაწარმოების მხატვრულ არსს, ავტორის იდეურ-ესთეტიკურ პოზიციას? ან ეს რა ახალ მხატვრულ პრინციპს „ჩაწვდომია“ კრიტიკოსი — საგანთა და მოვლენათა ერთმანეთზე გადატანის მხატვრულ პრინციპს, რომელიც თურმე მაშინაა ეფექტური, როცა მსახლერული და სახლერული ერთსა და იმავე ღერძს კიდევ შორდება ერთმანეთს და კიდევ უახლოვდება“.

ასოციაციებში ლირიული გრძნობის მოძრაობის შესახებ საქმოდ შევჩერდით. ასოციაციების გამაერთიანებელი ღერძი, ლოკალიზაცია სხვა სიტყვებით გამოხატული იგივე იდეურ-ემოციური ცენტრია. თუ როგორ ცხადყოფს ეს ღერძი (იდეურ-ემოციური ცენტრი) ნაწარმოების მხატვრულ არსს, ავტორის იდეურ-ესთეტიკურ პოზიციას, ამხეც მოგახსენებ.

საგანთან თუ მოვლენასთან ასოციაციის მეტისმეტი სიახლოვე ობიექტურისადმი დამორჩილების, ემპირიზმის, ფანტაზიის შეზღუდულობის ნიშანია, გადაჭარბებული დაშორება კი უაზრო, უმიზნო, დაუოკებელი ფანტაზიის ნაყოფია. რა დაგვრჩა? სწორედ ის პრინციპი, რომელსაც გ. ვარდოსანიძე აბუნად იგდებს, მაგალითად:

რა არის ჩვენი სიცოცხლე  
ჩიტივით გაგიფრინდება.  
(ხალხური)

მთას ვუტყერ ყელმოღერებულს...  
(ვაჟა-ფშაველა)

აქ ისე ორგანულად იგუებენ ობიექტური საგნები სუბიექტურ ნიშნებს, ისე უშუალოდ და ლოკალურად ერწყმის სიცოცხლის წარმავლობას ჩიტის გაფრენა და მთას ყელმოღერება, რომ მათ შორის არსებული დიდი თვისობრივი მანძილის მიუხედავად, ასოციაციებს ობიექტურ საგანთა „თანდაყოლილი ნიშნებით“ აღიქვამთ. სწორედ ამ პროცესს ვგულისხმობ საგანთა და მოვლენათა თვისებების ერთმანეთზე გადატანის ღერძს მათი ერთდროული დაშორებისა და დაახლოების პრინციპში.

„მნათობის“ მეექვსე ნომერში გ. ვარდოსანიძე კვლავ აგრძელებს კრიტიკის კრიტიკას. მის სამიზნეთა შორის აქაც მოვხვდით.

თურმე ჩემი მსჯელობა ზოგჯერ ფორმალისტურ ხასიათს ატარებს, ხოლო არა იშვიათად

(?) იოლად ვაყვებ მნიშვნელოვან დასკვნებას. კრიტიკოსი უტყვის ჩემს მიერ დამოწმებულ ფოლკნერის ქარაგმულ დებულებას: „დაიწყო ისეთი რამ, რაც შენს შესაძლებლობას აღემატება... „მოისინჯო და მარცხი განიკადრა, შემდეგ კვლავ ხელახლა სცადო, — აი, რა არის ჩემთვის წარმატება“. გ. ვარდოსანიძე ასკვნის, რომ ფოლკნერის მოშველიებით წარმატების უცნაურ გზას ვსახავ. დაიწყო ისეთი რამ, რაც შენს შესაძლებლობას აღემატება და უშეშვალა (?) დამარცხდეს, ვერაფერი ლოკავაო, ეს ფრანკლის ტრეფი მსჯელობაა და ბუნებრივ შემოქმედებით პროცესს არ ასახავსო, ვინ შესაძლებელია შემოქმედებით ტვირთს, გარდაუვალ მარცხში წინასწარ დაწმინდებული-სტეკვასავით მაყრის კრიტიკოსი. რატომ არ ავვირდება სიტყვა „ქარაგმულს“? ფოლკნერი მარცხში წინასწარ დაწმინდებას, უშეშვალ წარმატებლობას კი არ გულისხმობს, არამედ შემოქმედებით ჩისკს, პოტენციალურ შესაძლებლობათა გამყვანებას.

ქვემოთაა, რომლის მიმართაც ფოლკნერმა ზემოთ აღნიშნული დებულება გამოთქვა, ყოველ დაწერილ ნაწარმოებს მოკლულ ღონს ადარებდა. როგორც ჩანს, მწერალი თვითონვე განიხილავდა, რომ მისი შემოქმედებათა „ტიკიის“ ჯერეთ გაუმყვანებელი მხატვრული შესაძლებლობა განზოგადებულზე მაღლა იდგა. ფიგურალურ, ქარაგმულ გამოთქმავში აზრი სიტყვების ფიზიკური სახის მიღმა შეფარული და ასეთი გამოთქმების გაგება პირდაპირი მნიშვნელობით გულუბრყვილობამდე მიგვიყვანდა.

მე გამოვდივარ ფოლკნერის მოსაზრებიდან და აღნიშნავ, რომ დღევანდელ ქართულ პოეზიაში ასეთი უღრტიწველი შესაძლებლობის დამინატობა იგრძნობა, თითქმის არაფერ არ უგანაყვება თავის „სტანდარტულ“ შესაძლებლობას, რაც ერთფეროვან მხატვრულ ღონეს განაპირობებს... კრიტიკოსი მედავება: „მწერალია გააზიაროს ასე იოლად გამოთქმული პრინციპულად მნიშვნელოვანი ნეგატიური აზრი თანამედროვე ქართულ პოეზიაზე“.

ქვემოთაა: დღევანდელში მე „თანამედროვეს“ არ ვგულისხმობ და მათ შორის საქმეო განსხვავებას ვხედავ: მეორეც: აზრადაც არ მომსვლია ამ კომენტარით დღევანდელი ქართული პოეზია დამეცირებინა, უზრალოდ გამოვხატე სურვილი მისა (დღევანდელი ქართული პოეზიის) დიდი მხატვრული მასშტაბისაკენ მიმტყვივსა. ხომ შეიძლება მცირე ნადირთა ზოციის ნაცვლად კაცს დიდთა ნადირთა ზოცვა უსურვო.

კრიტიკოსის მიერ განხილული ციტატის ცოტა ქვემოთ მე ვწერ: „ეს ზოგადი შთაბეჭდილება სრულიად არ გამოირჩევა შემოქმედებითი ინდივიდუალობის, მეტწილზე მხატვრული რისკისა და წარმატების ფაქტებს ჩვენი პოეზიაში. დღევანდელი ქართული პოეტური პული პოტენციალურად იმდენად უნარგოა, რომ ირგანოდ მითხოვოს დიდი მასშტაბური მხატვრული პოპოზიონტს“ („მნათობი“, 1968 წ., № 5, გვ. 96).

ნეგატიურ ზოგად დებულებებში მეტწილად ვგულისხმობ ამ ავტორებს, რომელთაც წერილში არ შევეხე. „კრიტიკოსი, — განავრცობს გ. ვარდოსანიძე, — ვერ ახერხებს ღრმა ბუნებით მისაყვედურა — სიღრმისაყენ უზომოდ ისწრაფიო; ახლა რა ღმერთი ვამიწყრას! და მტკიცე არგუმენტაცია გამოახოს მაშინაც კი, როცა იგი შედარებით კონკრეტულ აზრს გამოთქვამს“. მკითხველს აქვე უნდა მოეახსენოს, რომ გ. ვარდოსანიძის მიერ აქვერად მიზანში აღიღებული წერილი („ფრთხილი, ფრთხილი გენდა“) — „მნათობი“, 1968 წ.; № 5) მიმოხილეთითა. ჩემი მიზანი იყო დახლოებით მარცხ გამეცნო მკითხველისათვის 1967 წელს „მნათობისა“ და „ციციანში“ წარმოდგენილი პოეზია.

თავი მოვიყრა თქვენსებმა ავტორმა. მათგან არცერთის გვერთის ავლა არ შეიძლებოდა. ანალიზი რომ გამეშალა, ყოველი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო დებულება მეტკიცებინა, ფურნალის მთელ ნომერს დავფარავდი. კრიტიკოსი განიხილავს ჩემს ზოგად დებულებას „ინტელექტუალური“ პოეზიის ნიღბს ამოფარებისა (იფულისხმება ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი) და სისადავეზე დაბლა დაშვების, პრიმიტიული და ბანალური „პოეტურა“ სტემების მოძალების (იფულისხმება უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი) შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ კონკრეტული საილუსტრაციო მასალით უმეტესად ვერ ვასაბუთებ ზოგად დებულებას თუ მოსაზრებას და იძულებული ვარ ოპოზიციასში ჩაუდგე ჩემს თავს (სტალი დაცულია). მას მოჰყავს ფრაგმენტები წერილის იმ ნაწილიდან, რომელშიც ოთარ ჭილაძის, ანზორ სალუქვაძის, ნელი გაბრიჩიძისა და ტარიელ ჭანტურიას ლექსებს განეხილავ. ქების გვერდით რომ ნეგატიური მხარეცა აღნიშნული, ეს რატომ გამოჩნის კრიტიკოსს? მიუყვით რიგით: ოთარ ჭილაძის დროდადრო მომეტებულად შორეული, ჩამდინადმე თვითნებური ასოციაციებისაყენ სწრაფვას (გონების განზრახ უბირატესობის ნიშანი) რომ ვსაყვედურობ. ეს შენიშნავა თუ ქება?

ახლა ზუსტად მოვიყვან ციტატებს, რომლებშიც შენიშვნებს აღწერსხავ:

„ანზორ სალუქვაძის პრინციპული ნაელი უნდა ვეძიოთ ხანდახან ფოლკლორული ინტონაციის, ხალხური პოეზიის თვისებათა პასიურ ათვისებაში, იგი არც თუ იშვიათად ემორჩილება ხალხური პოეზიიდან მიღებულ შთაბეჭ-

დილებს და საერსონობლად კარგავს თავის ინ-  
დივიდუალურ „მე“-ს“ („მნათობი“, 1968 წ.;  
5, გვ. 98).

„წელი გაბზინიძის ლექსებში არც თუ ისე  
იშვიათად ვხვდებით პლაკატური, ხელოვნური  
განწყობილების პასაჟებს“ (იქვე, გვ. 99).

„ტარიელ ჭანტერიას ლექსებს აქა-იქ ეტყო-  
ბა მინერულობა, გადამარბებული დეტალიზა-  
ცია, დაწერილობა, რაც ხან მთელ ლექსს ვას-  
დევს, ხან კი ცალკეულ ფრაგმენტებში შეკადრ-  
დება...“

ამ ლექსში („გაიღო დამე როგორც კარები“) აშკარად ჩანს ხელოვნერობა... ნაწარმოების მთლიანი ჭარბის, მხატვრული კონსტრუქციის გამოფერა გონების დამახულ რეაქციას (აქაც ინტელექტის წინა პლანზე წამოწევის ვესვამ ხაზს) მოითხოვს და შეუძლებელი ხდება ლექსის ერთიანი შთამაგონებელი გრძნობადი აღქ-  
მა“ (იქვე, გვ. 100).

ახლა უფროს თაობას მივხედოთ.

„გვიწინა ერთი პრინციპული ხასიათის შე-  
ნიშვნა მივცით ჩვენს ვეტერან პოეტს კარლო  
კალაშს. ზოგიერთ ლექსში („სოღანული“,  
„გზა...“) იგი საგრძნობლად აღფრთხილებს მხატვ-  
რულ ენერჯის, სინამდვილის სახეობრივ-მეტა-  
ფორული აღქმის ბუნებრივ პოეტურ შესაძლე-  
ბლობას, დაღატობს მისთვის ჩვეულო ხატვის  
პრინციპს და პირდაპირ აღწერით კმაყოფილ-  
დება“ (იქვე, გვ. 98). დაყირეებული მეთხ-  
ვეულისთვის ცხადია, რომ ეს მისაზრება ლო-  
კალურად გამომდინარობს ზემოთ აღნიშნულ  
ზოგადი დებულებიდან. ასე რომ იგი პაერზე  
არ მოქცეამს, პატევიმული კრიტიკოსო.

„ყოველი აერთიანებს რამდენიმე ლექსს, რომ-  
ლებშიც ავტორი (აღიო მირცხულავა) მხატვ-  
რულად თავისი შემოქმედების საერთო ხასია-  
თის შესახებმისად ვერ ძალევს აზრს და მიშულ-  
ად გაღმოგვეცმს მას. საილესტრაციოდ შეიძ-  
ლება დაეასახელოთ „ზრდის წუერილი“, „გუ-  
ლის განში“, „დღე და საქმე“, „ცხოვრების  
ნავი“... ცხოვრებისეული გამოცდილების, და-  
კვირვების შესაფერი სახეობრივი ქსოვილის  
მონახვა უძედედება აღიო მირცხულავს და  
პოეტური ეცხლი დროდადრო უნედედება...“  
(იქვე, გვ. 102), აბა, შედარეთ, პატევიმული  
კრიტიკოსო, ეს ციტატა თქვენგან განქმებულ  
ზოგად დებულებას და თუ ორგანული ურთი-  
ერთმომართება ვერ მონახოთ, თქვენი ხმალი და  
ჩემი კისერი. საკუთარ თავთან ოპოზიციისა და  
წინააღმდეგობათა მავალითები თქვენს წერი-  
ლებშიც მოვიციოთოთ.

„თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის  
დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება,  
რომ იგი ხშირად დაკავებულია, (?) ყოველ-  
დღიური ლიტერატურული ფაქტების მარტივი,  
ზერული ვაცნობით მკითხველისათვის (?), პრი-  
მიტიული, ხედაპირული, ხოლო არა იშვია-

თად(?) თვითმონერი ესთეტიკური „არაღზიო“.  
„მას (კრიტიკას) აკლავს პრობოლემეტიკობა.  
მსოფლმხედველობრივი მენახსურევილენი ინ-  
ტელექტუალური სიღრმე, თვალსაზრისის მან-  
ჭატებრობა...“

მართალი სალიტერატურო კრიტიკა თერმე  
„მეტწილად უგაღვებელყოფს მოვლენის, საგ-  
ნის და მით უფრო ლიტერატურული პროცესის  
მრავალმხრივობას...“

ხედავს ერთ კეთობით, ერთი მიმართულებით,  
ერთ სიბრტყეში. როცა ლიტერატურულ ფაქტს,  
მოვლენას ეხება (ისიც საინტერესოა, ხსენს რას  
ეხება ხოლმე?) ხშირად ჭერდება ფაქტის თუ  
მოვლენის შინაარსის გაღმოცემას, ვერ ღრმავ-  
დება მოვლენის არსში, ვერ იჩენს საგანშ-  
წვდომის უნარს.“

ამყარად აქა-იქ შეღავათს მაინც უშვებთ და  
წერთ: „მეტწილად“, „ხშირად“, „არა იშვია-  
თად“ (?), მაგრამ ციტა ქვემოთ ქვას ქვაზე  
აღარ ტოვებთ.

„ლიტერატურული კრიტიკა გვერდს უვლავს  
არა მხოლოდ ლიტერატურული პროცესების  
(სხვა რა ახალი საქმე მიუჩინეთ?) ღრმად კვლე-  
ვას, არა მხოლოდ თავს არიდებს მტკიცებელი  
პრობლემების გაშვებზე-უაღაჭრას, არა მარტო  
ვერ ახერხებს კონკრეტული ლიტერატურული  
მოვლენების არსში წვდომას და ანალიზს, ამას-  
თანავე კრიტიკის ვიწრო დიაპაზონს, მისი ინტე-  
ლექტუალური სისუსტე ელინდება მოქალაქეობ-  
ბრივი ნერვის ერთგვარი მოღუნებით (უნდა  
იყოს ერთგვარი მოღუნებაში), ცხოვრების მოვ-  
ლენებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებუ-  
ლებით, საზოგადოებრივი ყოფისადმი ნაკლები  
დაინტერესებით“ („მნათობი“, 1969 წ.; № 15,  
გვ. 95).

უნდა იყოს: ცხოვრების მოვლენებისადმი  
ინდიფერენტულ დამოკიდებულებასა და სა-  
ზოგადოებრივი ყოფისადმი ნაკლებ დაინტერეს-  
ებაში.

კრიტიკის ამ მშაფრი კრიტიკიდან ერთი თვეც  
არ გასულა და: „მნიშვნელოვნად გაიზარდა  
კრიტიკის ინტერესების სფერო, გაცხოველდა  
მისწრაფება ლიტერატურულ პროცესში უფრო  
ღრმად წვდომისა, ამ პროცესების ახსნისა, ლი-  
ტერატურული ცხოვრების ძირითად მიმართუ-  
ლებათა გამოკვლევისა და განმარტებისა...“

„დღეს კრიტიკას აწუხებს არა მხოლოდ ის,  
რას ამბობს მხატვრული ფაქტი, რისკენ მოუ-  
წოდებს, რას ამკვიდრებს და რას უარყოფს,  
არამედ ისიც, თუ როგორ ამბობს, რა მხატვ-  
რულ ხერხებსა და საშუალებებს მიმართავს  
მწერალი იდეის გახსნისა და გაღმოცემისათვის“

! საინტერესოა ლიტერატურა არის მრავალ-  
მხრივი და კრიტიკა ამას უარყოფს, თუ არაა  
მრავალმხრივი და მისი გამრავალმხრივებისთვის  
კრიტიკა არ იბრძვის.





(„მნათობი“, 1969 წ; № 6, გვ. 102). იმავე ვეერზე წერთ:

„კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ ახდენს გაღმწვევტ გავლენას ლიტერატურულ პროცესებზე, იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა მწერლობის განვითარების წინამძღოლ ძალად. კრიტიკის ხმას მეტწილად ეყო არა აქვს და იგი მოკლებულია სიტყვიერებულ მწერლობაზე საკურო ხემოქმედებას...“ „არა იშვიათად ლიტერატურული კრიტიკის გატაცებულია მხატვრული ფაქტის, მოვლენის მხატვრულ-ესთეტიკური განწყობებით, წერაღმანი და ხელოვნური ესთეტიკური მეკორკიტეობით...“ მკითხველმა განსაჯოს, თუ როგორ ესადაგება ერთმანეთს ეს მოსაზრებები.

„...საერთოდ (ეს მეორე ვერაღზეა) ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას აქვია მებრძოლი შემარტება, აქვია აზრის სიღრმე და სიფართოვე; მასშტაბურობა (ავერ ახლა იშველა მასშტაბი ქონდა, რომ თვალს ვერ უწვდენდით), აქვია პრობლემატურობა, კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ ანზოგადებს ლიტერატურული ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს და მოვლენებს...“ (იქვე, გვ 103).

ზუსტად ამავე იტყვიან კომენტარი ზედმეტობა.

ზოგიერთ სტილისტურ ლაფსუსსაც ვგახსენებთ:

„ხომ ყველამ ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძის და თერგდალეულთა მთელი თაობის ლიტერატურულ აზროვნებას ასაზრდოებდა, ძალაა და ენერჯიას მატებდა, ფრთებს ასახმა დაუცხრომელი ზრუნვა ერის ბედსათვის, ერის ჰორჯარამის გახიარება, ერთის ბრძოლის მთლიანე პოზიციებზე გეგმა“ — („მნათობი“, 1969 წ; № 5, გვ. 95). მაინც რა იდეა მოწინავე პოზიციებზე ერთ, ბრძოლა თუ ლიტერატურული აზროვნება?

„...ვიცნ უნდა იყოს ადამიანის შემწე, ადამიანის თანამეხაგრე და მეგობარი, თუ არა ხელოვნება, თუ არა მწერლობა... შემოქმედებითი აზრი“ — იქვე. ჩვენში ხელოვნებაზე, მწერლობასა და შემოქმედებით აზრზე „რა“ უნდა იყოს, ასე ამბობენ და არა „ვიცნ“...

„კრიტიკის ფორმის სიმეფიფეში“ რას გვლისხმობთ?

მეიფე — რაც ადვილად ტყდება, იმსხერევა, იფშენიბება („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. V, 1191). რომელი მინველსადგოთ ფორმას? ისევე იმსხერევა ხომ არ ყოზბ?

„ასეთი ხასიათის ნაწარმოებისათვის (ლიტერატურის მკოდნეობითი თხზულებანი— გ. ვარდოსანიძის გამოთქმა) დამახასიათებელია მწერლის შემოქმედების ან ცალკეული მხატვრული მნიღების ძირითად ქრესტომათიული, ლიტე-

რატურისმკოდნეობითი (ამ ტერმინს ნაწ უკვფთ. ხან არტობთ) გაღმოცემა“ („მნათობი“, 1969 წ; № 6, გვ. 107).

„ძირითად ქრესტომათიულ, ლიტერატურისმკოდნეობით ვაღმოცემას“ საგანგებო განმარტება უნდა, თორემ მკითხველი დაიბნევა.

„რომელმაც (ჩვენი საზოგადოების საშუალო თაობამ) განიცადა... წარმატებათა სიხარული...“ („მნათობი“, 1969 წ; № 3, გვ. 125). წარმატებებში ვაიხარეს, თუ თაობამ ვაიხარა?

ახლა თქვენ თეორიულ დებულებებსაც გადავხედოთ.

„ბევრ კრიტიკულ ნაშრომში არ ივრძნობა ზრუნვა... ნაწარმოების რიტმულ-ინტონაციური აღნავობისათვის“ („მნათობი“, 1969 წ; № 5, გვ. 96). ვაგებარათ, მისასალმებელი იყოს კრიტიკული წერილის ლექსად დაწერა, მაგრამ ჯერ ჯერობით ეს არავის უცდია და ეფირობ ვერც ვერავინ შეძლებს.

„ჩვენ ხშირად ვიფიყვებთ, რომ ლიტერატურისმკოდნეობა სხვა არის, კრიტიკა კი — სხვა, მიუხედავად მათ შორის ორგანული კავშირისა. ლიტერატურისმკოდნეობა მეცნიერებაა, კრიტიკა კი ხელოვნება“ („მნათობი“, 1969 წ; № 6, გვ. 103). თუ სხვადასხვაა, ორგანული კავშირი როგორა აქვთ? კრიტიკა მხოლოდ ხელოვნება არ არის. იგი მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზია. თუ არ გვერთა, თქვენვე დაგიმოწმება: „კრიტიკა ღრმა, მასშტაბური მეცნიერულად ზუსტია...“ (იქვე გვ. 11). ესე იგი, მეცნიერებად უფიფია. ხან ართმევთ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, ხან კი უბოძებთ ხოლმე.

„აქ ლირიკულ თხრობას (?) ენაცელება — ეპიკური, სულიერ ამოძახილს — ყოფითი სურათი და დეტალი, განცდას — ფიქრი, სევდას — სიხარული“ (იქვე, გვ. 131).

ისე გამოიღის, თითქოს ფიქრი, სევდა და სიხარული განცდა არ იყოს.

სხვაზე რომ ამბობთ, „ზედმეტ მეკორკიტეობას“ იჩენსო, თქვენ საჯაოდ მაინც გვეკორკიტათ და ამ ლაფსუსებს (თქვენ ლაფსუსებს ხმარობთ) აიცილდეთ.

და ბოლოს: პატრევემულ კრიტიკოსს ძალიან უყვარს გამოთქმები: „ედილობს“, „ესწრაფვის“, „უნდა“, „სურს“ (მაგალითად: აკაკი ბაქრაძე **ესწრაფვის**, გურამ კანკავა **ედილობს** („მნათობი“, 1969 წ; № 5, გვ. 96). ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზისადმი მისწრაფებით ხასიათდება, **ედილობს** მკითხველი ჩავახლო ლიტერატურულ პროცესში, **სურს** ვთქვა ახლებურად (იქვე გვ. 97). თამაზ ჩხენკელი ედილობს („მნათობი“, 1969 წ; № 6, გვ. 103). ესე იგი, ჩვენ ყველა „ედილობთ“, „ესწრაფით“, „გვესურს“, მაგრამ საქმეს ბოლომდე სხვა აკეთებს. კეთილი და პატიოსანი.



## „წითელი ღრუბლები“

ეს პირველი შემთხვევაა ქართულ ლიტერატურაში, რომ შექრალმა რომანის მთავარ გმირად აირჩია ეურნალისტი, თანაც გამოუცდელი, რათა ცხოვრების ყველა მოვლენა, ავი თუ კარგი, ჩვენ ამგვარად გვეხილა გაცემისაგან გაფართოებული მისი თვალებით. ამასთანავე ჩვენ იმის მოწმეც ვხდებით, ამ ახალგაზრდა ეურნალისტს რამდენ რამზე აეხილა თვალი. რომანის იდეური ჩანაფიქრიც მოქცეულია სწორედ მისი თვალის ვახელასა და ახელას შორის განვლილ დროსა და მომხდარ ამბებს შუა. ცხოვრების ეს მოკლე მონაკვეთი, დაახლოებით ერთი თვე, არ არის მდიდარი და მრავალფეროვანი მოვლენებით, მაგრამ მდიდარი და მნიშვნელოვანია სულიერი ძვრებით ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ჭეშქვრობით გულისწყრომას არა, მაგრამ გაკვირვებას კი იწვევს ის ამბავი, რომ თუ მკითხველი ყურადღებით შეხვდა ედიშერ ყოფიანის პირველი რომანის „წითელი ღრუბლების“ გამოქვეყნებას „მნათობის“ ფურცლებზე, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოცემას, ქართველი კრიტიკოსების მთელი არმია დღემდე ბეჯითად დუმს (გარდა ერთი გამონაკლისისა. ბ. ჯღენტმა თავის ორ მიმოხილვით წერიალი გაკვირით მოიხსენია და შეათასა იგი). ისეთი ნაწარმოების გამოჩენისას კი, როგორც „წითელი ღრუბლები“, მე მგონია, ჩვენს კრიტიკას დემოლის საფუძველი და მით უმეტეს — უფლება თითქოს არ უნდა ჰქონდეს (წიგნი გამოვიდა 1968 წელს). „წითელი ღრუბლები“ ერთ ასპექტში გამსჭვალულია დიდ ბოროტებასთან — ფართო მასშტაბის მექრთამეობასთან ბრძოლის და მექრთამეების მხილების პათოსით. მექრთამეობა ლენინმა თავის დროზე „მესამე მტრის“ სახელით მონათლა («Новая экономическая политика и задачи политпросветов», 1921).

თუნდაც ერთი მექრთამის არსებობა ხელმძღვანელობაში — ნიშნავს ათასობით მექრთამის გაჩენას ხალხში. ამ გარემოებაზე სერიოზული ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით „წითელ ღრუბლებს“ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ლიტერატურაში, თუ მას ვთვლით ჩვენი ცხოვრების ყოველგვარ მანკებრებასთან შეუერთებულ, მებრძოლ ლიტერატურად.

შექრალი ბოროტების მართო ამ ფორმის მხილებით არ კმაყოფილდება. ბოროტებას იგი ორ სიბრტყეზე გვიჩვენებს: მატერიალურსა და სულიერზე. მატერიალურ სიბრტყეზე აღიქმე ზიზზიბაძე — რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც მთელი ქსელი შეუქმნია ახალი აშენებული თუ ძველი ბინებით ვაჭრობის საქმეში. სულიერ სიბრტყეზე ახალბედა ეურნალისტის — ჯაბა ალავეიძის არსებაში დღეობად დასახული სიყვარულის საგანი — დედანა, რომელიც თურმე სხვასთან ათვის ღამეებს, ჯაბას უახლოეს მეგობართან — ახალგაზრდა კინორეჟისორთან — გურამთან, ვძლევს ფართულ სასიყვარულო ორგანოს. სწორედ ამ „ორ ცეცხლს შუა“ მოქცეულ ჯაბას სახეს ვვიხატავს ავტორი თავის რომანში.

„წითელი ღრუბლები“ შედგება ვრცელი საექსპოზიციო თავისა („მოქმედი პირნი“) და ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილია „დუმილი“ მეორე — „ამბოხება“. „მოქმედი პირნის“ ქვეთავებია — „ჯაბა ალავეიძე — ეურნალისტი, 24 წლის“, „ბენდიქტე ზიზზიბაძე — რაიალმასკომის თანამშრომელი, 47 წლის“ და „სამსონი—თეთრი წერტილები...“ როგორც საექსპოზიციო ნაწილის ქვეთავებიდან ჩანს, ავტორი სავანგებოდ გამოჰყოფს ამ სამ პერსონაჟს და, მისი აზრით, სწორედ ესენი განაპირობებენ და ქმნიან რომანის იდეურ — მორალურ ატმოს-

ფეროს. ავტორს შეიძლება დაეთანხმონ იმ შე-  
 მთხვევაში, თუ თავისი რომანის სოციოლოგია-  
 ტურ ასპექტს თვლის უფრო მნიშვნელოვანდ იმ  
 სულეტი კოლიზიასთან შედარებით, რაც იქმ-  
 ნება ქაბა-დუდნას ურთიერთობის საფუძველ-  
 ზე. მართალია ეს კოლიზია ცალმხრივია. დუ-  
 დანა არ არის დაბატული ქაბას ლირსეულ  
 პარტიკორად. ჩვენ არ ვცნობთ მას ისე ღრმად  
 და საფუძვლიანად როგორც ქაბას თავისი სუ-  
 ლეტიო საშუაროთი, ფიქრებით, ვნებებით, მის-  
 წარადგენად. ქაბა ალავივთ რომანის მთავარი  
 პერსონაჟი და ყველა ტენდენციების თუ ინ-  
 ტერესების ფოკუსია. ქაბა — დუდნასა და  
 ქაბა-ბენედიქტეს ინტერესები სუსტად, მაგრამ  
 მაინც უკავშირდებიან ერთმანეთს, ცალ-ცალ-  
 ცე რომანის სიუჟეტურ ქსოვილში კი ისინი  
 მკაფიოდ არიან ამოწერილნი. ავტორს ქაბა—  
 ახალგაზრდა ჟურნალისტი განუმარტელი და და-  
 ხატული ჰყავს თითქმის ყველა ასპექტში, რაც  
 კი მის ადამიანურ ვნებებს და მოქალაქეობრივ  
 რაობას ეხება. ქაბას მამა სამაშულო ომში  
 დაღუპულა. დედას იგი რის ვაი-ვაგახებით გა-  
 უჭრდია. ისინი ერთი სახლის ოთახად გადაყ-  
 თებულ სხვენიშ შეხიზნულან. დედა რაბანია  
 მტკუნველად განიცდის უბინაობას. ქაბას თა-  
 ვის სამოღვაწეო ასპარეზად ჟურნალისტობა  
 აურჩევია და რომანიც იწყება ჟურნალისტის  
 პირობი რეაღიით. რედაქციას მისთვის სტუდენტ-  
 ტო ბალმასკარადის რეპორტაჟი დაუვალებია.  
 ამ რედაქციის წინ უსწრებთ ქაბას ვალეივება,  
 ოჯახური ყოფის რამდენიმე ეპიზოდი და თე-  
 ატრში მისვლა სამასკარადო კოსტუმის შესარ-  
 ჩევად. ახალგაზრდა ჟურნალისტი, ვარდა სა-  
 რემორტაჟო მასალისა, მასკარადზე პოულობს  
 ბევრ სხვა რამესაც, რაც ჰუმეტურ ვნებებს,  
 ემოციებს და ბუნებრივ გატაცებას უკავშირდებ-  
 ბა. აქ ის პოულობს მომავალ გულის სწორს  
 თამილას, რომელიც სიმპსონის განსახიერებად  
 მოეჩვენება, როცა ნიღაბს აავლევს ძალით.  
 აქ ხედება დუდანა ქაბას, რომლის შესახებ,  
 თამილასაგან განსხვავებით, მან არაფერი არ  
 იცის. მას შემდეგ კი, რაც ქაბა და მისი მე-  
 გობრამი გურამი ქუჩაში შემთხვევით გაიცი-  
 ბენ ულამაზეს გოგონას — დუდნას, ქაბას  
 არსებობაში ყველა მისწრაფებას ჩრდილავს იგი.  
 გურამი ახალგაზრდა კინორეჟისორია და დუ-  
 დანას უმალ სადილომოდ ფილმში თამაშს შე-  
 სთავაზებს. გოგონა უარზეა. გურამი ატყობს,  
 რომ ეს უფრო საბოლოო არ არის. დუდნას  
 უფრო ქაბა ინტერესებს. ვაი სტუდენტთა  
 ამასწინანდელ ბალ-მასკარადზე უნახავს და  
 თურმე სურვილი კვლავ კვლავ შეხედროდა  
 მას. ნიღბიან ბოშაკოსტუმთან გოგონას ქაბამ  
 უვავილი აჩუქა. ეს გოგონა იყო სწორედ დუდ-  
 ნა. ახლა კი, ვაცნობის შემდეგ ქაბას დუდანა  
 თავდაიწყებით შეუყვარდება. მალე ქაბასთ-  
 ვის იწყება, რომ დუდანა იმ კაცის ნათესავი

ყოფილა, ვისზედაც დამოკიდებულია ახალი ბი-  
 ნის მიღება. ეს კაცი არის გამობრწყინველი მე-  
 ქრთამე — ბენედიქტე — რაბინსკისის თავ-  
 მდღობარის მოადგილე. ეს გარეშეობა ნიღბ-  
 ართულაბს ქაბას მდგომარეობას. ქაბასათვის  
 უკვე ცხადი ხდება, რომ დუდნასთან დაახლო-  
 ება ბინის საკითხსაც თავისთავად გადაჭრის.  
 დედის ოცნებაც ახდება, მაგრამ მისი მოქა-  
 ლაქეობრივი შეგნება, მისი ჟურნალისტობა  
 ქაბას შინაგანად მოუწოდებენ — დადგეს  
 პირად ინტერესებზე. მაღლა და მიუხედავად  
 ყველაფრისა, ამხილოს ბოროტმოქმედი ბენე-  
 დიქტე. ქაბა საამისო ძალას თავის თავში  
 ვერ პოულობს; ის კი არა, იგი უნებლიედ ბე-  
 ნედიქტეს ვანდიდების ხელშეწყობადაც გა-  
 მოდის, როცა თავის რუს კოლეგას ვიტალი  
 პენჩევს უთმობს ფოტოს ბენედიქტეს გამოი-  
 ხელებით მწველობაზე. ეს ფოტო ერთ ცნო-  
 ბილ რუსულ ჟურნალში იბეჭდება ქაბას გვა-  
 რით. მაგრამ რაწამს ქაბა დარწმუნდება, რომ  
 დუდანა მისთვის დაეარგულია, ის მეგობრის ხა-  
 სა ყოფილა, მდის ბენედიქტესთან და მისი  
 კაბინეტიდან ურევავს უშიშროების მინისტრის  
 მოადგილეს ბენედიქტეს დანაშაულებრივ სა-  
 ქმინობაზე (სინამდვილეში ბენედიქტეს ატ-  
 ყუებს, რეკავს ილაღბებზე, სხვა ნორით),  
 ბენედიქტე იქვე, კაბინეტში ესერის ქაბას  
 რეკოლექტს. ჭრილობამომწებელი ქაბა პოე-  
 ლობს იმ გოგონას — თამილას, რომელსაც  
 ნიღბი ჩამოგლიჯა მასკარადის შემდეგ  
 და, როგორც იტყვიან — სიყვარულის საქმე-  
 ცაში წყდებაო — ეს ორი ახალგაზრდაც  
 ცაში შესცქერის წითელ ღრუბლებს დამსკვ-  
 სებულ, კოსმოსური მასშტაბის თავიანთ ლან-  
 უებს.

ბენედიქტეს საქმიანობას სიუჟეტურად უკ-  
 ავშირდება კიდევ ერთი ადამიანის ბედიც. ეს  
 არის სამსონი. ცოლის გარდაცვალების შემ-  
 დგე შინ დაბრუნებული სამსონი საღათს  
 ძილს შეუბუჩია და უკვე რაბანია ჩონჩხადქე-  
 ული ურბავედ დღეს საწოლზე. მას ზელოვნე-  
 რად კვებავს. სამსონი სამი ოთახის მფლობე-  
 ლია. ეს ვარემოება იქცეის ბენედიქტეს ერთი  
 „რწმუნებულის“ განსაკუთრებულ ფორადღე-  
 ბას. ვადაწყდება, რომ მომავლად მოხუცს  
 ბინაში შეუსახლონ ბენედიქტეს ნათესავი —  
 დუდანა. სამსონის სიყვარლის შემდეგ ამ გზით  
 ბინას უფრო ადვილად ჩაივადენს ხელი ბენე-  
 დიქტე და მისი ამაღა. შემდეგ კი ვახალდებენ.  
 სამსონი, მართალია, საღათს ძილითაა შეპე-  
 რობილი, მაგრამ მისი გონება დროდადრო  
 ფხიზლდება და ცნობიერებაში წყვეტულ ნაყ-  
 დებად მივლინება მოგონებათა მთელი წყება.  
 ამ კაცს, მართალია, ამ შეუძლია განჩნობა, ლა-  
 პარაკი, მაგრამ ასეთ წრთებში ყველაფერი ეს-  
 მის, ვრწმობს, რაც მის სიახლოვეს ზდება, და  
 უკვირს — რა ამბავია მის თავს. საბოლოოდ

სამსონი სალათას ძილს თავს აღწევს, მოიყვრება, ბენედიქტესა და მისი ამაღის ზრახვებზე საუბროს ედება.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს პერსონაჟი — სამსონი, როგორცად ეს ედიშერ ყიფიანს ყავს დახატული, ერთ რომანად ღირს. ედიშერ ყიფიანის მწერლური შესაძლებლობის შეცნობა რომანში მკითხველისათვის სწორედ სამსონის ხატით იწყება. ამ პერსონაჟის ხატვაში ბენედიქტესა, ძალდაუტანებლად ევლინება ავტორის ბელეტრისტული თხატობა და იმ ხერხების გონივრულად გამოყენება, რაც ახალი დროის ლიტერატურისა თუ ხელოვნების თვალსაჩინო მონაპოვად ითვლება, იქნება ეს შინაგანი მონოლოგი, თუ პარალელური მონტაჟი. სამსონის დონეზეა დახატული კიდევ უფრო ლაკონური, და შეიძლება უფრო ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით და მიგნებებით აღბეჭდილი, ეურნალის რედაქციის განყოფილების გამგის — ანგის სახე, თუ ყველაზე მეტი „ფართობი“ რომანში ჯამბასა და ბენედიქტეს უჭირავთ, ყველაზე ორიგინალური მწერლური მიგნების, შეიძლება ითქვას — აღმოჩენის დონეზე, ჩემი აზრით, დგანან მხოლოდ სამსონი და ანგია.

რაც შეეხება ბენედიქტეს, მართალია, ამ ქუჩის პერსონაჟის — მექრთამის — გამოჩენა ქართულ ლიტერატურაში პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ ავტორის ის ისე პუვს დახატული მოთხრობა სიტუაციებში (თანაშრომებზე თანხი, გარეგნობა, კინკლაობა, წიგნის ფურცლებს შუა ჩაწყობილი ფულის აღერის ხარბი თვალთ, ცალკეული ფრაზები, რომლებიც ასსოვს ბენედიქტეს, სწორედ იმ წიგნების ფურცლებზე ამოკითხული, სადაც ფული უწყევია, და ბოლოს, არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ უთუოდ რაღაც იგავური მნიშვნელობით აღბეჭდილი საბავირო გზის ვაგონი, რომელიც ბენედიქტეს სახლას თავზე რომ გადაივლის ხოლმე, ხანაც ზედ საზღვრების გასწვრივ შეჩერდება და მექრთამესავე ავად ენიშნება, ხომ ამ მითვალთვალებენო). ყოველივე ამის წყალობით მკაფიოდ იკვეთება ედიშერ ყიფიანის მიერ დახატული სახე, ვარაინტი ამ ტიპის ბოროტმოქმედისა, ერთი მხრივ, თავისი ზრახვებითა და მოხვეჭისადმი ცხოველური მისწრაფებით მკითხველში სათანადო რეაქციას იწვევს ეს ადამიანი, მაგრამ მეორე მხრივ, ზოგჯერ თითქოს გეცოდება კიდევ, რადგან ამკარად გრძნობ მისი აღსასრულის გარდუვალობას, რომ იმ გზას, რომელსაც ბენედიქტეები დადგომიან, სიკეთისაკენ არ მიჰყავს კაცი: გეცოდება, რადგანაც გიყვირს, როგორ უნდა იმეტებდეს თავს ადამიანი ასეთ ჭეჭუმი ზელის საფაფურებლად. სამწუხაროდ, ბენედიქტეს ასეთი ვტაცება ნაწილობრივ დაუფერებელია, რადგან ხასიათს არ

გააჩნია იმის გარკვეული წინაპირობა, რასაც გარდუვალად ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა მივეყვანა იგი ამ ბოროტმოქმედებაში. რა გარემოებებზე განაპირობა ხალხის დიკლამით მოვაჭირის ტიპი ჩვენი სინამდვილეში. საკულისხმობა, რომ გარდა ჯამბასი, (და ნაწილობრივ სამსონისა) თითქმის ყველა პერსონაჟი უწარსელოდ, უბიოგრაფიოდ, განვითარების გარეშე (ხოველის პერსონაჟების მსგავსად) შემოდის „წითელ ღრუბლებში“. ხომ არ არის ეს გარემოება იმის მომამწავებელი, რომ ქართულ ლიტერატურაში ფეხს იკიდებს ერთპერსონაჟიანი რომანი? როგორც ზემოთ აღენიშნეთ, სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით, საქმარისად სრულა ბიოგრაფიის მხრივ და საფუძვლიანად მოტივირებულაცაა ჯამბას ხასიათი, პიროვნება, ავტორის დიდ ადგილს უთმობს სწორედ ხასიათის ჩამოყალიბების პროცესს ოჯახურ გარემოში, იმას თუ რას უნერგავდა, რას უშლიდა, რაზე აქეზებდა დედა არა მარტო ბავშვობაში, უფრო გვიანაც; რა სულისკვეთებით ზრდიდა შვილსა და მოქალაქეს. ბენედიქტესთან დამირობიერებაზე და დუდანასთან ურთიერთობაზე ჩვენს წინ დგას უკვე საქაიფად ხორცშესხმული და მხატვრულად გამოკვეთილი მთავარი მოქმედი პირი რომანისა; ჯამბას, ბენედიქტეს, დუდანასა და სხვათა ინტერესები უპირისპირდებიან რა ერთმანეთს (მასობრად), ქმნიან სიუჟეტური სტრუქტურის გამორბეულ ნაწარმოების „ნონენსს“ თავის „სისხლხორციით“, რაც გარეგნულად შემოსილია (სამწუხაროდ, არათანაბარი ხარისხის) ენობრივი მსოფლიოთ. ყოველივე ეს, საერთოდ, რომელიც გნებავთ, რომანს, აქცევს მეტრალები მხატვრული ქმნილების სახეს, და თუ მკითხველი მას გულდასმით არ გაეცნობა, ისე ყოველი წარმოდგენილია, ვისიც გნებავთ და რა მოცულობისაც გნებავთ, წერილში მკითხველს შეუქმნას მიხლოვებითი წარმოდგენა ყო იმაზე, რასაც სინამდვილეში, დედანში წარმოადგენს ნაწარმოები. ამ თვალსაზრისით ძენელია არ დაეთანხმით ჰეგელს, რომელიც თავის გენიალურ „ესთეტურაში“ ამბობს — ხელოვნება თემცა მისაწვდომია ფილოსოფიური აზრისათვის, მაგრამ მაინც არ წარმოადგენს ხელსაყრელ საგანს მეცნიერული კვლევისათვის, რამეთუ სიღამზე ხელოვნებაში შეიძლება აღიქვა მხოლოდ გრძნობის, შეგრძნების, ჭერეტი, წარმოსახვის შემეგობობა.

რომც შექმლის ვინმეს, ნაწარმოების მხატვრული შეფასება არ გულისხმობს შინაარსის, სიუჟეტის დეტალურ გადმოცემას, რადგან, ზემოთაღნიშნულის გარდა, ზოგჯერ მარტივ სიუჟეტთან ნაწარმოებს ახასიათებს უადრესად რთული განვითარება არა ზედამიერულად, ფიზიკური მოძრაობის, არამედ ქვემდინარეობის სახით, პერსონაჟთა სულოური მდგომარეობას

ფიქსირების გზით. მსოფლიო ლიტერატურაში ამის საუკეთესო მაგალითია შოდეგრო დე ლალოს „სახიფათო ერთეულობანი“ და მარსელ ბრეტის მთელი შემოქმედება. მარსელ ბრეტს თავის რომანებში გულთახილავისა და მხატვრის უღიარეს ოსტატობით გვიჩვენებს პერსონაჟის მარტივი ფიზიკური მოძრაობის შედეგად სულში აღძრული ურთულესი პროცესის პროექციას.

შეცემურად მკითხველს უტრადლება მინდა შევიჩირო არა „წითელი ღრუბლები“ შინარის, საერთოდ, არამედ შინარის ზოგიერთ საყვანმო მომენტზე და მთელ რაგ ღირსებებთან ერთად, რომლებიც ზემოთ( ნაწილობრივ უკვე მოვისხენიე, აღწინაო ისიც, რა არ მაქმყოფილებს, რა არ მომწონს და რა არის, ჩემი აზრით, დამაყრებლობას მოკლებული ამ რომანში.

არ მომწონს აქა-იქ დაუდევრობით აღბეჭდილი ენობრივი ქსოვილის ნაწილი და ცალკეული ფრაზა არაზუსტი გამოთქმებითურთ.

რომანში ხატვის ოსტატობა უფრო მაღლა დგას თხრობის ოსტატობაზე, რაც ერთგვარად აქნელებს კითხვას. ეს ვარუშობა შედარებით უფრო საგრძნობია რომანის პირველ ნაწილში, მაგრამ იმ ეპიზოდთან, როდესაც ჯაბას წამოუღლის რაღაც ენის და საშინის ბინის კარზე აკრებებს (იმ დღეს ეგულებება), როგორც იტყვიან, მოულოდნელად იხსნება ცა და აშკარად მატულობს ნაწარმოებისადმი ინტერესიც. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ფსიქოლოგიური მომენტი. როცა ესა თუ ის ეპიზოდი, ფრაზა, ზუსტი ნახატი მოგწონს, აღარ ავირდები, სად რაგორი ენობრივი ლაფსუსია, ასეთ შემთხვევაში კიდევაც რომ შეამჩნიო მსგავსი რამ, ვინდა ყველაფერი ამატო ავტორს, რადგან მან მოვანიჭა სიხარული, აღვიძრა ესთეტიკური ემოცია, ვაზაარა რაღაც მნიშვნელოვანსა და მოულოდნელს. ასეთი ეპიზოდები „წითელ ღრუბლებში“ საკმაოდ და ეს აქნეებს მას არა მარტო ორიგინალურ, არამედ ხშირად საკითხავადც სასიამოვნო ნაწარმოების იერს. რომანის სექსპოზიციო ნაწილში ასეთია თეატრის საგარდერობის ეპიზოდი, სადაც ხატვა, ავტორისეული თხრობა, დიალოგი ქმნიან სათანადო განწყობილებასა და კლარაიტს, განუყოფელი შეგარდერობის — ძია ნიკაის ესოდენ აბლოზელ და ადამიანური უშუალობით მკაფიოდ აღბეჭდილი სახესთან ერთად.

მოუხედავად იმისა, რომ რომანის მთავარი პერსონაჟის — ჯაბას სახე თავისთავში არ ატარებს მხატვრული მიგნების, თუ გადაწყვეტის თვალსაზრისით ისეთი ორიგინალობის კვალს, როგორსაც ავტორი გვიჩვენებს საშინის, ანკიას, ან თუნდაც ეპიზოდური პერსონაჟის „კონიკის“ მაგალითზე, ის უდავოდ სა-

ინტერესოდაა გამოქრწილი და ჭირითადად ვამყოფილებს კიდევ რომანის პერსონაჟსათვის საჭირო, ყოველმხრივ, მრავალმხრივად ჩვენების მოთხოვნილებას. უკვე აღწინაა, რომ ავტორი დეტალურად გვაცნობს მის როგორც ფიზიკურ თავისებურებას, ისე სულიერ და ინტელექტუალურ ავლადილებას. თქვენ ისე აბლოს და ისე ღრმად ეცნობით ჯაბას, რომ დაახლოებით შევიძლიათ ივარაუდოთ, როგორ გამოამტკიცებს თავს ამა თუ იმ სიტუაციაში და მას ხშირად თანუტრებობთ. ეს საახლოვე, ეს გარკვეული ინტიმო, რომელიც მყარდება პერსონაჟსა და მკითხველს შორის, მის სასარგებლოდ განაწყოებს ამ უკანასკნელს; და შემდგომში მისი ბუღით დაინტერესება იმდენად დიდია, რომ თქვენ ფიზიკურ ტუეილსაც კი გაცნებთ მისი წარმატებლობა, შედღობით ვადაღმგულო ნაბიჯი, თუ ვარუშეთა უსამართლო მოპყრობა ჯაბასადმი. ასე ოსტატურად ჩვენება, ასე დაახლოება პერსონაჟსა მკითხველთან თუ მწერლის უდავო წარმატებაა, ეს წარმატება გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. მკითხველი ასეთ შემთხვევაში მეტისმეტად უტრადლებაგამაზვიებულა ხდება და უმნიშვნელო ლაფსუსაც კი მწერლისა, შეცდომას რომ თავი დავანებოთ, უფრო ვაზვიადებულად ეჩვენება; და რამდენადაც ღმობიერებით არის გამსკვალული პერსონაჟისადმი, იმდენად უღმობელოა მწერლის მიმართ.

ჯაბა — კეთილი, დამთმობი, დიდსულოვანი, განსჯის უნარის მქონე ახალგაზრდაა, რა ვუყოთ თუ ხშირად ადვილად აღზიანდება, მაშინაც კი, როცა დგდას ვაამთება. ის თავმოყვარეცაა. ის ენდება ადამიანებს, რადგან თვითონ არის ნდობის მაღლით მოსილი; და ეს ნდობა, ეს სკეთე, სულიერი სიწმიდე მას მიანია აუცილებელ პირობად არა მარტო ჩვეულებრივი ურთიერთობის, არამედ, საერთოდ, არსებობის თვალსაზრისითაც. როდესაც მას შეუვარბულის — დღესას საქციელში ეკვის აღმჭრელი ბრათს წერს აზხანავი რაიონიდან, ჯაბა, რა თქმა უნდა, მტკიუნულად ვანიღდოს ამ ცნობას, მაგრამ თავს ძალას ატნას, რომ არ დაიყროს ეს აშხავი. დაღატო, ისიც სიყვარულში, მას ჯერ კიდევ დაუჭერებულ აშხად მიანინა. ჯაბა ჯერ კიდევ არ არის ნაზიარბი თავისი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელივით ბევრ რამეს, რაც ასე ხშირად თან სდევს ჩვენს არსებობას. მაგრამ მას შეუდგევს კი, როცა ჯაბასათვის ცხადი ხდება ვველაფერი, აღარ შეუძლია გაემცეს უღმობელ და უხეშ სინამდვილეს, ჯაბა თავისთავში მანაც პოულობს დიდი, შეუბღალავი რწმენის დასაყრდენს; ის არ იმსკვალება ზოგიერთობივით არც ადამიანის სიძლეელით, არც სიყვარულისადმი საყოველთაო და ამ შემთხვევაში მისალოდნეული ურწმუნოებით. მას ამის შემდეგაც სწამს

ადამიანობაც, მეგობრობაც და სიყვარულაც. ის ადვილად ხედება, რომ სინამდვილე თუმცე მკაცრია, მაგრამ ეს არ არის მისი ერთადერთი გამოვლინება. რომანში მრავალი კრიტიკული მომენტი და ვითარებაა. ზოგ მათგანს ავტორი თავის პერსონაჟთან ერთად მარჯვლად აღწევს თავს, მაგრამ ამ გამარჯვებებს, ჩემი აზრით, მოსდევს ორიოდე მარცხიც, ერთი ასეთი მომენტიც მთვრალი ჯაბას მისვლა გურამისას. მეგობრები კამათობენ და ბოლოს ჯაბას ერთ გამომწვევ ფრასზე — დედანა შენ ზედაც არ შემოგაფურთხებსო! — გურამი მოულოდნელად აღებს შემოხველი ოთახის კარს, ანთებს ნათურას და, ჯაბას თვალწინ გადაიშლება წარმოუდგენელი სანახაობა: „ტახტზე გულშია ემინა დედანას, საბანი გადახდოდა. ცალი ფეხი მოელუნა, თითქოს კბეზე ადიოდა. თავი უკან გადაიგდო, მთელი სხეული სადღაც. ზემოთ მიღველივებდა ენით აწერული ნეტარების შესასრუტავად. ძუძუების ცხელი ჩრდილი კედელზე მძიმედ ადი-ჩადიოდა“. ამას ისიც დაუემტოთ, რომ დედანა მთვრალია. ვის შეუძლია უარყოს, რომ ხდება ასეთი და უარესი რამეც; მაგრამ ცხოვრებისეული ფაქტისაგან (რომელიც უყოყმანოდ გვეჭრა ხოლმე) ლიტერატურულ ფაქტს ისიც ასხევეებს, რომ ლიტერატურული ფაქტი (რაკი მას განზოგადების პრეტენზია აქვს) ყოველთვის მოტივირებული და ლოგიკური კანონზომიერებით არის ნაკარნახევი, რასაც აგრეთვე დამაჯერებელს ხდის თვით სათანადო მხატვრული ოსტატობა. მე პირადად ამ ემზოდში ვერც ლოგიკური კანონზომიერების კვალს ვატყობ და ვერც მხატვრული ოსტატობით გაპირობებულ დამაჯერებლობას. გოგონამ, რომელიც ჯაბას თანდასწრებით, რევისორის წინადადებაზე — ითამაშოს მის ფიგურში, ამბობს — მე არ გამოვდგები, მე სემინარებზეც კი ვწითლდები ხოლმე, როცა ლექტორს ვხასუხობ. დამცინიან ამხანაგები“ ხომ უნდა ვიკიდეთ, როგორ გააკეთა ასეთი ნახტომი უკიდურესი სიმორცხვიდან უკიდურეს ურცხვობამდე.

სამყელს ვერ შევლის ავტორის ფსევდონომანტიკული ფრაზა პერსონაჟის ტრაგიკული მდგომარეობის გადმოსაცემად — „ჯაბა შედგეს წიგნობინა, რომ არ წაქეუთაყო. იგარბო როგორ შედგა გული, შეყოვნდა, თითქოს მერყეობდა: სამუდამოდ დადუმებულიყო თუ კიდევ განგრძობო ფიქვეა. ბოლოს მძლავრად შეფრთქალდა და ტალღასავით ააგდო სისხლი ტინში“. ავტორის ასეთი რამ არ მოსდის, სამსონის, ან ანგვას ხატვის დროს. ჩემი აზრით, აქ აშკარად არ არის მონახული პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის ზუსტი სიტყვიერი შესატყვისი.

რა გამომწვევადაც არ უნდა ელაპარაკო ადამიანს, არა მგონია, მთვრალიც კი ის იქამდე

მივიდეს, სადამდეც გურამი მიდის, ეტრო/სწორად ის ავტორს მიჰყავს. ამერიკული ენობრივ მძიმე და დაუსაბუთებელი ტრადიციის ეყენებს ავტორი გურამსა და დედანას. არც გურამი, არც მით უმეტეს დედანა, მთელი რომანის მანძილზე არ ამკლავებენ თუ მათ ადამიანური თავმოყვარეობის, ღირსების დაკარგვის, უბრალოდ, გათახსირების ამ დონემდე შესწევთ მისვლა. (გურამმა იცის, რომ დედანა გაგიჟებით უყვარს ჯაბას; დედანამაც იცის, ხედავს, რარიც ეტრფის მას ჯაბა). ამ გარემოების ასეთ უყვარცვალელობას, ვიწროვობა — შესაძლებლად, მხატვრული დამატებლობა, დასაბუთება სჭირდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაკვირვებას იწვევს ის ამბავიც, რომ ასე, ხასადქვეულ დედანას, (თურმე არ არის გამორიცხული) გურამი ცოლად ითხოვს:

— „ჯერ არ მოგიწერიათ ხელი?“

— „ჯერ არც ეპირებო...“ ესე იგი მაინც აპირებს გურამი დედანას ცოლად შერთვას. და ავტორს ამის შემდეგ სურს დაგვაჩეროს, რომ ვის შერთვასაც აპირებს გურამი, იმ, შეშველად ტახტზე გაშლართული და დამთვრალი ქალის საჩვენებლად შეჰყავს ჯაბა მეგობარს ოთახში. ეს რომ ოდნე მაინც რაიმე მხატვრულ ლოგიკას ემორჩილებოდეს, მაშინ ადამიანის უხამსობისა და გადაგვარებისათვის აქ შეიძლებოდა დაგვესვა წერტილი. ეფექტობში, რომ ავტორი ცოტა უფრო უყვთვის წარმოდგენისა თავის პერსონაჟებზე, ვიდრე მათი ასეთ ვითარებაში დახატული შეიქმნა შეიძლება, თუ ეს სიტუაცია, ჩვენი აზრით, მოკლებულია დამაჯერებლობას, სამაგიეროდ, სრულიად დამაჯერებლად გვეჩვენება, რომ სწორედ ჯაბასნაირი ხასიათისა და გულის ადამიანს შეიძლებოდა ეკეთხა ის გულშეგრევილობა:

— „არ შეიცვლება?“

დაიღუპა სიყვარული ერთი არსების სახით, მაგრამ ჯაბას გულში მაინც დარჩა რაღაც ისეთი, რაც მის ადამიანობასა და სულიერ სისუბეტაკეზე ღლადებს. აქ ავტორს ვერ შევედევებით. ის მართალია.

ეს ადამიანები გარკვეული თაობის წარმომადგენლები არიან. „წითელი ღრუბლების“ ავტორის სურს ვეჩვენოს ამ თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის ზნედაცემულობა, და სრულიად სამართლიანადაც. მაგრამ დაუსაბუთებლად. ასეთი ბრალდების ვაზიარება ძნელია.

ავტორის მეორე, ასეთივე მხატვრული მარცხი გვეგონა ბუნედიტვის მხილებლის ფორმა. მას შემდეგ, რაც ჯაბა კარგავს დედანას, ეს გარემოება ერთბაშად მატებს არა მარტო, განმედაობას, არამედ უღვიძებს მოქალაქეობრივ თავმოყვარეობასაც. თუ აქამდე ჯაბა ბოროტებას ხელს უწყობდა (უნებლივ) მის განკარგულებაში არსებული საშუალებებით (ყურანა:



ლისტია, ფორტოკოვსკონდენტია), ახლა იგივე პორტუგებს ის იმავე სუშალებებით კი არ ებრძვის, არამედ ირჩევს რაღაც უცნაურ ფორმას. და ავტორი აღგმეიწნებს ისეთ ნაბიჯს, რაც ყოველად დაუჭერებელია რეალურად გადადება იმ ქაბას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ: ჯაბა მიღის ბუნედიტესთან, ცოტას ალონდინებნ და შერე შეუქმებენ მასთან კაბინეტში. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჯაბა ეუბნება ბუნედიტეს, ორასი ათასი მანეთი უნდა მას სესხო. ცხადია, განზრახ, გამოსაწვევად. გაშტრებელი ბუნედიტე უპირზეა, — სადა მაქვს მაგდონი ფული. ამის პასუხად ჯაბა ბუნედიტეს ისე მოაწვევებს, ვითომ უშინროების მინისტრის მოადგილეს ნამდვილად ურკავდეს: — პატივცემულო ლევან, ერთი სასწრაფო საქმე მაქვს თქვენთან, ძალიან ვთხოვთ ჩაიწეროთ, მისმენთ? ჩალუკრის ქუჩის 57 ნომერში... „ცხოვრობს ვინმე ბუნედიტე ზიზიბაძე...“ შექრბამე... ბუნედიტე ვერ ზედება, რომ ჯაბა მის სცდის, ატუეებს და ეს გამოცდა ახალგაზრდა ეურნალისტისათვის თავდება ტრადიციულად: ბუნედიტე მას რეკლუკრის ესერის. შეუძლებელია ავტორის ვინმე უკარნახოს — რა, როგორ და როდის უნდა მომზადიყო (რადგან მან ყველა მკითხველზე უკეთ იცის თავისი ნაწარმოების პერსონაჟთა ასეველ-დასავლი) და არც შე ეამბრებ ასეთ რამეს. მხოლოდ მინდა გამოცედა, რომ ბუნედიტეს დანაშაულებრივი მოღვაწეობის გამოშვადენებას მოველოდი იმ მომენტში, როდესაც ჯაბა ეურნალის რედაქტორისაგან ისმენს დარბიგებას თავისი გულწრფელი აღსარების შემდეგ (სხვათაშორის, ამ დროს კაბინეტში შემოდის უშინროების მინისტრის მოადგილე — ლევან ქებურია) ამ საუბრისათვის რომ ანჯიას მოეკრა ყური, ბუნედიტეს ვეღარაფერი უშველიდა. ბუნედიტეს საქმიანობის მხილების მისია ავტორის არც რომანში აღწერილი, ან სხვა მსგავსი ფორმით ჯაბასათვის არ უნდა დაეკისრებია, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მის არსებაში დაიმსხვრა სიყვარულის კერა. ეს ჯაბას, მკითხველის თვალში არაფერს მატებს; პირიქით, მისი ეს ნაბიჯი თითქოს თვალს გვიხველს და გვარწმუნებს ჯაბას უპრინციპობასა და ეგოისტობაში. სულ სხვაგვარი იდეალების მორტფილად და სხვაგვარი სუღიერი წყობის ადამიანის ასე გარდასახვა ავტორის ნება-სურვილით ამ ხასიათთან შეუთავსებელია, უცხო შტრახია, თუ, რა თქმა უნდა, ამას ქვეტექსტის სახით არ ახლავს ის ამბავი, რომ არც ჯაბაა კვი სული, ბუნედიტეს კაბინეტში აღწერილი, რეალურად მომზადარი ამბავი რომ იმ ფორმით ყოფილიყო გადმოცემული, რა ფორმითაც ავტორი

ადრე ჯაბას მრავალ განზრახვას, ფიქრს, გაუბედავ ნაბიჯს გავცნობს, როცანსწინდელ სცილდებოდა ცნობიერების ზღვარს, ამ შემთხვევაში კი რეალობად, ახლაც ყველაფერი დამაჯერებელი და ბუნებრივი იქნებოდა. ჩვენ ამ შემთხვევაშიაც თანაგაპრობით შევხვდებოდით ჯაბას კიდევ ამ ერთ, მორიგ გაბედულ, მაგრამ გაუმელავნებელ განზრახვას და იქნებ იმაშიაც უფრო მეტად დაეწმუნებელიყავით რომ ბილოსდამოლოს ჯაბა შეეპროლება და დასაძლევს, უპირველეს ყოვლისა, თავის უნებისყოფობას. ახლა კი ჯაბას მიერ ავტორის ნება-სურვილით ასეთი „გმირული“ ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ზოანს აყენებს ამ ხასიათს. ლოკუერად თუ მივეუდებთ, გამოდის რომ, თუ დედანა ჯაბას არ უღალატებდა, ჯაბაც არასავით არ გომეტებდა დასაღუპავად ბუნედიტეს. მინდოდა მერწმუნა, რომ საშსონის საღათას ძილით შეპკრობა არ განისაზღვრებოდა ამ ამბის წმინდა ფიზიკური მდგომარეობით, ძილი პირდაპირი მნიშვნელობით არ მინდოდა მიშელო. მაგრამ, საწმუნებარად, ძალიან უამაშია მისი ვარაუდი ამ ვითარების დასასრულად; საშსონის მავალითვე კი შეიძლება მწერალს უფრო ღრმად და მკაფიოდ ეხვეწებინა ისიც, რომ საშსონივით ბევრს „ძინავს“ საღათას ძილით და ასეთი ადამიანების ბედს ყოველთვის განაგებენ არამზადები. საშსონისათვის, მართალია, ყველაფერი ესმოთ, გრძნობენ, სწუხან, მაგრამ ხმა ვერ ამოუღლით, ამგვარი სიმბოლიკა „საღათას“ ძილისა ნაწარმოების ღირებულებას, აღზბათ, განუზომლად გაზრდიდა. ბედნიერად მიგნებული, მოფიქრებული და შესრულებული საშსონი (მთელი საღათას ძილის პერიოდში) ბოლოს იღვიძებს, გონს მოიღოს და ერთბაშად ყველაფერი ისე მჭვიდობიანად და უფერულად თავდება, უზრალოდ გწყინს, ასე იდეულად რომ გაუშვა ხელიდან ავტორმა რაღაც უფრო დიდი მნიშვნელობის სათქმელი.

„წითელ ღრუბლებში“ უამრავი ცალკეული ნაყოლია, მაგრამ გაუგებარია ავტორი ვერ ახერხებს თუ არ ცდილობს ბევრი მათგანის შენაყლად ქცევის მთავარ მდინარებასთან, რომანის ძირითად ტენდენციებთან. ამას ხელს უწყობს ზედმეტი ფრაგმენტულობა. მაგრამ ამ საბოთი კი „წითელი ღრუბლები“ სერიოზულ მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც უღაყოდ იმსახურებს ყურადღებას, მასში აღძრული საკითხები კი — ფართო მსჯელობას.

რომანს შარავანდედად აღვას სიმბოლურია სათაური „წითელი ღრუბლები“, რომლის წინაშენლობაც ავტორის თვით ტექსტში აქვს ნაწილობრივ მინიშნებული. ერთ ასპექტში, ავ-

ტორის აზრით, შვის სხივის მთელი სიდიადე და სილამაზე მაშინ ჩანს ზოლმე, თუ სიერცეში მას სადმე შეხვედბა სპეტაკი ღრუბლის ქულა. ეს ბედნიერი შეხვედბა არის სწორედ სიყვარულის — მაღალი გრძნობის რაღაც კოსმოსური პროექციის გამოხატულება.

თუ შოთა რუსთაველს კრიტიკოსების დახმარებით არ დაუწერია თავისი გენიალური პოემა, სამაგიეროდ, მის ნათქვამში — „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“ პოულობს კრიტიკა თავისი გამართლებისა და დანიშნულების ახსნას, როცა ის გულწრფელი და სამართლიანია. კრიტიკა უნდა იყოს სწორედ ეს „სასარგებლო საუბარი“ ნაწარმოების როგორც მოწონების, ისე თუნდაც მისი დაწუნების შემთხვევაში. მხოლოდ და მხოლოდ „სასარგებლო საუბრის“ სურვილი იყო იმის სტიმუ-

ლი, რომ შეთქვა ჩემი მოსაზრება ედიშერ ყიფიანის რომანის „წითელი ფრეხვლეფსა“ შესახებ.

გ ი ზ ლ ი რ ი თ ე ქ ა

არიან ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებით მოსწონთ ერთი რუსული ანდაზა — «Молчание — золото», მაგრამ, ვინც კარგად დაკვირვებია, იმ ადამიანებისათვის დღშილი მანამდეა ოქრო, სანამ საქმე სხვის წარმატებას ეხება. ეს კარგად შენიღბული შური და ეგოიზმი ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ ფეხმოკიდებულია. მე მგონია, არა მარტო ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა, იმ დიდი საქმის სიყვარულიც, რომლის საკრთხვევლზეც ზოგს ლომის, ზოგს ჭიანჭველას წილი მოაქვს, გვაეილებს ჩვენი პირადი წარმატებით გამოწვეული სიხარულის მცირე ნაწილი მაინც გავიმეტოთ სხვების წარმატების აღსანიშნავად.



## ნატონანი მატყველება კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“

კემპარიტი მხატვრული ნაწარმოები საგნებისა და მოვლენების თუნდაც ზედმიწევნით სწორი ასახვითა და ჩვენებით ვერ დაკმაყოფილდება. მხატვრული ნაწარმოების დანიშნულება მხოლოდ ფაქტების აღწერა ან გამოსახატვის მხოლოდ იდეური შინაარსის გამოხატვაა როდია. მხატვრული ნაწარმოები მაშინ მოახდენს მკითხველზე შესაფერის ზეგავლენას, როდესაც თავისი გამოხატვის საგანს, მის იდეურ-თემატიკურ შინაარსს გარკვეული ხატოვანებითა და ესთეტიკური ნორმების გათვალისწინებით წარმოგვიდგენს.

მხატვრული ნაწარმოების შექმნისას, ცხოვრების მოვლენათა გადმოცემისას გამოიყენება სხვადასხვა გამოხატვის საშუალებები — ტროპები და ფიგურები და სხვ. შედარება, ეპითეტი, გაპიროვნება, მეტაფორა და ტროპის სხვა სახეები სამკაულად. ჩუქურთმებად გამოიყენებან და მალა სწევენ ნაწარმოების მხატვრულ დონეს. გარდა ამისა, ზოგიერთი მთვანის ხმარება (მაგალითად, ეპითეტი, მეტაფორა და სხვ.) არა მარტო ამშვენებებს და გამოცირს ხდის ნაწარმოებს, ხელს უწყობს სახეების მკაფიოდ გამოძიწვას. მხატვრული ნაწარმოების ენის ხატოვანება, მისი, ასე ვთქვათ, ორნამენტულობა მწერლის ოსტატობის ერთ-ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი პირობაა.

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ისევე, როგორც მისი სხვა ნაწარმოებები, გამოირჩევა პოეტური ოსტატობითა და ღრმა მხატვრული გემოვნებით. მოხდენილი მხატვრული ფორმები, სათქმელის ემოციურ ჩარჩოებში მოქცევა აძლიერებს ნაწარმოების ესთეტიკურ ფუნქციას, მის გამოხატვის საშუალებას. „დიდოსტატის მარჯვენაში“ დიდ როლს ასრულებს სიტყვის ხატოვანება, მშვენიერება. ხშირად სიტყვა ლირიული ფუნქციით იტვი-

რთება, ქმნის ამაღლებულ განწყობილებას, გვატყვევებს მუსიკალობით და მღერადობით. ჩვენ განვიხილავთ გამოყენებულ ხატოვანი მეთვლელების მხოლოდ ზოგიერთ საშუალებას.

კ. გამსახურდიამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია მხატვრულ ლიტერატურაში ფრაზის ელერადობას, მის მგლოდიტობას. მწერალი არ მორიდებია პროზაში პოეტურა ნიშანთვისებების შემოტანას. მან დაახლოვა ერთმანეთთან პოეზიისა და პროზის ენა, ამით გააძლიერა სიტყვის ემოციურობა და ლირიზმი. მაგალითისათვის ავიღოთ „დიდოსტატის მარჯვენის“ ერთ-ერთი თავის ნაწყვეტში: „ეძინათ ტბილად ყვავილებსა და ბალახებს. მხოლოდ ფუტკრები გალობდნენ ძილში, ან სიყვარული თუ მღეროდა ვაჟკაცის გულში? ჰქვიაოდნენ ბნელში ბაღის ვარდები და ზატაური გლიცინიები, ისე მკაფიოდ მოსჩანდნენ კიდევ ცაზის მტევნები, სერტიცხოველისა, ოსტატის ხელით იმოჭრილი თეძამის ქვეაზე!“ „სიყვარულითა თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე“. მოთქაროდა მისკენ ლანდი რიდეშოსტული, მთვარის შუქისაგან დათოვლილი მოსჩანდა იგი.“!

ან:

„მომოხედა, ვერაინ ნახა, მხოლოდ სურათს დაადგა თვალი. შეპხედა, შეკრთა, რა დაინახა ღმერთთან მებრძოლი კოჭლი იაკობ...“

„შე და ღმერთი ვართ ამ უბედურ, ბნელ სასახლეში.“

„როგორ უუ ღმერთი, რას ამბობ, უტა?“.

გაოცებული ეკითხება ვაჟკაცს ლიცი... (გვ. 713-714)

აქ ზოგიერთი წინადადების დაბოლოებები პირდაპირ ერიითმება ერთმანეთს. ეს რიტმულ

1 კ. გამსახურდიამ, რჩული თხზულებანი, ტ. II, 1959, გვ. 712. ქვევით ყვალგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ.



პროზას არც თუ ხშირად ახასიათებს. კ. გამსახურდია მუსიკალურს ზღის წინადადებებს ისე, რომ არაერთაზრად ხელოვნურობასა და ძალდატანებას არ მიმართავდა.

რიტმული პროზა პოეტური მეტყველების რთული სახეა, რადგან მოითხოვს ფორმისა და შინაარსის ისე შეთანხმებას, რომ საბოლოო მთავარი აზრი არ დაიჩრდილოს. როგორც ზემოთხსენებულ ნაწევრებში ვხვდებით, გმირთა მონოლოგი, პერსონაჟის ფიქრივილი რიტმული პროზის ფორმით არის გადმოცემული. ეს ამტკიცებს, რომ რიტმული პროზა არ ზღუდავს სხვადასხვა სიტუაციებისა და მომენტების გამოხატვას. კ. გამსახურდია ოსტატურად იყენებს პოეტური მეტყველების ამ ფორმას და ამდღებს ნაწარმოების ეფექტურობას.

კ. გამსახურდია, ყურადღებით ეყიდება წინადადების შელოდობას, მის ძვრადობას, მწერლის სიტყვის თანდაყოლილ მუსიკალობაზე გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება მის რომანში ალიტერაციულად გამართული ფრაზების მაგალითზე:

„ცხარტბის ერისთავის მეუღლეს ცხრა დამეც არ გაუთვლიათ ქმართან“ (გვ. 688);

„ბნელში დაბუდებული ზუს მართვე, ბნელს უჩიოდა ხილნარში“ (გვ. 711);

„ლაზისტიანს ზღვა ელავდა სოიერის ზღვისფერ თვლებში“ (გვ. 665);

„ქორისფერი ქორღები ცის სილურჩეს მიბჯნოლენ თხემებით, არწივები ფრთხებოდნენ ყვარისმტვირთველის ჭორის თქარუნზე“ (გვ. 505). „ყველაფერს შენ შეგწირავ, შენ განცვალავ, შორენა“ (გვ. 716).

ზემოხსენებული ფრაზები გამოირჩევა სიმფონიურობით, შინაგანი რიტმით. ამ ფრაზების შინაარსს აქუსტიკური თვალსაჩინოებით აღვიქვამთ. ამასთანავე როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ არ არის რაიმე ხელოვნურობა. ბგერათა თამაში ფორმალური ან უბრალო ეფექტის საშუალება როდია. არა, მას გარკვეული შინაარსი აქვს, განსაზღვრულ აზრს გადმოსცემს.

თუ დავუკვირდებით, ზემოთხსენებული ფრაზები გამოხატავს ძლიერ შინაგან განცდებს, ემოციურ გარემოს, გარკვეული პათეტიკით ნიშნულბულ მომენტებს.

ფორმალური მხარე წინადადების, ფრაზის შინაარსთან პარაზონიულ კავშირშია და ამიტომაც არ ახდენს ზედამართულ ფუჭი ეფექტის შთაბეჭდილებას. ალიტერაციულად გამართული ფრაზები ესთეტიკურ გავლენას ახდენს მკითხველზე, ხელს უწყობს რომანის მალაღმბატერულობას.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ მოვლენათა აღმანიშნა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ემოციურად გამოხატვის სხვა მრავალი ხერხი და საშუალება იპყრობს ყურადღებას. მწერალი

იყენებს ტროპის თითქმის ყველა სახეს, რაც დიდ მხატვრულ ეფექტს ქმნის ცხადმხატვრობის ყველა სახე თანაბარი ძალით, ყოველის გამოყენებული ავტორის მიერ. ავტორისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი არის გამოხატვის ზოგიერთი საშუალება, მაგალითად, ეპითეტი, მეტაფორა, ვიპარიფენება. დიდ როლს ასრულებს რომანში შედარება, სიმბოლო, ალეგორია, გვხვდება პიპერბოლა, მეტონიმი, სინეკდოქე, ირონია, პერიფრაზი. ყოველივე ამით მწერალი ამდიდრებს, ხატოვანა და მიმზიდველს ზღის ნაწარმოების ენას.

კ. გამსახურდია გამოირჩევა, როგორც უკვე ვთქვით, მეტყველების ხატოვანებით, რაც ზღის უწყობს ნაწარმოების აზრის გამოყვეთას იდეისა და თემის სრულად გამომვლავნებას. ამიტომაც მისი მეტყველების ხატოვანება ზედმეტად არ ამბივებს ენას.

ხატოვანი მეტყველების საშუალებებს „დიდოსტატის მარჯვენაში“ ძირითადი ფუნქცია აქვს. მწერალს უყვარს მათი გამოყენება და ეს არის ამ რომანის ერთ-ერთი ეფექტური მხარე, მით უმეტეს მწერალს იგი საერთო ზომიერების დაცვით აქვს გამოყენებული.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტროპის სახეს — ეპითეტს.

როგორც ვიცით, ეპითეტი — მხატვრული განსაზღვრა, პოეტური დახასიათება — რამდენიმე სახისაა: მაქებათი, მაბეგბელი, ნეიტრალური. კ. გამსახურდიას ეპითეტის ყველა სახე აქვს გამოყენებული რომანში.

კ. გამსახურდიას ეპითეტები დატვირთულია შინაარსით, აზრით. მწერალი ტროპის ამ სახეს მეტად ორიგინალურად იყენებს. მას მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს. კ. გამსახურდიას ეპითეტი, მოცულობით სიტუაციასში, შეუძლებელია სხვა სიტყვით შეივცვლოს. იგი იყენებს განუმოკრებულ ეპითეტებს, რომელთა შერჩევა მხოლოდ მას თუ შეუძლია.

მაგალითად:

„ცხვირში აფერიდა მშვენიერი წერო, დურახისფერი ფრთები ჰქონდა, მიხაკისფერი მკერდი, მწყრისფერი ზოლებით მოხატული კისერი“ (გვ. 546).

წეროს ასეთად აღწერა მხოლოდ კ. გამსახურდიას თუ შეეძლო. აქ თითოეული ეპითეტი მხოლოდ მისეულია, მხოლოდ მისთვის არის თვალსაჩინო.

აქნა:

„შეუძლებელი იყო რაიმე მზაკრობა ზღობოდა ამ მშვენიერ, შურყენელ თვლებს“ (გვ. 533)

„მშვენიერი თვლები“ უველას შეეძლო ეხმარა, მაგრამ „შურყენელის“ ხმარებით თავისებურება შემატა წინადადებისა და რამდენიმე

უჩვეულოდ აღწერა ქალის თვალები: არის სუბოვებულად ზედა.

კ. გამსახურდიას მიერ ხმარებული ეპითეტი ზუსტად ახასიათებს ნაწარმოების გმირს, გვიჩვენებს მწერლის პერსონაჟთან დამოკიდებულების ხასიათს. მწერალი ამა თუ იმ პერსონაჟს ისეთი ეპითეტით ახასიათებს, რომლითაც ხაზს უსვამს ამ გმირის ძირითად, უცვლელ თვისებას, მავალითად:

„გიორგიმ დანამდვილებით არ იცოდა, რას მოუწყობდა მეფესა და ამაღას **მელაძეა ერი-სთავი**, ხომ შესაძლო იყო ღვინით მოეწამლათ, ან ბრძის ხორციში გაერიათ მცირედი შხამი?“ (გვ. 533). „**მელაძეა ერისთავი**“ ათავსებს კოლონკლიდა და ეს არის ზუსტი დახასიათება ამ ერისთავისა, რომელიც ქაშველიანებით იღვლის ფერს. ამ შემთხვევაში ეპითეტი „მელაძეა“—შესაფერისად ახასიათებს კოლონკლიდეს, ეს ეპითეტი მამაკებელია.

მსგავსი სახისაა ეს ეპითეტიც: „ქედმოდრეკილი მივჭრა ეზოსმოძღვარი, თავისი **მარად-სველი, მსუქანი ტრნებით** დაღლიშა მარჯვენა“ (გვ. 489). აქ სველი ტრნები რაღაც მორღვეულობის, ზიზღისმომგვრელობის შთაბეჭდილებით არის აღსავეს. აქაც შესაფერისად არის დახასიათებული ეზოსმოძღვარი, მისდამი ზიზღს ვგრძნობთ. ეპითეტი მამაკებელია. მის მამაკებულურ თვისებას კიდევ უფრო უსვამს ხაზს სიტყვა ღოშნა, რომელიც სწორედ დორბლიანი, სველი ტრნებით კოცნის ნიშნავს. ამ წინადადებაში კარგად ჩანს ბუნება საერთოდ მამაკებელი ეპითეტის, რომელიც შეიცავს გარკვეულ სარკაზმს, ირონიას.

აღსანიშნავია ერთი თავისებურება: მწერალი „ლიდოსტატის მარჯვენაში“ თვით პარტიკულარული მისწრაფებებით აღსილი მემოზობების ხატის დროსაც ყოველთვის არ იუყენებს მამაკებულ ეპითეტებს. მემოზობების დახასიათებისას, რომლებიც ხელს უშლიან ერთიანი საბელწიფილი ჩამოყალიბებას, თითქოს ბუნებრივია ისეთი ეპითეტების ხმარება, რომლებიც თვით მათს გარეგნობაშიც რაიმე უარყოფითს უნდა უსვამდეს ხაზს, მაგრამ მწერალი ამ პრინციპს არ იღებს ნორმად. პირიქით, ზოგჯერ ასეთ პიროვნებას ისეთი მშვენიერი ეპითეტებით ამკობს, რომ ლამის შეგავყვაროს, ან გაგვიჭროს სიძულელი.

მავალითად, მწერალი ასე ხატავს კიბერს, ამ შეუთრგვეტელ, თავაწყვეტილ მემოზობს:

„მუნარაღი მოიხსნა, **თავთუხისფერი კულუ-ლები** გადმოიღვარა მის **მაღად სუბლზე, ღიდ-რონი, ცხფერი თვალები** მიაშტერა ყათლოკოსის დაღულდ სახეს“ (გვ. 493). აქ დახატული ექვყაცი გარეგნობით შესანიშნავია. იგი მაქებარი, ამამალელები ეპითეტებით არის დამშვენიებულა მაგრამ ეს ეპითეტები უფრო შეტად უსვამს

ხაზს ამ პიროვნების საქმეებს, რაც კრატოსტრელია მის გარეგნობასთან. სწორედ ეს კონტრასტია მომგებიანი, რადგან იმაზე მოქმედებს, რომ ლამაზი სხეული ყოველთვის ნამდვილად მამაკებელი იღვალუბის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ასევე მიზნიდველი ეპითეტებით არის შემოკბილი თაღავა კოლონკლიმეც. მაგრამ არც მისი ნამდვილი სახის აღქმას უშლის ეს ხელს, მით უმეტეს, რომ ერთგან პირდაპირ ეპითეტებით არ არის მითითებული მისი თვისება: „მეღემ ნამალადვედ გავლიმა **ცბიერ ერისთავს**“ (გვ. 529).

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი პერსონაჟის გარეგნული მიზნიდველობით ხატვა უცხო არ არის ქართულ მწერლობაში. თუმცა ასეთი პრინციპით გმირის ხატვა მაინც ნაკლებად გეჭვდება.

თავისი ნაწარმოებების უარყოფით პერსონაჟებს გ. წერეთელიც მიზნიდველად ხატავდა. ვალიდას, გულშანის, ლილია პეტროვანს გარეგნობას იგი მაქებარი ეპითეტებით ამკობდა. ასევე იქცეოდნენ ზოგჯერ ი. კაკუაძემ, მიხ. ჭავჭავაძემ, იგივე კ. გამსახურდია „დავით აღმაშენებელში“ და სხვ. მაგრამ მაქებარი ეპითეტები პრინციპულად ვერ აღამაზებს უარყოფითი პერსონაჟების ქვეშარტ სახეს. ეს პერსონაჟები თავიანთი ქცევით ძაგვებისა და გაკაცების ღირსნი არიან.

კ. გამსახურდიას ისეთი ეპითეტებიც აქვს გამოყენებული, რომლებიც ფორმით უარყოფითი ხასიათისაა, მაგრამ შინაარსით სინამდვილეს, ქვეშარტებას გამოხატავს, ასახავს მდამიო აღამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას, მათს გაწამებულ სიცოცხლეს. მავალითად: „ნახვერად **შიშველი მონები, დამუფული დედაყაებო და მუწუკებიანი ბალდედ** ვყარნე გზაზე“ (გვ. 500). გამოისახვის ამ ზერით გამოჩნეული სიმკვეთრით არის ნაჩვენები მდამიო აღამიანთა რეალური ცხოვრება, და, რა თქმა უნდა, ეს დამაჭრებლობას მატებს ნაწარმოებს.

კ. გამსახურდია ფართოდ იყენებს მაქებარ ეპითეტებს აღამიანების, მოვლენების, ბუნების ასახავად. ზოგი რამ უკვე ვთქვით მაქებარი ეპითეტის შესახებ, მაგრამ იქ მისი დანიშნულება ერთგვარად უჩვეულო უნებობით იყო ნაჩვენები: მაქებარი ეპითეტები უარყოფითი პირების მშვენიერი გარეგნობა იყო მითითებული. მაქებარი ეპითეტის ძირითადი დანიშნულება კი ქვეშარტიად დადებითის დახასიათება და ჩვენებაა. „ლიდოსტატის მარჯვენაში“ ეპითეტი ხმირად ასრულებს ამ ფუნქციას. მავალითად:

„**მოხუცებულ მარტყკოს** უნდა შეზმოდა **მოკრძალებული, თავმდაბალი კაბუკი**“ (გვ. 575);

„წყნარი და შიანი საღამო იყო, ხევის წყლის ამო ჩხრიალი, ცახ მიწედენილი მთების სიღუ-

არც, შაბაძანის ფერა მაღალი ცა—ეს ყოველივე მწვენიერ გუნებას უქმნიდა მეფეს და ამაღას.“ (გვ. 530);

„საერთოდ დიჭი და უშიშარი რაინდი — (გირშელი, თ. კ.) — უცნაურად აეცუნდრუკებინა შიშს“ (გვ. 730);

„მშვიდი იყო ბუნებით გიორგი, ენამზეობას მოკლებული, მაგრამ ამოდ მოუხარო და სახით სათონ“ (გვ. 530).

კ. გამსახურდია ხშირად იყენებს ნეიტრალურ ეპითეტებს, რომლებიც არც უარყოფით ტენდენციებს აქვდავენებს და არც დიდებითს. მაგალითად: „უწვერული ქაბუჯი“, „ქანჯისფერი თორი“, „შეწვერიანი ბერები“, „ძველთაძველი ჩაფხუტი“ და სხვ.

ზოგჯერ კ. გამსახურდია ერთ წინადადებაში ზედმედ ხმარობს რამდენიმე ეპითეტს. ეპითეტების დაგროვებას ერთგვარი გამამდიერებელი, ხაზის გამსძვარი მნიშვნელობა ენიჭება, ასახაზავი საგანი თუ მოვლენა უფრო გამოკვეთილად, რელიეფურად წარმოიდგინება. მაგალითად: „მართლაც საშინელი ფეგურები მიფრობიანდნენ მტვერში, თოჯინებსაგით გამოჩორგენილნი, თემდაშლილნი, ფხმოქცეულნი, შეწებბრტყელნი და თავწერიალა, მხარგანიერნი, გრძელწელიანი, მოკლუფებუბა...“ (გვ. 672). აქ დაგროვილი ეპითეტები საუცხოო ძალით წარმოვადგენიანებს უბედური, მახინჯი მონაზუნების გარეგნობას. ეპითეტები მამაკებლებია. მათი მეშვეობით სურათი ცოცხლად და ფეხმტორად არის დახატული, შთაბეჭდილება ძლიერია. ეპითეტები მრავალია, მაგრამ წინადადება მშობე არ არის, ვინაიდან თვითოეულ ეპითეტს გამსხვავებული დანიშნულება აქვს და პორტრეტის შემავსებელ, აუცილებელ დეტალად აღუქვამთ მას.

როგორც ვხედავთ კ. გამსახურდია ფართო დანიშნულებას ანიჭებს ეპითეტს, იყენებს მას საყოფარისი შეხვედლებებისამებრ და გარკვეულ ეფექტს აღწევს. ეპითეტის მეშვეობით საგნები, მოვლენები, იდეაანათა თვისებები ემოციურად არის წარმოდგენილი და აღიერებს „დიდოსტატის მარჯვენის“ ესთეტურ მხარეს.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ დიდ როლს ასრულებს შედარება. მწერალი გამოსახვის ან სტილისტიკურ ხერხს იყენებს, როგორც მხატვრული დახასიათების ერთ-ერთ საშუალებას. შედარება „დიდოსტატის მარჯვენაში“ წარმოადგენს კონკრეტული ჩანაფიქრის გადმოცემის საშუალებას. მისი შეოხებით ხშირად არის გახსნილი პერსონაჟის სულიერი სამყარო, აგრეთვე, ნაჩვენებია სიტუაციების, მოვლენების, გარემოს სახე და ხასიათი. შედარების წყალობით მწერალი ხშირად ახერხებს ასახაზავი ორიგინალურად, ემოციურად გადმოცემას.

კ. გამსახურდიასათვის შედარება თვითმიზ-

ნერი მხატვრული ხერხი არ არის, არც მხოლოდ შესადარებელ საგანთა შორის გაჩვენულ მსგავსებაზე მიუთითებს მწერალი. მერ, გამოყენებული შედარებები „დიდოსტატის მარჯვენაში“ არსებული შედარებების დიდი უმრავლესობა შესადარებელ მხარეთა შინაგან, სულიერ განწყობილებათა გახსნას ემსახურება. იშვიათი არ არის, როცა მწერლის მიერ გამოყენებული შედარება ალგორითული, სიმბოლური, მეტაფორული, ჰიპერბოლური ხასიათისაა. ამ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო მეტი შინაარსით იტერათება და რთული გამოსახვით ხდება. მაგალითად: „ათასეული წლები წალკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სეპტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“ (გვ. 577). ამ სიმბოლურ—შედარებით მაგალითით კარგადაა დანახული ჩვენი სასაქმეო ისტორიული ძეგლი—სეპტიცხოველი, მითითებულია ხელეულების უკვდავებასა და მარადიულ ძალმოსილებაზე.

„არსაკობის სახელს დასწდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკერა მწიფე ნაყოფს“ (გვ. 575). ამ მეტაფორული შედარებით ხაზი აქვს გასული მებრძოლ რთულ, ცხოვრებისეულ ამბავს და ეს მძლველია სწორედ შედარების მოქნილი, მზანშეწონილი გამოყენებით.

„ახალი ცენი მორათვა მებაჭრემ (გირშელს—თ. კ.), ფიცხლად მოახტა, ისევ უყოლა რისხვიანად ქარს, ისე დაერია ოვსებსა და წინარებს, როგორც ავაზა ძე მწვერებს“ (გვ. 763). ამ ჰიპერბოლური შედარებით მწერალი ახასიათებს პერსონაჟს, ათვალახინიოებს ვირშელის ძალასა და ძლიერებას და ბრძოლის ეპიზოდს გარკვეული სიმამფრთხე ვეჩვენებს.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ფართოდაა წარმოდგენილი შედარება. შესადარებლად მწერალი იყენებს მრავალ სულიერ და უსულო საგანს, სხვადასხვა ცნებებს, რითაც მრავალფეროვანად წარმოგვიდგენს ასახაზავს. მაგალითად: „მან ხმალით შეაგება მეტრა ისრისმოსურთვალეს, დაფანდელ თეთრ წარბებქვეშ თრითინებსაგით აწრიალებულთ“ (გვ. 468); „მის გულში რიალებდნენ სიტყვები, ხან გოლუელოვით ტკბილი, ხან ასპიტის ვესლივით მწარე“ (გვ. 474); „ახეშებს პილყავივით დაეხმალათ ალვის ხეები“ (გვ. 504); „ბნელში ქლომს უცნაურად შეეცვალა მოხეტცი, ნამკვარტლავ მატულივით გახდომოდა თმა-წერია“ (გვ. 511); „ორღესილი მახვილივით მამფრი იყო მისი ნათქვამი, მუდამ, კალმახივით უსხტტებოდა ხელიდან მსმენელს“ (გვ. 656); „მატულის ფთილივით დაწერილი მწვანე ბოლო ადგა და გაუმართა დარბაზის ბნელ თალებსაქვენ ზღაზნით“ (გვ. 559).

როგორც ვხედავთ, მწერალი შესადარებელ საგანთა არჩევანში შეზღუდული არ არის. მისა-

შედარებანი მრავალფეროვანია საგნობრივად, ამავე დროს ქმნის შინაარსობლივ მრავალმხრივობას. შედარების მეშვეობით ადამიანების, მოვლენების, სიტუაციების შინაგანი მხარე და ბუნება გამოკვეთილადაა წარმოდგენილი.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ხშირად, შედარება რომელიმე ეპიზოდს თუ ადამიანის სახეს საბოლოოდ ახასიათებს. ზუსტად, ლაკონურად, უყოყმანოდ უსვამს ხაზს პერსონაჟის ხასიათს, მართლად წარმოგვიდგენს მას. ამის შესანიშნავი მაგალითია მამაშვეს თვითდასახიათება, რომელიც თავის სულს ბნელ ღამეს აღარებს: „უაა ღამე, სულის ჩემისაებრ ბნელო, მამცნე იღვმალნი ზრახვანი შენი“ (გვ. 480). მამაშვეს სახე ერთხელ და სამუდამოდაა აქ ჩამოყალიბებული, მისი ბუნება გახსნილია, და ეს მიღწეულია შედარების ძალიან ზუსტ, მიზნობრივი გამოყენებით, თანაც მამაშვე რამდენიმეჯერ ვეიზრებს თავისთვის ამ ფრაზას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მისი ნამდვილი სახის აღქმას.

ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი:  
„უაქიზი იყო შორენა, როგორც ქვრუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცივისის მშუმუნარე ანგელისი. ყელისმებრი ხმა ჰქონდა, ისეთი წყრილა, როგორც ვერცხლის ევენები, ხვეისბერკების დროშის ბუნებ შეშულნი“ (გვ. 637). შორენას ეს შესანიშნავი დახასიათება შესადაარებელ საგანთა ფაქიზი შერჩევითაა მიღწეული.

კ. გამსახურდიასათვის შედარება უბრალო-სტილისტიკური მანერა არ არის. მას იდეური დატვირთვა აქვს, იგი ახასიათებს ადამიანს, მის არაბას. შედარება დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ამგვარებს მწერლის პოზიციას. მის აზრს ნაწარმოების სხვადასხვა პერსონაჟებისადმი. რაც მთავარია, შედარებით სათქმელის აზრია ვადმოცემული, ნაწარმოებში გატარებული პრინციპების თვალსაჩინოებაა მიღწეული:

„როგორც ტილითი დამპული ცხენი გარს უვლის ზოდზე დღედღამე პალოს, აქ მოსიძვის მცირეს, იქ მოხიბლახებს, დაღის წრის გარშემო განჩიბულივით, ასევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას შემოქმედების თვისის საგანი, სულერთია, სერიონობს იგი თუ ლხინს ეძლევა“ (გვ. 579). ამ გაშლილი შედარებით კარგადაა ნაჩვენები ის მიდრეკილება, თავდადება ზელოვნებისადმი, რაც არასაკმარის ახასიათებს. ცხოველის ბუნებრივი მიდრეკილება (შომშლის დაოჯების გრძნობა) შედარებულია ადამიანის სულიერ მოთხოვნილებასთან (აზროვნება, შემოქმედება, შენება). ორივე ძლიერი მოთხოვნილებაა, მაგრამ თუ ერთი ცხოველის ბუნებას ვადმოგვეცნოს, მცირეთი ადამიანის საუბრო თვისებაა ხაზგასმული, თვისება, რომელიც მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელია — შენება, შემოქმედება. შე-

სადარებელ საგანთა შინაარსობრივი კონტრასტით მეტი რელიეფურობით იკვეთება ამ ფრაზის იდეა, მისი მთავარი აზრი.

კ. გამსახურდია დიდი ორიგინალობით იყენებს შედარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ იგი შესადარებლად იღებს სრულიად სხვადასხვა, მრავალფეროვან საგნებს, ცნებებს, მოვლენებს, და გამოსახვის ამ სტილისტიკურ ბერძნულ უქვემდებარებას ნაწარმოების იდეის, აზრის თვალსაჩინოდ, მხატვრულად გამოხატვის საქმეს.

როგორც აღენიშნეთ, „დიდოსტატის მარჯვენაში“ კ. გამსახურდია ტროპის თითქმის ყველა სახეს იყენებს, მაგრამ ზოგი მთავანი გამოჩნეული უფლებით სარგებლობს, მაგ. გაპიროვნება.

როგორც ტროპის ყველა სახე, გაპიროვნებაც მოწოდებულია ამა თუ იმ ნაწარმოებში იტირათოს ასახავეს პოეტურად, ეპოციურად გამოხატვის როლი. „დიდოსტატის მარჯვენაში“ გაპიროვნების საშუალებით ემოციურადაა ასახული მრავალი ეპიზოდი, სიტუაცია. მწერალს გაპიროვნების საშუალებით რომანში შემოიქმნება გარკვეული ლირიზმი. ტროპის ამ სახის სპეციფიკა, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოიხატება უსულო და სულიერი საგნების გაადამიანებაში, გამოყენებულია მხატვრულობისა და სახეობრიობის გამაძლიერებელ საშუალებად. გაპიროვნების წყალობით მაღლა იწეეს სინამდვილის ასახვის ესთეტიკური მხარე.

კ. გამსახურდია ადამიანურ თვისებებს ანიჭებს უსულო და სულიერ საგნებს, მათ მგრძნობიარე, სათუთ, მონაზროვნე არსებებად გამოხატავს. გაპიროვნებას შეუძლია გააპოეტროს სიტუაციის, მომენტის, ადამიანთა ცხოვრების აღქმა, თანამგრძნობის როლი და მოვალეობა იყისროს. მწერალი გაპიროვნების გამოყენებით არა ერთ დღეჭტს ქმნის. მაგალითად, როდესაც იგი აღწერს ჭიანჭერის საგოჯებელს, ასეთი ფრაზით ამთავრებს აღწერას: „აოლეს ფოთლებში მოწყენილად სცივოდენენ მიწახე“ (გვ. 511). მღუმარე სასაფლაოს ეფენება ჩამოცვენილი ფოთლები, მათი მოწყენის მიზეზი გაუკებაზრი არაა. მოწყენა ადამიანური თვისებაა, იგი ფოთოლსაც ვადასდებია. ამ შემთხვევაში გაპიროვნება სიტუაციას მართალი ფერებით წარმოგვადგავს, კეშმარიტად შეესაბამება მას.

კ. გამსახურდია გაპიროვნების საშუალებით კარგად ახერხებს ბუნების, საერთოდ ყოველფე, ღამაზის ასახვას და ჩვენებას, საშუალო დანახულია მიმზიდველი ფერებით. გაადამიანების საშუალებით ახალ, ღრისშესანიშნავ თვისებას. იქნის მზე, ვარსკვლავები, მცენარეულობა, ცხოველთა საშუაროს წარმომადგენლები, სრულიად სხვადასხვა სახეები და მოვლენები, მაგალითად: „ღამურები უკანასკნელ ფერბულს უვლიდენენ

ეზოში" (გვ. 464); „ხეტრები შორცხვად იმაღ-  
ბოდნენ მოთვინიერებული ფურების ლაჭებში“  
(გვ. 532); „შე ვთხოვებოდა მცხეთის ტაძრის  
მოოჭროვილ ვუმბათებს“ (გვ. 572) „თავი წამო-  
ეყო შორის, ყურდაცქვეტილი ყლორტები უღი-  
მოდნენ ცას“ (გვ. 577). „ეარსკელებები მშენ-  
ვარედ აფხულდნენ მოოჭროვილ წამწამებს“  
(გვ. 582).

კ. გამსახურდია ცდილობს საგნებში დაინახოს  
სიცოცხლე, მიანიჭოს მათ მგრძობელობა, აზ-  
როვნების უნარი, შეუქმნას საკუთარი საშუარო,  
რომელიც მაცისცემის, სუნთქვის, სიცოცხლის  
უნარს არ იჭნება მოკლებული. რადგან აზრო-  
ვნებენ ეს საგნები, ცხადია, სინამდვილის შესა-  
ბამისად იცევიან: წუხალის დროს ცრემლებს  
ღვრიან, მზიარელების დროს მღვრიან, იცინი-  
ან და ასე შემდეგ, ერთი სიტყვით, სულიერი და  
ფსიქოლოგიური არსებანი „დიდოსტატის მარჯვენაში“  
„ღსავსენი არიან აღამიანური რეფლექსებითა  
და ემოციებით, მათ აზროვნება და საკუთარი  
შეხედულებებიც კი გააჩნიათ, მათ „სულში“  
„რთული გრძობები ბობოქრობენ: „მიწის წვე-  
ნით დაბერილი კვირტები უღიმოდნენ შხვს“  
(გვ. 644) „ასე ვგონა მიწიარე ბუნება მღვრისო  
ძილში“ (გვ. 655); „მღვროდნენ ცისკიდურებზე

გაწოლილი მთებიც“ (გვ. 655); „გზებზე უკანა  
უკრავს საყვარლის მიმტყველებელ ჩურჩულს“  
(გვ. 750) მღვროდნენ ჩრდილად ქცეული ზეები,  
მთელუმარე ყვავილები, დაცვარული ბალახი“  
(გვ. 655)

„ღსანიშნავია, რომ მწერლის მიერ გამოი-  
ნების ზერხის ხმარება მოტივირებულია გარ-  
კვეული იდეურ-ესთეტიკური კონცეფციით, მწე-  
რალი ხანდახან მათი საშუალებით თითქოს მი-  
უთითებს ადამიანებს საკუთარ ნაკლოვანებაზე  
და მოუწოდებს შორალერ სიმტკიცისაკენ.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ გამოყენებულია  
ხატოვანი მეტყველების კიდევ მრავალი საშუა-  
ლება, რომლებსაც ნაკლები მნიშვნელობა რა-  
ღი ენიჭება რომანის ფორმის დახვეწის საქმეში.  
ხატოვანი მეტყველების არცერთი საშუალება,  
ტროპის არცერთი სახე არ არის გამოყენებულ  
მწერლის მიერ უსაფუძვლოდ, ისინი ნაწარმოე-  
ბის აზრის, იდეის, შილაშმატრული წარმოსა-  
ხვის საჭიროებისთვისაა მოშველიებული. ემო-  
რჩილება რა, უპირველეს ყოვლისა, ამ მოთხო-  
ვნილებებს, ხატოვანი მეტყველების საშუალებე-  
ბი, რა თქმა უნდა, აშვენიერებს ემოციურსა  
და ესთეტიკურს ხდის ნაწარმოებს.

## რუსთაველზე კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ\*

დიდი ქართველი ჰუმანისტის — შოთა რუსთაველის პირადი ცხოვრების ამსახველი საბუთები, როგორც ცნობილია, არ გაგვჩინია და მისი ვინაობის შესახებ მსჯელობა ძირითადად მისივე შემოქმედების საფუძველზე ხდება. ეს ჭასაგებია, რადგან „ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილია ავტორის სულიერი საუნჯე და ჩანს, რომ იგი აღამაინურ იდეებით გამოტანი მოაზროვნე პოეტიკურისკაცი უოფილა-ამიტომ საბოლოოდ ვაიმარჯვა მოსაზრებამ რუსთაველის ერისკაცობის შესახებ. არსებული არამირდაპირი წერილობითი ცნობის თუ ზოგიერთი ზეპირგადმოცემის შესწავლის საფუძველზე გამოითქვა, აგრეთვე, რამდენიმე მოსაზრება: რუსთაველს, შესაძლებელია, მაღალი თანამდებობაც კი ეკავა თამარის სახელმწიფო კარზე, იყო მისი ერთ-ერთი ვაზირი (მინისტრი) — მეპურქლეთ-უხუცესი ან კიდევ — დაბალი არისტოკრატიის წარმომადგენელი; წარმომართ იგი შესხეთის რუსთაველიდან იყო, ანდა თბილისის ახლოს მდებარე რუსთაველიდან უნდა ყოფილიყო და სხვა.

\* ეს წერილი პ. რატიალის რუსთაველოლოგიური ნაშრომის შესახებ ჯერ კიდევ 1968 წლის ივნისში საგანთო სტატიის სახით წარდგენილი იყო გამოსაქვეყნებლად „კომუნისტში“. მაგრამ მაშინ მისი დაბეჭდვა დაყოვნდა. ამასობაში, იმავე წლის აგვისტოში ალ. ბარამიძემ, ე. მეტრეველმა და ს. ცაიშვილმა ერთნაირ „მნათობში“ (1968, № 8) გამოაქვეყნეს ვრცელი რეცენზია პ. რატიალის ნაშრომზე, რომელშიც უცილობლად დაადასტურეს ამ უკანასკნელის მეცნიერული უსაფუძვლობა. ისევე შეათვისა აღნიშნული ნაშრომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველოლოგიურმა სემინარმა (27.IX.69. იხ. ვაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1958, № 30).

რა თქმა უნდა, ყველა მოსაზრება შესაძლებლობის ფარგლებში გამოითქვა და ეს სათანადო წყაროების უქონლობით აიხსნებოდა. ამ ბოლო ხანს კი, თითქოს, ყველაფერი შეიცვალა! გამოჩნდა მკვლევარი, რომელმაც სადავო საკითხის უპიკელი გადაწყვეტა იყისრა და მასზე ადრე არსებული ყველა შეხედულებანი „ყალბად“ გამოაცხადა.<sup>1</sup>

ავტორი — პ. რატიანი პრეტენზიული ტონით იწყებს რუსთაველის ვინაობის შესახებ მსჯელობას, თითქოს მან მონახა თავსატეხი საკითხის „სამეფო ვასალები“ და ლაშობს რუსთაველოლოგია არასწორი გზიდან „სწორ გზაზე“ დააყენოს, ახლებური „ანალიზის გზით უარყოს“ არსებული „ყალბი შეხედულებები“. მოგვიყვანს „ნამდვილი მეცნიერული გაგება“ და „ახალი თვალსაზრისი“<sup>2</sup>.

მისი აზრით, რუსთაველოლოგია „ცალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომით“ აიხსნებოდა ის, რომ მათ აქამდის ვერ დასძლიეს „ყალბი პრინციპი“ რუსთაველის ვინაობის გარკვევაში.<sup>3</sup> ეს

სპეციალისტები მიელოდნენ, რომ ავტორი მეცნიერული პასუხისმგებლობით გადასინჯავდა თავის მიერ შეხედულებებს. მაგრამ მოხდა პირიქით — პ. რატიანი ყველას მიერ დაწინებული ეს ნაშრომი ცალკე წინადაც გამოაქვეყნა...

ამითაა გამირობებული ჩვენი სტატიის ნაგვიანევი დაბეჭდვა. ჩვენ აქ უცეცხლად ვთავაზობთ რედაქციას 1968 წლის ივნისში დაწერილ რეცენზიას.

1. პ. რატიანი. ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის. ერთნ. „მნათობი“, 1968 წ., № 2 № 2—5.

2. „მნათობი“, 1968 წ. № 2. გვ. 150, 154, 165, 166, 167, 175).

3. იქვე, გვ. 152.

სიყალბე, თერმე, ამაში გამოიხატებოდა, რომ ისინი „დაცემენ ისტორიაში არ არსებულ რუსთაველს (!), ხოლო ამ სახელით ცნობილ რეალურ ისტორიულ პირებს (მღვდელმთავრებს) ანაკარიში არ ადგებენ“<sup>1</sup> საერო რუსთველი „უსაფუძვლო (!) ფანტაზიის ნაყოფია“<sup>2</sup> და ნამდვილი რუსთაველი ეპისკოპოსებით უნდა ეცნობოთ, კატეგორიულად აცხადებს ავტორი, და, სხვათა შორის, საკითხის ასეთ ასპექტში დასმას რთული „კონცეფციის“ მნიშვნელობას ანიჭებს! ამავე დროს, მისივე განცხადებებით, „გონების დიდი გამჭირაობა“ არ იყო საკირო იმისათვის, რომ შეკლევარებს „ეფეხისტყაოსნის“ მე-8 სტროფში დავანათ აქამდის უხილავი მარგალიტი — „ხელობით ეპისკოპოსი“ რუსთაველი.<sup>3</sup>

ამრიგად, პ. რატიანი აუწყებს მეთხველს, რომ თითქოს „რუსთაველი ეპისკოპოსის“ აღმოჩენა მას ეყუთნის, მაგრამ გზადაგზა მასვე მოკაყვს ცალკეულ ავტორთა მოსაზრებანი, საიდანაც სრულად ამკარად ჩანს, რომ რუსთაველის შესაიღებელი ეპისკოპოსობის შესახებ შეკლევარები პ. რატიანზე გაცილებით ადრე მსჯელობდნენ.

პ. რატიანი იძულებული გამხდარა დაესახელებინა ცნობილი მწერლის ანტონ ფურცელაძის მოსაზრება (1884 წ.), რომლის მიხედვითაც შოთა შეიძლება ეპისკოპოსი უოფილიყო, მაგრამ იგი ხელობით ეპისკოპოსი“ არ უნდა უოფილიყო „ეფეხისტყაოსნის“ წერის დროს მათყა“, იგი ა. ფურცელაძეს „გამჭირაბს“ ეძახის, მაგრამ იმას კი არ გვეუბნება, თუ რა საბუთით უარყოფდა მწერალი რუსთაველის ეპისკოპოსობას, როგორც ცნობილია, ა. ფურცელაძე „ეფეხისტყაოსნის“ მე-5 სტროფის საფუძველზე („მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლეშქებისა ტუბილისა) თვლიდა, რომ რუსთაველს პოემა დავეთით დაუწერია და, ეპისკოპოსი რომ უოფილიყო, ასეთ დავეთას მას ვერ მისცემდნენ.

ერთი სიტყვით, პ. რატიანი ა. ფურცელაძესაც ჩამორჩა. მან არც კი დასვა კითხვა, თუ რაშეი თანამდებობრივი მოვალეობით დაჯისრეს „სტლიერ მამას“ ასეთი პოემის დაწერა?

რუსთაველის სასტლიერო მოხელეობის შესახებ მოსაზრება 1936 წ. გამოთქვა კალისტრატე კათალიკოსმა. აკად. შ. ნუტუბაძე 1958 წ. მხოლოდ საერადო მოსაზრების სახით შენიშნავდა — თუ „რუსთველს“ თანამდებობად წარმოვიდგენო, მაშინ იგი საეკლესიო-ადმინისტრაციული მოხელე უნდა უოფილიყო. ამის შესახებ

პ. რატიანიც შენიშნავს. მაგრამ ის რქმალავს იმ ფაქტს, რომ კათალიკოსმა ეფუფემ მწერს გაცხადდა, რომ „რუსთაველი კატეხისტის ეპისკოპოსი იყო“ და ეს მამიწვე დაიბეჭდა კიდევ პ. რატიანადმე ანლოგიური მოსაზრება იმავე წელს წამოაყენა ნ. ჯანგიძემაც. პ. რატიანი ამ ფაქტსაც გვერდს უვლის.

ამრიგად, პ. რატიანი რუსთველოლოგთა მოძველებულ შეხედულებას იცავს და აცხადებს: წინაპარ შეკლევართა მოსაზრებანი „ჩვენს შეხედულებას კარგად უდგებია“<sup>4</sup>. ასეთი განცხადება ნამდვილად უპრაციენდებო და მეცნიერულ ეთიკისათვის შეუფერებელია. მაგრამ იქნებ პ. რატიანი ადრე გამოთქმული დებულების დასაბუთებით იქებს თავს? — ამას იგი ნამდვილად ცდილობს, მაგრამ მისი „მტკიცება“ მხოლოდ და მხოლოდ ახლის თქმის სურვილს შეიცავს, მეცნიერულ საფუძვლებს კი უმპველად ამკარია.

პ. რატიანი ფიქრობს, რომ „ეფეხისტყაოსნის“ მე-8 სტროფში („მე, რუსთველი, ხელობითა“... „მისთვის უხელობ“) „ხელობითა“, თანამდებობას აღნიშნავს, ხოლო „უხელობ“ სიგივეს, სიყვარულით შეშლილს, რომ „ხელობითა“ დღანში აუცილებლად „ქელობითა“ ფორმით უნდა უოფილიყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება „რუსთველს“, პ. რატიანის აზრით, აქ მხოლოდ რუსთავის ეპისკოპოსობა იგულისხმება, რადგან „არ არსებულა ორი ერთნაირი სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი, რომელთაც ერთდროულად ერთი სასტლიერო (საეპისკოპოსო) ცენტრი უოფილიყო, ხოლო მეორე — სერო დიდებულის მამული, საიდანაც ამ დიდებულის გვარ-სახელი წარმოიშვა“<sup>5</sup>. რაკი საქართველოში არსებობდნენ „რუსთველი“ ეპისკოპოსები, განაგრძობს ავტორი, არ შეიძლება არსებულყვენ ამ გვარის მქონე საერო პირები და არც იყენენ: არ შეიძლება არსებულყყო ორი მანგლელი (საერო და სასტლიერო), ორი შტავეარი, ორი რუსთველი და სხვ“. ამიტომ „ხელობით რუსთველი“ თანამდებობას — ეპისკოპოსის ნიშნავს და „ეფეხისტყაოსნის“ ავტორი აუცილებლად თბილისის ახლოს მდებარე რუსთავის ეპისკოპოსი იყო... აქედან კი გამოიმდინარობს, რომ „რუსთველი“ თითქოს არ შეიძლება უოფილიყო მესხეთის რუსთაველიან, რადგან იქ საეპისკოპოსო არ უოფილა!

1 იქვე, გვ. 163, შენ. 1. და გვ. 175.  
 2 „მნათობი“ № 4, გვ. 161.  
 3 „მნათობი“, № 2, გვ. 162.  
 4 „მნათობი“, 1968 წ., № 2, გვ. 175.  
 5 იქვე, გვ. 162.  
 6 იქვე, გვ. 157.  
 7 იქვე, გვ. 155.

1 იქვე, გვ. 152.  
 2 „მნათობი“ № 4, გვ. 161.  
 3 „მნათობი“, № 2, გვ. 162.



სამწუხაროდ, პ. რატიანი ძალიან ცუდად ერკვევა ფეოდალური ხანის ისტორიისა და საზოგადოების თავისებურებებში. ამით იახსნება, რომ აქტარბული ავტორი მის მიერ შემოთავაზებულ გვირ-სახელების წარმოქმნის „თეორიას“ უპკველად „კანონზომიერებას“ ეძახის, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცი მაშინვე შეამჩნევს, რომ გვირ-სახელების წარმოშობა ამა თუ იმ ადგილის მფლობელობას თუ საეპისკოპოსო კათედრას ყოველთვის არ უკავშირდებოდა.

უპრეცედენტოა პ. რატიანის კატეგორიული „მტკიცება“ იქ, სადაც რუსთაველოლოგები მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში მსჯელობენ. მე-მ სტროფში „ხელობითა“, მისი დასკვნით, ევფხისტყაოსნის<sup>1</sup> „დედანი უპკველად აქელობითას“ და არა „ხელობითას“ ფორმით უნდა უოფილაყო და, თითქოს ეს მარჩელობა და ვარაუდი საქმეა იმის დასადგენად, რომ იგი აუცილებლად „თანამედებობას“ ნიშნავდა.

„ხელობითას“ შესახებ მსჯელობისას ავტორს, როგორც ჩანს, ხელს არ აძლევდა მიუერთა საბა ორბელიანის განმარტება — ტელობა—მოსაქმეობა რამე, „ხელი გეთან ნახეო“, ან აკადემიკოს ნიკო მარის მოსაზრება — „ქელობითა“ შეიძლება გაგვეგო, როგორც „ხელობით (ოსტატობით) პოეტობა“ და სხვ.<sup>2</sup>

პ. რატიანს არც ის გარემოება აბრკოლებს, რომ ფეოდალური ხანის წყაროებში თანამედებობის აღმნიშვნელი სიტყვა „ქელი“ იყო და არა „ქელობა“, რომ ხელისუფლება-თანამედებობის ვაგებით „ქელიდან ნაწარმოები იქნებოდა „ქელითა“ და არა „ქელობითა“, რომელსაც, მართლაც, რამე საქმიანობის პროფესიის შინაარსით ხმარობდნენ.<sup>3</sup> გამონაკლის შემთხვევაში „ქელობა“ შემოკლებით „ქელ“-ითაც („არა ქელ არს“) აღინიშნებოდა.<sup>4</sup>

პ. რატიანი უპკველად უნდა დაეფიქრებინა იმას, თუ როგორ შეეძლო გენიოს პოეტს დაეწერა, რომ სიყვარულით გაგვიყვებულ იქნისკოპოსო ვარ და ასეთი პოემის დაწერა ეპისკოპოსო? შევევარებულნი „ეპისკოპოსი“ ასეთ კონტრასტში მაინც არ გავაყენებოდა თავის თანამედებობას.

პ. რატიანი ისევე ვერაფერს ვერ ამტკიცებს, როცა ამბობს, რომ „უპრადლებით გა-

ენო“ საქართველოს ისტორიის წყაროებს და „ტბელისა“ და „მტბევარის“ მსჯელობებზე, თითქოს, „კლასიკური სიტყვად“ უდგინებტკიცა ე. წ. „კანონზომიერება“—ეპისკოპოსთა და საერო ფეოდალთა გვირ-სახელების დამთხვევა ყოველ შემთხვევითი იყო.

საქართველოში არსებული ორი ტბეთის მიხედვით, პ. რატიანი აღნიშნავს, რომ ერთ ტბეთში იყვნენ „მტბევარი“ ეპისკოპოსები. მეორე ტბეთში კი „ტბელი“ ახანურები, ამრიგად, ერთი და იგივე სახელწოდების ორი გეოგრაფიული ადგილიდან წარმოიშვა ორი განსხვავებული ზედწოდება — „მტბევარი“ სასულიერო პართათვის და „ტბელი“ საერო პართათვის! აქედან მას გამოჰყავს „კანონიერი დასკვნა“: თუ „საეთმო განსაკუთრებულმა სიტუაციამაც კი ვერ წარმოიშვა ზედწოდება ტბელი, ე. ი. ვერ გამოიწვია საერო და სასულიერო ცნებათა დამთხვევა, მაშ, როგორღა შეიძლება, რომ საქართველოში ორი რუსთაველი გაჩენილიყო?”

შეიძლება ვაპატრონო საქმეში ჩახედვად ავტორს იმის არცოდნა, რომ „მტბევარი“ და „ტბელი“. ერთი მნიშვნელობის სახელებია, რომლებიც განსხვავებულ ენობრივ-ლინგვისტურ კუთხეებში აღმოცენდნენ (შეადარე — ოპი-ზელი — ოპიზარი, კუონდიდელი — კუონდი-დარი—კუონდიარი), მაგრამ დიდი პრეტენზიის, რუსთაველოლოგიაში თითქოს „კვლევის სწორი გზის“ მაჩვენებელს უნდა სცოდნოდა, რომ ტბეთის ეპისკოპოსები და სასულიერო მოღვაწეები არა მარტო „მტბევარების“, არამედ „ტბელეების“ სახელწოდებითაც იხსენიებოდნენ. მაგალითად, ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილი არიან ანტონ ტბელი, პაველ ტბელი, ემისკოპოსი „დავით ტბელი“, რომელიც მოხსენებულა ეფრემ მიერესთან და XII ს. რუს-ის-ურბნისის ძეგლის-წერაში.<sup>5</sup> ეს ფაქტი, რომელიც უარყოფს რატიანისეულ უსაფუძვლო „კანონზომიერებას“, გამონაკლისი როლია.

„რუსთაველი“ (რუსთველი), უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც სადატობის აღმნიშვნელი სახელი იმ პირებისა, რომლებიც წარმოშობით, თუ სხვა რამ საქმიანობით, რუსთავს უკავშირდებოდნენ. მაგალითად, დავით გარეჯელის ცხოვრების ერთ-ერთ ვერსიაში (XII ს.) „რუსთველად“<sup>6</sup> იწოდება ვინმე ბუბაქარი მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც სხვა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 162.  
<sup>2</sup> Н. Я. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже Шоты из Рустава. СПб., 1910, гв. 46, შენ. 3.  
<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II, გვ. 50, 54, 293.  
<sup>4</sup> იქვე, ტ. I, გვ. 171.

<sup>1</sup> „მნათობი“. 1968 წ., № 2, გვ. 157.  
<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, წიგნი I, 1960 წ. გვ. 179.  
<sup>3</sup> კ. კეკელიძის სახ. ზღაწაწერთა ინსტიტუტის ფ. A — 126, გვ. 17-ა.



წყაროები ვადმოგვცემენ, იგი „ნათესავით აღ-  
გელთაგან რუხსთავისათა“ იყო.

ერთ გვიანდელ საბუთში (XVI ს.) იხსენიება  
რუსთველის შვილი მურვანი, რომელიც სახელს  
აღნიშნავს და არა გვარს.<sup>1</sup>

როგორც ნათლად გხვდავით, რუსთველ ეპის-  
კოპოსებს გარდა, „რუსთველის“ სახელით სხეუ-  
ბიც იხსენიებოდნენ.

ჩვენს ხელთაა საერო და სასულიერო გვარ-  
სახელების დამოხვევის სხვა ფაქტებიც: ცნობი-  
ლია, რომ რუსთაველის ხანაში იყვნენ „გიშე-  
ლი“ (გისის) ეპისკოპოსები და „გისელი“ (გი-  
შის ერისკაცებიც) იყვნენ, აგრეთვე „ხორნაბ-  
უჯელი“ ეპისკოპოსები და „ხორნაბუჯელი“  
„წარჩინებულთაგანი“, საერო კაცი, რომელიც  
აქტიურ როლს ასრულებდა XIII ს. პოლიტი-  
კურ ამბებში. გარდა ამისა, XI—XII სს წყარო-  
ებში იხსენიებიან არა მარტო „ტფილელი“  
ბერ-მონაზონნიც; ასევე არა მარტო ეპისკოპო-  
სი „მტბევერები“, არამედ უბრალო მონაზონი  
„მტბევერები“. მაგალითად, გლახაკი აკელა  
მტბევერი<sup>2</sup>, რომელსაც გადაუწერია XI ს. ერთ-  
ი ხელნაწერი და სხვ.

ამრიგად, დადასტურებულია, რომ „რუსთვე-  
ლები“, „გიშელები“, „ტბელები“, „ხორნაბუჯე-  
ლები“, „ტფილელები“ და სხვანი იყვნენ განს-  
ხვადებული თანამდებობისა თუ მდგომარეობის  
პირები და მათი ეს ზედწოდებანი აღნიშნავდა  
ხან თანამდებობა-სახელს, ხან კი უბრალოდ  
წარმოშობას. ამათგან ზოგიერთი ეპისკოპო-  
სი გახლდათ, ზოგიც კი ერისკაცი ან უბრალო  
ღვთისმოსავე ბერი. აქედან უცილობლად ჩანს,  
რომ ეპისკოპოსთა „გვარსახელების მონოპოლი-  
ის შესახებ. პ. რატიანის მოსაზრება გაუფერო-  
ბის შედეგია.

უდავოდ დასაშვებია პ. რატიანის დამოკიდე-  
ბულება რუსთველოლოგიური ლიტერატურისა-  
დმი, საერთოდ, და, კერძოდ, XVI—XVIII სს.  
იმ მწერლებისადმი, რომლებიც რუსთაველს შე-  
ცნენ. პ. რატიანი ნებისმიერად ეკიდება აღნიშ-  
ნულ მწერალთა ცნობებს, თითქოს უცმაყოფი-  
ლო იმით, რომ არც ერთი მათგანი რუსთაველს  
„რუსთავის ეპისკოპოსად“ არ თვლის, ზოგიერ-  
თი კი „ბერს“ ეძახის. პ. რატიანი კი, ხშირად,

ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს „ბერსა-  
და ეპისკოპოსის შორის და ზოგჯერ უფრო მოხ-  
ცებულსა და ბერ-მონაზონსა უფრო მოხცეულსა  
ურევს, ვერ იხსენიებს ერთმანეთისაგან მთავარ-  
სა და მეორეხარისხოვანად, დამახინჯებით ვად-  
მოგვცემს ძველ მწერალთა მოსაზრებებს და ვერ  
იგებს მათ მოსაზრებათა დედაპარს.

დაეიწყოთ სერაპიონ საბაშვილიდან (XV—  
XVI სს), რომლის ცნობები რუსთაველის შესა-  
ხებ ყველაზე ადრინდელი და ძვირფასია.

პ. რატიანის მტკიცებით, სერაპიონთან მთა-  
ვარი არაა, რომ იგი რუსთაველს „ბერს“ ეძახას  
და სახეიმიოდ აცხადებს, რომ ეს „ბერი“ თით-  
ქოს მხარს უჭერს მოსაზრებას რუსთაველს  
ეპისკოპოსობის შესახებ. სინამდვილეში სერა-  
პიონის ლექსში მითითებული „72 ჳიქა“ მის ასა-  
კვ მითითებებს, ხოლო „რას მიმერჩი ბერი  
ბერსა?“ რუსთველისადმი მიმართული ნაფლას-  
ხმეგია „ბერის“ ერთი და იგივე მნიშვნელობა  
(მოხუცი და არა ასეულობა). გარდა ამისა, პ.  
რატიანს, ჩანს, ბოლომდის არ ჩაუციოხავს სე-  
რაპიონის ლექსი, უყურადღებოდ დაუტოვებია  
იმის გაზრება, თუ რას ვულისხმობდა იგი, რო-  
ცა რუსთაველს ამქვეყნიებდა: თამარმა ჩემი პო-  
ემის სინაქსოდ „ფასი არ მიზომა“, მაგრამ  
„რუსთავი ამიშენა“.

ბერ-მონაზონი, მით უფრო რუსთველი ეპის-  
კოპოსი, ვერ იტყოდა — თამარმა „რუსთავი ამი-  
შენა“, ჩემთვის ააშენა, მე მომციათ. ამის გარდა,  
რუსთავი სამეფო ქალაქი იყო და თამარ მეფე-  
მდის რამდენიმე ასეული წლის წინათ იყო აშე-  
ნებული.

ამრიგად, სერაპიონთან მთავარი ის კი არაა,  
რასაც პ. რატიანი აქცევს ყურადღებას, არამედ  
ის, რომ მან „რუსთველობა“ გეოგრაფიულ  
ბუნქსად დაუკავშირა: ნათქვამში, „რუსთავი ამი-  
შენა“—ს, სადაც საერო კაცი ჩანს, შესხეთას  
რუსთავია საველღებელი და არა პოსტალ-ქალა-  
ქი — თბილისის რუსთავი. ასევე არასწორად ეს-  
მის პ. რატიანს „როსტომისში“ ჩართული  
სტროფები, რუსთაველს რომ ეხება.

ამრიგად, ორში ერთი — ან ის უნდა ველი-  
ართო, რომ სერაპიონმა არ იცოდა, რას წერდა,  
რაც დაუჭერებოდა, ან ის, რომ პ. რატიანი  
ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტებში  
ვერ ვერცხვია, ხოლო სერაპიონი რომ სწორი  
იყო, ამის ყველა მერმინდელი მწერალი ადას-  
ტურებს.

მეცნიერებისათვის უცხოა ის ფანდები, რო-  
მელთაც ავტორი მიმართავს რუსთაველის ეპის-  
კოპოსობისა და ბერობის დასამტკიცებლად.  
რუსთაველის ხანაში რელიგიურ დოგმათა, სა-  
ღვთო სწავლათა ცოდნა ყველა განათლებულ  
კაცს მოეთხოვებოდა. პ. რატიანის აზრით კი,

<sup>1</sup> I. შიშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული, 1966 წ. გვ. 72.

<sup>2</sup> თ. ყორღანია. ქრონიკები, წ. I, 1892 წ. გვ. 46; წ. II, 1896 წ. გვ. 135.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაფიანიშვილის რედ. გვ. 230—231.

<sup>4</sup> A. Цагарели. Памятники грузинской старины в святой земле на Синае. СПб., 1888. გვ. 178. № 119.

<sup>5</sup> თ. ყორღანია. ქრონიკები, წ. I, 1892 წ. გვ. I-VII.



რადგან მწერლები რუსთაველს საღვთო წერტილების მცოდნედ თუ ბრძენ-ფილოსოფოსად ახასიათებდნენ, ეს იმის დამადასტურებელი იყო, რომ ისინი ამ პოეტს ეპისკოპოსად ან ბერად მიიჩნევდნენ! ასე თვითნებურად ატრიალებდნენ ავტორი არჩილ მეფის „თეიმურაზისა და რუსთაველის გამაასესის“ სტროფებს, ვახტანგ VI-ის შენიშვნებს, თეიმურაზ II ლექსს და სხვა.

ხელოვნურია პ. რატიანის დამოკიდებულება თეიმურაზ II-სადმი, რომელიც რუსთაველს ათქმევინებდა „მე ვიყავ შინა-ყმა თამარ მეფისა. ვახლი მდივანი სეფისა... მოსწონდა ჩემი მდივნობა“, მითხრა — „ლექსები გამოთქმევინო“<sup>1</sup>.

პ. რატიანის დასკვნით, თეიმურაზ II, რადგან რუსთაველს „ყოველია მელექსეთა უმჯობესს, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა ბრძენსა“ ეძახდა, მას სასულიერო პირად თვლიდა. პ. რატიანი აქაც მიუტევებდალ თვითნებობს. თეიმურაზ II ისეთი უყოღინარი როდი იყო, რომ მას ერთიმეორისგან ვერ განესხვავებინა „შინა-ყმა“ და „მდივანი“, „ეპისკოპოსი“ და „ბერი“, „ფილოსოფოსი“ და „მელექსე“.

პ. რატიანი შუა საუკუნეების „ფილოსოფიისა“ და „სიბრძნის“ გაგების საკითხშიც ეღუბა, ის ვერც პოეტ არჩილს (1647-1713) ვერ უგებს, რაცა ფიქრობს, რომ ყველა შემოხვევაში, სადაც კი ესა თუ ის პიროვნება „ფილოსოფოსისა“ და „ბრძენის“ ეპითეტებით იხსენიება, XVIII საუკუნეშიც კი, მხედველობაში ჰყავთ მხოლოდ სასულიერო პიროვნება!

ავტორს რომ დავუქროთ, გვიანფოთაღლურ საქართველოს საერო მოღვაწეებში არც ერთი „ბრძენი“ და „ფილოსოფოსი“ არ გაგვჩნდა!

თეთ აჩილი ერთ ადგილას ამბობს, რომ შოთა და თეიმურაზი „ბრძენნი“ იყვნენო („ერთა ბრძენთა მესიკობა“, „ეცით, სიბრძნეს არა მალავს მეფე, არცა დიდებულო“)<sup>2</sup>. პ. რატიანის „თეორიით“ კი, როგორც ვხედავთ, თეიმურაზ მეფეც, ეპისკოპოსი თუ არა, ბერი მიიღე უნდა ყოფილიყო. იმასაც ხომ ვერ გავხდით სადავოდ, რომ ცნობილი საერო პიროვნება სარგის თმოგველი, ქაშთააღმწერლის მიხედვით, იყო „ეკაცო მეცნიერი, და ფილოსოფოსი და რიტორი“<sup>3</sup> საოცარია.

აგრეთვე, რომ პ. რატიანს აკად. ს. ჯანაშია „სიბრძნის“ არჩილისეული ტექსტის შემხრედ გამოკყავს,<sup>4</sup> ხოლო აკად. ურბლ. ჯანაშიაშვიდი გრიგოლ ხანძთელის თეოკრატიულ შეხედულებათა მიმდევრად, ეს მაშინ, როცა ხსენებული აკადემიკოსებს მხოლოდ აღნიშნულ მწერალთან მოსაზრებები აქვთ წარმოადგენია.

ასევე ტენდენციურად განიხილავს პ. რატიანი XIX ს. I ნახევრის ცნობილი ისტორიკოს-ფილოლოგის — თეიმურაზ ბაგრატიონის მოსაზრებებს, ბრალს სდებს მას „ბელეტრისტულ მსჯელობასა“ და „ყალბის მწნელობაში“<sup>5</sup>. პ. რატიანის აზრით, თეიმურაზმა „პატრიოტული მოტივები“ დამალა რუსთაველის ეპისკოპოსობა და სათავე დაუდო დღეს გაბატონებულ შეხედულებას რუსთაველის ერისკაცობის შესახებ; თითქოს თეიმურაზი შეფარვით ცდილობდა, რომ რუსთაველი გამოეყვანა ჰერეთის ერისთავ-ბაგრატიონად, თუმცა „პირდაპირ არ ამბობდა, რუსთველი ბაგრატიონი იყოთ“ და სხვ.<sup>6</sup>

პ. რატიანს ავიწყდება, რომ ჩვენს დროშიაც თეიმურაზის მოსაზრების დასაბუთებას ასობით გვერდები დაუთმეს და ამას შედარებით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა, ვიდრე მოსაზრებებს რუსთაველის ეპისკოპოსობის შესახებ; ვინც თეიმურაზს ემბრობოდა, მან კარგად იცოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის გარკვევაში სახელ „შოთა“-ს აგრეთვე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. ასე, რომ „პატრიოტული მოტივები“ და „ყალბის მწნელობა“ თეიმურაზის მიმართ ამ შემთხვევაში ცილისმამებლურია.

თეიმურაზის თითქმისდა „ყალბისმწნელობის“ ერთ საბუთად პ. რატიანს მოკყავს მისი ასეთი შენიშვნა: რუსთაველმა თავის თანამედროვე პოეტებს გადააქარბა, იყო კარგი გარეგნობის, გულუხვი, სწორუბოვარი პოეტური ნიჭის მქონე და სხვ. თითქოს თეიმურაზს „ასეთი დაწვრილებითი ცნობის“ ამოკითხვა არსად, ზეპირადმოცემებშიაც კი, არ შეეძლო, ეს მისი „ფაქტობის ნაყოფიერი“, დასძენს რატიანი. პ. რატიანს, როგორც ჩანს, არ მოეხსენება, რომ თეიმურაზი რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის პირველი შემდგენელი იყო და მოტიანილი დახასიათება არცებითად XVII-XVIII სს. მწერლებიდან, ისევე როგორც ერეკლე II სამეფო სახლიდან, მომდინარეობდა. თეიმურაზე ერეკლეს შეიღის-შვილი იყო და რუსთაველზე ზეპირადმოცემა მას უშუალოდ თავისი მამიდისაგანაც —

1 „მნათობი“ № 2, გვ. 173-174.  
 2 ქართული მწერლები შოთა რუსთაველს. თბ., 1937 წ. გვ. 49.  
 3 „მნათობი“, 1968 წ. № 2—4, გვ. 173.  
 4 იქვე, გვ. 173.  
 5 ქართული მწერლები რუსთაველს, გვ. 24. ფეშანგიც ასევე ამბობს (გვ. 19) „თეიმურაზს სიბრძნე ჰქონდა უღვეიო“...  
 6 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყუბჩი-შეილის რედ. გვ. 217.

1 „მნათობი“, 1968 წ. № 2, გვ. 173.  
 2 იქვე, გვ. 156.  
 3 იქვე, გვ. 170.  
 4 იქვე, გვ. 169.

თევე ერგულს ასულისაგანც — შეეძლო მო-  
ესმინა.<sup>1</sup>

ამრიგად, პ. რატინის მოწოდება — „ღრთა  
უკუვაგდოთ თ. ბაგრატიონისა და მის მიმდევ-  
ართა ზემოსხენებული ყალბი კონცეფცია  
(რუსთაველის ერისკაცობის შესახებ, ავტო-  
რები) და გავათავისუფლოთ რუსთაველოლო-  
გია მისი ყალბი გავლენისაგან“<sup>2</sup> — სრულიად  
უსაფუძვლოა.

ასევე ტენდენციურად ვანიხილავს პ. რატინ-  
ის ტიპით ვაბაშვილის, პლატონ იოსელიანის,  
დავით ჩუბინაშვილისა და სხვათა ცნო-  
ბებსაც. მაგალითად, ტ. ვაბაშვილსაც ზომ  
ვერ დავუწებებ, რომ მან „პატრიოტული მო-  
ტივებით“ არ დაწერა — რუსთაველი ეპისკო-  
პოსი იყო, და იგი მეტურჭულთ-უხუცესად  
მიიჩნია! ავტორი უფრო მეტ მნიშვნელობას  
ანიჭებს ე. წ. „ფსიქოლოგიურ კითხვებს“,  
ვიდრე იმას, რაც შავით თეთრზე წერია.<sup>3</sup>  
მისი აზრით, დავით ჩუბინაშვილიც კი თეი-  
მურაზის გავლენაში იყო,<sup>4</sup> მაშინ როცა და-  
ვითმა წერილი 1842 წ. გამოაქვეყნა, ხოლო  
თეიმურაზმა თავისი „განმარტება“<sup>5</sup> 1843 წ.  
დაასრულა.

უსაფუძვლოა ავტორის განცხადება, რომ  
თითქოს ხალხური გადმოცემები „იშვითა  
ერთსულოვნებით“ დასტურებენ რუსთაველ-  
ის ეპისკოპოსობას.

გასაგებია, რომ კვლევის ასეთი ხერხებით  
აღმურცილი პ. რატინი, ბოლოსდაბოლოს,  
ჩიბში მოემყვანა. წერილში იგი თითქოს  
ცდილობს როგორმე შეარჩოს ერთმანეთს  
რუსთაველი-ერისკაცი და რუსთაველი ეპის-  
კოპოსი, რისთვისაც საოცარ მანიპულაციებს  
მიმართავს და დიდ პოეტს შეთავსებით საშუ-  
შაოებს ურიგებს: „დიდი ჩანკის“ მღვდელ-  
მთავარი, ერისთავ-ეპისკოპოსი, მეტურჭ-  
ულთ-უხუცესი და ეპისკოპოსი ერთად (ალ-  
ბათ ვაზირთა უპირველესს — კყონდიდელ-  
მწიგნობართუხუცესის-ანალოგიით და სხვ.  
ავტორის ისღა დარჩენია თქვას, რომ ქართული  
სახელმწიფოს ყველა ვაზირი ეპისკოპოსი  
იყო, რომ ეს სახელმწიფო თურმე ეკლესიას  
დაუპყრია და არა პირიქით...

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შორსაა მეცნი-  
ერებისაგან.

როგორც ზემოთ ითქვა, პ. რატინმა რუს-  
თველოლოგებს კვლევის მეთოდოლოგიური

მხარე დაუწუნა. ამიტომ თორიდე სიტყვით  
გვირდა შევხებით მისი „ახლმურეველესის“  
მეთოდოლოგია. სამწუხაროდ, „მწიგნობართ-  
კლერკალზმის მიმზე დალი აზის“.

პ. რატინს ჰგონია, რომ ეპისკოპოსები ნა-  
მდლიად „ბრის სტლიერი მოძღვრები“ და  
„სტლიერი მამები“ იყვნენ, რომ გადაგვა-  
რებულ სასულიერო მოხელეთა წინააღმდეგ  
მებრძოლი გიორგი მთაწმინდელი XI ს. სა-  
ქართველოში „რევოლუციური მოძრაობის  
წამოწყები“ იყო და სხვ. მართალია, ავტო-  
რი დასძენს, რომ ეპისკოპოსთა უმრავლესობა  
რეაქციული იყო, მაგრამ მთელი მერმინდე-  
ლი მსჯელობა ისეა წარმართული, რომ ეს  
განცხადება უბრალო ფიქციად რჩება. ავ-  
ტორის მიხედვით, ეკლესია არაფრით არ ბო-  
კავდა საზოგადოებრივი აზრის განვითარე-  
ბას, სინამდვილის შეშვეცნებას, კლასობრივ  
ბრძოლას თითქოს რევოლუციური მოძრაობა  
და „ლათის სამსახური“ ერთმანეთთან შეთავსე-  
ბული იყო და ყველაფერი პარამონილად მი-  
დინარებოდა!

განა ეკლესიის შვილებად რჩებოდნენ ისი-  
ნი. ვინც ექსპლუატატორული კლასების, მათ  
დაძველი ეკლესიის წინააღმდეგ იბრძო-  
დნენ? პ. რატინს ისე ვამოსდის, რომ თითქოს  
თავისუფლებიანთა ბრძოლაში ეკლესიის  
ზოგ მოღვაწეთა მონაწილეობა თვით ეკლესი-  
ისა და სტოლასტიკის რღვევის მარვენებელ-  
ე არა, არამედ კონსერვატულ და პროგრე-  
სულ ძალთა მშვიდობიანი თანარსებობის  
მარვენებელი იყო. მას ჰგონია, რომ XII ს.  
ადგილი არ ჰქონია იდეურ დაპირისპირებას  
საერო და სასულიერო ლიტერატურას შო-  
რის 2. „არაფერი ამის მსგავსი არ მომხდა-  
რაო“, „ლაპარაკი რუსთაველის ეპოქაში ქრი-  
სტიანული იდეოლოგიის რამე შესუსტებაზე  
მოკლებულია ყოველგვარ რეალურ-ისტორი-  
ულ საფუძვლით“<sup>6</sup>. შოთას მსოფლმხედვე-  
ლობა „ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძ-  
ველზეა აშენებულიო“, დასკვნის პ. რატინი.

როგორც ვხედავთ, ავტორი განწყობილია  
უაზროს რენესანსული იდეები რუსთაველის  
შემოქმედებაში, ერთმანეთთან შეარავოს  
„ბოძლოერი თეოლოგია“ და „ეფესისტყაოს-  
ნის“ პუნანაზში.<sup>7</sup> ავტორი ვერ აფასებს საერო  
და სასულიერო ლიტერატურას შორის სპი-  
რისპირო იდეოლოგიურ შთბეებს, განა  
შემოხვევითი იყო ტიპით ვაბაშვილის მიერ  
რუსთაველის გაიქცევა და ანტონ კათალი-

<sup>1</sup> ტურ. „ივერია“, 1882 წ. № 11, გვ. 99-104.

<sup>2</sup> „მნათობი“, 1968 წ., № 2-4, გვ. 170.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>5</sup> განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ.  
იმედაშვილის რედ. 1960წ., გვ. 08.

<sup>6</sup> „მნათობი“, № 2, გვ. 166.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 153; „მნათობი“, № 4, გვ. 163-164.

<sup>2</sup> „მნათობი“ № 2, გვ. 165.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 154

<sup>4</sup> „მნათობი“, № 4, გვ. 162.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 162, 163.



კოსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ წიგნების დაწვა? აქად. ივ. ჭავჭავიძელი კლერიკალთა მიერ რუსთაველის ღვეწის შედეგად თვლიდა იმ გარემოებას, რომ „მისი სახელი იმ დროის ცხოვრების მომთხრობელ თხზულებებში ამოკლებს“.<sup>1</sup> „დიდი ჰუმანიტი“ რუსთაველი — რელიგიას საერთოდ არ თვლის ცხოვრების მამოძრავებელ ძალად. ადამიანთა ურთიერთობის საკითხში მან ისევე გადალახა რელიგიური კარნაქცილობა და ზღუდეები, როგორც ეროვნული. — წერდა აქად კ. კეკელიძე.<sup>2</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ პ. რატიანი განზრახ უფლის ნებრდს კეკელიძის დასკვნის ამ ძირითად ნაწილს და იმწმუმებს მისგან იმ ადვილს, სადაც ლამპარაკია ე. წ. „ზიზილური თეოლოგიის“ მიმდევრობაზე.<sup>3</sup>

პ. რატიანის აზრით, რუსთაველმა მიზნად დაისახა არა მარტო „საღვთო“, არამედ საერო სამსახურები<sup>4</sup> და არა მარტო XII ს. ეს მოაზროვნე, არამედ თითქმის ილია ჭავჭავაძეც თურმე ასევე იქცეოდა.<sup>5</sup>

გავისხენით, რომ პ. რატიანის ნაშრომებში ილია ჭავჭავაძე დახასიათებულია როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი, ახლა კი ამას ემატება ახალი „ნიუანსი“ — რელიგიისა და ერის ინტერესების შეთავსება. პ. რატიანი იმყოფება ვახტანგ შეევქვის გვლენის ქვეშ, რომელიც ცდილობდა „ვეფხისტყაოსანი“ კლერიკალთათვის მისაღებ ნაწარმოებად დაეხატა, რომ თითქმის იგი „საღვთო სწავლა“ იყო და მისი ავტორი „საიქით ცხოვრებაზე ოცნებობდა“.<sup>6</sup> რატიანი იმეორებს აგრეთვე პ. იოსელიანის აზრსაც, რომელიც რუსთაველს „სასულიერო განწყობილების მწერლად თვლიდა“.<sup>7</sup>

შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობის დასამტკიცებლად პ. რატიანს სხვა „არგუმენტებიც“ მოჰყავს, ერთი მათგანი ასეთია: რუსთველი ეპისკოპოსები „თვითონაც ეპტობდნენ“, მოწაწილდნენ ომებშიაც და, რადგან ისინი ეპტობის, ღვთისმეტყველების თუ სამხედრო

საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ და ასეთი ცოდნა „ვეფხისტყაოსანში“ მტკიცებდა, სმითომ, ეს ნაწარმოები „რუსთველი“ ეპისკოპოსის“ დაწერილიაო. გულუბრყვილობის ამისთანა მაგალითს ძნელად თუ საღმე იპოვიო!

პ. რატიანის „ნარკვევის“ ბოლო ნაწილი ერთიმეორას გამოზიციხველ მოსახრებათა ნარკვევს წარმოადგენს. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, გვიმტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე იყო აშენებული“. „მნათობის“ მე-5 ნომერში კი წერს: „ეს საოცარი (!!) პოემა მთლიანად ქრისტიანობის საწინააღმდეგო ნაწარმოებია და ქრისტიანულ იდეოლოგიას „ძირს უხრისის“ (გვ. 132). თუმცა ავტორი აქაც არ იფიქრებს „ორიგინალობას“ და აცხადებს, რომ XII ს. თვით ველსიამ და „ეკლესიის მამებმა“ „იზრუნეს“ დროის შესაფერის ამბებზე და „გზა გაუხსნეს საერთო ლიტერატურას“ (გვ. 133).

როგორც ცნობილია, ჰვენმა ოფიციალურმა პრესამ დიდი ხანი დაგმო ე. წ. „აშოთანის“ ვითომცდა შოთას ნამდვილი სახელის შესახებ უსაფუძველო მსჯელობა (იხ. „კომუნისტი“, 1961 წ. 11 მარტი, №58). პ. რატიანი კი ახლა ისე „აეცნობს“ მკითხველებს, რომ „შოთა“ რუსთაველის საერო სახელი იყო და „აეცოცხლებს“ მოგონილ სასულიერო სახელებს — „აშოთანს“, „იოანეს“ და „სულხანს“. ამასთანავე სერიოზულად ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ჭერის მონასტერში პოეტო-ეპისკოპოსი დაუხატავთ, მაგრამ ზედ მიუწერიოთ სასულიერო სახელი „აშოთან“, თუ „იოანე“ კი არა, არამედ საერო სახელი „შოთა“ (გვ. 118-120)). ყველაფერი ეს უღაოდ ბლაღავს დიდი ჰუმანიტის სახელს.

ამრიგად, პ. რატიანი ამაოდ გვისარჩა და ნასესხები მოსაზრება, თითქმის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ეპისკოპოსი იყო, ვერაფრით ვერ დამტკიცა.

თავისი წერილის დასასრულს პ. რატიანი აცხადებს, რომ „ჩანსად მეცნიერულ კამათს“ სარგებლობა მოაქვსო. ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ პირადად მისი „კამათი“ და „კვლევა“ ჩანსადი ვერაა და რუსთაველის დიდ სახელს არ შეშვენის.

1. ივ. ჭავჭავიძელი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956 წ. გვ. 6.  
 2. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. 1952, გვ. 148.  
 3. „მნათობი“ №4, გვ. 162-163.  
 4. „მნათობი“, 1968 წ. №2-4, გვ. 157.  
 5. იქვე, გვ. 157.  
 6. იქვე, გვ. 172-173.  
 7. იქვე, გვ. 177.

სიმონ ავახიანიძის  
 ბარბაქაძე დონდუა  
 მამია ღვინჯაძე  
 იოსებ მიგრალიძე  
 შოთა ბაგრიძე



## ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ

ერნალ „მნათობის“ 1968 წლის 2, 3, 4 და 5 ნომრებში დაიბეჭდა პროკოფი რატიაის ნაკვლევითი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის თვის“, სადაც გამოთქმულია ახალი თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე.

სწინებულ გამოკვლევაში აღმართული და განხილულია რიგი ისტორიული საკითხებისა, რომლებზეც გვესურს გამოვთქვათ ჩვენი თვალსაზრისი.

გამოკვლევის ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შოთა რუსთველი იყო რუსთავის ეპისკოპოსი. ამ დებულების სასარგებლოდ ის გვთავაზობს შემდეგ არგუმენტებს:

1. საისტორიო წყაროების მონაცემები და ქართული გვარების წარმოქმნის კანონზომიერება გამოიყენებს საერო „რუსთველის“ არსებობას:

ა) საისტორიო წყაროებში ცნობილი არ არის არც ერთი საერო რუსთველი, სასულიერო რუსთველებზე (ყაბუის რუსთავის ეპისკოპოსებზე) კი წყაროებში შემოგვინახეს საეპოლურცილო ცნობები (მნათობი, № 2, გვ. 152; № 4, გვ. 160-161);

ბ) ქართული გვარების წარმოქმნის კანონზომიერება, რაც პ. რატიაის აზრით, დღემდე არ იყო დადგენილი (და რის დადგენასაც ის გვთავაზობს თავის ამ ნაშრომში), გამოიყენებს საერო და სასულიერო ზედწოდებების დამთხვევას. ეს კი იმას მოასწავებს, რომ, რადგან არსებობდა სასულიერო „რუსთველი“, აღარ შეიძლება ყოფილიყო საერო „რუსთველი“ (მნათობი, 2, გვ. 154—158);

გ) ძალიან საეჭვოა დამტკიცდეს, რომ „პატარა სოფელი“ — მესხეთის რუსთავი იყო „ისეთი დიდმნიშვნელოვანი რუსთავი, რომელიც საფეოდალო მაჰულის ცენტრი იყო და შეეძლო

წარმოექმნა საერო დიდებულის გვარწოდება“ (იქვე, გვ. 150, 151, 157).

2. ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები მხარს უჭერს შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას:

ა) სტროფი: „შე რუსთველი ხელობითა...“ გვამცნობს, რომ შოთას „რუსთველობა“ იყო „ხელი“, ე. ი. თანამდებობა. ამ თანამდებობაში კი იგულისხმება რუსთავის ეპისკოპოსობა (იქვე, გვ. 158—164);

ბ) სტროფი „ქათალიკოს-მაწვევერელზე“, წინააღმდეგ რუსთველოლოგთა მტკიცებისა, არ არის ინტერპოლაცია და ის „ექვემოტანლად გვიდასტურებს მისი ავტორის ვინაობას ახლებურ გაგებას“ (ე. ი. ეპისკოპოსობას), რადგან „ქათალიკოს-მაწვევერელს“ მოიხსენიებდა სასულიერო ავტორი და არა საერო (იქვე, გვ. 164-166).

3. ფოლკლორული მასალა და ქართული ლიტერატურული ტრადიცია აგრეთვე მხარს უჭერს შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას;

ა) ბალხური გადმოცემით შოთა რუსთველი ბერად აღკვეცილა (იქვე, გვ. 166—167);

ბ) აღორძინების პერიოდის (XV—XVIII სს.) ქართველ მწერლებს შოთა რუსთველი სასულიერო პირად ჰყავთ წარმოდგენილი. გარდატეხა ამ ლიტერატურულ ტრადიციაში ხდება მხოლოდ თეიმურაზ ბაგრატიონის დროიდან. რომელიც, ბაგრატიონთა გვარის განდიდების მიზნით, შოთა რუსთველს აცხადებს ჰერტეას ერისთავ შოთა კუბრაღ, ე. ი. ბაგრატიონად (იქვე, გვ. 167—178).

4. ქალაქ რუსთავისა და რუსთავის ეპარქიის ისტორია აგრეთვე მოწმობს რუსთველის ეპისკოპოსობას, სახელდობრ:

ა) ქალაქ რუსთავის სიდიდე და სიძლიერე შუა საუკუნეებში (მნათობი, 3, გვ. 180—181);

ბ) ქალაქ რუსთავის სახლოვე თბილისთან და მცხეთასთან (იქვე, გვ. 179—180);

გ) რუსთავის ეპარქიის სიძლიერე, რუსთველ ეპისკოპოსთა სამართი ადგილი მღვდელმთავართა რიგში (იქვე, გვ. 179; 182—186);

დ) ის, რომ კახეთის საღვთისმშობლის სარდლებად XVI—XVIII საუკუნეებში იყვნენ ეპისკოპოსები და მათ შორის რუსთველი ეპისკოპოსი (მნათობი, 4, გვ. 153—156);

ე) რუსთველი ეპისკოპოსის მიერ პორფირისონის ჩაცმის უფლების მოპოვება XVIII საუკუნეში (იქვე, გვ. 157—158);

ვ) ის ფაქტი, რომ რუსთველი ეპისკოპოსები, საეპარქიო კათედრის მარტყოფში გადატანის შემდეგ, მაინც რუსთველებად იწოდებოდნენ (მნათობი, 3, გვ. 182);

ზ. ჭვრის მონასტრის ადამი შოთა მეფურძლეთუხუცესისა (იგივე რუსთველისა), სადაც ის ცოლის გარეშე მოხსენებული, მოწმობს, რომ მას არ ჰქავდა ცალი, რაც აგრეთვე მხარს უჭერს შოთას ეპისკოპოსობას (მნათობი, 3, გვ. 117).

6. შოთას იკონოგრაფია:

ა) შოთას ფრესკას ჭვრის მონასტერში არ გამოხატულა (და მით უმეტეს იმ სვეტზე, სა-

დაც შოთას გარდა სამი ეპისკოპოსის ფრესკა მოთავსებული, ის რომ ერისკაც ურფილიყო (მნათობი, 5, გვ. 127);

ბ) შოთას სამოსელი იერუსალიმში წარმოებულ მღვდელმთავრებისთვის განკუთვნილი პორფირისონია (იქვე, გვ. 112—116).

გარდა ამ პოზიტიური არგუმენტებისა, პ. რატიანი განმარტავს ზოგიერთ გარემოებას, რაც შეიძლება შეუთავსებელი ჩანდეს შოთა რუსთველის ეპისკოპოსობასთან.

1. მეფურძლეთუხუცესი შეიძლება ეპისკოპოსი უფილიყო ერთდროულად (მნათობი, 2, გვ. 176; № 5, გვ. 117);

2. შოთას მესხობის ლიტერატურული ტრადიცია მომდინარეობს უხვედორუსთველურ სტატიიდან „მეზს მელექსზე“ (იქვე, გვ. 176);

3. სახელი შოთა ამ გამორჩეულ რუსთველის ეპისკოპოსობას: შოთა არის მისი ერისკაცობის სახელი, სასულიერო სახელი კი დავიწყებული იქნა. (მნათობი, 5, გვ. 121—122).

ჩვენი აზრით, აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე შოთა რუსთველის ეპისკოპოსობა ვერ დასაბუთდება. უკვლა ეს არგუმენტი გაუგებრობის შედეგია მხოლოდ.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1. გვაქვს თუ არა საისტორიო წყაროების მონაცემები და პარათული გზარების წარმოქმნის კანონზომიერება იმის საფუძველზე, რომ გამოვრიცხოთ საბარ „რუსთველის“ არსებობა

ა) არის თუ არა მართლაც „უცილობელი ფაქტი“, რომ წყაროებში მიკვლეული არ არის არც ერთი საბარ რუსთველი.

იწყებს რა თავისი „ახალი თვალსაზრისის“ დასაბუთებას, პ. რატიანი აცხადებს: „უცილობელი ფაქტია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილი არ არის რუსთველის სახელწოდების მქონე არც ერთი სამოქალაქო პირი... სამაგიეროდ წყაროებმა შემოგვინახეს საკმაოდ ვრცელი ცნობები სასულიერო რუსთველებზე“.

1 სინამდვილეში ცნობები „სასულიერო რუსთველებზე“ (ე. ი. რუსთველ ეპისკოპოსებზე) არა თუ „საკმაოდ ვრცელი“, არამედ, საკმაოდ ბუნში და მჭირია. ფაქტობრივად, XVI ს-მდე ჩვენამდე წყაროებმა არ შემოგვინახეს რუსთველი ეპისკოპოსების სახელებიც კი, გარდა ერთთა სტეფანოსისა (იხ. „ეპისტოლეთა წიგნი“, წ. ალექსიძის გამოც., 1968, გვ. 97).

თით პ. რატიანი, იქ, სადაც გვაძლევს რუსთველ ეპისკოპოსების სიას (ეს სია, ვადმოლეგებულია პ. იოსელიანის ნაშრომიდან, შედარებითად სიას საისტორიო წყაროებით და სანდა არ არის. ცხადია, თუ პ. რატიანს სურდა რუსთველ ეპისკოპოსთა სიის დადგენა, რაც თავისთავად არაფერს იძლევა შოთა რუსთველთან დაკავშირებით და სრულიად ზედმეტია, უნდა დაედგინა ეს სია საისტორიო პირველწყაროების მიხედ-

რომლებსაც ეპისკოპოსების (ზოგჯერ მთავარ-ეპისკოპოსების და მიტროპოლიტების) 2 ხაინსხი.

ით და არა პ. იოსელიანის ნაშრომის მიხედვით). აღნიშნავს ამ ეპისკოპოსებზე, რომ ჩვენ ვიცით მათი მარტო სახელები, ზოგჯერ კი — გვარებიც; რაც შეეხება მათს მოღვაწეობას, ამაზე ჭალიან მცირე ცნობები გავაჩინა“ (მნათობი, 4, გვ. 159)

2. მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის, სასულიერო პირები მღვდელმთავარებს „ზოგჯერ“ კი არ ჰქონდათ, არამედ, თითოეულ მათგანს გარკვეული პერიოდიდან. მას შემდეგ, რაც ესა თუ ის საეპარქიო კათედრა მოიპოვებდა ამ პატივს, ის მას აღარ ერთმეოდა. თავდაპირველად მთავარეპისკოპოსის ხარისხი ჰქონდა მხოლოდ ქართლის ეპარქიის მეთაურს („ქართლის მთავარეპისკოპოსი“, ან უბრალოდ: „მთავარეპისკოპოსი“). შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში, დაწყებული XII—XIII საუკუნეებიდან, ეს ხარისხი მოიპოვეს სხვა ეპარქიების მეთაურებმაც: მანგლელმა, თბილელმა, ილავერდელმა, ბოდბელმა, მაჩყვერელმა, კუმურდოელმა, რუსთველმა.

რაც შეეხება მიტროპოლიტობას, ეს ხარისხი ზოგიერთ ეპარქიის მეთაურის (თბილელი, ქიზიყელი, ნინოწმინდელი, მრგველი, წილენელი და სხვა) აღსანიშნავად შემოდის XVII—XVIII საუკუნეებში. რუსთველმა ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტობა მოიპოვეს XVIII ს. დასაწყისში.

ქონიათ და რუსთავის ეპარქიის კათედრა სვე-როიათ“ (მნათობი, 2, გვ. 152). ამის გამო პ. რატიანის აზრით, აშკარაა, რომ საერო რუსთველი ამპროლოდენ უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია და შერეა არაფერი“ (მნათობი, 4, გვ. 161), რომ რუსთველოლოგები, რომლებიც ვეფხისტყაოსნის ავტორის ემებენ სამოქალაქო პირთა შორის, „დაძვებენ ისტორიაში არარსებულ რუსთველს“. პ. რატიანის აზრით, ეს აიხსნება ამ მკვლევართა „თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის პრინციპებით თუ წანამდგრებობით“, რომლებიც „სინამდვილეში აშკარად ყალბი დებულებებია და მათზე მეცნიერული შესჯელობის აწენება უოვლად შეუძლებელია“ (მნათობი, 2, გვ. 153).

ერთი სიტყვით, პ. რატიანი აცხადებს: საერო რუსთველის არსებობა ფეოდალურ საქართველოში გამორიცხებულია, ის „ისტორიაში არარსებელია“. „უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია“, რადგან მასზე არ გვაქვანია წყაროების ცნობები, სასულიერო რუსთველებზე კი ასეთი ცნობები გვაქვს და ამიტომ, ჩვენც მათზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია.

პ. რატიანი აქ ერთი მხრივ ივიწყებს იმას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია საერო რუსთველის წყაროში მიკვლევის ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ, სვოდავს კვლევის მეთოდში: „ისტორიაში არარსებულად“ აცხადებს იმას, რასაც წყაროებში ვერ მოიკვლია (განა წყაროებშია ვერაფერზე შემოგვიანაბეს ცნობები? ან, განა ყველა ეს ცნობა უკვე გამოკვლილი და ამოწურულია?).

წყაროში საერო რუსთველის მოხსენების ფაქტი აღნიშნულია ჩვენს ნაშრომში „თორღელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი“, რომელსაც პ. რატიანი იცნობს და უთითებს (თუმცა, აქ მოცემულ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ მისი კვლევის საგანთან, როგორც წესი, გვერდს უღლის). ამ ნაშრომში ჩვენ გამოთქმული გვაქვს ვარაუდი რუსთველთა საგვარეულოს არსებობის ქრონოლოგიურ ფარგლებზეც: XII ს. — XIII ს. ნახევარი. ამ საგვარეულოს ასეთი ხანმოკლე ისტორიით ახსნილი გვაქვს სწორედ მისი მოუხსენებლობა წყაროებში: „რუსთველთა გვარის ასე ხანმოკლე ისტორიით უნდა აიხსნას ის გარემოება რომ წყაროებში ეს საგვარეულო არ იხსენიება. მაგრამ, რუსთველთა გვარმა მაინც დატოვა კვალი საისტორიო წყაროებში. ჭრჭერობით ამ კვალს ჩვენ მივაგვნით ერთ ისტორიულ დოკუმენტში...“ (კრებული: „შოთა რუსთველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1966. გვ. 72).

როგორც ვხედავთ, პ. რატიანი არ აქონდა საფუძველი „სინამდვილეში არარსებული“ მითითებების წყაროებში რუსთველის არსებობის შესახებ.

ბ) მიხვდნენ თუ არა წყაროებში არარსებულნი — „ისტორიაში არარსებულნი“ (ე. ი. შინამდვილეში) თუ არა გამოგვიპირისპირა საერო რუსთველის არსებობის შესახებ? პ. რატიანი ამის მომსწრეა და ამის შესახებ მისი შეხედულებები.

დავუშვათ, რომ წყაროებში ჭრჭერობით მართლაც ვერ მივაკვლით ცნობას საერო რუსთველებზე: გვყავს მხოლოდ ეპისკოპოსი რუსთველები და გვყავს შოთა რუსთველი, რომლის ბიოგრაფიაც არ ვიცით. იქნებოდა თუ არა თავისთავად ეს იმის მომსწრეა, რომ საერო რუსთველის არსებობა ფეოდალურ საქართველოში გამორიცხებულია და მამასადავს, შოთა რუსთველი სასულიერო პირი — ეპისკოპოსი იყო, რომ საერო რუსთველი „უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია“, რომ რუსთველოლოგები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ემებენ სამოქალაქო პირთა შორის, პ. რატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაძვებენ ისტორიაში არარსებულ რუსთველს?“

შეიძლება თუ არა, რომ ისტორიის მკვლევარმა წყაროებში არ შემორჩენილი, ან ვერ მოიკვლილი (ფაქტი, მოვლენა, პიროვნება) გამოაცხადოს „ისტორიაში არარსებულად“? განა ის, რაც ჩვენ არ ვიცით, ან ჭერ არ ვიცით, „არარსებელია“? ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მოვუძებნებოდა „ისტორიაში არარსებულად“ გამოგვეცხადებინა, მაგალითად, კარელი, წერწყაბელი, დადაშენი, ერუშენი, წინწყაროელი, ვალაშკერტელი ეპისკოპოსები, რადგან, არც ერთ კონკრეტულ პირზე ამ ეპისკოპოსთაგან წყაროებში ცნობა არ შემოგვრჩია. და განა თვით XII—XIII სს. რუსთველ ეპისკოპოსთაგან თუნდაც ერთი მოხსენებულია ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში?

როგორც ცნობილია, თბილელეზად იწოდებოდნენ თბილისის ეპისკოპოსები შუა საუკუნეების მთელ სივრცეზე, მაგრამ, ამავე დროს, ცნობილია ერთი საერო თბილელი — აბო თბილელი, რომ არ გვეცოდნოდა აბო თბილელის ბიოგრაფია. პ. რატიანის ლოგიკით, ის უნდა გვეთა მხოლოდ თბილელ ეპისკოპოსთა შორის, ხოლო საერო თბილელი „უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია“, „ისტორიაში არარსებულად“ გამოგვეცხადებინა.

1 ვიცით მხოლოდ, რომ ეს ეპარქიები არსებობდნენ და ესეც ერთადერთი დოკუმენტადან (განგება დარბაზობისა), რომელიც, ცხადია, შეიძლება აგრეთვე არ შემორჩენილია ჩვენამდე.



წყაროების ცნობები საქართველოს ისტორიაზე მეტად ნაკლებია და განსაკუთრებით ნაკლებია ის ფეოდალურ საგვარეულოებზე. იმიტომ, წყაროების მიხედვით შედგენილ საგვარეულოთა სიას, ცხადია, სრულად ვერ მივიჩნევთ. ამ საგვარეულოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისე გაქრა (გადაშენდა, ან შეიცვალა სახელწოდება), რომ მათ შესახებ ცნობების ამსახველში წყაროებში ჩვენამდე არ მოაღწია.

შეიძლება დავასახელოთ მრავალი ფეოდალური საგვარეულო, რომელიც ვიცით, რომ არსებობდა, მაგრამ არ ვიცნობთ მის არც ერთ წარმომადგენელს; ხერთვისარი, ოთარი, სლესარი, კოტელი, მამელი, კალმახელი, ძინაელი, ხერკემოსძინი და სხვ.

შეიძლება დავასახელოთ ფეოდალური საქართველოს მრავალი ისტორიული პირი, დიდებული, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელთა გვარები ზვენიციის უცნობია: მანდატრთუხუცესი კიპაბერი, მეჭურჭლეთუხუცესები ყუთლი-არსლანი და აბულასანი, მსახურთუხუცესი აფრიდონი, მესტურზე ჭაჭერი და სხვა მრავალი.

შეიძლება დავასახელოთ მრავალი ფეოდალური საგვარეულო, რომლის მხოლოდ ერთი წარმომადგენელია ზვენიციის ცნობილი, წყაროების ნაკლებობის გამო (ისევე, როგორც ერთი წარმომადგენელია ცნობილი რუსთველთა საგვარეულოდ — შოთა); ლიპარიც ქვეშელი, ჩანახი ფაელი, ევარსლან ბაქურციხელი, ივანე ბურსელი, გამრეკელი ლიპარი, მამა ყანაგელი, სანანო ყველელი, ლიპარიც გიშელი და სხვ.

უფრო მეტიც: ადვილი შესაძლებელია, რომ რუსთველთა საგვარეულოს შოთაზე მეტი წარმომადგენელი არც ჰყავდა, რომ არსებულთა გვარის ისტორია შოთათი დაიწყო და შოთათივე დასრულდა. ასეთი მიგალითებიც არა ერთი გვაქვს ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიაში: თორღვა პანკელი, ბერი ხორნაბუჯელი, მურვან გურჯალი და სხვ.

ფეოდალურ საგვარეულოთა ასეთი ხანმოკლე ისტორია აიხსნება პირველ რიგში მათი სახელწოდებების ხშირი ცვლით, რაც დაკავშირებული იყო საფეოდალოს ცენტრის ვადანაცვლებასთან, ან ახალი საგვარეულო განშტოების წარმოქმნასთან: ასე იქცა კალმახის ერისთავი ჭაყვად, ჭაყელი — ციხისჭაყვადელი; მხარგრძელი — გაგელი, თმოგველი, თმოგველი — უჭარბელი; ფიანელი — სურამელი; ქაიხიბაძე — ბარათაშვილი, ბარათაშვილი — ყაფლანიშვილი, ორბელიანი, გოსტამიანიშვილი, გერმანოზიშვილი; სამიბავრა — თორღელი, თორღელი — ახალიცხელი, ქვეშელი, ლიპარი, ჭაყაიშვილი, ასევე იქცა ზვენი ვარაუდით (რომელიც დასაბუთებული გვაქვს ჩვენს ზე-

მოდასახელებელ ნაშრომში, გვ. 71-73) თორღელი რუსთველად XII საუკუნეში, ხოლო რუსთველი ლიპარად XIII ს-ის შუა წლებში. რუსთველურ საგვარეულოთა სწრაფი ცვლილება მნიშვნელოვანია თრებიტ დამახასიათებელი იყო XIII ს-თვის, როცა მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა (არახელსაყრელი სავარაუდო და საშინაო ვითარების შედეგად) განსაკუთრებით არამყარა იყო. ამ საუკუნეში სწრაფად ხდებოდა ფეოდალურ გვართა როგორც აღზევება, ისე დამცირება და ყოველივე ამასთან დაკავშირებით, სახელწოდებების შეცვლა.

შესაძლოა, არასპეციალისტს მაინც რამდენადმე უცნაურად და უჩვეულოდ მოეჩვენოს ის გარემოება, რომ წყაროებში არ შემოგვინახა ცნობები შოთა რუსთველზე, რომელიც, როგორც ირკვევა, არა მარტო პოეტი, არამედ, სახელმწიფო მოღვაწეც მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლია. მაგრამ, ამაში არაფერია უჩვეულო და უცნაური: 1936 წელს თბილისში, სოფ. გუნია — ყალაში, აღმოჩნდა ზელის გამოსახულებიანი ქვა, ზედ ამოკრილი ვაზირთა სიით, რომელთაგან ორი ვაზირი მანამდე უცნობი იყო ზვენიციის ასევე, XIII ს-ის შუა წლების ორი მეჭურჭლეთუხუცესი გამრეკელი და მამურა ან ისტორიოგრაფიაში ცნობილი გახდნენ მხოლოდ მის შემდეგ, რაც გამოვლინდა ამ პერიოდის ორი დოკუმენტი, მათი ზეღრთვებით. ამასთან, როგორც გამრეკელი და მამურა, ისე გუნია-ყალის წარწერის ვაზირები მოხსენებული არიან მხოლოდ სახელებით (ისევე, როგორც ვერის აღაბეში შოთა მეჭურჭლეთუხუცესი) და ამ სახელების მიხედვით დგინდება მათი გვარებიც: გამრეკელისა — თორღელი, მამურასისა — ჭაყელი, შალვასი თორღელი — ახალიცხელი და ა. შ. ამრიგად, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ორმა ხელთნამე ქართულ ისტორიოგრაფიას გამოუგონა ორი ახალი ვაზირი (ისევე როგორც ერთმა აღაბეში — შოთა მეჭურჭლეთუხუცესი), მაგრამ რამდენი ასეთი ხელნათვა დაკარგული, რამდენი ქართული ისტორიული დოკუმენტია განადგურებული! XII საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ექვსმა ქართულმა ისტორიულმა დოკუმენტმა (აქედან დღევანდელი — მხოლოდ ოთხმა), იმ ათასობით დოკუმენტებიდან, რომლებსაც წერდნენ ამ პერიოდის მეფე-ფეოდალთა და კათალიკოს-ეპისკოპოსთა ათობით და ასობით მწიგნობრებმა და მწიგნობართუხუცესები. ასეთ პირობებში, ცხადია, არ უნდა გავუკვირვით, თუ წყაროებში ვერ აღმოვაჩინეთ ცნობა რომელიმე ისტორიულ პირზე, ან ფეოდალურ საგვარეულოზე.

ცხადია, წერილობით წყაროებში ეპარქიებზე და ეპისკოპოსებზე მეტი ცნობებია შემონახული, ვიდრე საფეოდალოებზე და ფეოდალურ საგვარეულოებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ეპარ-



ქიებს გაცილებით ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ, ვიდრე ფეოდალურ სავაჭრეულებს. საქართველოს ეპარქიათა ერთი რაიონი (მათ შორის რუსთავის ეპარქია) არსებობდა ფეოდალიზმის მთელ სივრცეზე — V-XIX საუკუნეებში. ფეოდალურ სავაჭრეულობა ისტორია კი (გარდა სამეფო დინასტიისა), ჩვეულებრივ, ერთი-ორი გამოჩაყლის გარდა, არ სცალდებოდა 2-3 საუკუნეს, უფრო ხშირად კი, ამაზე ხანმოკლე იყო (ვეფლისხმობთ გვარის ისტორიას ერთი სახელწოდების ქვეშ, თორემ სხვადასხვა სახელწოდებით სავაჭრეულები უფრო ხანგრძლივად არსებობენ. ასე, შავკოთადა, სამივიარ-თორელ-ახალციხელ-ქვეშელ-ლობიარ — ჯავახიშვილთა გვარის ისტორიას შეიძლება თვალი გავადევნოთ X-XIX საუკუნეთა სივრცეზე). ამის გამო, საესებით კანონზომიერი და გასაგებია ის გარემოება, რომ რუსთავის ეპარქიაზე, რომელსაც თანამეტი საუკუნის ისტორია აქვს, ცნობები შემოგვრჩა საისტორიო წყაროებში (თუმცა, თვით რუსთველ ეპისკოპოსებზე, ეს ცნობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მწირია). ხოლო რუსთველთა სავაჭრეულობა, რომლის ისტორია, შესაძლოა, ნახევარ საუკუნეს არც კი გასცილება, ცნობები არ შემოგვრჩა.

ამრიგად: უნდა დაგვეთანხმოს პ. რატიანი, რომ მას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი გამოერიცხა საერო „რუსთველის“ არსებობა ფეოდალურ საქართველოში და „უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფად“, „ისტორიაში არარსებულად“ გამოცხადების.

გ) პ. რატიანის მიერ „დადგინილი“ ძარბოვანი გვარების წარმოქმნის კანონზომიერება. უნდა აღვნიშნავთ, რომ მისი თეზისი, რომ „რუსთველი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო საერო დიდებულის გვარ-წოდება; რუსთველი შეიძლება ყოფილიყო და იყო კიდევაც, მხოლოდ მაღალი სასულიერო თანამდებობის, სახელდობრ, რუსთავის საყდრის საკათედრალის (ეპისკოპოსის, ან მთავარეპისკოპოსის) ზღწრეობა, ანუ ტიტული“ მნათობი, № 2; გვ. 154).

პ. რატიანის აზრით, ეს უდავო ქვეშარიტება მეცნიერებმა იმიტომ ვერ შეიძინეს, რომ არაის არ შეუსწავლია გვარების წარმოქმნის აღნიშნული კანონზომიერება:

„...ვინ შეისწავლა და გამოიკვლია მეცნიერულად ის კანონზომიერებანი, რომელთა მიხედვით ფეოდალურ საქართველოში საერო დიდებულთა გვარწოდების, ან კიდევ უმაღლეს სასულიერო პირთა თანამდებობის ზღწრეობების

წარმოქმნა ხდებოდა?“ — სვამს კითხვას პ. რატიანი და იქვე უპასუხებს ამ კითხვას ფარულით: „ასეთი სამუშაო, რამდენადაც ვიცით, ჯერ არაის შეუსრულებია. უამისოდ კი შეუძლებელია გავიგოთ, რას ნიშნავს რუსთველი“ (მნათობი, 2, გვ. 153).

„ასეთი სამუშაოს შესრულებას“ თავს იღებს პ. რატიანი, რის შედეგადაც, თურმე, ჩვენ თვალნათლივ დაინახავთ, რომ რუსთველი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო საერო დიდებულის გვარწოდება“ (იქვე).

და აი, პ. რატიანი ადგენს საერო გვარების წარმოქმნის შემდეგ კანონზომიერებას:

„საერო გვარწოდების წარმოქმნის საფუძველი — ესაა ყმა მამულზე ფეოდალური კერძო საკუთრება, რომელიც მთელი ფეოდალური ურთიერთობის ქვეყნთაშორის წარმოადგენს... როდესაც ესა თუ ის მნიშვნელოვანი ტერიტორია და იქ აღმართული ციხე-სიმაგრე ან ციხე-ქალაქი, მთელი თავისი ფეოდალური მეურნეობით (ყმა-გლეხებით, აზნაურ-ქვასალებით, საქმულე ეკლესია-მონასტრებით და ა. შ.), გალაშქრებულია ამა თუ იმ განდიდებული ფეოდალური სახლის სამკვიდრო, ზღწრეულად, საკუთარ მამულად (განსხვავების, შემკვიდრების და სხვ. უფლებით), მაშინ ამ მამულისა და მისი პატრონის სახელები სამუდამოდ დასაუყვონდ და დაეკლდობოდნენ ხოლმე ერთმანეთს და ადგილის სახელი მისი შესაკუთრის სავაჭრეულო სახელწოდებად ანუ გვარწოდებად იქცეოდა. ეს იყო კერძო საკუთრების ინსტიტუტის მაღალი ფორმა, ფეოდალის „უკვდავყოფილი“ საკუთრება“ (იქვე, გვ. 154, ხაზგასმით ჩვენია—ნ. შ.) თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ არასწორ გამოთქმებს, როგორც მაგალითად: „საკუთარი მამული“ (ხომ არ გვეტყვის პ. რატიანი, რა განსხვავებაა „მამულსა“ და „საკუთარ მამულს“ შორის?), „კერძო საკუთრების ინსტიტუტის მაღალი ფორმა“ (განა არსებობს ასეთი რამ ფეოდალიზმის დროს?). ფეოდალური მეურნეობის უცნაურ განმარტებას და ისეთ ზედმეტ, ხატოვან გამოთქმებს, როგორიცაა: „ფეოდალის უკვდავყოფილი საკუთრება“, მამულისა და მისი პატრონის სახელების „საუცუნოდ გადავტობა“ და სხვა, მთელი ეს მსჯელობა ასე უნდა გავიგოთ: ფეოდალთა გვარწოდებები წარმოიქმნებოდა მამულის (ე.ი. სამეკვიდრეო მფლობელობაში მყოფი ადგილის) სახელიდან.

თავისთავად ეს დასკვნა სწორია: მართლაც, ფეოდალური გვარწოდებები წარმოიქმნებოდა მხოლოდ მამულის სახელიდან და არა სახელი —სასაკარგო სამფლობელოთა სახელიდან. მაგრამ, განა პ. რატიანმა აღმოაჩინა ეს ე. წ. „მეცნიერული კანონზომიერება“ ჩვენს ზემოდასახელებულ ნაშრომში ან საკითხზე აღნიშნულია.

„რუსოველი მიუთითებს რუსთაყის სამამულე მფლობელობაზე: გვარები არ წარმოადგენდა ხელმე პირად მფლობელობაში მეოფი, ან სახელი ადგილებიდან თუ ქვეყნებიდან; ოძრხის ერისთავიდან არ წარმოიქმნა ოძრხელი, წუნდის ერისთავიდან — წუნდელი, ცხემისა — ცხემელი. ახალქალაქისა—ახალქალაქელი, კარის გამგებელი ამირადან—კარელი, ღმინის ამირადან—ღმინელი, ეჩინანის მკონებელიდან—ეჩინაველი და სხვ. ჭაყელი, გაგელი, თორელი, ახალციხელი, თმოგველი, ხურთუასარი, გერჯელი—ჭაყის, გავის, თორის, ახალციხის, თმოგვის, გურჯალის მემამულეთა გვარებია“ (იხ. ჩვენი დასახ. ნაშრომ., გვ. 68).

როგორც ვხედავთ, პ. რატიაში ტყუილად ასტეხა ამდენი ხმაური გვარების წარმოქმნის „მეცნიერულ კანონზომიერებაზე“, ტყუილად უჩიოდა მის შეუსწავლელობას და ამოღო დაშვრა: მის მიერ „დადგენილი“ გვარების წარმოქმნის „მეცნიერული კანონზომიერება“ უკვე დადგენილი ყოფილა ჩვენს ნაშრომში, სწორედ იმ გვარებს, რომელსაც ის უთითებს სხვა საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სასულიერო პირთა ზედწოდებების წარმოქმნის „მეცნიერულ კანონზომიერებას“, ეს საკითხი, მართლაც, არავის შეუსწავლია, იმ უპირად მიზეზის გამო, რომ ამ შესასწავლო და საყვლელო ანაფორია: თავისთავად ცხადია, რომ „მანგლელი“ ეპისკოპოსი აღნიშნავს მანგლისის ეპარქიის მეთაურს და არა მანგლისის მემამულეს, ასევე—თბილელი, ურბნელი, მაწყვარელი, კუმურდოელი და სხვ. მაგრამ, პ. რატიაში რატომღაც თვლის, რომ ამ საჭიროა ახალი სატყვეს თქმა, საჭიროა იმის აღმოჩენა, რომ ეპისკოპოსს არ ჰქონდა მამული და ამდენად, „მანგლელი“ არ აღნიშნავს მანგლისის მემამულეს, რომ ეპისკოპოსს არ ჰყავდა შვილები და ამიტომ, „საქართველოს ისტორია არ იცნობს შემთხვევას, რომ საეკლესიო მამული რომელიმე ეპისკოპოსის საგვარეულო საკუთრებად გადაქცეულიყო“ (მნათობი, 2, გვ. 155) და სხვ.

დავუშვათ რომ ყოველივე ეს პ. რატიაში მიერ დადგენილი „მეცნიერული კანონზომიერე-

ბაა“, მაგრამ რა კავშირშია ამასთან შოთა რუსთაყის ვინაობა? პ. რატიაშიმ მხრითმე უსწავლე იყე აქედან, თორმე „ლოგიკურად“ გამომდინარეობს აგრეთვე ის დებულება, რომ საერო გვარწოდება და სასულიერო ზედწოდება, რამდენადაც იხიონ სულ სხვადასხვა შინაარსის გამოხატული ტერმინების მიხედვით იყვნენ, არ შეიძლება ერთმანეთს დამთხვევიდნენ“. (იქვე, ხაზგასმით ვენიხა ნ. შ.). შემდეგ პ. რატიაში განმარტავს, თორაში გამოხატებოდა ეს სხვადასხვა შინაარსი: „საერო ტერმინი კერძო საკუთრებას გულისხმობდა და მის გარეშე არსებობა არ შეეძლო, სასულიერო ტერმინი კი, პირიქით, კერძო საკუთრებას არ სცნობდა და ეკლესიის მთელი კრებულის საერთო საკუთრების ხიდადზე იდგა“ (იქვე, გვ. 155, 156).

ეს დამთხვევა, პ. რატიაშის აზრით, გამორიცხული იყო კიდევ იმათომ, რომ „სასულიერო პირები ამ ქვეყნად ღმირთ წარმომადგენლებად, ქრისტეს მოადგილეებად ითვლებოდნენ და თეთი მუდუგებაკ კი (ფორმალურად მაინც) არ ემარჩილებოდნენ“, ხოლო საერო პირები კი „ამქვეყნიერთი წუთითერი საწყაროს“ საქმეთა განკუებლები იყვნენ, რაც იმდროინდელი თვალსაზრით, გაკლებით უფრო უმნიშვნელო საქმე იყო, ვიდრე ერის სულიერი მწყემსობა“ (იქვე, გვ. 156).

ენახოთ ვერ, რამდენად მართლაც „ლოგიკური“ პ. რატიაშის ეს თეორიული მსჯელობა, რომლითაც ის გამორიცხავს საერო და სასულიერო ზედწოდებათა დამთხვევის შესაძლებლობას, ხოლო შემდეგ შეეამოწმით წყაროებით მისი სინამდვილე. ენახოთ, ვხვდებოდა თუ არა საისტორიო წყაროებში ასეთი დამთხვევის ფაქტები.

პ. რატიაში გვარწმუნებს, რომ საერო და სასულიერო ზედწოდებები ვერ დამთხვევიდა ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა შინაარსის გამოხატულები. პ. რატიაში თავგამოდებით ცდილობს ამ სხვადასხვაობის დამტკიცებას. ამისათვის ის ადგენს საერო გვარების წარმოქმნის ერთხელ სხვის მიერ უკვე დადგენილ კანონზომიერებას, განმარტავს სასულიერო ზედწოდებათა ისედაც თვალსაზრით და გასაგებ შინაარსს, ხოლო შემდეგ ვაჟაშენებს, რომ საერო პირები „წუთითარ საწყაროს გამგებლებად“ ითვლებოდნენ, ხოლო სასულიერო პირები „ქრისტეს მოადგილეებად“ (ამაში რომ დავაგარწმუნოს, პ. რატიაში ივ. ჯავახიშვილსაც კი იმეორებს).

იმისათვის, რომ საერო და სასულიერო ზედწოდებები ერთმანეთისადმი დამირისპირებულ ტერმინებად წარმოგვიდგინოს (რადგან ფიქრობს, რომ ამით გამორიცხავს მათი დამთხვევის შესაძლებლობას), პ. რატიაში გვარწმუნებს, რომ ორივე ეს ტერმინი დაკავშირებულია სა-

1 სწორედ იმ მომენტების, საფუძველზე, რომ ფეოდალთა გვარწოდება წარმოიქმნებოდა მამულიდან და არა სახელო-სამაყარეთ ადგილიდან, ჩვენს აღნიშნულ ნაშრომში უარყოფილია შოთა რუსთაყის წარმომავლობა კახეთის რუსთავიდან: კახეთის რუსთავი არ იყო ფეოდალის მამული. ის იყო სამეფო ქალაქი, რომელიც საგამგეოდ ეძლეოდათ დიდებულებს. ამდენად, არ შეიძლება მისგან ფეოდალის გვარწოდება წარმოიქმნილიყო. (იხ. ჩვენი დასახ. ნაშრომი, გვ. 68).

კუთრების ერთიმეორის საპირისპირო ფორმებთან: საერო გვარწოდება — კერძო საკუთრებასთან („კერძო საკუთრება“, როგორც ჩანს, პ. რატინთან უნდა ვაივითო, როგორც მამული, ხოლო სასულიერო ზედწოდება — „ეკლესიის მთელი კრებულის საერთო საკუთრებასთან“ (აქ იგულისხმება, როგორც ჩანს, სასაყდრო და სამონასტრო მიწებები).

სინამდვილეში, იმდენად, რამდენადაც სასულიერო ზედწოდების აღმნიშვნელი ტერმინი წარმოიქმნებოდა ეპარქიის, ან მონასტრის სახელწოდებიდან და არა საეკლესიო მამულის სახელწოდებიდან (ამას თვით პ. რატინიც აღნიშნავს), საკუთრების არავითარ ფორმასთან ეს ტერმინი არ იყო დაკავშირებული და არც არავითარ ფორმას არ უპირისპირდებოდა. ამდენად, საერო გვარწოდება და სასულიერო ზედწოდება, ცხადია, სხვადასხვა შინაარსის, მაგრამ ამავე დროს სხვადასხვა (აღებული) სიბრტყეების ცნებებია და ამაოდ ცდილობს პ. რატინი მათ დაპირისპირებას საკუთრების ნიადაგზე (მით უმეტეს, რომ ასეთი დაპირისპირება მაინც არ გამოირჩევადა მათი დამთხვევის შესაძლებლობას).

ჩვენ საკვებით ვეთანხმებით პ. რატინს, რომ საერო გვარწოდება და სასულიერო ზედწოდება სხვადასხვა შინაარსის გამოხატავენ (ეს თავისთავადაც აშკარა და ამის დასამტკიცებლად სრულად არ იყო საჭირო ასეთი ვრცელი მსჯელობის გამართვა), მაგრამ განა ეს გამოირჩევათ მათი დამთხვევის შესაძლებლობას? განა არ შეიძლება, რომ ორი სხვადასხვა ცნება ერთიდაიგივე სიტყვით გამოხატულიყო? განა ცოტა გვაქვს ერთი ტერმინი ორნაირი (და მეტიც) სემანტიკით (ასეთი ტერმინები ქართულ ლექსიკონში მრავალია და მათი აქ მოტანი, ცხადია, ზედმეტია)? განა სხვადასხვა შინაარსს არ გამოხატავენ აბო თბილელის „თბილელობა“ და თბილელ ეპისკოპოსთა „თბილელობა“ და იმწინელი ეპისკოპოსების „იშნელობა“? ან ეთქვამთ, იშნელობა გვარის „იშნეობა“? მაგრამ განა ეს სხვადასხვა შინაარსი უმლის ზღვს, რომ აბოც „თბილელი“ იყოს და თბილისის ეპისკოპოსიც? ან იშნელობა გვარის რომელიმე წარმომადგენელიც „იშნელი“ იყოს და იშნანის ეპისკოპოსიც? ასევე, რატომ არ შეიძლება „რუსთველს“ აღენიშნა საერო მემამულის გვარწოდებაც და ეპისკოპოსის ზედწოდებაც?

პ. რატინი აცხადებს: „თავისთავად ცხადია, რომ ისეთ მღვდელმთარებს, რომლებიც ბერად შეუდგომის დროს თავის საკუთარ საეროსაკაცო სახელსაც კი იცვლიდნენ, არ შეეძლოთ რომელიმე თავადის საზიარო სახელწოდება ეტარებინათ“ (შნათობი, 2, გვ. 156, ხაზგასმით ჩვენა 5. 3.).

ე. ი. პ. რატინის აზრით, საერო და სასულიერო პირები ისე იყვნენ გამოქვეყნდნენ მათ „ცხადია“ „საზიარო სახელწოდებას“ შეეძლოთ ეტარებინათ. პ. რატინის ასეთი განცხადება მით უფრო უცნაურია, რომ ამავე ნაშრომში ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ საერო და სასულიერო სახელწოდებებს შორის, ფეოდალიზმის ხანაში ჩინური კედელი არ იყო აღმართული. საბელ შოთასთან დაკავშირებით, ამ ადგილზე ის სულ სხვანაირად მსჯელობს, სასულიერო და საერო პირთა „საზიარო სახელწოდებებზე“: „...ცხადზე უცხადებსა, რომ სასულიერო და საერო სახელებს შორის ფეოდალიზმის ეპოქაში ჩინური კედელი არ ყოფილა აღმართული“ (შნათობი, 5, გვ. 122).

ე. ი. როცა უნდა დავეიმტკიცოს, რომ „რუსთველი“ მხოლოდ სასულიერო ზედწოდება იყო, პ. რატინი გვარწმუნებს: „ცხადია“ სასულიერო და საერო პირები „საზიარო სახელწოდებას“ ვერ ატარებდნენო, ხოლო როცა უნდა დავეიმტკიცო, რომ შოთა სასულიერო პირსაც შეეძლო ეტარებინა, ის გვიცხადებს: „ცხადზე უცხადებსა“, რომ საერო და სასულიერო სახელებს შორის ჩინური კედელი არ იყო აღმართული. ერთი სიტყვით: ხან ასე და ხან ისე.

ცხადია, ეკლესიის ქონდა თვისთვის განკუთვნილი ისეთი სახელები, რომლებსაც საერო პირები არ ირქმევდნენ (მაგალითად: ეფრემ, ეფთჳმე, გურამიძე, შიო, ათანასე და სხვ.). ასევე იყო ისეთი საერო სახელებიც, რომლებიც არ შეიძლებადა სასულიერო პირებს რქმეოდა (შოთა, კახა, ვაძრეველი, რატი, სუმბატი, ზეიდი, გუზან, ლიპარიტი, ჟოჯიტი, ძაგანი, ბეღანი, ცოტნე, ასათ, აბულეთი, თაყა, თაყაიანი, აბულსანი, კახაბერი, ჭიანჭერი, აბაზ, ჭილა, მურვან და სხვ.), მაგრამ ბევრი იყო ისეთი საერთო სახელებიც, რომლებიც საერო პირებსაც ეტყვათ და სასულიერო პირებსაც მიუხედავად იმისა, რომ პირველი „წუთითერი სამყაროს საქმეთა გამგებლები“ იყვნენ, ხოლო მეორენი „ქრისტეს მოადგილეებად ითვლებოდნენ“ (გრიგოლ, გიორგი, დავითი, იოანე მელქისედეკი, ვაბრიელ, სტეფანოზ, სვიმონ და სხვ.).

ასე რომ, საერო და სასულიერო პირებს შეეძლოთ ეტარებინათ „საზიარო სახელწოდება“. როგორც სახელის, ისე გვარწოდების სახით. ამრიგად, პ. რატინის თეორიული დასაბუთება იმისა, რომ გამოირჩევიდა საერო და სასულიერო ზედწოდებების დამთხვევა, არადაამაყრებელია.

ახლა ენახთ, როგორ თანხმობაშია ეს თეორიული მსჯელობა ისტორიულ ფაქტებთან. ენახთ: გვხვდება, თუ არა წყაროებში საერო გვარწოდებისა და სასულიერო ზედწოდების



დამთხვევის მაგალითები. ასეთი მაგალითები საისტორიო წყაროებში გვხვდება:

1. ტბელი მემამულეები
  - ა) შიდა ქართლის ტბეთის, X-XI სს.
  - ბ) კახეთის ტბეთის — ვოდერძიან ტბელნი, VIII ს.
2. ამო თბილელი
3. გიშელი მემამულეები (XIII ს)
4. ბერი ხორნაბუჯელი (ხორნაბუჯის მემამულე, XIII ს.)
5. იშხნელთა გვარი
6. ვარძიელთა გვარი
7. ცაგარელთა გვარი
8. ქუთათელაძეთა გვარი. და სხვ.

1. ტბელი ეპისკოპოსები; **ერეკლესი** (შეშეთისტბეთის). **გიშელი** (თბილისი)
2. თბილელი ეპისკოპოსები;
3. გიშელი ეპისკოპოსები (ადრე ფეოდალური ხანა);
4. ხორნაბუჯის ეპარქია (ვახტანგ გორგასლის დროიდან. გვიან ეს ეპარქია აღარ ჩანს);
5. იშხნელი ეპისკოპოსები;
6. ვარძიელი ეპისკოპოსები;
7. ცაგარელი ეპისკოპოსები;
8. ქუთათელი ეპისკოპოსები

ეს მაგალითები სამ ჭკუფად შეიძლება დავყოთ, რომელთაგან თითოეულში საერო და სასულიერო ზედწოდებათა დამთხვევა სხვადასხვანაირად იხსნება:

1. ტბელი მემამულეები და ტბელი ეპისკოპოსები სხვადასხვა ტბეთიდან არიან;
2. ხორნაბუჯელი ეპისკოპოსები და ბერი ხორნაბუჯელი სხვადასხვა ეპარქიაში ცხოვრობენ, ასევე გიშელი მემამულეები და გიშელი ეპისკოპოსები;
3. საერო გვარწოდებები: თბილელი, იშხნელი, ვარძიელი, ცაგარელი, ქუთათელაძე აღნიშნავენ არა მემამულეობას, არამედ—წარმოშობას: ამო თბილელი თბილისელია და არა თბილისის მემამულე (ე. ი. თბილისის მფლობელი). იშხნელი აღნიშნავს იშხანიდან წარმომავლობას და არა მის მემამულეობას. ასევე დანარჩენი გვარები.

როგორც ვხედავთ, საერო და სასულიერო ზედწოდებები შეიძლება ერთმანეთს დამთხველა სამ შემთხვევაში:

1. როცა გვაქვს ორი, ან მეტი ერთიდაიგივე სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი (შიდა

1. ქუთათელაძე ორმაგი წარმოშობის გვარია: ჯერ იქნებოდა გვარი „ქუთათელი“, შემდეგ ეს გვარი იქცეოდა სახელად (გვარები ხშირად იქცეოდნენ სახლებად: მხარგრბელი, ტბელი, სურამელი, ახალციხელი, ორბელი, რუსთველი, ვირშელი, ქვეშელი, თორელი, ქვენიფხველი და სხვ.). ხოლო ამ სახელის მატარებელი ერთ-ერთი პირი „ქუთათელი“ დასაბამს მისცემდა ახალგვარს: „ქუთათელაძეს“. ასეთი ორმაგი წარმოშობის გვარებია: ტოლოშელისძე, ცხოველიძე, ფავენლისშვილი, რუსთაველისშვილი, ორბელიშვილი და სხვ.

2 წარმომავლობის აღნიშნულ გვარწოდებებს დიდი ფეოდალები, წარჩინებულები არ ატარებდნენ, ისინი დიდი მემამულეები იყვნენ და, ცხადია, მათი წარმომავლობის ადგილი მათვე მამული იყო.

ქართლის ტბეთი, კახეთის ტბეთი და შეშეთის ტბეთი);

2. როცა საერო და სასულიერო ზედწოდებები ნაწარმოებია ერთიდაიგივე ადგილიდან. მაგრამ, სხვადასხვა ეპარქიაში (ხორნაბუჯელი, გიშელი);

3. როცა საერო გვარწოდება მიუთითებს მხოლოდ სადაურობაზე და არა მემამულეობაზე (ამო თბილელი, იშხნელი, ვარძიელი, ცაგარელი, ქუთათელაძე).

**საისტორიო წყაროებში დამოწმებული არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ ერთიდაიმავე ადგილიდან, ერთ ეპარქიაში ნაწარმოები იყოს საერო დიდებულისა და სასულიერო ზედწოდებები.** ეს, ჩვეულებრივ, არცაა მოსალოდნელი (თუმცა სავესებით გამოიხატული არც ესაა): არა იმიტომ, რომ ეს ორი ტერმინი სხვადასხვა შინაარსს გამოხატავდა, არამედ იმიტომ, რომ ერთიდაიმავე ადგილზე ერთდროულად ერთიდაიგივე ზედწოდების ორი წარჩინებული პირი ვერ იქნებოდა. არ იქნებოდა ბუნებრივი, რომ კახეთის რუსთაველი ერთდროულად მკვლარიყვნენ „რუსთველი“ მემამულე და „რუსთველი“ ეპისკოპოსი, ან მანგლისში — „მანგლელი“ მემამულე და „მანგლელი“ ეპისკოპოსი.

1. ტბელი ეპისკოპოსის უფრო ადრინდელი ფორმა მტბევიარია, მაგრამ, ეს იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ მათი ზედწოდება არ დამთხვეოდა ტბელი მემამულეების ზედწოდებას, როგორც ამას რატონი ფიქრობს (მნათობი, 2, გვ. 157). აქ საქმე გვაქვს სადაურობის წარმოშობის ქანერ-მეგერულ სუფიქსს—არ-თან: ხერტივისარი, სამძივარი, ოთარი, ლობიარი, ოპიზარი, ზატულარი, სამცხევიარი, სომხითარი და სხვ. უფრო მეტიც: როგორც ა. შანიძემ დაადგინა, „მტბევიარი“ ტბეთიდან კი არ მივიღეთ, არამედ, ამ ტოპონიმის ადრინდელ, ქანერ-მეგერულ ფორმიდან — ტბევიდან (იხ. ა. შანიძე, ქართ. ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 28-32).

კობის I. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა ორი, ან მეტი ერთნაირი სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი — ერთი საეპარქიო ცენტრი, ხოლო მეორე — საერო მართლმადიდებელი და სასულიერო ზედწოდებათა დამთხვევა არ იყო გამოირჩეული. ასე რომ, თუ კახეთის რუსთაველი ისმდნენ „რუსთველი“ ეპისკოპოსები, მესხეთის რუსთაველი შეიძლება მსხდარიყენენ „რუსთველი“ მემამულეები, ისევე, როგორც შიდა ქართლის ტბეთიდან და კახეთის ტბეთიდან იყენენ „ტბელი“ მემამულეები, ხოლო შავშეთის ტბეთიდან — „ტბელი“ ეპისკოპოსები.

საერო და სასულიერო ზედწოდებათა დამთხვევაზე ჩვენი ეს თვალსაზრისი, გამოთქმული ჩვენს ზემოდასახელებულ ნაშრომში, უცნაურად გაუგია პ. რატიანს. გვხსენიებს რა სქოლიოში ამ საკითხთან დაკავშირებით, ის აღნიშნავს: „ეს მოვლენა (ე. ი. ის, რომ ერთიანი-მავე გეოგრაფიული ადგილიდან ერთდროულად არ წარმოიქმნებოდა საერო მემამულესა და სასულიერო პირის ზედწოდებები—ნ. შ.) კარგად აქვს შენიშნული ისტორიკოს ნ. შოშიაშვილს, ოღონდ იგი შეცდომით ფიქრობს, რომ ამგვარი კანონზომიერება მოქმედებდა თითქმის არა მიღებულ საქართველოში, არამედ მარტო კახეთში“ (მნათობი, 2, გვ. 156, შენიშვ. 1 ხაზი ჩვენია—ნ. შ.). რატომ ვაივო პ. რატიანმა ჩვენი თვალსაზრისი ისე უცნაურად, თითქმის ჩვენი ვგულისხმობდით მხოლოდ კახეთს, რისთვისაც მას დასჭირდა ამ დებულების მთელ საქართველოზე გაერყელება, სრულიად გაუგებარია. დასაბუთებელი ნაშრომში ამ საკითხზე ჩვენი აღნიშნული გვაქვს შემდეგი:

„ტერმინი რუსთველი კახეთის რუსთავეის მართლმადიდებლის მთელ სივრცეზე აღნიშნავდა რუსთავეის ეპისკოპოსს. არ შეიძლება ასეთივე ტერმინი დაემკვიდრებინოს ერთდროულად კახეთის რუსთავეის მფლობელსაც. ამგვარი ერთდროული შინაარსობრივი გარკვევის შემთხვევაში ასეთი ტერმინებისა ჩვენ არ ვიცით: არ შეიძლება, მაგალითად, რომ ეპისკოპოსის აღნიშნული ტერმინები: მანგლელი, მაწვერელი, თბილელი, კუშურდოელი, სამთავნელი, ურბნელი და სხვა, იმავე პერიოდში საერო პირსაც აღნიშნავდეს. ასევე არ შეიძლება საერო მფლობელის აღნიშნული ტერმინები: გაგელი, თოგველი, ჭაყელი, კალმახელი, ფანასკელი, და სხვა, იმავე პერიოდში სასულიერო პირსაც აღნიშნავდეს. (კრებულზე „სულიერო რუსთაველი“, გვ. 68).

### ნივლიერობა

განა აქედან ჩანს, რომ მე მხოლოდ კახეთის ვიფარგლები? განა კახეთში შედიან: მანგლელი, მაწვერელი, თბილელი, კუშურდოელი, სამთავნელი, ურბნელი ეპისკოპოსები, ან: გაგელი, თოგველი, ჭაყელი, ფანასკერტელი მემამულეები? განა ჩვენს დებულებას არ იმორჩება პ. რატიანი (იმ განხილვებში, რომ უმატებს „რუსთველს“), როცა აღნიშნავს: „ამით აიხსნება, რომ საქართველოში არასოდეს გვარწოდებდა არ გადაქცეული სასულიერო პირთა (ეპისკოპოსთა) ზედწოდებანი: მანგლელი, რუსთველი, წილგნელი, ბობბელი, შროველი, ნეკრესელი, ნიკორწმინდელი, ღრანდელი და ა. შ. ამითვე აიხსნება ისიც, რომ არასოდეს სასულიერო ზედწოდებდა არ გადაქცეული გვარწოდებანი: თოგველი თორელი, ჭაყელი, გაგელი სურამელი, ფანასკერტელი და სხვა.“ (მნათობი 2, გვ. 156). აქ გამოარჩეულია ჩვენი არა მარტო დებულება. არამედ საერთო გვარწოდებათა მავალითავე კი. პ. რატიანი ვერ ამჩნევს მხოლოდ, რომ ამ დებულებას ჩვენ არ ვაერყელებთ ისეთ შემთხვევებზე, როცა ვაპყრობი, ან მეტი ერთდროული სახელწოდების ადგილი, რომლებსაც შეუძლიათ მოგვეცენ ორი ან მეტი ერთნაირი ზედწოდება: საერო მემამულესა და სასულიერო პირისა.

ასე რომ, პ. რატიანის დებულება, ამ შემთხვევაში, ფაქტიურად, დამახინჯებული ვარიანტია ჩვენი დებულებისა.

საბოლოოდ, საერო და სასულიერო „რუსთველების“ თანაარსებობაზე უნდა დავაკენოთ: ასეთი თანაარსებობა არ არის გამოირჩეული, რადგანაც იყო ორი რუსთაველი, რომელთაგან ერთს შეეძლო მოეცა საერო ზედწოდება, ხოლო მეორეს სასულიერო. პ. რატიანის დებულება ასეთი თანაარსებობის შეუძლებლობის შესახებ მცდარია.

დ) შეიძლება თუ არა საერო მიმამულის გავარწოდება წარმომდგომი ირანული „პატარა სოფლიდან“, როგორც იყო მისხეთის რუსთაველი.

პ. რატიანს საერო „რუსთველის“ წინააღმდეგ კიდევ ერთი არგუმენტი აქვს, რომელსაც ის ცალკე არ გამოყოფს, მაგრამ არა ერთხელ იმორჩება, როგორც თავისთავად საგულისხმოს. ეს არგუმენტი ისევე ქართული გვარების წარმოქმნის კანონზომიერების სფეროდანაა: ერთხელ ასეთი კანონზომიერებად პ. რატიანს, როგორც ჩანს, მიაჩნია ის, რომ საერო გვარწოდება არ წარმოიქმნებოდა „პატარა სოფლი-

1 უფრო მეტად: წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისისა, საეპარქიო ცენტრი და საფეოდალო ცენტრი არასოდეს არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ერთდროულად პერიოდში ერთი ადგილი ეპარქიის ცენტრიც და საფეოდალოს ცენტრიც არ ყოფილა.

1 ნიკორწმინდელი, მონასტრის წინამძღვარი იყო და არა ეპისკოპოსი — ნ. შ.

დან, ის წარმოქმნებოდა მხოლოდ „დიდ-მნიშვნელოვანი“ ადგილადან „მნიშვნელოვანი ტერიტორიიდან“ (არ ჩანს ოღონდ, რას გულისხმობს ეს „დიდმნიშვნელოვანი“, „მნიშვნელოვანი ტერიტორია“, ან რა ზომისა უნდა იყოს სოფელი დღეს, რომ დაეკავოფილოს პ. რატიანის მიერ წყევნებული მთბოვანი). გვარების წარმოქმნის ეს „კანონზომიერება“ მიმართულია მესხეთის რუსთავს წინააღმდეგ, რომლის შესახებაც პ. რატიანი არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის „პატარა სოფელი“ და ამდენად, „ძალიან საუკეთაო“, ის ყოფილიყო „ისეთი დიდმნიშვნელოვანი“, რომ წარმოქმნა საერო გვარწოდება (მნათობი, 2, გვ. 150, 151, 157).

სამწუხაროდ, პ. რატიანი ძალიან ცუდად ერკვევა სწორედ იმ საკითხში, რაშიც ახალი სიტყვის თქმის გვთავაზობს და რასაც საუფუძლად უდებს თავის „ახალ თვალსაზრისს“: ქართული გვარების წარმოქმნის კანონზომიერებაში. ეს კანონზომიერება სრულად საწინააღმდეგოა იმისა, რასაც სახავს პ. რატიანი: ქართული ფეოდალური გვარები წარმოიქმნებოდა სწორედ იმ ადგილებიდან, რომლებიც საისტორიო წყაროებში თითქმის არ იხსენიებიან (დრთი-ორი გამონაკლისი გარდა), ხოლო დღეს „პატარა სოფლები“ ან საერთოდ აღარ არსებობენ და მათი მდებარეობაც უაზრობა ჩვენთვის. ასეთი გვარებია: ჩორჩანელი — ჩორჩანიდან, ღობიარი — ღობიეთიდან, შანაველი — შანავიდან, ჭაველი — ჭაყვიდან, ციხისჭვარელი — ციხისჭვირიდან, ქვეშელი — ქვეშიდან, თორჭლი — თორიდან ტროლშელი—ტროლიშიდან, ტბელი—ტბეთიდან (შიდა ქართლისა და კახეთისა) და სხვა შრავალი.

ქართული გვარების წარმოქმნის ეს კანონზომიერება განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში, სადაც გარკვეულია, თუ რატომ წარმოიქმნებოდა ფეოდალური გვარწოდებები სწორედ ასეთი პატარა ადგილებიდან და არა, ვთქვათ, ისეთი დიდი ქალაქებიდან, როგორც იყო კახეთის რუსთავი: ამიტომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გვაგვრებულვით.

<sup>1</sup> შოთას სამშობლოს დადგენაში მესხეთის რუსთავის საწინააღმდეგოდ მისი „სიმცირის“ არგუმენტი წამოაყენა აგრეთვე პ. ინგოროყვამ „რუსთველანაში“ (იხ. მისი: თხზულებანი, 1, გვ. 90), რაც უარყოფილი იყო ჩვენს რეცენზიაში (იხ. ცისკარი, 1965, 9 გვ.139) და ნაშრომში: „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი“ (ერებ. „შოთა რუსთველი“, 1966, გვ. 68). პ. რატიანი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს პ. ინგოროყვას არგუმენტს მესხეთის რუსთავის „უმნიშვნელობის“ შესახებ, ისე, რად არ უთითებს არც პ. ინგოროყვას და არც იმ ნაშრომებს, სადაც ეს არგუმენტი უარყოფილია.

ამრიგად: ქართული ფეოდალური გვარებია წარმოქმნის კანონზომიერება „სრულად“ საეკვოს არ ხდის საერო გვარწოდებებს „რუსთავის“ წარმოებას მესხეთის „პატარა სოფელ“ რუსთავიდან, პირაქით: ამ კანონზომიერების მიხედვით ამ გვარწოდების წარმოება მონაღმდელი იყო სწორედ ისეთ „პატარა სოფლიდან“ და არა, ვთქვათ, ისეთი დიდი ქალაქიდან, როგორც იყო კახეთის რუსთავი.

**2. მოიკვება თუ არა „პუშკინტაოსნის“ ბავსტოი ისეთი მონაცემი, რომელიც მხარს უჭერს მისი აპტორის პეისოაოსონას**

ა) სტროფი: „შე რუსთველი, ხალგობითა...“

პ. რატიანის აზრით, შოთა რუსთველის ეპიკოსობას მხარს უჭერს თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მონაცემები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, ამ მხრივ, პოემის მეორე სტროფი: „მეორე საბუთი, რომელიც სრულად ევემოტანლად ამტკიცებს ჩვენს მიერ წამოყენებულ თვალსაზრისს, გახლავთ თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები, განსაკუთრებით კი ცნობილი მეორე სტროფი“ (მნათობი, 2, გვ. 158). ეს სტროფი თურმე იმიტომ ამტკიცებს „სრულად ევემოტანლად“ შოთას ეპიკოსობას, რომ აქ მოხსენებული „ხელობა“ გულისხმობს თანამდებობას, „ქელს“, „თანამდებობით რუსთველი“, პ. რატიანის აზრით, უნდა გავიგოთ როგორც „თანამდებობით რუსთავს ეპიკოსობა“.

პ. რატიანი აქ უშეუბნებს ორ შევდიობას: 1. ერომანეთში ურჯეს ტერმინებს „ქელს“ და „ქელობას“. თანამდებობას აღნიშნავს მხოლოდ „ქელი“ და არა „ქელობა“. „ქელობა“ კი აღნიშნავს პრიფესიას, საქმიანობას და არაერთაარ შემთხვევაში თანამდებობას. 2. საეკლესიო თანამდებობის აღნიშნაველ ამ პერიოდში იხმარებოდა არა „ქელი“, არამედ — „ხარისხი“ და „პატრიო“.

მის დასამტკიცებლად, რომ „ქელობა“ აღნიშნავს თანამდებობას, პ. რატიანი მიმართავს ორიგინალურ ბერძნ: მოკყავს ციტატები წყაროებიდან და ლიტერატურლიდან ტერმინ „ქელზე“, ხოლო დასყენას აკეთებს „ქელობაზე“. ასე მაგალითად, მოკყავს რა ორა სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც ნახშირია მხოლოდ ტერმინი „ქელი“ (თანამდებობას მნიშვნელობით) და ნახსენებიც არ არის „ქელობა“, პ. რატიანი ასყენის: „ცხადია, რუსთველი სიტყვებს „ქელი“ და „ქელობა“ ხმარობს... ხან „გივისა“ და „გოცობის“, ხან კიდევ თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით“ (იქვე, გვ. 161, ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.). ასევე, მოკყავს რა ციტატა იე. ჭავჭავიშვილის ნაშრომიდან, სადაც განმარტებულია „ქელი“ და მისგან ნაწარმოები, ხელისუფ-

ლებასთან დაკავშირებული ტერმინები, პ. რატონი ასევე: „აქედან კიდევ უფრო ცხადია, თუ რა ფართოდ იყო გავრცელებული ფეოდალურ საქართველოში „ქელი“ და „ქელობა“ როგორც თანამედრობა-საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები“ (იქვე, ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.). ივ. ჭავჭავაძის ამ ციტატაში კი სრულიად არ არის ნახვებები „ქელობა“.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „ქელობის“ განმარტების დროს პ. რატონი მიმართავს აგრეთვე თავისებურ მეთოდს: განმარტავს ამ ტერმინს „ქართლის ცხოვრებისთვის“ დართული ლექსიკონის მიხედვით, მაგრამ ამ ლექსიკონს იყენებს სრულიად ახლებური წესით: აგრეთაინებს ლექსიკონში ცალკადად შესულ ორ სხვადასხვა ტერმინს: „ქელი, საქელი“-ს და „ქელობა“-ს თავიანთი განმარტებებით. ამის შედეგად ცლებლობით პ. რატონის მიერ სინონიმებად ქვეყნულ „ხელი, ხელობა და სახელი“-ს და დეფინიციურ წარწერულ „მთა ერთიან განმარტებას: „თანამედრობა-საქმიანობა“-ს. „ქართლის ცხოვრებაში... ხელი, ხელობა და სახელი იხმარება თითქმის მარტო თანამედრობა-საქმიანობის მნიშვნელობით“ (იქვე, ხაზი ჩვენია — ნ. შ.). ახ. „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონს ირრგინალოური გამოყენებით „ხელობა“ განმარტებული იქნა, როგორც თანამედრობა-საქმიანობა.

სინამდვილეში კი ცხადია, ამ ლექსიკონის მიხედვით, არც „ქელი, საქელი“, აღნიშნავს თანამედრობა-საქმიანობას და არც „ქელობა“, არამედ — „ქელი, საქელი“ აღნიშნავს თანამედრობას, ხოლო „ქელობა“ — საქმიანობას (პროფესიას, ხელობას დღევანდელი გაგებით). ამ ორი ტერმინის გავრთიანება კი იმას გავს, რომ გავვერთიანებინა, მაგალითად, „ხელი“ სიგიჟის მნიშვნელობით და „ქელობა“ — საქმიანობის მნიშვნელობით და გვეთქვა „ქელი და ხელობა“ აღნიშნავს „სიგიჟე“-საქმიანობას“-ო.

მაგრამ, თუნდაც რომ ქელობა „ქელის“ სინონიმს იყოს და თანამედრობას აღნიშნავდეს, როგორც ამას პ. რატონი წარმოადგენს, „ვეფხისტყაოსნის“ მერვე სტროფში ამ ტერმინს ასეთი მნიშვნალობით ვერ ვიგულისხმებდით, რადგან არც საერო და არც სასულიერო „რუსთაველობა“ XII-XIII საუკუნეებში „ქელი“ არ იყო; საერო „რუსთაველი“ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ რუსთავის მფლობელი მემკვიდრე და არა რუსთავის გამგებელი-მობეღე, ხოლო სასულიერო თანამედრობის აღნიშნავად ამ პერიოდში იხმარებოდა „ხარისხი“ და „პატევი“ და არა „ქელობა“. მხოლოდ XV საუკუნიდან და ისიც იშვიათად, ვხვდებით „ქელი“ სასულიერო სფეროში. პ. რატონი, ვერ დაუძენია რა წყაროებში ტერმინი „ქელი“ სასულიერო თანამედრობის მნიშვნელობით XV ს-ზე ადრე, მიგვიითხებს „ქელთაზაზაზე“, რომლის შემადგენელი ელემენტი „ქელი“ მას, რო-

გორც ჩანს, თანამედრობის აღმნიშვნელად მიანიშნა, სინამდვილეში „ქელი“ ფრწულმწეული პირდაპირი მნიშვნელობით დაუგეგმავს ვეფხისტყაოსნის ხელს, ხოლო „ქელთაზაზა“ ნიშნავს, როგორც ცნობილია, კურთხევას, დალოცვას.

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფში „ხელობითა“ არ განმარტავს არსთველს, რადგან „რუსთაველობა“ (არც საერო და არც სასულიერო) არ იყო „ხელობა“ (არც მაშინ, თუ ამ ტერმინს გავეგებთ პ. რატონისეულად — მცდარად: როგორც „ქელი“ სინონიმს და არც მაშინ, თუ მას ვაგვიგებთ სწორად: როგორც საქმიანობას, ან როგორც სიმბავეს. ეპისკოპოსობა არ იყო არც „ქელი“, არც „ქელობა“ და არც „ხელობა“, არც ერთი გაგებით).

როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფი არა თუ „სრულიად ეგვიპოტანლად ამტკიცებს“ შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობას, არამედ, სრულიად არაფერს იძლევა ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ.

ბ) სტროფი „ქათალიკოს-მარჯაპირელზე“.

მეორე მონაცემი ვეფხისტყაოსნის ტექსტში, რომელიც პ. რატონის აზრით, აგრეთვე, „ეგვიპოტანლად გვიდასტურებს“ შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობას, არის 1667 (1543) სტროფი, სადა მოხსენიებულია „ქათალიკოს-მარჯაპირელი“: „ვეფხისტყაოსნის 1667 (1543) სტროფი, რაც აქამდე, არასწორი თვალსაზრისის შედეგად, ოლიგოტურ სტროფად ითვლებოდა და დღენა განიცდიდა, ახალი თვალსაზრისით სულ სხვაგვარ ახსნას და ვაგებთ იქნეს და არა თუ არ უწინააღმდეგედა ვეფხისტყაოსნის ავტორის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას, არამედ ეგვიპოტანლად გვიდასტურებს მისი ავტორის ვინაობის ახლებურ გაგებას“ მნათობი, 2, გვ. 165, ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.).

რა ილი ყოფილა შოთა რუსთაველის ვინაობის გაგება მერვე სტროფი „სრულიად ეგვიპოტანლად ამტკიცებს“ მის ეპისკოპოსობას, 1667 (1543) სტროფი ასევე „ეგვიპოტანლად გვიდასტურებს“ იგივეს პ. რატონს შეეძლო თავი აღარც შეეწყებებინა სხვა არგუმენტების ბიებით და ერთ-ერთი ამ სტროფის მოტივით „ეგვიპოტანლად“ გადაეწყვიტა საეთობი. არდა, რუსთაველოლოგები რაღას იმტკიცებდნენ ამდენხანს თავს!

ვნახოთ ახლა, რანაირად იქნეს 1667 სტროფი ასეთ მაგიურ ძალას პ. რატონის ხელში, რა არის ის „სრულ სხვაგვარი ახსნა და გაგება“, რასაც ამ სტროფის პ. რატონის „ახალი თვალსაზრისი“ ანიჭებს.

სინამდვილეში არავითარ „ახსნასა და გაგებას“ ამ სტროფისას პ. რატონი არ გააძლეეს. ის ცდილობს მხოლოდ დეგვარწმენოს, რომ, წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისისა, 1667 სტროფი არ



არის ინტერპოლაცია, ამის დასამტკიცებლად პ. რატინი ვახსენებს, რომ ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ გამოყენილი შეეს „ყოველი სიკეთით დაწოდებული“ მღვდელი და რომ იგივე ი. ჭავჭავაძემ საგანგებო სიტყვით მიმართა ორ მღვდელმოთავეს: გაბრიელ ქიქოძესა და ალექსანდრე ოქროპირიძეს. ამის შემდეგ, „რა ვსაყვირია, რომ მე-12 საუკუნის მწერალს საქართველოს გამოჩენილი მღვდელმოთავეები დაღუპული კონტექსტში მოეხსენება“—ასკენის პ. რატინი, ესაა ერთად-ერთი კვლევითი შედეგი, რასაც იღებს პ. რატინი 1667 სტროფთან დაკავშირებით: XII საუკუნის მწერალს შეეძლო „დაღებით კონტექსტში“ მოეხსენებინა“ მღვდელმოთავეები. მერე და განა ვის ვაუხვია, ოდესმე სადაოდ ეს მარტოეი ჭეშმარიტება? განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ მწერალს შეეძლო „დაღებით კონტექსტში“ მოეხსენებინა მღვდელმოთავეები, მღვდლები და უსწავლავარი სასულიერო პირები XII ს-შიც, ილია ჭავჭავაძის დროსაც და დღესაც, დავუშვათ, რომ ასეთი ურყევი საბუთიანობით პ. რატინმა დაამტკიცა 1667 სტროფის ნამწვლილობა. დავეუშვათ, რომ ეს სტროფი არ არის ინტერპოლაცია, ის ეკეთენის რუსთველს.1 მერე? რა

1 ჩვენ სავსებით დამაჯერებლად მიგვანჩნია პ. რატინის მიერ ციტატებული (და არა ციტირებული) ა. ბარამიძის დასაბუთება იმისა, რომ 1667 სტროფი ინტერპოლაციაა (რა თქმა უნდა, ეს დასაბუთება სრულიად არ გულისხმობს იმას, როგორც ეს პ. რატინმა გაუგია, რომ XII საუკუნის მწერალს საერთოდ არ შეეძლო „დაღებით კონტექსტში მოეხსენებინა მღვდელმოთავეები“ — რომელ მკვლევარს მოეცა აზრად ამტკიცოს ასეთი უცნაური რამ!). ის სტროფის ნაწვლებობა აშკარაა თუნდაც ამიტომ, რომ XII-XIII საუკუნეებში კათალიკოსის გვერდით მაწვერელს ვერ დააყენებდნენ როგორც ეს შენიშნა კ. კეკელიძემ (იხ. მნათობი, 1927, № 2, გვ. 188). მაწვერელს ამ დროს ვერ არ ჰქონია ასეთი პატივი მოპოვებულია სამხრეთ საქართველოს მღვდელმოთავეებში ამ დროს პირველი ადგილი უჭირა იშნველს (იხ. ხელმწიფის კარის გარიგება, ქართლ. სამ. ჭეგლ., II, გვ. 91). მაწვერელმა მხოლოდ XV ს-დან მოაპოვა პირველობა სამხრეთ საქართველოს მღვდელმოთავეებში და ამ დროიდან ის მთელი სამხრეთ საქართველოს (სამცხე-აფხაზეთის) ეკლესიის მეთაურად იქცა, მცხეთის ეკლესიასაც კი გამოეყო ერთხანს და თითქმის კათალიკოსის სწორი პატივი მოაპოვა, მხოლოდ ამ დროიდან შეეძლო აღნიშნული სტროფის ავტორს ერთიმეორის გვერდით დაყენებინა კათალიკოსი და მაწვერელი.

ეს სტროფი ამასთან, მოწმობს, იმასაც, რომ მისი ავტორი სამხრეთ საქართველოდანაა—მის-

შეაშა აქ შოთას ეპისკოპოსობა? განა ერისკაცს არ შეეძლო ეს სტროფი დაეწერა? ვი, თით პ. რატინი ამტკიცებს: „რა ვსაყვირია, რომ XII საუკუნის მწერალს დაეწერა ეს სტროფი, აი, საბუთად მას ი. ჭავჭავაძე მოსაყვს (განა ი. ჭავჭავაძე ეპისკოპოსი იყო)?! ხომ არ იქნებოდა პ. რატინი ამ შემთხვევაში უფრო თანმიმდევრული რომ ემტკიცებინა: „ი. ჭავჭავაძის მიერ „გლახის ნაამბობში“ ყოველი სიკეთით დაწოდებული მღვდლის გამოყენება არაკანონიზირება, შემთხვევითია, მას არ უნდა მოეხსენებინა დაღებით კონტექსტში მღვდელი, რადგან თვითონ ერისკაცი იყო. ასევე ქათალიკოს-მაწვერელის დაღებით მოხსენება არ შეეძლო XII საუკუნეში ერისკაცს“—... ანდა ასე: „მართალია, ი. ჭავჭავაძემ გამოიყენა „გლახის ნაამბობში“ ყოველი სიკეთით დაწოდებული მღვდელი, მაგრამ, ის XIX საუკუნეში ცხოვრობდა, XII საუკუნეში კი ერისკაცს არ შეეძლო ასეთი კეთილგამწყობილება გამოემტკიცებინა ეკლესიის მიმართ, ამიტომ 1667 სტროფის ავტორი სამღვდელთა“—ო. აი, სადამდე მივაღწიო, თუ პ. რატინის მსჯელობას 1667 სტროფზე ლოკურად ვაგვივითარებთ.

ამრავალ, იმის დასამტკიცებლად, რომ 1667 სტროფი რუსთველისა, პ. რატინი გვიცხადებს: XII საუკუნის მწერალს შეეძლო ის დაეწერა და ამაში არაფერია ვასაყვირი, სადაც ი. ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“ დაწერაო. შოთა რუსთველის ეპისკოპოსობის დასამტკიცებლად კი არა ცხადებს, რომ ეს სტროფი არ შეეძლო დაეწერა XII საუკუნის ერისკაც მწერალსო. ერთი სიტყვით, ისევე: ხან ასე და ხან ისეო.

1667 სტროფში პ. რატინი ხედავს თავისი „ახალი თვალსაზრისის“ ღირსების უტყუარ და თვალაწინის დადასტურებას. ეს სტროფი მოწმობს თერმე, რომ ეს „ახალი თვალსაზრისი“ ვეფხისტყაოსნის სტროფებს (ე. ი. ამ შემთხვევაში ინტერპოლაციად მიჩნეულ სტროფს) „როს კი არ უცხადებს“ (1). არამედ, აღადგენს მათ თავიანთ უფლებებში, სადაც მათი „სწორი გაზრებისა და ახსნის საიმედო ვასალებს“ (მნათობი, 2, გვ. 166). (რა „სწორი გაზრება“ და რა „საიმედო ვასალები“ მოგვცა პ. რატინმა ამ სტროფებისა, ზვენ უკვე დაიწინაგეთ). ე. ი. თუ რომელიმე ინტერპოლაციად მიჩნეული სტროფი, პ. რატინის აზრით, მხარს უჭერს მის „ახალ თვალსაზრისს“, ეს მოწმობს ამ თვალსაზრისის დიდ ღირსებას. მაშინ, რატომ ასეთივე საბოლოო არ უდგება პ. რატინი თავისი

ხია. ამიტომ, ეს სტროფი რომ ინტერპოლაცია არ იყოს, ის ერთ-ერთი არცემენტი იქნებოდა შოთა რუსთველის მიზნობის სასარგებლოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სტროფი არკვეს არა შოთა რუსთველის, არამედ ინტერპოლატორის სადაერობას.



„ახალი თვალსაზრისის“ მიმართებას „მცხეთა მღვდელის“ სტროფთან? ამ სტროფს ხომ „უცხადებს ომს“ ეს თვალსაზრისი? ესეც მთავარი ღირსებაა მისი?

ამრიგად: „ვეფხისტყაოსნის“ 1667 სტროფი, ისევე, როგორც მერვე სტროფი, სრულიად არაფერს გვაძლევს შოთა რუსთველის ვინაობის გასარკვევად.

სამაგალითად, გამოვიღო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არ შეიცავს არავითარ მონაცემს მისი ავტორის ეპისკოპოსობის დასამტკიცებლად.

**3. ფოლკლორული მასალა და ლიტერატურული ტრადიციის შოთა რუსთველის ვინაობაზე.**

პ. რატიაშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ ხალხური ვაგონებების თანახმად შოთა რუსთველი ბერად შემდგარა, მოწმობს მის ეპისკოპოსობას (მნათობი, 2, გვ. 166-167). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეპისკოპოსო ბერად ვერ შედგებოდა, რადგან ის ისედაც ბერი იყო. ამდენად, ცხადია, ხალხის წარმოდგენაში შოთა რუსთველს არაფერი საერთო არ ჰქონია ეპისკოპოსობასთან. შოთას ეპისკოპოსობას ეწინააღმდეგება აგრეთვე ხალხური ტრადიცია მისი შესახებ. რასაც პ. რატიაშვილი იყურებს უელის (როგორც ეს აღინიშნა ალ. ბარამიძის, ე. მტკრეველისა და ს. ციციშვილის რეცენზიაში).

რაც შეეხება ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას შოთა რუსთველის ვითომცხად ეპისკოპოსობაზე და თეიმურაზ ბაგრატიონის როლს მის „ვაჟირიანკაცებაში“, ამაზე საყმად ამომწურავად აღინიშნა ზემოაღნიშნულ რეცენზიაში, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ არავითარი ლიტერატურული ტრადიცია შოთას ეპისკოპოსობაზე არ ყოფილა და აღორძინების პერიოდის ყველა მწერალს ის ერისკაცად პაუვდა წარმოდგენილი. ჩვენ მაინც გვსურს ამათთან დაეკავშირებოდნენ, შევხედოთ ორ საკითხზე:

1) „ბერი“-ს მინიშნებულ კონკრეტულ სიტყვასთან დაკავშირებით საბაგრატიონის ლეგენდა.

სერაპიონ სოგრატის ძის ლექსში შოთა რუსთველიცა და სერაპიონიც წოდებული არიან ბერებად: „რას მიმეჩინა ბერი ბერსა“. პ. რატიაშვილის გაგებით „ბერი“ აქ აღნიშნავს „ბერ-მონაზონს“ და ამდენად, ეს ადგილი ლექსისა, მისი აზრით, მოწმობს, რომ სერაპიონს შოთა რუსთველი საბუნდობლო პირად მიაჩნდა. „ბერის“ ასეთ გაგებას აქ კონტრასტში, პ. რატიაშვილის აზრით, მხარს უჭერს ისიც, რომ სერაპიონი მართლაც „თანამდებობით ბერი, ან უფრო ზუსტად — ხევის ბერი ყოფილა“ (მნათობი, 2, გვ. 170-171).

ამრიგად, პ. რატიაშვილის „ხევისბერი“ ექმის როგორც ბერ-მონაზონი. მან იცის ტერმინ „ბერი“-ს მხოლოდ ორი მნიშვნელობა: ხანდაზ-

მულობის აღმნიშვნელი და მონაზონის, მაგრამ, როგორც ჩანს, მან არ იცის „ბერი“ ეს შეიძლება მნიშვნელობა — სოციალური (სოციალურად, „წარჩინებულნი“, „პატრონი II ბატონი“ (მისი არცოდნა იტორიკოს მკვლევარს არ მივთვებავ). სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ბერს „ხევისბერში“: „ხევის უფროსი“, „ხევის გამგებელი“ და ახა ბერ-მონაზონის მნიშვნელობა, როგორც ეს პ. რატიაშვილი უფიქრობდა. ასევე, სოციალური მნიშვნელობა („პატრონი II ბატონი“, „წარჩინებულნი“) აქვს „ბერს“ სერაპიონ სოგრატიანის ლექსში („რას მიმეჩინა ბერი ბერსა“), რადგანაც, თვით სერაპიონი მართლაც „ბერი“ იყო. ამ საიტყვის სოციალური გაგებით და ასევე ბერი (წარჩინებულნი) იყო მისი წარმოდგენით შოთა რუსთველი.

ასე რომ, სერაპიონ სოგრატის ძის ლექსი მხარს უჭერს არა შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას, არამედ — მის სოციალურ წარჩინებულობას, გახატებულ კლასის ზედა ფენიდან წარმომავლობას.

**2. თეიმურაზ ბაგრატიონისა და მისი შოთა რუსთველის ვინაობაზე.**

პ. რატიაშვილის აზრით, თეიმურაზ ბაგრატიონმა შეგებულად გააყალბა სინამდვილე, როცა შოთა ეკუბრა შოთა რუსთველად მიიჩნია, თეიმურაზმა თურმე იმიტომ გადააღდა რუსთველოლოგიისათვის ეს საბედისწერო ნაბიჯი (რომელმაც ყველა რუსთველოლოგი აცდინა სწორ გზას და შოთა ეპისკოპოსიდან ერისკაცად აქცია), რომ განედიდებინა ბაგრატიონთა საგვარეულო, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილი ყოფილა, რომ შოთა ეკუბრა ბაგრატიონი იყო. პ. რატიაშვილი წყაროსავე ამახლებს, საიდანაც ეს კარგად უნდა სცოდნოდნო თვით თეიმურაზსაც, ეს წყაროა ჭანჭანაძე, რომლის ცნობით, თურმე VIII საუკუნიდან ჰერეთის სათავეში იღვწენ ბაგრატიონები.

სინამდვილეში ჰერეთის ერისთავ შოთა ეკუბრა არაფერი ჰქონდა საერთო ბაგრატიონთა გვართან. მას არაფერი ჰქონდა საერთო, ჭანჭანაძის ცნობით, VIII საუკუნეში კახეთში და ჰერეთში დამკვიდრებულ ადარნასე ბრძენს მისივეგანაა: შოთა ეკუბრის საგვარეულო ჰერეთის ერისთავთა მთლიან მხოლოდ XII საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ათაბაგ — შოთა ეკუბრის შვილი ეს ხელი წარსტაცა კოლონელებისათვის საგვარეულოს.

ამდენად, თეიმურაზ ბატონიშვილს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი ეფიქრა, რომ შოთა რუსთველის შოთა ეკუბრთან დაეკავშირებოდა „თანამდებობით გამომდინარეობა“ მისი ბაგრატიონობისა.

1 იხილეთ შოთა ეკუბრის ბაგრატიონობაზე პ. რატიაშვილის მიერ ნახსენებია პ. ინგოროვიჩის ნაშრომი (იხ. მისი თხზულებანი, I, გვ. 112-114).

ნობა ვერც ერთი მკითხველი შოთა კურაში ბაგრატიონს ვერ დაინახავდა. ცხადია, თუ კი თეიმურაზ ბაგრატიონს ასეთი დაუცხრომელი სერკული ჰქონდა შოთა რუსთველის გაბაგრატონებთან, ის იტყობდა ამას აშკარად და მკითხველთათვის გასაგებად.

თავისი თვალსაზრისით შოთას ბაგრატიონობაზე რომ ზოლომდე თანმიმდევრულად დაეცვა, თეიმურაზმა თურმე კიდევ ერთი სიყალბე ჩაიდინა: მისი ცნობით შოთა იერუსალიმში კი ჩავიდა, მაგრამ ბერად არ შემდგარა. ასეთი რამ პ. რატიანი აზრით, ეწინააღმდეგება „ელემენტარულ ლოგიკას“, მაგრამ თეიმურაზის თურმე მტერი გამოსავალი არ ჰქონდა: აქცია რა შოთა რუსთველი ეპისკოპოსიდან ერისთავად და ბაგრატიონად, ცხადია, მას აღარ შეეძლო დასამყებდად მიგზნა მისი ბერად შედგომა იერუსალიმში, და ამიტომ აქაც გააყალბა სინამდვილე. ასე შეგრა თეიმურაზ ბაგრატიონმა, პ. რატიანის გამოთქმით, „ისტორიულად და ლოგიკურად საფუძველს მოკლებული, მაგრამ გარდგნულად მიმოხედველი, აზრებისა და შეხედულებების რთული ხლართი, რომლის გახსნა თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმეორებაში არ მოხერხდა“ (მნათობი, 2, გვ. 169).

ჩვენი აზრით, აქ „ელემენტარული ლოგიკა“ ღალატობს სწორედ პ. რატიანი: რატომ არ შეეძლო თეიმურაზ ბაგრატიონს შეეთავსებინა შოთა რუსთველის ერისთავობა და ჰერეთის ერისთავობა იერუსალიმში მის ბერად შედგომასთან? განა ცოტა ეციოთ ისეთი მავალთუბი, როცა ბერად აღაყვებოდნენ დადებულნი, ერისთავები, შეფეები?

როგორც ვხედავთ, პ. რატიანი ტყვილად უყურებს ამდენ ბრალდებებს თეიმურაზ ბაგრატიონს შეგნებულ სიყალბეში: არც ბაგრატიონად გამოსყვან თეიმურაზს შოთა რუსთველი და არც მის ეპისკოპოსობას ჩქმალავს, რადგან მის ღროს საერთოდ არ მდგარა შოთას ეპისკოპოსობის საკითხი. ის დღეს დღვს ჩვეს წინაშე პ. რატიანის „ახალი თვალსაზრისის“ სახით, და თანამედროვე რუსთველოლოგებმა უნდა იმტკიცონოთ თავი იმ „ხლართის“ ვახასტენლად („სორთელისა“ და „მიწიიდელობისა“ რა მოგახსენათ), რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონმა კი არა, პ. რატიანიმ შექმნა რუსთველოლოგიაში.

**4. მოვწოდებ თუ პარაქლამ რუსთაველისა და რუსთაველის ეპისკოპოსის იხტორია შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას.**

პ. რატიანის აზრით, კახეთის რუსთაველია და რუსთაველი ეპარქიის ისტორია მზარს უჭერს შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას. ამ საკითხს მიუძღვნის ის თავისი ნაშრომის მე-7 და მე-8 თავებს, სადაც ვადმოცემულია ამ ისტორიის მოკლე მონახაზი, სათანადო კომენტარებით.

პ. რატიანი ცდილობს გეინჯენოსკრამ კახეთის რუსთაველი იყო დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი, გვამცნობს, რომ, არქეოლოგიკური გამოაზრისებით, ადრეუროდულურ ხანაში აქ იყო დასახლებული 20.000 მცხოვრები, ხოლო, არქეოლოგიკ. ლომთათვის აზრით, სულეცეთა განდევნიდან ბერქას შემოსევამდე, რუსთაველი ეკონომიურად გაძლიერებულა, რომ თბილისთან და მცხეთასთან სიახლოვე ზელსაყრელ სამეურნეო-ეულტურულ პირობებს უქმნიდა მას (მნათობი, 3, გვ. 180-181) და სხვ.

კახეთის რუსთაველი ისტორია საკმაოდ შესწავლილი და ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. რე თავი რომ სპარსთველის ისტორიის გარკვეულ პერიოდში დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, ესეც ცნობილია. ამდენად, პ. რატიანი შეეძლო თავისი ნაშრომის გვერდები არ გადაეტვირთა ამ ცნობილი ამბების ვადმოცემით, მით უმეტეს, რომ ამ ადგილი აქვს აბაგრო-ეულტურისა და შედევრის, რომლებზეც შეჩერებას ამ შემთხვევაში აზრი არა აქვს.

**ა) ქალაქ რუსთავეის სიდიდე და ეკონომიური სიძლიერე ახსოვტურად არაფერს ვაძლევს შოთა რუსთველის ვინაობის გასარკვევად.** დავუშვათ, რომ რუსთავეში ადრეუროდულურ ხანაში 20.000 მცხოვრები კი არ იყო, როგორც ამას არქეოლოგიკი ივანენეკი ვარაუდობს, არამედ 100.000. ეს მაინც არაფერს მისცემდა რუსთველოლოგიაში:

**ბ) ქალაქ რუსთავეის სიახლოვე თბილისთან და მცხეთასთან.** პ. რატიანი აზრით, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ XII-XIII საუკუნეებში რუსთველი ეპისკოპოსის ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ დასაყურად:

„... რუსთაველი, რომელიც ასე ახლოს მდებარეობდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისთან და აგრათთან, საეკლესიო დღეიქალაქ მცხეთასთან, აქტაურად უნდა ჩაბმულიყო და უფროდ ჩაება კიდევაც (პ. რატიანი არასდროს ეკვი არ ეპარება თავისი ვარაუდის ქუმარიტებაში და არც მკითხველს აძლევს დივივიბის უფლებას — ნ. შ.) სპარსთველის იმ დიდ ქულტურულ-აღმშენებლობით მემოობაში, თბილისისა რომ ზელმდუნალობდა“ (მნათობი, 3, გვ. 179). ამ სიახლოვეთან ერთად ქალაქის ეკონომიურ სიძლიერესაც თუ ვავითვალისწინებთ, პ. რატიანის აზრით, აჩვენებს წინაშე ვადიშლება იმ ზელსაყრელი სამეურნეო-ეულტურული ვითარების სურათი, თბილისთან ასე ახლოს მდებარე რუსთაველი და მისი მცხოვრებნი, განსაკუთრებით კი მოსახლეობის პრივილეგირებული ზედაფენა რომ იმყოფებოდა“ (იქვე, გვ. 181). ამ ზედა ფენაში კი, პ. რატიანის აზრით, ყველაზე მეტად ამ ზელსაყრელ სამეურნეო-ეულტურულ ვითარებაში იმყოფებოდა რუსთველი ეპისკოპოსი, რადგანაც ის ყვე-

ლანე უფრო წარჩინებული პირი იყო რუსთავში. ეს რომ ნათელდოს, პ. რატინი ამტკიცებს, რომ რუსთავში ეპისკოპოსი უფრო მეტი ძალა-უფლებით იყო აღჭურვილი, ვიდრე მისი საერო გამგებლები: „აბელასანი და ზაქარია მხარგმელი არ ყოფილან რუსთავის მესაყუთარენი... თვითონ არასდროს არ მყდრან რუსთავში, იქ ჰყავდათ მხოლოდ თავიანთი ხელქვეითი მოხელენი... ცხადია, ამ მოხელეებს ოდნავაც არ შეეძლოთ რაიმე მეტოქეობა გაეწიათ ეპისკოპოსებისთვის“ (იქვე, გვ. 182). (ნეტავი, აბელასანი და ზაქარია მხარგმელი თვითონ რომ მყდარიყვნენ რუსთავში, დანაწერდნენ ეპისკოპოსთაოსანს? როგორ ფიქრობს პ. რატინი?).

ერთი სიტყვით, პ. რატინის აზრით, რუსთავის ეპისკოპოსის ისეთი კარგი პირობები ჰქონდა შექმნილი, რომ საყვარელიც კი იქნებოდა მას ვუფხოსტაოსანი არ დაეწერა.

თუ თბილისთან და მცხეთასთან სიახლოვე ასეთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო რუსთავის ეპისკოპოსის დიდ პოეტად გახდომაში, რატომ თვითონ თბილელი ეპისკოპოსები, ან მცხეთელი მღვდელმთავარები ვერ გახდნენ ასეთი დიდი პოეტები? და საერთოდ, როგორღა მოხდა, რომ არც თბილისი და არც მცხეთა არ იქნენ ქართული მწიგნობრობის ისეთ ძლიერ ცენტრებად, როგორც სწორედ მათგან დიდად დამოუკიდებელი კულტურის კერები სამხრეთ საქართველოში? და თუ კულტურის კერებთან სიახლოვეთ ვიმსჯელებდით შოთას საღაურობის ძიებაში (რაც რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი), მაშინ მისი შესხობა ხომ არ გადასძლევა მის კახელობას?

გ) პ. რატინი თავის ნაშრომში დიდ ავგილს უთმობს აგრეთვე იმის მტკიცებას, რომ დიდი და ძლიერი იყო არა მარტო ქალაქი რუსთავი, არამედ რუსთავის ეპარქიაც, რომ რუსთველ ეპისკოპოსებს საბატიო ადგილი ეპირათ საქართველოს მღვდელმთავრებს შორის, იყვნენ საღაურობის საარღლები (არა მარტო XV საუკუნოდან, არამედ XII-XIII საუკუნეებშიც) ქმონდათ პორფირებისონის ტარების უფლება (არა მარტო 1711 წლიდან, არამედ XII-XIII საუკუნეებშიც), განაგებდნენ „კახეთის თითქმის უმეტეს“ და სხვ.

1) რუსთველ ეპისკოპოსთა ადგილზე საქართველოს მღვდელმთავრების რიგში. პ. რატინი ყოველი დონით ცდილობს წინ წააწიოს რუსთველი ეპისკოპოსი მღვდელმთავრების რიგში (თითქმის ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა შოთას ეპისკოპოსობის დასამტკიცებლად). მას არ აყაფოვებდნენ მე-18 ადგილი, რომელიც უქირავს რუსთველს „განგება დარბაზობისა“-ს მიხედვით და ცდილობს მის დაწინაურებას. ის აცხადებს, რომ XII საუკუნეში რუსთველს უფრო წინა ადგილი ექირავ, ხოლო „გან-

გება დარბაზობისა“ ასახავს გვიანდელ ვითარებას.

### საქონეში

ეს რომ დამტკიცოს, პ. რატინი მტკიცებს „განგება დარბაზობისა“-ს, რომელიც, მისი აზრით, შედგენილია იმის შემდეგ, რაც თბილისი საქართველოს დედაქალაქი აღარ იყო (როგორც ჩანს, ივლინსმება საქართველოს პოლიტიკური დამლა XV საუკუნეში). „განგება დარბაზობისა“-ს ანუ თარხის, პ. რატინის აზრით, მოწმობს თბილელან არასამატეო ადგილი ამ ძველში, რაც შეუძლებელი იქნებოდა ქალაქდონისა და მონღოლთა მავრ თბილისის აობრებად და მანამდე, „ვიდრე თბილისი საქართველოს დედაქალაქი იყო“ (მნათობი, 3, გვ. 183).

„განგება დარბაზობისა“-ს დათარიღების საკითხი ასე მარტივად ვერ გადაწყდება. მისი დათარიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ძველში მოხსენებული ეპარქიებისა და საერო ინსტიტუტების წარმოქმნის დრო. ისტორიულ პირთა ზეგობს თარიღები, მასში ასახული ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული ფარგლები, საეკლესიო რიტუალი, ძველის ენა და სხვ. ამ მონაცემების გათვალისწინების გარეშე კი, ძველის დათარიღება იმის მიხედვით, თუ რომელ ავგილზეა მასში თბილელი (მაშინ, როცა არ ვიცით, როდის რა ავგილზე იყო ის მღვდელმთავართა რიგში), ცხადია, სრულიად ნებისმიერი იქნება, რატომ არ დაფიქრა პ. რატინი იმან, რომ თუ ძველი დაწერილია, როგორც ის თელის, XIII საუკუნისა თუ XV საუკუნის შემდეგ, მაშინ ვინ არიან მასში მოხსენებული არჩილ მეფე და მიქელ კათალიკოსი და როგორ აეხსნათ მათ გვერდით ჭყონდიდლისა და ათბაგის მოხსენება? ან რას მოასწავებს ძველში იანეთი, სხვადასხვა დროს არსებული ეპარქიების მოწყენება, როგორც იყვნენ, ერთის მხრივ, ვიშისა და კარის ეპარქიები, დიდი სომხეთის მიტროპოლიტი, ხოლო მეორე მხრივ — ბარქაშოსა და ქიზიყის ეპარქიები?

ჩვენი რა თქმა უნდა, აქ არ შევუდგებით ძველის დათარიღებას, შევინშნავთ მხოლოდ, რომ აღნიშნული მონაცემები, ჩვენი აზრით, მოუთხოვენ სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენისგან ძველის შედგენილობაზე: დაწყებული იმ დროს ფენიდან, როცა იყვნენ არჩილ მეფე და მიქელ კათალიკოსი (VIII ს.), მოყოლებული იმ დროის ფენით როცა განდა კარის ეპარქია, დიდი სომხეთის მიტროპოლიტი, ჭყონდიდელ-შიგონობართუხუცესი, ათბაგი (XII-XIII სს.) და დამთავრებული იმ დროის ფენით, როცა განდა სარჭაშოსა და ქიზიყის ეპარქიები (XVI-VXII სს.).

1 ძველში იხსენიება მხოლოდ ჭყონდიდელი, მაგრამ, ცხადია, (ადგილის მიხედვით, რომელიც მას უქირავს დარბაზობის დროს), რომ აქ ივლინსმება ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

ამრიგად, „განგება დარბაზობისა“-ს პ. რატიანი არასწორად ათარიღებს და ამ გზით რუსთველთა წინ წაწევა მღვდელმთავართა რიგში არ მოხერხდება<sup>1</sup>.

დავუშვათ, რომ რუსთველი ეპისკოპოსები XII-XIII საუკუნეებში მართლაც მე-18 ადგილზე უფრო წინ იყვნენ მღვდელმთავრების რიგში (ჩვენ ეს თაერთავად სრულად არ მიგვაჩინია გამოჩინებულად, მით უმეტეს, რომ VI საუკუნეში რუსთველი მეშვიდე ადგილზეა მისხუნებულ<sup>2</sup>. ვასარკვევია ოღონდ, როდის გადავიდა ის მეშვიდიდან მე-18 ადგილზე). მაგრამ, თუნდაც პირველი ადგილი რომ მივაუქვითოთ რუსთველ ეპისკოპოსს ამ რიგში, ვინა ეს ერთი გოკით მაინც წაგვეწევი წინ შოთას წინაობის კვლევაში? რუსთველ ეპისკოპოსზე წინ „განგება დარბაზობისა“ აყენებს 17 მღვდელმთავარს, მაგრამ, არც ერთ მათგანს არც ვეფხვისტყოსანი დაწერია და არც დიდი პოეტი უყოფია.

2) რუსთავის ეპარქიის სიდიდე. პ. რატიანი ხაზგასმით აღნიშნავს რუსთავის ეპარქიის სიდიდესა და ეკონომიურ სიძლიერეს. ჩამოთვლის „ღმრთების გუჯარის“ მიხედვით „ამ ეპარქიაში შემავალ ადგილებს და ვარაუდობს, რომ მისი ფარგლები ადრე უფრო დიდი იქნებოდა. ეკრძოდ, პ. რატიანი თვლის, რომ რუსთავის ეპარქიაში ადრე შედიოდა დიდებულები“.

მაგრამ, რაც არ უნდა გვაზავადიოთ რუსთავის ეპარქიის ფარგლები და რუსთველის ძალა, ამით მაინც ვერ მოვუხლოვებთ მას შოთ. რუსთველს. აღავერდებოდა რუსთველებზე უფრო ძლიერი და გავლენიანი მღვდელმთავრები იყვნენ კახეთში, მაგრამ, არც ერთ მათგანს არ შეუქმნია მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი.

3) იყვნენ თუ არა რუსთველი ეპისკოპოსები საღროშოს სარდლები XII-XIII საუკუნეებში. რუსთველი ეპისკოპოსები ვერ იქნებოდნენ საღროშოს სარდლები XVI საუკუნეზე ადრე, წინააღმდეგ პ. რატიანის მტკიცებისა (მნათობი, 4, გვ. 156). ვინაიდან, რუსთავის საღროშო, როგორც ცნობილია, შეიქმნა კახეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფის შემდეგ. ამაზე ადრე ის

არ შეიძლება წარმოქმნილიყო, რადგან საქართველოს ერთიანობა ხანაში სამხედრო ორგანიზაციად ერთიანი იყო და სამხედრო-სამხარისხო ცენტრალური ერთეულები ერთიანობაში მას შემდეგ შეესაბამებოდა: მეწინავე საღროშოს, მაგალითად, შეადგენდა სამხრეთ საქართველოში ქართლი, მესხეთი, რომლის სარდლობა XII-XIII საუკუნეებში ხან თორელთა საგვარეულოს ჰქონდა, ხან ჭყელებს. ლიხთ-მიგრის საღროშოს სარდლები იმავე საღროშოში დადიანები იყვნენ. კახეთ-პერეთის საღროშოში—ხან კახეთის ერისთავთ-ერისთავები, ხან პერეთის ერისთავთ-ერისთავები: კოლონკელისძენი, გრიგოლისძენი, შავანისძენი, თორღისძენი, ევარსილან ბაქრციხელი. რა თქმა უნდა, საღროშოები იყოფოდა უფრო წერილ სასარდლოებადაც, რომლებსაც სთავებში ედგნენ ერისთავები ან დიდებულები. რაც შეეხება ქალაქ რუსთავს, მისი ლაშქარი, როგორც სამეფო ქალაქისა, აღბათ, მეფის დროშაზე გამოდიოდა, ამირსპასალარის სარდლობით. როგორ ფიქრობს პ. რატიანი: იმ დროს, როცა კახეთის რუსთავის გამგებელი ზაქარია მხარგრძელი იყო, მისი ჭარის სარდალი რუსთველი ეპისკოპოსი იქნებოდა? ანდა დანაშაუბია, საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიაში ისეთი არაერთგვაროვანი სამხედრო ორგანიზაცია ყოფილიყო, რომ საღროშოების სარდლებად ზოგან ერისთავები ყოფილიყვნენ, ზოგან კი ეპისკოპოსები? ცხადია, ასეთი რამ წარმოუდგენელია: რუსთველი ეპისკოპოსების სარდლობა XII-XIII საუკუნეებში გამოჩინებულა.

4) იყვნენ თუ არა რუსთველი ეპისკოპოსები პირფირ-ბისონის შემოსილი XII-XIII საუკუნეებში. პ. რატიანი შოთა რუსთველის ეპისკოპოსობის ერთ მთავარ არგუმენტად მიიჩნევს ამას, რომ კახეთის მეფემ დავით იმამყულიანმა 1711 წელს რუსთველ ეპისკოპოსებს მიანიჭა პირფირ-ბისონის ტარების უფლება. პ. რატიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს უფლება რუსთველ ეპისკოპოსებს XII-XIII საუკუნეებშიც ჰქონდათ და რომ იერუსალიმის ფრესკაზე შოთა რუსთველი სწორედ ამ საეპისკოპოსო პირფირ-ბისონითაა შემკობილი.

მაგრამ, როგორც დავით იმამყულიანის სიგელები (ბისონის წყალობის წიგნი — 1711 წლისა და „ღმრთების გუჯარია“), ისე ნიკოლოზ რუსთველის წერილი კათალიკოსალში სრულიად ვარკვევით გვაშეცნობენ, რომ რუსთველ ეპისკოპოსებს ძველად ბისონი არ სცემიათ, რომ ამის უფლება მათ პირველად მიენიჭათ: „პირველთაგან არა ყოფილიყო და არცა საქართველოთა მეფეთა და მებატრონეთაგან წეს-ქმნილიყო წინა რუსთველთა მიერ შემოსა ბისონთა“<sup>1</sup>, ე. ა. წინათ არასდროს რუსთველები ბი-

<sup>1</sup> ცხადია, საქართველოს ეპისკოპოსთა რიგი სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა, როგორც შემადგენლობით, ისე თანმიმდევრობით თვალსაზრისით, მაგრამ, ამ ცვლილებების დასადგენად, რა თქმა უნდა, საეპარქიო არ არის მართო „განგება დარბაზობისა“.

<sup>2</sup> ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., 1968, გვ. 97.

<sup>3</sup> სინამდვილეში დიდებუ შედიოდა თბილელის სამწყვროში (და ის არც შეიძლება დაქვემდებარებოდა რუსთველს, რომელიც კახეთის მღვდელმთავარი იყო, დიდებუ კი — ქართლში შედიოდა).

სონით არ იმოსებოდნენ — აღნიშნავს დავით იმამყულიძე. „**ჩვენს საუბარს ბისონი არ ჰქონდა!**“ — ნათქვამია ნიკოლოზ რუსთველის წერტილი.

3. რატიანს სთვლის, რომ XII-XIII საუკუნეების რუსთველთა ბისონიანობა დაიწყო იქნა. მაგრამ საიდან იცის ეს თვით პ. რატიანმა? მისი აზრით, რუსთველ ეპისკოპოსებს XII-XIII საუკუნეებში არ შეიძლება არ სცნობდათ ბისონი, თუნდაც, დაეუწვათ, რომ ისინი ამ დროს სადროშოს სარდლები არ იყვნენ (თუმცა მათ სარდლობაში პ. რატიანს ეჭვი არ ეპარება), რადგან, ჭერ ერთი, ისინი დიდ ქალაქში იხდნენ და მეორეც, იყვნენ ერთ-ერთი ასურელი შაჰის ანტონ მარტყოფელის მოსაყდრენი. ეს ორი ფაქტორი (არ ჩანს მხოლოდ ორივე ერთად, თუ თითოეული ცალ-ცალკე). პ. რატიანის აზრით, ანიჭებდა მღვდელმთავრს ბისონის ტარების უფლებას: „რუსთველ მღვდელმთავრებს უთუოდ ძველ დროში აყრ-ძოდ, კლასიკურ ეპოქაშიც უნდა ჰქონდათ პორფირ-ბისონის ჩაცმის უფლება (თუნდაც რომ იმ დროს დროშის პატრონები და სარდლები არ ყოფილაყენენ), რადგან ისინი, ჭერ ერთი, საყოველთაოდ ქალაქში (რუსთველში) იხდნენ, ხოლო მეორეც, თანამოსაყდრენი იყვნენ ათორმეტ შამათაგანის, წმიდა ანტონი მარტყოფელის“ (მნათობი, 4, გვ. 158 ხაზი ჩვენია — ნ. შ.). ამაშ მოაღწევს პ. რატიანის ერთ-ერთი მოტივი „ლოგიკური“ დასკვნა: „ნათქვამიდან ლოგიკურად გამომდინარეობს შემდეგი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დასკვნა: თამარის ეპოქის რუსთველ მღვდელმთავრებს, კერძოდ, კი შოთა რუსთველს, უფლება ჰქონათ პორფირ-ბისონის ჩაცმისა. ეს, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია, რადგან გვაძლევს ნამდვილ გასაღებს ჭეშარი მონასტერში გამოხატული რუსთველის ჩაცმლობის ხასიათის გამოსარკვევად“ (იქვე, გვ. 158-159). აი, რატომ ებღაღტება ასე პორფირ-ბისონს პ. რატიანს: იერუსალიმის ფრესკისთვის სჭირდება ეს პორფირ-ბისონი!

პ. რატიანს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ბისონიანთ მიერწინა რუსთველი XII-XIII საუკუნეებში: ჭერ ერთი არც ქალაქში ჯდომა და არც ასურელი შაჰის მოსაყდრეობა თავისთავად ბისონით შემოსვის უფლებას არ იძლეოდა (ასეთ შემთხვევაში რატომ არ ეცვა ბისონი, მაგალითად, თბილეს). ან ასურელი შამათა სხვა მოსაყდრეებს? პორფირ-ბისონი, როგორც საერო ხელისუფლების ინსიგნია, „საუფლო კაბა“, შეეძლოთ ეტარებინათ, მხოლოდ ასეთი ხელისუფლების მქონე მღვდელმთავრებს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ბისონია ტარების უფლებას მღვდელმთავრებს ანიჭებდა საერო ხელისუფლება — მეფე, სასულიერო ხელისუფლებასთან (კათალიკოსო, აღმჯარღული) შესახებებით. ამ საფუძველზე ეს უფლება ჰქონდა ქართლის კათალიკოსს, რომელიც ამავე დროს სამცხეთო ჭარბის უფალიც იყო (უნდა ვიფიქროთ, XV საუკუნიდან). ეს უფლება მოიპოვეს აგრეთვე კახეთის სადროშოებმა უფლებას აღაერდელმა (არ ჩანს როდის, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს XVI საუკუნისა), ბოდბელმა (არ ჩანს როდის, ასევე არა უადრეს XVI საუკუნისა), რუსთველმა (1711 წ.) და ნეკრესელმა (1740 წ.). პორფირ-ბისონიანი იყო აგრეთვე მაწვერელი. თეიმურაზ II-ის სიგელში ნეკრესელისადმი (წათყავერ ასევე) პ. რატიანი, რომ პორფირ-ბისონი ეცვათ ქალაქში მქდომ და ასურელ შამათის მოსაყდრე მღვდელმთავრებს), თეიმურაზი მართალია მიუთითებს ნეკრესის ქალაქობაზე წარსულში და ასურელი შამათის აბიბოს ნეკრესელის მოსაყდრეობაზე, მაგრამ თეიმურაზი აქ უბრალოდ გვამცნობს უფლებას, რაც იცის ნეკრესზე, სერს ამით ხაზი გაუსვას ნეკრესელის ღირსება-მნიშვნელობას და ამითვე დაასაბუთოს მისთვის ბისონის მიცემა ბისონით შემოსვის საფუძველი უფრო სწორადაა განსაზღვრული დავით იმამყულიძის ხანის 1711 წ. სიგელში და „ღმრთაების გუჯარში“: „რადგან რუსთველი დროშის პატრონი იყო და ბისონი არ ეცვაჩვენის ბრძანებით, ხარდლობის გულისხმონ რუსთველს ნიკოლოზს ბისონი ჩაცეციოთ.“<sup>1</sup> „ვიწინადან იყო რუსთველი: უფალი შამათა ჩვენთა ბაერაყნა და პატრონი მკედაართა უარაყთა და შქართა ჩვენთა შთაერთობისა, ამაღ შეეამეთ და მიუბოეთ საუფლო კაბა ჩვენი პორფირ-ბისონი“<sup>2</sup>.

მაგრამ თუნდაც დაეუწვათ, რომ ასურელ შამათა მოსაყდრე მღვდელმთავრებს მართლაც ეცვათ პორფირ-ბისონი, როგორც ამაშ პ. რატიანი აღნიშნავს, ასეთ შემთხვევაშიც კი, XII-XIII საუკუნეებში რუსთველ ეპისკოპოსებს პორფირ-ბისონი ვერ ეტარებოთ, რადგან, არც ერთი ასურელი შაჰის მოსაყდრე ამ პერიოდში ისინი არ ყოფილან: ანტონ მარტყოფელის მოსაყდრე ისინი ვახდნენ გვიან, როცა მარტყოფში დამკვიდრდნენ. პ. რატიანს ავიწყდება ეს გარემოება და XVI-XVIII საუკუნეების ვითარება გადააქვს XII-XIII საუკუნეებში. ასე რომ, აღარც ანტონ მარტყოფელის მოსაყდრეობა ვერჩება XII-XIII სს, რუსთველთა ბისონიანობის საბუთად (ყოფიც რომ გამოდგებოდეს ასეთი რამ საბუთად).

ამრიგად, XII-XIII სს რუსთველთა ბისონიანობა არსაიდან არ ჩანს. უფრო მეტიც, ეს საგ-

<sup>1</sup> თ. კო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 195.

<sup>1</sup> ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 330.

<sup>2</sup> იქვე გვ. 360.

სებით გამოიხატულია: ამ პერიოდში არც რუსთაველი და არც გვიან ბოსონით შემოხილი კახეთის დანარჩენი სამი ეპისკოპოსი ბიზონიანი არ შეიძლება უოფილიყვენ, რადგან ამ დროს ისინი სადროშოს სარდლები არ იყვნენ. და საერო „ნაუფლო კახას“ ვერ ჩაივსებდნენ.

ასე რომ, XII-XIII სს. ბოსონიანი რუსთველი „უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფი და მეტი არაფერია“ (ესარგებლობთ პ. რატიანის ტერმინოლოგიით).

პ) რატომ არ შეიცვალეს რუსთველმა ეპისკოპოსებმა ზედწოდება მარტყოფში დამკვიდრების შემდეგ. პ. რატიანის აზრით, შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას ისიც მოწმობს, რომ რუსთველმა ეპისკოპოსებმა არ შეიცვალეს ზედწოდება მარტყოფში დამკვიდრების შემდეგ, რადგან, როგორც ის ფიქრობს, ეს ეპისკოპოსები ვერა ელოდნენ „რუსთველის“ ზედწოდებას შოთა რუსთველის გამო: „... ეს არაჩვეულებრივი ფაქტი, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ უნდა იყოს: ზედწოდება „რუსთველს“ ვეფხისტყაოსნის ავტორმა ისეთი ბრწყინვალეა მინიჭა, და ისეთი სიყვარული მოუპოვა ქართულ ხალხში, რომ მღვდელმთავრები მას რუსთაველის მონაპოვოს შემდეგაც, ცხადია, ვერ შეელოდნენ“ — აღნიშნავს პ. რატიანი (მნათობი, 2, გვ. 182 ხაზვასმა ჩვენია — ნ. შ.).

სინამდვილეში აღნიშნული ფაქტი არ არის „არაჩვეულებრივი“ და შოთა რუსთველი აქ, რა თქმა უნდა, არაფერ უფაშია. ასეთი მავალითები ქართული ეკლესიის (და არა მარტო ქართული) ისტორიაში არაერთი მოვლენებია, როცა ეპარქიის სახელწოდება მომდევნებელი იყო და აღარ შეესაბამებოდა რეალურ სინამდვილეს. ასე მავალითად: ნინოწმინდელი დავით გარეჯაში დამკვიდრდა, „ნინოწმინდელის“ სახელი კი შერჩა; ქართლის ადგილზე XI საუკუნეში აღნიშნა წარმოქმნა საქართველო, ეკლესიის მეთაურს კი კვლავ ქართლის კათალიკოსი ეწოდებოდა; დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი XVI-XVII საუკუნეებში ბიჭვინტაში იჯდა, მაგრამ „ქუთათელი კათალიკოსი“, ან „აფხაზეთის კათალიკოს-ქუთათელი“-2 („აფხაზეთი“ აქ მთელი დას. საქართველოს გულისხმობს) ეწოდებოდა და სხვ. ეპისკოპოსები ხშირად თავის ძველ საეპისკოპოსო ზედწოდებას იტყვებდნენ გადადგომისა და მონასტერში შედგომის შემდეგაც. ასე ატარებდნენ ძველ ზედწოდებას, მავალითად, იერუსალიმის ჭერის მონასტრის წინამძღვრები: დანიელ ნიჭოზელი

და ბარნაბა თბილელი. ამავე მონასტერში დამკვიდრებული გრიგოლ დრამდუღოშვილიც სხვა ამრიგად, ქალაქ რუსთაველს და რუსთაველს ეპარქიის ისტორია სრულიად არაფერს გვაძლევს შოთა რუსთველის ეპისკოპოსობის სახარტებლოდ:

1. არც ქალაქ რუსთაველს სიდიდე და სიძლიერე;
2. არც რუსთაველს სიახლოვე თბილისთან და მცხეთასთან;
3. არც რუსთაველს ეპარქიის სიდიდე და სიძლიერე და რუსთველი ეპისკოპოსების მალაღობა ღირსება-პატივი (რაც არ უნდა გავხვიაღებულად წარმოვიდგინოთ ერთი და მეორე);
4. არც ის, რომ რუსთველი ეპისკოპოსებმა XVI-XVIII სს-ში სადროშო ლაშქრის უფლები იყვნენ (XII-XIII სს-ში მათი სარდლობა გამოირიცხებოდა);
5. არც ის, რომ რუსთველ ეპისკოპოსებმა 1711 წლიდან მიეცათ პორფირ-ბისონით შემოსვის უფლება (XII-XIII სს-ში მათი ბისონიანობა გამოირიცხებოდა);
6. არც ის, რომ რუსთველმა ეპისკოპოსებმა არ შეიცვალეს ზედწოდება მარტყოფში დამკვიდრების შემდეგ (ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო ეკლესიის ისტორიაში).

მაგრამ, პ. რატიანი, უკვე განხილულს გარდა, სხვა კავშირსაც ხედავს რუსთაველს ისტორიას და შოთა რუსთველის ეპისკოპოსობას: 1. რადგან რუსთველები დიდ ქალაქში იხსდნენ, რომელიც საეპარქო-საქარაღო გზებზე მდებარეობდა, ისინი ყარჯად იცნობდნენ ეპარქია ცხოვრებას; 2. რადგან რუსთველი ეპისკოპოსები სადროშოს სარდლები იყვნენ, ისინი ყარჯად იცნობდნენ სამხედრო ზღოვნებას და პ. რუსთველ ეპისკოპოსებს, როგორც, უმალეუსი სასულიერო განაალებების მქონე პირებს — ყარჯად ექნებოდათ შეთვისებული სალთის-

1 იქვე, გვ. 40.  
2 იქვე, გვ. 72. აღაპი 13 და გვ. 107, აღაპი 306.

3 ასეთ მოვლენებს, როგორც ცნობილია. საერო სფეროშიც ჰქონდა ადგილი: აფხაზეთა მეფეები ქუთაისში დასხდნენ „აფხაზეთა მეფეებად“ კი დარჩნენ. გაერთიანებული საქართველოს მეფეები გახდნენ და მაინც, ხშირად „აფხაზეთა მეფეებად“ იწოდებოდნენ. საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცდა, მის შედეგად წარმოქმნილი თითოეულ ერთეულს კი კვლავ საქართველო ეწოდებოდა და მივიღოთ „საქართველოები“. მათი მეფე კვლავ გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატორით იყო შემკობილი და სხვ. მაგრამ, კონსერვატიზმის ასეთი და სხვა გამოვლინებები ეკლესიისთვის უფრო მეტად იყო დამახასიათებელი.

1 ქართ. სამართ. ძეგლ., II, გვ. 223.  
2 იქვე, გვ. 225.  
3 ვ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის, 1962, გვ. 77, აღაპი, 1, 94.

მეტყველო თუ ასტრონომიული ცოდნა“ (მნათობი, 4, გვ. 161) ამას მოსდევს დასკვნა:

„თ, სად არის იმ ფაქტის ახსნა, რომ რუსთაველთა პლედას ყველაზე გამოჩენილმა წარმომადგენელმა, გენიოსმა შოთა რუსთველმა ასე ბრწყინვალედ იცის ვაჭართა ცხოვრებად, ლთისმეტყველებად და სამხედრო-სარაინდო საქმეც“ (იქვე).

თ, თურმე რა კავშირშია რუსთავეის ისტორია შოთას ეპისკოპოსობასთან! თ, თურმე რით უნდა აიხსნას ის ღღემღა უხსენელი და გაუგებარი ფაქტი, თუ საიდან იქნობოდა შოთა რუსთველი ვაჭართა ცხოვრებისა, სამხედრო-სარაინდო საქმესაც და ლთისმეტყველებასაც! თურმე, უოველივე ამხე შუა საუკუნეების საქართველოში შეეძლო წარმოადგენა ქქონოდა მხოლოდ ეპისკოპოსს. თურმე, „ვეფხისტყაოსანს“ მარტო გენიოსს ვერ დასწერდა, ის ანუ დროს რუსთველი ეპისკოპოსიც უნდა ყოფილიყო!

**5. მოვწოდებ თუ არა ჯგირის მონახობის ალანი შოთა ვიუარძალეთუხუცესის უსოლოვას**

3. რატიანის აზრით, ჯგირის მონახობის ალანში შოთა მეჭურჭლეთუხუცესის უტოლოდ მოხსენება, მიწმობს, რომ მას არ ჰყავდა ცოლი, რაც მიუთითებს მის ეპისკოპოსობაზე: „ცნობილია, რომ ალაპებში ერისკაცო დიდკაცები, ჩვეულებრივ ცოლებთან ერთად მოიხსენებიან ხოლმე, მაგრამ ჯგირის მონახობის ალაპებში შოთას ცოლი მოხსენებული არ არის... საყოველთაოდ ცნობილია, რომ მღვდელმთავრები ბერები იყენენ, ბერს კი ცოლი არ შეიძლება ჰყოლოდა. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ ალაპებში მოხსენებული არ არის და არც შეიძლება იყოს რუსთველის, ისევე, როგორც სხვა რომელიმე მღვდელმთავრის ცოლი“ (მნათობი, 5, გვ. 117).

საქმარისი იყო 3. რატიანს გადაეხედა ჯგირის ალაპების თუნდაც ნაწილისთვის, რომ დაენახა: ამ ალაპებში ერისკაცები „ჩვეულებრივ“ უტოლოდ იხსენიებიან. შეიძლება დაეახსნელოთ ათობით ასეთი ალაპი. ტომენდორფისეულ ნუსხაში (თავიდან მოყოლებული): ბეჭა (ჭაყელისა) (I, 4), ცოტნე ქველივასისისა (I, 5), ბარათისი (I, 6), პოლარეთუცეს ბეჭქენ მხეციძისა (I, 10), კახას შეილის გამრეკელი (თორელისა) (I, 11), და ა. შ. ამ ნუსხის ალანთა უმეტესობა ასეთია და მხოლოდ რამდენიმეა ცოლქმრისა (პირველად ამ ნუსხაში ცოლქმრის ალაპია მე-18: ვარდან ვახნისძისა და მისი შეუდლის თაბახისი). ჯგირის მონახობის სენიანქსარის ალანთა ასევე უმრავლესობაში საერო პირებს უტოლოდ აქვთ განიერი ალაპები.

**6. შოთას იკონოგრაფია**

3. რატიანი შოთა რუსთველს „გენსეულებს“ ცნობის ერთ ძლიერ არგუმენტად უყვარს მონახობის ფრესკას იერუსალიმის ჯგირის მონახობაში. მისი აზრით, ამ ფრესკას ჯგირის მონახობაში არ გამოისახავდნენ (და მით უმეტეს იმ სვეტზე, სადაც მღვდელმთავრები არიან გამოსახულნი), შოთა რომ ერისკაცი ყოფილიყო: „არა მარტო ჯგირის მონახობაში, არამედ საერთოდ, საქართველოს ეკლესია-მონახობაში არსად გამოხატული არ არის, და არც შეიძლება იყოს, არც ერთი მეჭურჭლეთუხუცესი, რაც სასენებო ბუნებრივი მოვლენა“ (მნათობი, 5, გვ. 127. ხაზგასმია ჩვენია — ნ. შ.). ვაუგებართა, რატომ მონახობაში გამოიხატულა 3. რატიანს მეჭურჭლეთუხუცესის გამოსახვა ეკლესია-მონახობაში? რატომ იყენენ მინცდამინც ამ სავაზირო ხელის მქონე პირები მიუღებლები ეკლესიისთვის? თუ 3. რატიანი საერთოდ საერო პირებს გულისხმობს (მაშინ რატომია ხაზგასმულად დასახელებული მინცდამინც მეჭურჭლეთუხუცესი)? ნუთუ 3. რატიანისთვის ცნობილი არ არის, რომ ეკლესია-მონახობაში გამოსახულია არა ერთი საერო პირი, მათ შორის, არა მარტო მეფე-დედოფლები და სამეფო ოჯახის წევრები, არამედ ფეოდალური საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც: ვაზირები, ერისთავები, დიდებულები: რატი სურამელი „გარბიაში, კახაბერისძეები — მღვიმეში სუმბატ ამოტას-მეატენში, დადიანები — ხობში და სხვ. თვით ჯგირის მონახობაში განა შოთა რუსთველის ვარდა სხვა საერო პირთა ფრესკები არ მოიპოვება? თავი რომ დაეანებოთ მეფე-დედოფლებსა და მთავრების ფრესკებს ამ მონახობაში (მირიანი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ ქერაპალატი, მარიაშ დედოფალი — როსტომის თანამეცხედრე, ლევან დადიანი და მისი შეუდლე — ნესტან-დარეჯანი), განა აქ არ არიან გამოსახულნი პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეები, არსენ აგრი, თავისი შეილით გრიგოლით? განა ცნობილი არ არის, რომ საერო პირებს მონახობის წინაშე მათი დამსახურების საზღაურად ალას ვაუნდნენ და ხოჯგერ მის კვლევებზე გამოისახავდნენ?

განსაკუთრებით შეუთავსებლად მიანია 3. რატიანს შოთას ერისკაცობასთან მისი გამოხატვა იმ სვეტზე, რომლის დანარჩენ სამ მხარეზე მღვდელმთავრებია გამოსახული: „... თვით ამ სვეტზეც კი, რომელზეც შოთა რუსთველია დახატული, რუსთველს ვარდა, აღზევლილია კიდევ სამი სხვა მღვდელმთავარი, სახელდობრ გრიგოლ დრანდელი, თეოდორე მანკელი და ნიკიფორე ჩოლოყაშვილი. რაკი სვეტის ოთხივე გვერდი მღვდელმთავრების პორტრეტებს უპი-



რათა, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს სვეტი (ისევე როგორც ჯვარის მონასტრის დანარჩენი სვეტებიც) განკუთვნილი ყოფილა სასულიერო პირთათვის, ეკრძა, ეპისკოპოსთათვის<sup>1</sup> (მნათობი, 5 გვ. 127).

3. რატიანი რომ თუნდაც ზერელედ ვასცნობოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, მისთვის ნათელი ვახდებოდა, რომ **ჯვრის მონასტრის ხეებები განკუთვნილი იყო არა ეპისკოპოსთათვის, არამედ — მომხატველთათვის**. აი, რატომ არის შოთას ფრესკა გამოსახული ჯვრის მონასტრის სვეტზე: არა იმიტომ რომ ის ეპისკოპოსია (თავისთავად ეპისკოპოსობისათვის მას აქ არავინ არ ვამოსახვდა), არამედ იმიტომ, რომ ის დამხატვია (მისი მატერიალური სახსრით დეხატავთ მონასტრის სვეტს)<sup>2</sup>: ამის დამხატვას შოთას შეუწდევს ღმერთმან. ამინ. რუსთველი<sup>3</sup>. ანალოგიური წარწერები აქვთ სვეტების დამხატველთა ორ სხვა ფრესკას: „ამის დამხატვას არსენ აერის, გრიგოლს და მისთა დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან, აჲ“; „ამის დამხატვას პეტრეძეს, ღრანდელ ეპისკოპოსს გზღს და მისთა მამა-დედათა შინ ღმერთმან, აჲ“<sup>4</sup>. სამივე ეს ფრესკა ერთი ეპოქისაა და ერთნაირი კომპოზიციისა: ორი წმინდანის წინაშე ვედრების პოზაშია დამხატვეი (ამასთან, საინტერესოა, რომ ერისკაცები — შოთა და არსენ აერი დამოქლები არიან წმინდანთა წინაშე, ხოლო გრიგოლ ღრანდელი კი დგას ორ წმინდანს შორის). სამივე ამ ფრესკაზე დამხატველებს: შოთას, არსენ აერს და გრიგოლ ღრანდელს დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი ადგილი აქვთ ფრესკებში მიკუთვნებული, მთავარი კი კომპოზიციამო წმინდანებია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამივე ამ პირს მონასტრის სვეტზე დეხატავს წმინდანთა გამოსახულებები და ამ დამხატვების საფასურად, იქვე მიუხატავთ თავიანთი თავი<sup>5</sup>. აი, რა თემატური, შინაარსობ-

რთი ერთობა აქვთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტის ფრესკებს (და არა ეპისკოპოსობა, როგორც ეს პ. რატიანს ჰგონებოდა).

როგორც ხედავთ, ეს საკითხი საკმარისი მართივით და გასაგებია და ტყუილად ქმნის პ. რატიანი მისკან თვისამტერვე პრობლემას, ტყუილად ცდილობს საქმე იმგვარად წარმოადგინოს, თითქოს შოთას ფრესკა იერუსალიმში არ ეგუება მის ერისკაცობას.

რაც შეეხება შოთას სამოსხელს იერუსალიმის ფრესკაზე: მიუხედავად ხელოვნებათმცოდნეთა ერთსულოვანი დასკვნისა, რომ იერუსალიმის ფრესკაზე შოთას საერთო დიდებულის სამოსელი აეცია, პ. რატიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს სამოსელი მღვდელმთავრებისათვის განკუთვნილი პროფირ-ბისონია. პ. რატიანის მიერ ამ უხადალეხელ პორფირ-ბისონზე ჩვენ უკვე გვეყონდა საუბარი და აღენიშნეთ, რომ **XII-XIII საუკუნეებში გამოირიყვლია რუსთველი ეპისკოპოსების პორფირ-ბისონიანობა**.

თუ იერუსალიმური ფრესკის გარდა, გავითვალისწინებთ შოთა რუსთველის სხვა პორტრეტულ გამოსახულებებსაც (ზახასეული ეფფხისტყაოსნის მინიატურა და მამუკა თავაქარი-შვილისეული პორტრეტი), რომლებსაც პ. რატიანი გვერდს უდრის, უნდა დავასკვნათ, რომ შოთა რუსთველის იკონოგრაფია შეტყველებს მხოლოდ მის ერისკაცობაზე.

**7. ეკლესიაში კლასობრივი ბრძოლის შესახებ**

იმის დასამტკიცებლად, რომ სასულიერო პირთა ნაწილი პროგრესულად იყო განწყობილი და ამდენად ეპისკოპოსს შეეძლო დაეწერა ეფფხისტყაოსანი, პ. რატიანი გვიხატავს კლასობრივი ბრძოლის სურათს ეკლესიაში. მას მოუყავს ფ. ენგელის დებულება იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეებში სასულიერო წოდება ორი ანტიგონისეული კლასისგან შედგებოდა (მნათობი, 4, გვ. 163). პ. რატიანი ხაზს უსვამს, რომ ეს იწვევდა ეკლესიაში „მწვავე კლასობრივ ბრძოლას“, რაც „გვაბატონებელი და დაჩაგრული კლასების მუდმივი ანტიგონიზმის გამომართლება იყო“ (იქვე, გვ. 162). XII-XIII საუკუნეების საქართველოში, პ. რატიანის აზრით, ამ ბრძოლაში საქართველოს ეკლესია-მონასტრება და მღვდელ-მთავრები ორ ნაწილად ყოფილან. გაყოფილნი: რეაქციულად განწყობილი ნაწილი ვაბატონებელი კლასის მხარეზე ყოფილა, ხოლო პროგრესულად განწყობილი კი — ჩაგრული კლასის მხარეზე. ამ უკანასკნელს ეუთვნონდა თერძე შოთა რუსთველიც, როგორც პროგრესული ეპისკოპოსი. ამიტომ, გასაკვირველი არაა, რომ მან, მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსი იყო, დაწერა ეფფხისტყაოსანი. ასევე პროგრესულად ყოფილა განწყობილი (ე. ი. ჩაგრულია მხარეზე ყოფილა ეკლესიის შიგნით

<sup>1</sup> თეოდორე მანგლელისა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ფრესკებს შოთა რუსთველის ფრესკისაგან ამორებს 3 საუკუნეზე მეტს. ასეთ სხვადასხვა ეპოქაში გამოსახულ ფრესკებს ვერ მოვთხოვთ თემატურ ერთიანობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ აქვთ მინც ერთი რამ საერთო: ყველა ისინი ტაძრის მომხატველებს და აღმდგენელებს ეკუთვნიან.

<sup>2</sup> მონასტრის მეზობელ სვეტზე გამოსახულია აგრეთვე საერთო პირთ: არსენი აერი, თავისი შვილით გრიგოლით, ასე რომ, პ. რატიანს არ ჰქონდა საფუძველი ეს სვეტები გამოეცხადებინა სასულიერო პირთათვის განკუთვნილად.

<sup>3</sup> ნიკიფორე ჩოლოყაშვილი არ ყოფილა ეპისკოპოსი.

<sup>4</sup> ე. მეტრეველი, დსახ. ნაშრ., გვ. 65.

<sup>5</sup> იქვე.



მიმდინარე კლასობრივ ბრძოლაში) იგრესალიზმის ჯვრის მონასტრის კრებული, რის გამოც, შოთასა და ამ კრებულის პოზიციები **კლასობრივ ბრძოლაში**, მათი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მრწამსი დამთხვევია ერთმეორეს: რაც შეეხება ჯვრის მონასტრის მამათა პოზიციას, საფუძველი გვაქვს ვიდიქრით, რომ ისინიც ქართული ეკლესიის პროგრესულ მოღვაწეთა დასს ეკუთვნოდნენ და, ვეფხისტყაოსნის ავტორთან ერთად, იბრძოდნენ რეაქციული სასულიერო არისტოკრატის წინააღმდეგ“ (იქვე). „ჯვრის მონასტერში პროგრესულ-დემოკრატიული სულიკეთება სუფევდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ნიკოლოზ გულაბერისძის იქ წასვლისა და დამკვიდრების ფაქტი“ (მნათობი, 5, გვ. 113). სწორედ ამიტომ გამხდარა შესაძლებელი, აგრეთვე, შოთას დამკვიდრება ჯვრის მონასტერში (შოთა რომ ჯვრის მონასტერში ბერად შედგა, ამაში პ. რატიაწს არა თუ ეჭვი არ ეპარება, არამედ ამაში ხედავს რატომღაც შოთას ეპისკოპოსობის მხარდამკვერ ერთ მღვრ არგუმენტს, ხოლო ისინი, ვინც შოთას იგრესალიზმში ბერად შედგომას ეჭვის ქვეშ აყენებენ, თვითმრახ ბაგრატიონით დაწყებული და ა. ბარამიძით გათავებული, პ. რატიაწის ღრმა რწმენით, ებრძვიან შოთას ეპისკოპოსობას, რა კავშირს ხედავს პ. რატიაწი ეპისკოპოსობასა და იგრესალიზმში ბერად შედგომას შორის, ჩვენთვის გაუგებარია).

შოთას პოლიტიკურ-იდეოლოგიური მრწამსი დამთხვევია აგრეთვე ნიკოლოზ გულაბერისძისას, რაც პ. რატიაწს შეუნიშნავს ამ უცანასკნელის ნაშრომში „საკიობავი სუეტისა ცხოველისა, ქვართისა საუფლისა და კათოლიკე ეკლესიისაა“. აქედან პ. რატიაწს დაუსვნიია, რომ შესაძლებელია ნიკოლოზ გულაბერისძე შოთა რუსთველის განზრდელიც იყო. პ. რატიაწი იმავე ვარაუდობს, რომ შოთამ ეპისკოპოსობა მიიღო ეკლესიაში პროგრესული დასის რეაქციულზე გამარჯვების შედეგად (იქვე) და სხვაერთი სიტყვით, ეკლესიაში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა ჩაგრულ და გაბატონებულ კლასებს შორის პ. რატიაწს საშუალებას აძლევს დადგინოს მრავალი დეტალი შოთა რუსთველის ბიოგრაფიისა.

პ. რატიაწი უსაყვედურებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მკვლევარს, რომელიც „ეკლესიის შიგნით გაჩაღებულ შწავე კლასობრივ ბრძოლას ვერ ამჩნევს“ (მნათობი, 4, გვ. 163), მაშინ, როცა „თამარის ეპოქაში ქართული ეკლესიის შიგნით ისეთივე ხასიათის მწვავე, კლასობრივი ბრძოლა იყო გაჩაღებული სასულიერო არისტოკრატისა და პლუბურ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა შორის, როგორც საერთოდ, იმდროინდელ ფეოდალურ საზოგადოებას ახასიათებდა“ (იქვე, ხაზგასმა ჩვენია—

ნ. შ.). ამ „მწვავე კლასობრივ ბრძოლაში“ თამარ მეფე და ცენტრალური ხელისუფლება, თურმე „პლუბურ-დემოკრატიული“ მიმართულებების უფოლიანი თურმე შეფრთხილნი იყვნენ პერიოდი (90-იანი წლების დამდეგიდან)... ეკლესიის პროგრესულმა ძალებმა თვით მეფის ხელისუფლების პარდაპირი დახმარებით შესძლეს რეაქციონერთა შევიწროება“ (იქვე).

ეკლესიაში პლუბისა და არისტოკრატის ბრძოლის გამოვლინებად მიიჩნია პ. რატიაწს დაეთი აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმა, ეკლესიის მესვეურთა ულტიმატუმი გიორგი 111-დმი, შევევალბის მოთხოვნით (დამსა უფლისწულის ამბოხების შემდეგ, 1178 წელს). ნიკოლოზ გულაბერისძის შეცვლა საკათალიკოსო ტახტზე მიქაელ მირიანისძით (იქვე, გვ. 164). ასეთი მავალითების საფუძველზე პ. რატიაწი ასკვნის: „როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიაში, ისევე როგორც გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ეკლესიებში, სასტიკი კლასობრივი ბრძოლა იყო გაჩაღებული სასულიერო არისტოკრატისა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა შორის“ (იქვე, გვ. 165. ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.). გამოდის, რომ დაეთი აღმაშენებელი და თამარ მეფე დემოკრატები უფოლიანი თურმე შეიძლება, რომ შუა საუკუნეების მეფეები დემოკრატებად, „პლუბურ-დემოკრატიული“, „პროგრესულ-დემოკრატიული“, მიმართულების მიმხრეებად, კლასობრივ ბრძოლაში ჩაგრულთა ინტერესების დამცველებად წარმოვიდგინოთ. აი, სადააღე მიიყვანა პ. რატიაწი შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობის იდეით ვატაცება!

პ. რატიაწის აზრით, ისეთივე კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება უფოლია საერო სფეროში დიდგვარაანთა ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების შესაზღუდავად. გამოდის, რომ ესეც უფოლია ჩაგრულ და გაბატონებულ კლასებს შორის ბრძოლის გამოვლინება. პ. რატიაწის აზრით, სწორედ ამით აიხსნება, რომ დაეთი სოსლანი, „რომელიც უშეალოდ ხელმძღვანელობდა გიორგი რუსისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლას (ც. ი. პ. რატიაწის კონცეფციით ბრძოლის პროგრესულ-დემოკრატიული ძალებისა რეაქციონერთა წინააღმდეგ — ნ. შ.) სათაყვანებელი გმირი“ გახდა შოთა რუსთველისთვის (იქვე).

პ. რატიაწის მიერ დასაზღუდულ მავალითებს, რა თქმა უნდა, არაფერი აქვთ საერთო კლასობრივ ბრძოლასთან მჩავერდლებსა და ჩაგრულებს შორის, პლუბისა და არისტოკრატის შორის. ანალოგიები გერმანიისა და ევროპის ეკლესიის ისტორიიდან უნდავიღოთ. ცხადია, კლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში მიმდინარეობდა როგორც საერო,



თელს ხდის თუნდაც ის, რომ პეტრე პატრიკი წყაროში ხშირად იხსენიება „პეტრე პატრიკ უოფილად“, ან „პეტრეკ უოფილად“<sup>1</sup>. თავიანთად ცხადია, რომ პეტრეს სერისიკო სახელი უოფილა პეტრიკი II პატრიკი, პეტროზი კი მას დაურქმევია პეტრე, რაც საესებით შეეფერებოდა პეტრიკს.

**ასე, რომ არავითარი საერო პატრიკი პეტრე ბერს არ ჰქონია.**

პ. რატიანი გეთვანობს შოთა რუსთველის მეპურტულეთუხუცესობის სხვა ახსნასაც (იმ შემთხვევაში, თუ ეპისკოპოსის მეპურტულეთუხუცესობას შეუძლებლად მივიჩნევთ): „ხომ შეიძლება ისეთი სიტუაციის წარმოდგენაც როცა სასულდგრო პირი თავს ანებებს ბერ-მოაზნებობას და ისევ ერისკაცია ხდება, ან — პირიქით?“ (შინათობი, 2, გვ. 176).

ვერც ამ ახსნაში დავეთანხმებით პ. რატიანს: ვერ ერთი, შოთა მეპურტულეთუხუცესის ალაპი და შოთა რუსთველის ფრესკა სამეცნიერო ლიტერატურაში ერთდროულადაა მიჩნეული. შოთას ალაპი დაუწესეს (სადაც ის მეპურტულეთუხუცესადია მოხსენიებული) და სვეტზეც გამოსახეს (სადაც ის რუსთველადაა წოდებული) ერთდროულად ამსახურებისთვის (სვეტის დახატვისთვის) და ერთდროულად, ისევე, როგორც გრიგოლ დრანდელს გაუზინეს ალაპი და სვეტზეც დახატეს<sup>2</sup>. ასე რომ, იერუსალიმის მასალებს მიხედვით მეპურტულეთუხუცესიცა და რუსთველიც შოთა ერთდროულად. მეორე: იერუსალიმის ფრესკაზე, სადაც შოთა რუსთველადაა მოხსენიებული (და სადაც მას პ. რატიანის მტკიცებით მღვდელმთავრის სამოსელი აცვია) ის იმდენად ხანდაზმულია, რომ მისი ბერობიდან გაერისკაცება და მეპურტულეთუხუცესად გახდომის ამ ასაკში ძნელი წარმოსადგენია. მესამე: აქ თვით პ. რატიანი ამტკიცებს, რომ შოთამ თავისი ცხოვრების ბოლო წლები ვერის მონასტერში გაატარა. როგორღა შეეათავსოთ ამასთან მისი გაერისკაცება? და მეოთხე: თავიანთად მიუღებელია, რომ ეპისკოპოსად დასტროვოს ბერობა. ეს დარღვევაა საეკლესიო კანონისა და ასეთ პირს უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე შედეგ არ დანიშნავდა.

**ამრიგად, შოთა რუსთველის მეპურტულეთუხუცესობა გამოირიცხავს მის ეპისკოპოსობას.**

**II. ანგარიშსახარებით თუ არა ხალხური და ლიტერატურული ტრადიციის შოთა რუსთველის შესახებ და ჯავახიშვილი**

ხალხური თქმულებები და ლიტერატურული ძეგლებიც შოთა რუსთველს მიიჩნევენ შესაძ

და ჯავახად. ცხადია, შოთას შესახებ მთელი ერთ მესხეთის რუსთველიან, რაც ეწინააღმდეგება მის ეპისკოპოსობას, ამიტომაც პ. რატიანი ცდილობს ამ დებარებულს მოხსნასაც. შოთას შესახებ ლიტერატურული ტრადიცია, პ. რატიანის აზრით (ხალხური ტრადიცია შოთას შესახებ, პ. რატიანს, როგორც უკვე აღინიშნა, „გამორჩენია“ მხედველობიდან და ის მხოლოდ ლიტერატურულ ტრადიციას ახსენებს), აიხსნება ფსევდორუსთველური სტროფით „მესხი მელექისი“ შესახებ, რომელმაც თითქმის დასაბამი მისცა ამ ტრადიციას.

მაგრამ აღნიშნული სტროფით ვერ აიხსნება ტრადიცია შოთას ჯავახობის შესახებ (რამდენადაც, ამ სტროფში ხსენება არ არის ჯავახისა). შოთას შესახებ და ჯავახობა ერთდროულად (ზოგჯერ ერთდროულად ლიტერატურულ ძეგლებში) გასაყვამ და კანონზომიერია ვახდებდა, თუ ვაითვალისწინებთ, რომ რუსთველი შოთას ეპოქაში ჯავახეთში მდებარეობდა, მაგრამ ჯავახეთის მცხოვრებლებიცა და სამცხის მცხოვრებლებიც მაშინ შესხებად იწოდებოდნენ. სამცხეცა და ჯავახეთიც მესხეთი იყო. ასეთი კანონზომიერია დამთხვევა შოთას შესახებ და ჯავახობისა ანარქულია იმ დროისა, როცა მესხი ფარავდა ჯავახს.

**ამდენად, ცხადია, შოთას შესახებ და ჯავახობის ერთდროულ ტრადიციას ვერ ავსნიან ფსევდორუსთველური სტროფით „მესხ მელექისი“<sup>2</sup>**

\*\*\*

შენ დაემთავრეთ პ. რატიანის საპუთიანობის განხილვა. ორიოდ სიტყვით გვერს შევეხოთ მის დამოკიდებულებას პირველწყარობისა და სამეცნიერო ლიტერატურისადმი ამ ნაშრომში.

საისტორიო წყაროებისადმი პ. რატიანი იწეწეწურულ დამოკიდებულებას, ხოლო ხშირად ტენდენციურად იყენებს შთ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. „ღმრთების გუქრის“ დამწერად პ. რატიანი აცხადებს რუსთველ ეპისკოპოსს, მიუხედავად იმისა, რომ ძეგლში ქართული დიპლომატიკის წესის შესაბამისად დასახელებულია მისი დამწერი. აქ საპუთის გამცემი დავით მეფე გვამცნობს, რომ მან საბუღის დიდი ნაწილი თავის ხელით დაწერა („ხელით ჩვენი დავწერეთ ჩვენნივე აღმოქმულნი“) და დასწევ-

<sup>1</sup> გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგოგრაფიული ძეგლები, II, 1967, გვ. 177, 194.

<sup>2</sup> ე. პეტრევილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

<sup>1</sup> გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა. არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1938, გვ. 16.

<sup>2</sup> ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 67-69.

ლების გამო, გადაანუსხენა და დაასრულებინა ის თავის დას — შარიათყოფილ მაკრინეს.<sup>1</sup>

2. 3. რატიანი აღნიშნავს, რომ „დავით მეფეს სარუსთველო დროშის განწესების სიგელი ორჯერ გამოუტყა: პირველად 1710 წლის 3 მარტს, ხოლო მეორეად — 1722 წელს. შინაარსით ორივე დოკუმენტი არსებითად ერთნაირია, ოღონდ 1710 წლის სიგელი ვაკელებით მოკლეა“ (შნათობი, 4, გვ. 155, შენიშვ. 1):

სინამდვილეში დავით მეფეს ფაქრადე არ მოსვლია აღნიშნული სიგლის ორჯერ „გამოცემა“. როგორც ე. თაყაიშვილის, ისე ი. დოლიძის გამოცემებში დოკუმენტს უზის ერთნაირი თარხი — „ქორონიკონი უო“, ე. ი. 1722 წელი, ოღონდ, ე. თაყაიშვილს მოსვლია უნებლიე შეცდომა და საბუთის ლეგენდში დაუსვამს 1710 წელი. 3. რატიანს არ უნახავს, თუ რა თარხი ზის თვით საბუთში და ე. თაყაიშვილის უნებლიე შეცდომის საფუძველზე გამოუტანია ასეთი უცნაური დასკვნა „ორი გამოცემის შესახებ“. რაც შეეხება ვრცელ და მოკლე ვარიანტებს, 3. რატიანს რომ შეედარუბინა ეს ორი გამოცემა, თუნდაც ნაწილობრივ, დარწმუნდებოდა, რომ ისინი სიტყვითსიტყვით მისდევნენ ერთმეორეს, მაგრამ, ის, როგორც ჩანს, დამყარდებულა საბუთების გარეგნული შედარებით და რადგან ი. დოლიძის გამოცემაში ტექსტი აბზაცებადა დაყოფილი და ფორმატივ სხვაა, ეს ტექსტი უფრო ვრცელად მოსჩვენებია:

3. რატიანი რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის საცემში ენახა საბუთის ხელნაწერი (შიფრი: Sd-2182/S-1557) დარწმუნდებოდა, რომ ის დასდებია საფუძველად როგორც ე. თაყაიშვილის გამოცემას (სადაც მითითებულია ძველი შიფრი — S-1557), ისე ი. დოლიძის გამოცემას (სადაც მითითებულია მისი ახალი შიფრი — Sd-2182).

3. ჭყონდიდის მონაწილეობაზე შამქორის ომში. თამარის ანონიმური ისტორიის ცნობით, შამქორის ომში ანტონ ჭყონდიდელმა „რიდო-

ბითა მონაწილობისათა არა იხადა მახტლ“, ე. ი. ანტონი მოეროდა თავის მონაწილეობას (ქრონიკობითა მონაწილობისათა) და არც ამოვიღეთ მას იხადა“ მახვილიო. ამ ცნობის საფუძველზე 3. რატიანი ასევე: „თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, შამქორის ომში ხმალს იქნევედა ანტონ ჭყონდიდელი“ (შნათობი, 4, გვ. 152).

ასევე ზერელე დამოკიდებულებას იჩენს 3. რატიანი სამეცნიერო ლიტერატურისადმი. ანგარიშს არ უწყევს მასში მოცემულ იმ დებულებებს, რომლებსაც უშუალოდ ეკრძა აქვს მისაკლესი საგანთან. არასწორად და ზნორად ტენდენციურად გადმოსცემს მკვლევართა თვალსაზრისს. ამაზე უკვე იყო ზემოთ საუბარი. დავასაბუთებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

1. 3. რატიანი გვაახელებს ჩვენ იმ მკვლევართა შორის, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ქალაქი რუსთავი ჰერეთში არ მდებარეობდა (შნათობი, 2, გვ. 151). სინამდვილეში, ჩვენ არც აქ მითითებულ წერილში და არც სხვაგან, ქალაქ რუსთავის მდებარეობის საკითხს არ შევხებოვართ.

2. 3. რატიანი აცხადებს, რომ „არც თბილისის ახლოს მდებარე ქალაქ რუსთავისა და არც მესხეთის სოფელ რუსთავის საერო მფლობელებთან ვფიქსირებთ ანტონის დაკავშირების ცდემას სასურველი შედეგი არ გამოიღო“ (იქვე). ქალაქ რუსთავის საერო მფლობელთან შოთას დაკავშირებას, 3. რატიანს აზრით, „საფუძველი გამოაცალა“ იმან, რომ ეს რუსთავი არ აღმოჩნდა ჰერეთში, ხოლო მესხეთის რუსთავთან შოთას დაკავშირებას ასევე „საფუძველი გამოაცალა“ მის შემდეგ, რაც დამტკიცდა, რომ სტროფი „მესხ მელექსეზე“ ინტერპოლაციაა.

3. რატიანი აქ სწორად ვერ ერკვევა საქმის ვითარებაში: ქალაქი რუსთავი რომ ჰერეთში არ აღმოჩნდა, ამან საფუძველი გამოაცალა მხოლოდ შოთას ჰერეთელობას და არა მის დაკავშირებას ამ რუსთავის საერო მფლობელებთან.

ასევე „მესხ მელექსე“-ზე სტროფის გარეშე სრულიად არ „ეცლება საფუძველი“ შოთას წარმოშობას მესხეთის რუსთავიდან: შოთას გვარწოდება „რუსთველი“ აკავშირებს მას ერთ-ერთ რუსთავთან და ცხადია, ასეთ რუსთავად შეგვიძლია ვიგულისხმოთ მესხეთის რუსთავიც, აღნიშნული სტროფისგან დამოკიდებულად.

3. შოთას ვინაობაზე უკანასკნელ წლებში გამოითქვა ორი ვარაუდი: ერთის მიხედვით ის იყო ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი შოთა კუპრა, ზაგრატიონი, მეორეს მიხედვით კი შოთა იყო მესხეთის რუსთავის მფლობელთა თორე-

<sup>1</sup> ქართ. სამართ. ძეგლ., II, გვ. 383, 3. რატიანს, რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ამ დოკუმენტის შეზღვევად გამოცეხადებინა ნიკოლოზ რუსთველი და ის არც გვაძენობს, თუ რატომ დებდა ასეთი უცნაური აზრი. საქმე, როგორც ჩანს, იმაშია, რომ 3. რატიანის თეორიით, საერთო პირს არ შეეძლო ისეთი შესანიშნავი ძეგლის შექმნა, როგორცაა „ღმრთების გუჯარი“: ეს მოითხოვდა ფართო განათლებას, ფილოსოფიის, ლექსმეტყველების, ისტორიის, ლიტერატურის ცოდნას. საერთო პირები კი, მისი აზრით, შორს იყვნენ ამისგან. ამიტომ 3. რატიანი უეცრეზმონიოდ ართმევს ძეგლის ავტორობას დავით მეფეს და აძლევს მას რუსთველ ეპისკოპოსს.

<sup>1</sup> 3. ინგოროყვა, თხზულებანი, I, 1962.

ლთა საგვარეულოს წარმომადგენელი. პირველი თვალსაზრისი კრიტიკულად განხილული და უარყოფილი იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში. პ. რატიანიც, როგორც ის აღნიშნავს, იზიარებს ამ კრიტიკას. მეორე თვალსაზრისი ასეთი განხილვის საგანი არ ყოფილა. პ. რატიანს, ვიდრე ის ახალ თვალსაზრისს გამოთქვამდა რუსთველის ენობაზე, ცხადია, ვეალებოდა ჭერ კრიტიკულად განხილვა ლიტერატურაში ახლანდელ გამოთქმული თვალსაზრისი მის თორელობაზე და დაერღვია ამ თვალსაზრისის საბუთიანობა.

პ. რატიანი არა თუ არ განიხილავს ამ თვალსაზრისს, არამედ არც კი იხსენიებს მას.

პ. რატიანის ნაშრომს აკლია მეცნიერული სიჭრბილი და ზომიერება. ამ მოცემული დასკვნები კატეგორიული და საბოლოო, გადასულთა თვითრეკლამაში. საკუთარი თვალსაზრისის მოტივები ხოტბოა და რეკლამირებით პ. რატიანს სურს გააბრუნოს მკითხველი და დააქროს ის, რომ ეს თვალსაზრისი „ერთადერთი სწორი“, „საკითხის გულდასმით და ყოველმხრივ შესწავლაზე დამყარებული“, „ნამდვილი მეცნიერული“, „ეპიპოტანელი“, საბოლოო და უარყოფია.

ამ თვითრეკლამის გვერდით პ. რატიანი უმატივემლობას იჩენს სხვა მეცნიერებისადმი. უდიერად იხსენიებს მთლიანად რუსთველოლოგიურ ლიტერატურას და კონკრეტულად ცალ-

კეულ ავტორებსაც. ის არაერთხელ იცხადებს, რომ რუსთველოლოგიაში გამოყოფილ „დეტალებში ვეფხისტყაოსნის ავტორის გენეზისზე“ „აშკარად ყალბი დებულებებია და მათზე მეცნიერული მსჯელობის აშენება ყოველ შემთხვევაში უსაფრთხოა“. რომ რუსთველოლოგია ამ საკითხში „მეცნიერულად არ დგას სწორ გზაზე, ემყარება ყალბ წინამძღვრებს და უფუძვანად ყოფს რეალურ-ისტორიულ სინამდვილეს“, რომ მეცნიერები არაობიექტურები, „თვალუბდაზრადებულნი“ არიან, რომ მათი მსჯელობა „უსაფუძვლო და პრიმიტიულია“ „ნებისმიერი და ტენდენციური“ „წინასწარმდგენილი და შეუმოწმებელია“ და ასე შემდეგ.

წერის ასეთი არააკადემიური სტილი, ცხადია, აგრეთვე არ შეეფერება სამეცნიერო ნაშრომს.

**ამრიგად: პ. რატიანის ნაშრომში შოთა რუსთველის ეპიკოპოსობის დასაბუთება მცდარია. არც ერთი არგუმენტი, მოტანილი ნაშრომში ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ, ანგარიშგასაწევი არ არის. წერის მანერა არამეცნიერული, არაკადემიურია.**

პ. რატიანს საფუძველი ჰქონდა ვეფხისტყაოსნის ავტორის ეპიკოპოსობის საკითხი დაესვა (ამ საკითხის დასმის საფუძველს იძლევა შოთას გვიანროდება „რუსთველი“), ხოლო შემდეგ გაეთვალისწინებინა რა ამ შესაძლებლობის გამომრიცხავი ფაქტორები (ასეთი ფაქტორები: 1. სახელი შოთა; 2. შოთას იკონოგრაფია; 3. ხალხური და ლიტერატურული ტრადიცია შოთას შესახებ და მის ერისკაცობაზე; 4. ვეფხისტყაოსნის ეპოქის-მინაარსობრივი მხარე; 5. შოთას მეპურპლუთუბუცესობა) უარყოფითად გადაეწყვიტა ის. მაგრამ პ. რატიანმა ვერ გაუძლო ცდუნებას წამოუყენებინა „ახალი თვალსაზრისი“ და აბრალებით შეება საქართველოს ისტორიის მის მიერ მანამდე უცვლელი პერიოდის ერთ-ერთ რთულ საკითხს. შარები ეპონომიერი იყო.

1 ს. ცაიშვილი, შოთა რუსთველი (ბიოგრაფიული ესკიზი), ქუთაისი, 1966, № 2, გვ. 137-143.

2 ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთველი და მისი პოეზია, 1966, გვ. 23-32.

3 შოთაშვილი, XII-XIII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ქუთაისი, 1965, № 3, გვ. 139-148.

4 მისივე: თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია ..., გვ. 64-74.

## კორნელი კეკელიძე და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები

ქართული ლიტერატურის ისტორიის, კერძოდ კი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, შესწავლაში აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ღვაწლი განუზომელია. მის სახელთან არის დაკავშირებული ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კერძის ჩამოყალიბება. ამ კერძში მრავალსაუკუნოვანი ძველი ქართული ლიტერატურა, მისი განვითარების ყველა ასპექტი შესწავლილი და, ბუნებრივია, რომ ამავე კერძში დიდი ადგილი აქვს დამოუკიდებელი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს.

მართლაც, არამც თუ ქართული ლიტერატურის, არამედ, საზოგადოდ, ქართული კულტურის სრულფასოვანი კვლევა შეუძლებელია ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის გაუთვალისწინებლად. შუა საუკუნეების საქართველოს არცერთ ქვეყანასთან არ ჰქონია ისეთი მჭიდრო კულტურული კავშირი და თანამშრომლობა, როგორც ბიზანტიასთან.

ბიზანტიის სახით საქართველოს საუკუნეების მანძილზე დაკავშირებული იყო მსოფლიოს კულტურისა და ლიტერატურის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრთან. ბიზანტია სათავეში ედგა ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერ ცხოვრებას, დიდხანს უსწრებდა წინ ევროპის კულტურულ განვითარებას და საგულისხმო როლი შეასრულა დასავლური რენესანსის მომზადებაში.

ქართული ლიტერატურა ჩამოყალიბდა, გაძლიერდა და მსოფლიოს ასპარეზზე გავიდა ბიზანტიურ ლიტერატურასთან მჭიდრო ურთიერთობაში. ქართველმა მწერლებმა მიზნად დაისახეს ამომწურავად ეთარგმნათ ბერძნულ ენაზე არსებული მთელი ქრისტიანული ლიტერატურა და თითქმის სრულყოფილად ეს ამოცანა,

მაგრამ ქართველები ბიზანტიურ კულტურას უოველთვის შემოქმედებითად ითვისებდნენ. ბიზანტიურ კულტურასთან მხოლოდ ამგვარი კრიტიკულ-შემოქმედებითი მიდგომა ვახდა საწინდარი იმისა, რომ იველმა საქართველომ შექმნა ორიგინალურ-ქართული მოვლენები -- ქართული ავთოგრაფია, ქართული ფრესკა და ქართული საგალობელი.

ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას ჰქონდა თავისი მეორე მხარეც. ქართული მწერლობის თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა უმდიდრეს ბიზანტიურ ლიტერატურაში. ამრიგად, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა ორმხრივი ლიტერატურული ურთიერთობის რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის უოველმხრივ შესწავლა აუცილებელია ქართული ლიტერატურის ისტორიისათვისაც და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვისაც. ამიტომ არის, რომ ბიზანტიოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის სერიალური მეცნიერული კვლეობა შეუძლებელია ქართული მასალის გაუთვალისწინებლად.

ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ პრობლემატიკის კვლევას მერწყველებად თვალსაჩინო ამავე დანდეს ნ. მარში, ილ. ცაგარელმა, ილ. ხიანაშვილმა, ივ. ჭავჭავაძემ, კ. კეკელიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა.

ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით.

კ. კეკელიძემ ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე მრავალი

კვთხით მუშაობდა: იყო ქართულ ხელნაწერებში ბიზანტიურიდან თარგმნილი ძეგლების გამომავლინებელი, აღმოჩენი, ამ ძეგლების გამომცემელი და მკვლევარი — ფილოლოგი, რომელიც აღგენდა ბერძნულ ორიგინალთან მაის მიმართებას და ნათესად ხდიდა უძველეს ქართული თარგმანების მნიშვნელობას როგორც ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, ისე ბიზანტიოლოგიისათვის.

ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემატიკაზე კ. კეკელიძის მეცნიერული მუშაობა რამდენიმე ასპექტით არის უარესად მნიშვნელოვანი:

1. კ. კეკელიძემ შეისწავლა, გამოავლინა და აღწერს ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი ბიზანტიური ლიტერატურის მთელი მემკვიდრეობა. ძალზე მნიშვნელოვანია კ. კეკელიძის გამოკვლევა „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, რომელიც პირველად 1927 წელს გამოქვეყნდა („ბილი. უნგ. მოამბე“, VIII, 1927), და რომელიც 1930—32 წლებში ითარგმნა და გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე. ამ შრომაში წარმოდგენილია (ანბანზე თანარგვით) უცხო ავტორები, რომელთა თხზულებების ქართული თარგმანები დღემდეა შემონახული, დასახელებულია ამ თხზულებათა შემდეგი ძველი ქართული ხელნაწერები და, ხშირ შემთხვევაში, მითითებულია ქართულ თარგმანთა ბერძნული დედნებიც. ეს გამოკვლევა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევართათვის დღესაც ერთადერთი საძიებლად რჩება, რომელზე დაყრდნობითაც იწყება ყოველი ახალი გამოკვლევა ამ დარგში. ამავე ტიპისა კ. კეკელიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ქართული ნათარგმნი ავტორთა“, რომელიც ნაწილების სახით გამოქვეყნდა 1921 წელს — „კომენტარი რედაქციას“ (კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, I) და 1947 წელს — „მეტაფრასული რედაქცია“ — თსუ შრომები, XIX ს). ამათგან პირველი ნაწილი 1955 წელს ითარგმნა გერმანულ ენაზე.

კ. კეკელიძემ ძველი ქართული ტექსტების გამოკვლევით მტკიცე საფუძველი შექმნა მთ მცნობრულ შესწავლას. ბევრი ძველი ქართული თარგმნილი თხზულება მეორედ დაიბადა ქართველი მეოთხეელისათვის კ. კეკელიძის პუბლიკაციის წყალობით. კ. კეკელიძის შრომარტყვან ნაშრომთა შორის ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი მონუმენტური ორტომეული „კონენი“ (ტ. I, 1918 წ., და ტ. II, 1946 წ.).

2. საყურადღებოა კ. კეკელიძის კვლევა-ძიება ბიზანტიურ მწერლობაში ქართული ლიტერატურიდან შესულ წიგნებზე. მეორეხარისხით საუკუნის დიდი ქართველი მწერლის გიორგი მთაწმიდელის ცნობა, რომ ეკეთიმე მთაწმიდელმა „ბალავარი“ და „აბუჯრა“ „და სხვანიცა

რაოდენიმე წერილი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად“,<sup>1</sup> ჩვენს მეცნიერებებში უმჯობესი შესწავლის საგანია. რედაქციის წარმომავლობის და ბერძნულ რედაქციისთან მიმართების საკითხში, ისე „აბუჯრას“<sup>2</sup> რაობის საკითხში უკანასკნელი სიტყვა თქმულია ავად. კ. კეკელიძის ნაშრომებში: „ბალავარის რაობის ქრისტიანული მწერლობაში“ („ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, VI, თბ., 1960, გვ. 41—71); „რომანი „აბუჯრა“ და მისი ორი რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში“ („ეტიუდები“ VI, გვ. 18—40).

კ. კეკელიძის მტკიცებით, „ბალავარის“ ჩვენამდე შემორჩენილი ორი რედაქციიდან უძველესია იერუსალიმური ნუსხა, რომელიც დაწერილია IX—X საუკუნის მიჯნაზე და მომდინარეობს არაბულ-ქრისტიანული რედაქციიდან. ეს უკანასკნელი თავის შხრივ ფლავიადან მომდინარე არაბული არაქრისტიანული რედაქციის ნიადაგზე უნდა იყოს შედგენილი. ეკეთიმე მთაწმიდელს სწორედ ეს ქართული („იერუსალიმური“) რედაქცია უთარგმნა ბერძნულ ენაზე. ეკეთიმეს თარგმნილი ბერძნული რედაქცია შემდგომში გაუმეტაფრასებიათ. ჩვენამდე მოღწეულია სწორედ ეს მეტაფრასული ბერძნული რედაქცია, რომელიც შესაძლებელია, სემეონ მეტაფრასტის ხელიდანაც იყოს გამოსული.

რაც შეეხება „აბუჯრას“ რაობას, ამ საკითხზე კ. კეკელიძემ გათხიარა პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომ „აბუჯრა“ უნდა იყოს ავტორგოფილი თხზულება „წამება წმიდისა მიქაელისი“.<sup>2</sup> რადგანაც ამ თხზულების მიხედვით მიქაელის წამების ამბავს საბაწმინდელ ბერებს მოუთხრობს თეოდორე აბუჯრა. მიქაელის წამების ამბავი პირველად ჩაუწერიათ არაბულ ენაზე, დაახლოებით მეცხრე საუკუნის პირველ თეულში. ამავე საუკუნის მიწერულში ამ არაბული რედაქციის მიხედვით შექმნილია ქართული რედაქცია „მიქაელის წამებისა“, ზოლი ქართული რედაქცია ამ ტექსტისა მათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეკეთიმე მთაწმელს გადაუღია ბერძნულ ენაზე.

ბიზანტიურ ლიტერატურაში ქართველ მოღვაწეთა წვლილის განათვალისწინებლად დღემდინელოვანია მისი გარემოება, რომ კ. კეკელიძის გამოვლენილი და შესწავლილი აქუს ეკეთიმე მთაწმელის მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულება „წესის... თუ ვითარ ჯერ-

<sup>1</sup> გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი ეფთვმესი, გამ. ივ. ჯავახიშვილის თბ., 1946, გვ. 15.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მწათობი“ № 9-10; 1939, გვ. 118



არს ცხოვრება... მარტოაქოფისაჲ („ქართული წიგნი ბიზანტიური ლიტერატურაში“, „ეტრუდები, III, 1955, გვ. 1—11). კ. კეკელიძის შტაკეებით, ექვთიმე მთაწმიდელის ასკეტობის კონცეფციის ჩანს, რომ „ქუზანისის იმ სიმბოლო, რომელზედაც ჩვენს ავტორს ეხედებოდა, არ ასული არცერთი წარმომადგენელი ბერძნულ-ბიზანტიური პრაქტიკისა“.<sup>1</sup>

კ. კეკელიძემ თავისი სიტყვა თქვა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში ქართული ავტორების გამოვლენის თაობაზე. მან მეცნიერულად დასაბუთა ევაგრე პონტოელის ერთ-ერთი წარმომავალი ქართული ბიზანტიის თეორია (მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე; „ეტრუდები“, VI, გვ. 5-17). ამ თეორიის თანახმად, IV საუკუნის ცნობილი მისტიკოსი მწერალი ევაგრე ერთგნობით იბერიელი უნდა იყოს. ამის დასამტკიცებლად კ. კეკელიძემ მოიხილა ევაგრეს მოწოდება პალადი ელენეზოელის შრომის „ლავსაკონის“ ერთი ცნობა, რომელშიაც იკითხება, რომ ევაგრე პონტოდან, კერძოდ იბერიელთა ქალაქიდან იყო.

3. კ. კეკელიძის ნაშრომებმა საშუალებას გაძლევს წარმოადგინა ვიჭონით ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობაზე ბიზანტიოლოგიაში.

ბიზანტიური ლიტერატურის სრული მოცულობით შესწავლა, თითოეული თხზულების თავდაპირველი სახის დიდგენა, შემდგომ ჩამოყალიბებული რედაქციების გვეცა ბიზანტიური ფილოლოგიის უბირველესი ამოცანაა. სწორედ ამ ეუთხით შეუძლია ძველ ქართულ ლიტერატურას ბიზანტიური ფილოლოგიისათვის განუზომელი სამსახურის გაწევა.

კ. კეკელიძემ გამოავლინა ქართული თარგმანები, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულა:

1920 წელს მან გამოსცა ძველი ქართული თარგმანი — „თარგმანებაჲ ეკლესიასტრიაჲ“ რომლის ავტორის IX საუკუნის ბიზანტიელი მწერალი, არისტოტელიანელი მიტროფანე სპირნელი ეპისკოპოსი („თარგმანებაჲ ეკლესიასტრიაჲ“ მიტროფანე სპირნელისა, 1920). ეს თხზულება ძალზე საინტერესოა, რამდენადაც „ეკლესიასტრია“ მიზლიურ წიგნთა შორის უველაზე მეტად ფილოსოფიურია და მისი კომენტარება თეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ძველი ფასეული ავტორის კოსმოლოგიურ-ასტრონომიული შეხედულებებით, მისი

ანთროპოლოგიით, ესქატოლოგიითა და თეოლოგიით. ამ ძველის ქართული თარგმანის შესწავლაზელი პეტროვის სალიტერატურული მუშაულობა XI—XII საუკუნეებში. მიტროფანეს თხზულების შესახებ არავითარი ცნობა არ იყო შენახული ბერძნულ მწერლობაში. ამდენად, მისი ქართული თარგმანის აღმოჩენა ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვან ხარვეზს ავსებს.

ძალზე საინტერესოა ის მასალა, რომელსაც ბიზანტიის პიპროგრაფიულ-ლიტერატურულ მწერლობას ამდევს ქართული თარგმანები. ამ დარგში მეცნიერება დანიტერესებულა იმ წიგნის ჩასახვისა და განვითარების ისტორიით, რომელსაც „ტიპოკონი“ ეწოდება. ეს წიგნი თავდაპირველი სახით იერუსალიმში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი კვალი პირველი ათი საუკუნის მანძილზე არსებობს მხოლოდ ფრაგმენტული ცნობების სახით, რომელიც VI საუკუნის პილიგორის სიღვია აქტივანელს გუთონის, ქართულად კი კ. კეკელიძემ გამოავლინა და გამოსცა ამ წიგნის სრული სახე მეშვიდე საუკუნის რედაქციით, იგი გადმოთარგმნილია ქართულ ენაზე VIII საუკუნის შუა წლებში და სახელად ეწოდება „იერუსალიმის განწინება“ („Нерусалимский Кононаръ“ VII века, 1912).

პილიგორი ლიტერატურის დარგში, კ. კეკელიძის მითითებით, ძველ ქართულ მწერლობას შემოუნახავს ბიზანტიოლოგიისათვის ორიოდე უცნობი ძეგლი:

ესქატოლოგიის ანტიკათოლიკური თხზულება „მოსაკნებელი შემოკლებული, თუ ოდეს პიპრონი და ეკლესიასტრია მათი რაგასათუ საღმრთოთა აღმოსავლესა ეკლესიასათგან განიჭრეს“<sup>1</sup> რომელიც იმპერატორ იუსტინიანე დიდს (527—565 წწ.) მიეწერება. ეს უცანასკნელი თხზულება კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა კლდე.<sup>2</sup>

კ. კეკელიძემ გამოავლინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ერთი ძალზე საინტერესო კანონიკური ძეგლი, რომლის ბერძნული დედანიც დაკარგულია: „კანონი მეექვსე კართაგენა შინა შეკრებულთა ორას ათმუდმეტთა მამათაჲ“ („ერთი უცნობი კანონიკური კრებული ძველ ქართულ მწერლობაში“. „ეტრუდები“, IX, 1963, გვ. 5—122). ეს თხზულება, რომლის ავტორი უცნობია, ქართულად პეტრიწონელ სტილით არის ნათარგმნი.

ამ თვალსაზრისით უღრესად მნიშვნელოვანია ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურა, აქ შემონახულია შრავალი ისეთი ძეგლი, რომელიც დედნებზე დაკარგულია. ამ ტიპის კომენტარული ძეგლები, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ეტრუდები, III, გვ. 10.

<sup>2</sup> რომ ევაგრე პონტოელი ქართველია, ამზე უფრო ადრე, მაგრამ ისე, რომ მეცნიერულად არ დასაბუთებია, მითითა მ. თარხნიშვილმა („Revue de Korthvelologie“, 32-33, 1959, გვ. 24).

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 486.

<sup>2</sup> „კომენტი“, ტ. II, გვ. 67-71.



ენაზე კ. კეკელიძის მიერ ორ ტომად არის გამოცემული. მათი დედნები (ბერძნული, არაბული თუ სხვა ენაზე არსებული) სამიგებელია. კ. კეკელიძის მიერ გამოცემულია უკვე ბევრი აგიოგრაფიული ძეგლი, რომელთა ბერძნული დედნები ამჟამად დაკარგულად ითვლება. ესენია: „ტიმოთე ანტიოქელის ცხოვრება“ („ტიმოთე ანტიოქელი“, „ეტიუდები“, VI, გვ. 276—413), „იოანე ურპაელის ცხოვრება“ („ეტიუდები“ VII 1961, გვ. 102—135), აგათანგელე დამასკელის ცხოვრება“ (VII, გვ. 224—247) და „იოანე დამასკელის ცხოვრება“ („ეტიუდები“, VII, გვ. 136—176). ეს „ცხოვრებანი“ თავდაპირველად არაბულად დაუწერია მიქელ შავშითელს, მაგრამ უმალვე უთარგმნია ბერძნულად სამხედრო აღწერელს. ასევე ძალზე საინტერესოა „პეტრე კაპეტოლელის ცხოვრება“, რომელიც ქართული ხელნაწერით იოანე დამასკელის მიწერება („ეტიუდები“ VII, გვ. 177—222). აქვე უნდა აღინიშნოს არაბული ენიდან თარგმნილი „წამება წმიდისა რომანოზ ახლისა მოწამისა“, რომლის ავტორია სტეფანე მანსური, დამასკელი, საბაწმიდელი („ეტიუდები“ VII, გვ. 35—75). ქართულ ენაზე წემონახებულია აგრეთვე, სტეფანე იერაპოლელის აგიოგრაფიული ოხხულეება „მარტილობა გულანდუბტ სპარსისა“, რომელიც ქართული რედაქციის მიგნებამდე დაკარგულად ითვლებოდა („ეტიუდები“, III, გვ. 197—249). ბიზანტიოლოგიისათვის ბევრ უფრომ ძველს მიაგნო ავადემიოსს კ. კეკელიძემ იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ კრებულში. ესენია: იოსებ სკევოფილაქის აგიოგრაფიული ოხხულეება. იგი ქართულ რედაქციის ში ასეა დასათარგმნელი: „იოსებ მონაზონისა ჭურჭელთმცველისა — ცხოვრებისა მიმართ და საკურნულეობათა დარსისა შამისა ჩუენისა იოანის, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღვარქმნილისათა“ („ეტიუდები“, VIII, 1962, გვ. 244—250); „ეესტოქის მარტილობის“ მეტაფრასული ტექსტი („ახალი ვარიანტი ეესტოქის მარტილობისა“, „ეტიუდები“, VI, გვ. 148—159); „დიოს კონსტანტინოპოლელის ცხოვრება“ („ეტიუდები“ VI, გვ. 160—186); „სტაბონისა და შვიდი იტალიელი მხედრის მარტილობა“, რომლის სრული რედაქცია ბერძნულად არ შემონახულია („ეტიუდები“, VI, გვ. 187—211); „ორენტიოსისა და მისთა მამათა მარტილობა“ („ეტიუდები“, IV, 1957, გვ. 293—324); „ფლოთიოსის მარტილობა“, რომლის ფრაგმენტები მხოლოდ და მხოლოდ კობეტრ ენაზეა დატული („ეტიუდები“, VI, გვ. 81—102). დაბოლოს, კ. კეკელიძემ აღმოაჩინა ქართულ თარგმანებში შემონახული და ბერძნულ ენაზე დაკარგულად მინიჭული მეტაფრასული რედაქციის საკითხავების მთლიანი კორპუსი. ყურბოდ, მთელი შვიდი თვის—თებერვალ—აგვისტოს—მეტაფრასული მძალა, რომელიც იოანე ქსიფი-

ლინოსს გაუმეტაფრასებია. ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა ქართულად უთარგმნელი X II საუკუნეში, კ. კეკელიძის ვარაუდით, დამტკიცებულია I-ის დროს პეტრიწიურული სალიტურგიათა სკოლის მოღვაწეებში. იოანე ქსიფილინოსის კრებულადან, ვარდა ზემოთ აღმასახლებული ოხხულეებისა, კ. კეკელიძე სპეციალურად შეიწერდა კიდევ რამდენიმე მათგანზე, ეპიტოქიანოსის აღწერილი „თეოფილე ეკონომის ცხოვრებაზე“ („ეტიუდები“, VI, გვ. 256—275) და „წამება ევფესეჟი კაბადოკიელისაზე“ („ეტიუდები“, VI, გვ. 251—255).

კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტურატივის ისტორიაში გამოვლენილი ჰყავს ისეთი ბიზანტიელი მწერლები, რომელთა ხსენებაც კარგა ჩანს ბერძნულ მწერლობაში. მავალითად, მისტიკოსი მწერლები: სტეფანე მოვარი, პიმენი, საპატი, რომელთა შრომები ძველ ქართულ მწერლობაში X საუკუნემდე უთარგმნიათ. მნიშვნელოვანია ჰომილუტიკურა ოხხულეებზე რამდენიმე ბიზანტიელი ავტორისა, რომელთა სახელებსაც პირველად ქართული თარგმანით ეცნობა დღევანდელი ფილოლოგიური მეცნიერება. ესენია: ტიმოთე იერუსალიმელი, პეტრე იერუსალიმელი, ივლიანე ტაბიელი, თეოდულე და ალექსანდრე კვიპრიელი. მათი ოხხულეები ქართულ ენაზე მერვე საუკუნემდე უთარგმნიათ.2 დასახელებულ მწერალთა ოხხულეებზეთაგან პეტრე იერუსალიმელის ჰომილია „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა“ კ. კეკელიძის სპეციალური შესწავლის საგანი გახდა („ეტიუდები“, VI, გვ. 226—281).

ძველი ქართული მოღვაწეების მიერ თარგმნილი ლიტურატიული ძეგლებს უმრავლესობა ბერძნული დედნები დღეისათვის შენახულია. მაგრამ ქართული ვერსიები ბიზანტიოლოგიისათვის მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. ქართული თარგმანების მნიშვნელობას უზარველესად ის უძველეს საფუძვლად, რომ ქართულ ვერსია ზმობად უფრო ძნელაა, ვიდრე ამ ოხხულეების დღემდე შემონახული ბერძნული ხელნაწერები. ესეც რომ არ იყოს, ქართულ თარგმანი თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს დამოუკიდებელ რედაქციულ სახეს და, ამდენად, მირი გაუთვალისწინებლობა ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონეზე ყოველად მოუტევებელია. ამ მხრივ საინტერესოა კ. კეკელიძის მიერ შესწავლილი ძეგლები: „იოანის ეულიშვილის მარტილობა“ („ეტიუდები“, VIII, გვ. 56—70), „მარტილობა სერგისა და ბაქოზის“ („ეტიუდები“, VIII, გვ. 71—93), „გურბას, სამონასა და აბიბოსის მარტილობა“

1 კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტურატივაში; ეტიუდები, III, გვ. 5, 2 იქვე.

„ვერუღები“, VIII გვ. 94—131), „ცხოვრება დიდემოსასა და თეოდორასი“ („ვერუღები“, VI, გვ. 212—225), „ქრისტინეს მარტილობა“ („ვერუღები“, III, გვ. 178—195), „მარტილობა ქრისტეფორე კინოკეფალისა“ („ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ისტორიიდან“; ხელნაწერთა ინსტიტუტის შიამზე, I, 1959, გვ. 21—50).

ძველი ქართული მწერლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ბიზანტიოლოგიისათვის ამ თვალსაზრისით, რომ მასში შემონახულია ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები ბიზანტიულ ავტორებზე. ამ კუთხით ქართული ლიტერატურა ნაკლებად არის შესწავლილი. უოველი ცალკეული დაკვირვება, რომელიც ამ მიმართულებით მოუხდენიათ ქართულ მწერლობაზე, მდიდარ მასალას იძლევა. ამგვარ დაკვირვებათაგან, უპირველესად აღსანიშნავია ძველი ქართული მწერლობის ცნობები მაქსიმე აღმსარებელზე, ძირითად გამოავლინა და შეისწავლა კ. კეკელიძემ («Сведения грузинских источников о Максиме исповеднике») („ვერუღები“, VII, გვ. 14—59).

კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და გამოაქვეყნა XI საუკუნის ქართველი მწერლის ეფრემ მცირის ორიგინალური თხზულება „მოასახსენებელი მცირე სუმეონისათვის ლოღოთეტისა და თბრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხათა თარგმანისათა“, კ. კეკელიძემ სწორედ ამ საკითხავის პირველ ნაწილზე დაყრდნობით შეავსო ახალი ცნობებით სვიმეონის ცხოვრებინა და მოღვაწეობის ისტორია. კერძოდ, ქართული წყაროებით საბოლოოდ დამტკიცდა, რომ სვიმეონმა სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 982 წელს და ვაამეტაფრასა ხუთი თვის აგოგრაფიული საკითხავები: სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დე-

კემბრის და იანვრის თვეთა წმინდანების ცხოვრება-მარტილობა.

1912 წელს კ. კეკელიძემ ცელაოსის მწერანქებრებში იპოვა ბერძნული ენიდან XIII საუკუნეში ქართულად თარგმნილი დოკუმენტი, რომელიც სრული სახით მიმოიხილავდა კიმენურა საკითხავებზე გამეტაფრასების ისტორიას. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ სვიმეონ ლოღოთეტის შემოაბა იოანე ქსიფილინოსს გავტარებულა. კერძოდ, მას გაუმეტაფრასებია დანარჩენი შეიდი თვის მასალა: თებერვალი — აგვისტო, ლიტერატურულ მოღვაწეობას კი იგი 1081 წელს. შესდგომია. ეს ცნობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიოსათათვის და ამიტომაც მას თავის დროზე ერთგვარი სენსაციაც კი მოჰყვა დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებში. ყველაზე საყურადღებო კი მიიჩნეა ვახტანგ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ მწერლობაში მთლიანი სახით აღმოჩნდა შენახული ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა და ეს მაშინ, როდესაც იგი ბერძნულ ენაზე აღარსად ჩანს.

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ კორნელი კეკელიძის მიერ დასმული და გადაწყვეტილი საკითხების მნიშვნელობა ცდნება ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის დარგს. ამ პრობლემათკას სამართლიანად უჭირავს სათანადო ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უფრო მეტიც: შეუძლებელია ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის თანამედროვეობის დონის შესაბამისი მეცნიერული ისტორიის შექმნა, თუ შიგ ვათვალისწინებულნი არ იქნება მთელი ის მასალა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობისა, რომელიც დაამუშავა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ.

## სმოგაპი მისსურ ხალსურ სიმღერაგე

დღემდე მესხური ხალხური მუსიკალური კულტურა მეცნიერული შესწავლის საგანი არ გამხდარა, რადგან აქამდე საკმაოდ არ მოგვეპოვებოდა მუსიკალური მასალა სამეცნიერო ძიებისათვის. მკითრერიცხოვანია, აგრეთვე, არსებული ცნობები მესხური ხალხური მუსიკის შესახებ, ისიც ზოგადი, აღწერითი ხასიათისაა და არ გვაძლევს შესწავლა-განზოგადების საფუძველს.

მესხური სიმღერების შეგროვებისა და გადარჩენის პირველი ცდები გვეთვნის ამ ეუთის მკვიდრს, მკვლევარ ივანე გვარამაძეს (1831—1912), რომელიც ცნობილია „ეინმე მესხის“ ფსევდონიმით. ი. გვარამაძე იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული პირივნება ყოფილა. იგი მღვდლად მუშაობდა სოფ. ზიზაბერასა და ახალციხეში. ზიზაბერასა და მის ახლო მდებარე სოფლებში გვარამაძე დიდი გულმოდგინებით აგროვებდა მესხური ხალხური ზემპრისიტყვიერების ნიმუშებს, ეთნოგრაფიულ მასალებს<sup>1</sup>.

ი. გვარამაძემ, სხვა მასალებთან ერთად, ბევრი „ლექს-სიმღერა“ (სახიმღერო ტექსტები) ჩაიწერა, მათ შორის სუფრულები, რომლებიც თავისი შეხედულებისამებრ დახარისხა, დაურთოა ზოგიერთი „გამარტება“, რითაც დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა. მაგრამ, სამწუხაროდ, ი. გვარამაძე პროფესიონალი მუსიკოსი არ იყო და სიმღერების ნოტებით ჩაწერა არ შეეძლო.

ი. გვარამაძე, როგორც მისი ზელნაწერე-

ბიდან ჩანს, განსაკუთრებით გრძნობდა მესხური ხალხური სიმღერების სრული დაკარგვის რეალურ საშიშროებას, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ყოველ ღონეს ხმარობდა მათ გადასარჩენად, რისთვისაც რამდენიმეჯერ შეადგინა „ლექს-სიმღერების“ კრებული. ი. გვარამაძეს ზემპრისიტყვიერების ნიმუშები გაუგზავნია აკაკი წერეთლისა, რაფიელ ერისთავისა და იონა მეუნარგვიასთვის, რომლებთანაც, როგორც მისი ზელნაწერებიდან ჩანს, მიწერ-მიწერა და ახლო ურთიერთობაც ჰქონია; ვაზეთებში დაუბეჭდაც, აგრეთვე, მესხური ზემპრისიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, წერილი. ერთ-ერთი კრებული, რომელსაც უწოდა „მესხეთში ზმარებული საინალიში“ (სუფრულები) 1884 წ. გაუგზავნია იონა მეუნარგვიასთვის, სათანადო წერილიც დაურთავეს, სადაც მათი დაბეჭდვის იმედსაც გამოთქვამდა, რათა „ნოტებზე გაწყობამდის ადვილად შეეძლოთ მოსწავლე ყრმათ გარმონიების გარჩევა...“ სამწუხაროდ, კრებულა არ დაბეჭდილა. როგორც ჩანს, ი. მეუნარგვის იგი პ. უმიკაშვილისათვის გადაუცია.<sup>2</sup> კრებულში 24 საზეთის, ან, როგორც იგი უწოდებდა, „24 ჰარმონიის ლექს-სიმღერები“ იყო<sup>2</sup>.

ერთ-ერთ ცნობაში რომელსაც გვაწვდის ი. გვარამაძე, აღნიშნულია, თუ რა დიდი ყურადღება მიუქცევია და საუყუეთესო შეფასება მიუცია მესხური სიმღერებისათვის (უფრო სწორად, „სუფრულებისათვის“) გამოჩენილ

1 ი. გვარამაძის მიერ შეგროვილი ფოლკლორული მასალა ზელნაწერების სახით დაცულია ქ. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ნაწილობრივ თბილისში, ზელნაწერთა ინსტიტუტში და საქ. სსრ მეცნიერებთა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ჭარბული ლიტერატურის ინსტიტუტში.

1 ი. გვარამაძის („ეინმე მესხის“) მიერ შეგროვებული მასალების ნაწილი დაბეჭდილია: „ძველ საქართველოში“ (ს. უაუხნიშვილის რედაქციით), პეტრე უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ (თბ. 1964).

2 ვალერიან მაიაბერიძე, „ეინმე მესხის“ ფოლკლორისტული მოღვაწეობა“.



ქართულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს რაფიელ ერისთავს. ამასთან, მსოფიან მწერალს ეურადღება ვაუმხებელია მესხური სიმღერების დაკარგვის რეალური საშიშროებისადმი და არაა სინანულივ გამართლებად ამის თაობაზე. აი რას ვთხოვლობთ აღნიშნულ ცნობაში:

„ამას წინათ საცდელად მე ვთქვი რამდენიმე სუფრულები სხვადასხვა კილოზე ჩვენს დიდად პატივსმულ მსოფიან პოეტს თ. რაფიელ ერისთავთან, რომელსაც დაახლოებით კარგად შეეჩვეულია აქვს საქართველოს და საიმერეთოს მხარეების ცხოვრება და მიიხრა აღარასდ აღარ მოიძევა მგნაირი კილოებით. ძლიერ კარგი იქმნება, რომ ვინმე მადლიანი პირი მაგათ თვითველად ნოტებზედ ვარდალებინებდეს, თვარემ დაკარგებიან უგზოუკლოდ და მერამე სინანული აღარას გვარგაიო, აგრე დაუდევრობით დაგვკარგვია ბევრი რამ ჩვენის ცხოვრების დიდად გამოსადეგი სასიკეთო საგნებო“.<sup>2</sup>

შემდეგ ი. გვარამაძე დასძენს: „მართლაც რომ დღითი დღე ივიწყება არა მარტო სუფრულების სასიამოვნო კილოები, იგივე სუფრულების სტრუქტურები, ოთხის მაგიერ სამი სტრუქტურა დარჩენილი, ან ორი და ან ერთი, მოხუცებულნი კარგ მცოდნენი იხოცებიან, მაგან ნასწავლნი მის შემდეგთ ავიწყდებათ თვითო ოროლი სტრუქტონი, ზოგნი ასხვაფერებენ ზოგნიც ერთიან ივიწყებენ. ეს კი არის კარგი, რომ ის დაკლებული სტრუქტურები სხვადასხვა სოფლის პირებში მოიძებნა. ასრე მე ზიზაბაერას დაკლებული ლექსი ან სტრუქტონი საროს გავიგონე და მათში დაკლებული ახალციხეში ვაკონილებსისაგან შევაკეს“.<sup>3</sup>

ი. გვარამაძე თავის ხელნაწერებში ახსენებს სუფრული სიმღერების „24 ნაირს კილოს“, იგი აღნიშნავს: „იგერ ამისთანა მტკიცე ხასიათისა და გვარის მოყვარულს ხალხში“ დარჩენილია (ხაზი ჩვენი, ვ. მ.) მესხური სუფრულები, შემჯული, გამწვენიერებული 24 ნაირს კილოებითა საუცხოო, რომელთა ბადალი საქართველო-საიმერეთოში არსად არა მგონია რომ იყოს კიდევ დარჩენილი...“<sup>4</sup> სხვაგან წერს: „აირიან მოხუცები, რომელთაც 24

ნაირი და უფრო მეტი ხმებიც იციან ამ სანადიმო სიმღერებისა“.

როგორც ჩანს, ი. გვარამაძე „ნაირს კილოში“ გულისხმობს 24 სხვადასხვა მელიოდის, მაგრამ ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორ იყო ეს მელიოდები, რადგან არა გვაქვს მათი სანოტო ჩანაწერები.

აღნიშნული „24 ნაირი კილო“, თუკი ეს 24 ქართული მელიოდია იყო, ნამდვილად დიდ მონაბოგრად ჩაითვლებოდა, მათი სანოტო ნიმუშები რომ გვეჩოროდა... მითუმეტეს, რომ მათი მიგნება, როგორც გვარამაძის ჩანაწერებიდან ჩანს, მის დროსვე ძნელი ყოფილა და მათი ტექსტების შეესება-აღგენაც მას სხვა სოფლების მცხოვრებთა მოგონებების საფუძველზე მოუხდენია.

ი. გვარამაძე წერს: „დღეს სუფრული სიმღერების დიდი ნაწილი მხოლოდ (ხაზი ჩვენი, ვ. მ.) ს. ზიზაბაერის კათოლიკე მცხოვრებლებში და მითენილა შეურყვევლად, რადგან თავიანთ შამა-პაპურს ჩვეულებამედ მებრედ მტკიცენი არიან და საყვარელად მზიარულნი, მწნეობით, მამაციობით და გამპრიახობითაც სახელგანთნი. მაგრამ მუსიკალური თვალსაზრისით, სახელდობრ, რომელ მელიოდებზეა ლაპარაკი? რა „დაშთენილა შეურყვევლად“? რა სახით? აი კითხვები, რომლებზეც პასუხს გვარამაძე, სააწუხაროდ, არ გვაძლევს.

შემდეგ ი. გვარამაძე აღნიშნავს: „ამ 25 წლის წინათ მრავალნი იყვნენ ზიზაბაერას მცოდნენი კარგის სუფრულისა როგორც: ლეკოთ პავლე! შამუკათ პეტრე, ეფრემი, ველიოქანათ პავლე, სიმონი, დათათ იაკობი, მამშიანთ იაკობი, მამათ ბერნარდე, ხუციანთ სიმონი და სხვანი. ესენი რომ იწყომდნენ ქორწილნათლობებში, ვაღმა-გამოღმა სუფრულებს ტუბილი ხმით, აღტაცებაში მოლიოდნენ მსმენელნი. ამათში შესანიშნავი იყო ბევრი რამის ცოდნით სუფრულებისა და შიარების ლეკოთ პავლე, 80 წლის იყო. ბრალი რომ ბევრი შიარები და სიმღერები დავიწყებოდა: ისეთი ზარიეთი ხმა ჰქონდა, რომ ზიზაბაერას რა სიმღერასაც შემოსამბებდა თურმე ს. საროს ჩილიოდა 2-3 ექვსზედ ვარკვეით მისი ხმა, დიდი და პატარა, ქალით კაცამდის ფეხზედ დადგებოდნენ... მე ვისარგებლე მისგან უფრო თითო-ოროლაც სხვებისაგან და ეფრემ მამუაშვილისაგან, მაგრამ სულ ცოტა. ყველა ვერ შევარგოვ დროს უქონლობის გამო, რადგან 3-ის წლის განმავლობაში საშვიერ ვადმომიწვიეს მღვდლად ახალციხეს“.

ი. გვარამაძე ისევ არ ასახელებს ზუსტად, სახელდობრ, რომელ სუფრულებზეა ლაპარაკი, და არც გვატყობინებს როგორ სრულდებოდა ეს სუფრულები: ვუნდურად? უნისონში? ორ თუ სამ ხმაზე და ა. შ. ამასთან იგი ხმების შერწყმულ (გუნდურ) შესრულებას კი არ

1 კონკრეტულად რომელ სუფრულებზეა ლაპარაკი, სააწუხაროდ, ი. გვარამაძე არ გვაძლევს.

2 ივანე გვარამაძე („ვიწმე მესხი“), 19/VI. 1894 წ. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, № 247.

3 იქვე.

4 ლაპარაკია სოდ. ზიზაბაერის მცხოვრებლებზე.

5 „მესხების ქართული სუფრულების შესახებ“, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, № 247;

აღწერს, არამედ ცალკეულ მომღერლებს: „ესენი რომ იწყობდნენ... სუფრულებს ტკბილი ხმით.“

ამ შემთხვევაში ჩვენ ვრცლად არ შევხებით მესხური სიმღერების მრავალხმიანობას და სიაკეთს, რადგან იგი შემდგომ შეწინააღმდეგება და გამოკვლევას მოითხოვს, მაგრამ არაღმდეგად ი. გვარამაძე ხაზს უსვამს ცალკეულ შემსრულებლებს და არაფერს ამბობს ამ სიმღერების შესრულების ხასიათზე (ერთ ან მრავალხმიანობაზე), ვაუგებათი ხდება ეს სიმღერები ერთ ხმაზე, ერთი შემსრულებლების მიერ სრულდებოდა, გუნდურად-უნისონში, გუნდურად ორ ან სამ ხმაზე, დამწყობის ან სოლისტიკის მონაწილეობით თუ როგორ?

ხმების აღწერა ნათელს მოჰფენდა მესხურ მრავალხმიანობას.

ეს საკითხები მნიშვნელოვნად მიგვაჩინა, რადგანადაც დღემდე გაბატონებულია აზრი, რომ მესხური სიმღერები ერთხმიანია. თვით მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობა მესხურ სიმღერებს ერთხმიან სიმღერებად თვლის. ამჟამად აზრისა პრაქტიკ. გრ. ჩხიკვაძეც. იგი „ქართული ხალხური სიმღერის“ I ტომის შესავალში აღნიშნავს: „...მესხური ხალხური მუსიკალური შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ერთხმიანობა — ცალკე სიმღერა და უნისონური გუნდი. მესხებს, ზოგიერთი ხალხური მომღერლის ცნობით, ჰქონიათ აგრეთვე ორ ხმიანი სიმღერები, უმთავრესად სუფრულები. სამწუხაროდ, ვერ მოგვიხდა მათი ჩაწერა, რადგან ორ ხმიან სიმღერებს ხალხი ახარ მღერის და ახსოვთ მხოლოდ მისი სტრუქტურა — სოლო მომღერალი გუნდის თანხლებით, რომელიც გაკომპოზებულია ბანს წარმოადგენს.“

აქ ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გატარებული: თუ კი „...მესხებს, ზოგიერთი ხალხური მომღერლის ცნობით, ჰქონიათ ორ ხმიანი სიმღერები“ (ხაზი ჩვენია, ვ. შ.) და „...ორ ხმიან სიმღერებს ხალხი ახარ მღერის და ახსოვთ მხოლოდ მისი სტრუქტურა — სოლო მომღერალი გუნდის თანხლებით, რომელიც გაკომპოზებულია ბანს წარმოადგენს“, მაშინ როგორღა „მესხურ ხალხური მუსიკალური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ერთხმიანობა...“?

თუ დღევანდელ მესხეთში თითო-ორი სიმღერის მხოლოდ ოსტატის მიხედვით მხოლოდ ერთი ხმით ან ორ ხმით ეს სიმღერა და, რასაკვირველია, ვერ უწყობენ ხმებს და ამიტომ ეს სიმღერა ერთხმიანად ქდება, ეს ჩერ კიდევ არ ნიშნავს რომ ადრე ეს სიმღერა აუცილებლად ერთხმიანი იყო და, მიუთმეტეს, როგორც თვითონ გ. ჩხიკვაძე აღნიშნავს, „ნაკლებ ვიცნობთ მესხურ მუსიკალურ ფოლკლორს, რაც მეტად

სამწუხაროა...“ და მის მიერ მასალაზე დაყრდნობაც არ იძლევა საფუძველს იმის მტკიცებისათვის, რომ „მესხური სიმღერის მუსიკალური შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ერთხმიანობა“.

ამჟერად ვრცლად ვერ შევხებით მესხური სიმღერების მრავალხმიანობის საკითხს, რადგან იგი შესწავლის პროცესშია, იმას კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ შეგროვებულ დიდი მასალის ანალიზი, ბევრი მესხური სიმღერის (განსაკუთრებით სუფრულებისა და ფერხულების) მელოდიების ტიპები და პარალელურ ქართულ სიმღერებთან მათი შედარება-საშეადრება გვაძლევს დასკვნას, რომ თანამედროვე მესხური სიმღერები იმისე თვისებებს მრავალხმიანობის იყოს, როგორც სხვა ქართული მუსიკალური დიალექტების მრავალხმიანი სიმღერები. ვფიქრობთ, ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც ანალიზს გაუკეთებს მესხურ მელოდიებს (მაგ., სუფრულს, ფერხულს) და მათ სხვა ქართულ, პარალელურ მრავალხმიანი სიმღერების ფუნქციონალურ მონათესავე ხმებთან შეადარებს. ჩვენი აზრით მესხური სიმღერების ერთხმიანობა, პრაქტიკ. ჩხიკვაძის მსჯელობა პირობითია და, ამ პირობების ისტორიულ ასპექტში თუ განიხილავთ, არ არის გასაზიარებელი.

მაშ როგორი იყო ი. გვარამაძის დროს მესხური სიმღერები? მოუსმენია ი. გვარამაძეს მესხური სიმღერები მრავალხმიანი შესრულებით? ი. გვარამაძის ჩანაწერები ამ კითხვებზე ნათელ პასუხს არ იძლევა.

ი. გვარამაძე, როგორც ვიცით, მღვდელი იყო. თვითონაც კარგად მღეროდა სუფრულს. ზ. ჭიჭინაძე ასე ახასიათებს „ვიწმე მესხს“: „თითქმის ქართული ძველი სიმღერების ხმებიც კი ისე კარგად იცის, რომ მესხეთსა და ჯავახეთში ქართველთ შორის, ძველად თუ დღეს არ ყოფილა ისეთი სასიმღერო ხმა და ყოლოდ რომ ის გვარამაძემ კარგად არ იცოდეს...“<sup>1</sup> თუ დავყრდნობით ამ ცნობას, უნდა ვიფიქროთ, რომ გვარამაძე ვერცოდა მრავალხმიან მუსიკაში, მიუთმეტეს, რომ იგი კათოლიკურ ეკლესიაში მსახურობდა, სადაც მრავალხმიან საგლობლებსაც გალობენ, ამიტომ, არ შეიძლება გამოპიარვოდა ხალხური სიმღერების მრავალხმიანობაც. იგი, პართალია, ახსენებს „შებანებს“, მაგრამ, რას გულისხმობდა ტერმინ „შებანებაში“? ბანის დამოუკიდებელ ფუნქციას თუ დამწყობთან დაბალი ხმების უნისონურად გუნდურ აყვას (ზოგჯერ ასე განმარტავენ მესხები „შებანებს“ დღესაც)?

1 ზ. ჭიჭინაძე, „ქართულ კათოლიკეთ მოღვაწე“, გვ. 40.



თუ დავუშვებთ, რომ ხიზაბერაში მოსმენილი სუფრულები ერთმანეთს იყო, ხიზაბერის მეზობლად მდებარე სოფელი საროში, ამ სოფლის მკვიდრთა გადმოცემით, 1918 წლამდე სუფრულებს სამ ხმაზე მღეროდნენ. და ამ შეიძლება ი. გვარამაძეს ამისათვის უძრადლება არ მიეცია. ი. გვარამაძე კი საროში მოსმენილ სიმღერებს არ ახსენებს, მაგრამ მას სიმღერები იქაც რომ მოესმენია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იგი წერს: „მე ხიზაბერას დაკლებული ლექსი ან სტრიქონი საროს ვაფიქონე და მათში დაკლებული ახალციხეში გავგონილებისაგან შევიესეო“! სადაც, მარტო საროელთა კი არა, მესხეთის სხვა სოფლების მოხუცთა გადმოცემებითაც, ბევრი სუფრულები იყოდნენ.

მესხური ხალხური სიმღერების შესახებ გვარამაძის ცნობებს უფრო ზოგადი, აღწერილობითი ხასიათი აქვს. ეს ცნობები უშუალოდ მუსიკალურ მასალას არ ეხება. ზოგიერთი ცნობა სიმღერების შესრულებაზე, განმარტებებს და აღწერებს მუსიკალურ-პროფესიული თვალსაზრისით, სრული არ არის. თვით სასიმღერო ლექსებიც ზოგჯერ არ არის ზუსტი, რადგან ნაუღელსასიმღერო ტექსტებს ი. გვარამაძე ზშირად თავისი შეხედულებისამებრ „აწმურებდა“, „ავსებდა“, ზოგ შემთხვევაში საკუთარი ტექსტიც შექმნიდა ლექსის „შევსება-დასრულებს“ მიზნით, რასაც თვითონვე აღნიშნავს.

ი. გვარამაძის მიერ ხმარებული ტერმინებიც: „პარმონიები“, „კილოები“, „ხმები“ და „ზუსტებას“ მოითხოვს.

ი. გვარამაძეს გამოირჩა, აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, მრავალხმიანობის სამპირული გუნდური შესრულების, სუფრული სიმღერების თანმიმდევრობის მეტად თვითმყოფადი წესი, რაც ამ ბოლო დროს გამოირყვა და ფრიალ საუერადლებოა მესხური და, საერთოდ, ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის შესწავლისათვის.

აღნიშნული კრიტიკული შენიშვნები სრულიად არ უგადაღებლყოფს ივანე გვარამაძის მიერ გაწეულ დიდ და ფრიალ სასარგებლო მუშაობას, კერძოდ, მის ღვაწლს მესხეთ-ქაჯახეთში ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეკრებაში.

ი. გვარამაძის ბევრ საუერადლებო და საგვილიანო ცნობას შეუძლია სარგებლობა მოგვიტანოს ზოგიერთი საკითხის დადგენა-დაზუსტებაში. ი. გვარამაძის ჩანაწერები და აღწერები საშუალებას გვაძლევს დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ვიჭონოთ, თუ რა მდგომარეობაში და რა სახით იყო შემორჩენილი

მის დროს (ე. ი. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში) ხალხური სიმღერების ტექსტები, შესახვედრებულნი იმის გარდა, მის მიერ და ჩვენს მიერ ჩაწერილი ერთი და იგივე ტექსტების შედარებით შესაძლებელი ხდება დადგენა, თუ რა ცვლილებები განიცადა ამა თუ იმ ტექსტში 70—80 წლის მანძილზე. მისი ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ან დავაზუსტოთ ზოგიერთი სხვა საკითხიც.

დაბოლოს, რა ბედი ეწია ი. გვარამაძის მიერ მოხსენებულ „24-ნაირ კილოსა“ თუ „ხმას“?

როგორც ზემოთხედილი ცნობებიდან ჩანს და თვით ი. გვარამაძეც აღნიშნავს, მას სიმღერები ძირითადად ს. ხიზაბერაში მოესმენია და ჩაუწერია, სადაც „დაჩრენილა“ მესხური სუფრულები, შემკული, გამწვენებული 24 ნაირ კილოებითა, სუცხოო, რომელთა ბადალი აღარსად ეგულებოდა.

ჩვენი ექსპედიცია ორჯერ იყო ამ სოფელში, 1961 და 1962 წლებში, ხიზაბერა საკმაოდ დიდი სოფელია. ბევრი ვეძიეთ, ბევრ მოხუცს დავიკითხეთ, მაგრამ ორი ფერხლის გარდა, წმინდა ქართული სიმღერები თითქმის ვერ იმღერეს. ძველებური სუფრულების მელოდიებიც ვერ გაიხსენეს. აღარც ერთი ქართული სუფრული მელოდიის მცოდნე აღარ აღმოჩნდა.

ეს ფრიალ სამწუხარო ფაქტია, როგორც ვხედავთ, რაფიელი ერისთავის პროგნოზი, გამოთქმული დაახლოებით 75 წლის წინათ, „აღარსად აღარ მოიპევა მაგნიორი კილოები“ და თუ მესხური სუფრულები დროზე არ იქნება ნოტებზე გადაღებული, „დაიკარგებიან უზოფუკვლად და მერმე სინაწული აღარას გვარგია, აგრე დაუდევრობით დაგვკარგია ბევრი რამ ჩვენის ცხოვრების დიდად გამოსადგეგი სასიკეთო საგნებიო“ და ი. გვარამაძის წუხილი, მესხური სიმღერების დაკარგვის რეალური საფრთხის თაობაზე, ჩვენი საჯალალოდ, საუნებით გამოართვა დღევანდელი ხიზაბერას 24 ნაირ სუფრული „კილოდან“. თითქმის აღარც ერთი აღარ შემორჩა.

პირველი მუსიკალურ-პროფესიული ექსპედიციები მესხეთ-ქაჯახეთში ხალხური სიმღერების შესასწავლად 1930 და 1949 წლებში მოეწყო.

აქამებს რა აღნიშნული ორი ექსპედიციის შემთხვევით შედეგებს, პროფ. გ. ჩხიკვაძე „ქართული ხალხური სიმღერის“ წინასიტყვაობაში წერს: „ნაკლებ ვიცნობთ მესხურ მუსიკალურ ფოლკლორს, რაც მეტად სამწუხაროა, რადგან მესხები ქართველი ერის ერთ-ერთი უძველესი ტომია... მე-16 საუკუნეში, თურქების მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ, ბარბაროსულად იქნა განადგურებული ადგილობრი-

1 „მესხები ქართული სუფრულების შესახებ“, ახალციხის მუზეუმი, № 247.

ვი მაღალი სტატიის კვლევით. ამ გარემოებაში ხელი შეუწყო მესხური ხალხური მუსიკალური შემოქმედების თანდათან მივიწყებას, რომლის კვალი აქამდე ძნელად შედგენდება.

1930 წლის აბალეთის სამუსიკო ექსპედიციამ (ხელმძღვანელი შ. მშველიძე, ექსპედიციის წევრები შ. ამაფთაბაშვილი, ნ. ჩიგოჯიძე) შესწოლი მესხური სიმღერების მხოლოდ მცირე რაოდენობის ჩაწერა. ექსპედიციის მონაწილეთა ცნობებით, მესხებს ნაციონალური მუსიკის ტრადიციების დავიწყების გამო, ნაკლებად ახსოვდათ ქართული სიმღერები და უძნელდებოდათ მათი შესრულება.

ქართული სიმღერების ჩაწერა გაუჭირდა აგრეთვე მცირე ექსპედიციას, რომელიც მოეწყო 1949 წელს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით... შეგროვილი მასალებიდან კრებულში შევიტანეთ მესხური ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი ექვსი ნიმუში<sup>1</sup>... აქვე დართულია ზოგადი ხასიათის მცირე კომენტარები.

ეს უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამდენადაც აქამდე მესხური სიმღერის არცერთი ნიმუში არ გვაჯანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ექვსი მუშაობა უაღრესად მცირე მასალა შეცნირებულ შესწავლას და დასკვნისათვის. შეიქმნა აზრი, რომ მესხეთ-ქავახეთში მშობლიური, ქართული სიმღერა თითქმის სრულიად მოიხსო. 1949 წლის შემდეგ მესხეთის მუსიკალური კვლევების შესასწავლად ექსპედიციები მესხეთ-ქავახეთში აღარ მოწყობილა.

ამრიგად, მესხური ხალხური მუსიკა ჩვენი ფოლკლორისტიკისთვის ფაქტიურად შეუსწავლელი და უცნობი დარჩა. მესხური ხალხური მუსიკალური კვლევების გამოკლებით ეს საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის სრულყოფილი სხით ვერ წარმოგვიდგება.

დღეს, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური მუსიკალური კვლევება ცნობილი, გამოცემულია ხალხური სიმღერების კრებულებში, გამოკვლევები და ნაშრომები მათ შესახებ. მსოფლიო მუსიკალური საზოგადოება დიდ ინტერესით ეცნობა და აფასებს მრავალხმიან, მდიდარ ქართულ ხალხურ მუსიკას. ცხადია, გულდამწვავებია, რომ ამ დიდი ეროვნული კვლევების გამოვლინებაში საქართველოს მნიშვნელოვანი კუთხე — მესხეთი არ მონაწილეობდა.

მესხეთ-ქავახეთის ხალხური მუსიკალური კვლევების არცოდნა უთუოდ დიდი დანაკლი-

სი იყო ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკისათვის. ამიტომ ყოველ ახალ აღმოჩენილ თუ მიგნებულ მესხურ სიმღერას, უმრავლესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

გადავიწყებთ დაწერილებით გამოშვებული საქართველოს ეს საინტერესო კუთხე და ჩავედი მესხეთ-ქავახეთში.

გამზავრების წინ პირად საუბარში კომპოზიტორმა შ. მშველიძემ და პროფ. გ. ჩიგოჯიძემ, რომლებიც 1930 და 1949 წლების ექსპედიციებს ხელმძღვანელობდნენ, ვერაძრით დამამიყვდეს. პროფ. შ. ასლანიშვილმა კითხვაზე, რამდენი მესხური სიმღერა უნდა ჩამოეიტანო, რომ ჩემი ექსპედიცია უნაყოფოდ არ ჩაითვალოს-მეთქი, მიმაუტხა: სამი მესხური სიმღერა რომ ჩამოეიტანო, ეს შენი მიღწევა და ჩვენი მეცნიერებისათვის დიდი მონაპოვარი იქნებაო.

ამრიგად, ჩემს წინაშე იდგა მუტად რთული და ძნელი ამოცანა: უნდა დამეღვინა, არსებობს თუ არა მესხეთ-ქავახეთში რამდენიმე მოზუცი მინც, რომელთაც ახსოვთ რომელიმე ძველი სიმღერა, და მიმეგნო მათთვის. ამისათვის საჭირო იყო მკვიდრი მესხებით დასახლებულ ყველა სოფელში ჩასვლა, თითქმის ყოველი ხანდაზმული მესხისა და ქავახელის გამოკითხვა, ყველა სიმღერის მოსმენა, რაც კი მათ იცოდნენ.

რაცა წარმატების დიდი იმედი არა მქონდა, პირველი, „მოსიწვეითა“ ხასიათის ექსპედიცია საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით მოეაწყვე 1961 წელს, ხოლო შემდგომ ორ ექსპედიციამ, 1962 და 1963 წლებში, ჩემი თხოვნით, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დამეზმარა, 1966 წელს კი მივართე კომპოზიტორთა კავშირის, საქართველოს კულტურის სამინისტროს და რესტავრაციის საოტბილეო კომიტეტს, რომელთაც მზარი დამიჭირეს ამ საქმეში. ვარდა აღნიშნული ოფიციალური ექსპედიციებისა, ყოველ წელიწადს, სხვადასხვა დროს, ვეწყევოდ ხოლმე მესხეთს და ვიწერდი მისთვისაღინ ახალ მასალებს, ვაუსტრებელი ცალკეულ საკითხებს.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მესხეთ-ქავახეთში (მუსიკალური თვალსაზრისით) მოახდინა, მართლაც საეაღალო იყო. დღეს მკვიდრ მესხურ სოფლებში ვერც შრომის პროცესში, ვერც ლინში მესხურ ხალხურ სიმღერას თითქმის ვერსად ვაიგონებთ. ორ

1 ჩაწერილია შ. მშველიძის მიერ 1930 წ.

2 „ქართული ხალხური სიმღერა“ თბილისი, 1960 წ., ტომი I, გვ. XXII.

1 ამ ექსპედიციამ პირველად და შემდეგ სხვადასხვა დროს შემომიერთდნენ ქ. აბალეთის კულტურის სახლის თანამშრომლები: გუნდის ხელმძღვანელი შ. ალთუნაშვილი, ქორეოგრაფი გ. ანთიმე და სხვები.



მელოდიას, რომლებზეც ე. წ. „მესხურ მრავალ-  
გამიერს“, „ოთხი წყარო დის“ და „მიმინო  
შეუდა“-ს მღერან, მართალია, გუნდურად  
ეი ასრულებენ, მაგრამ, როგორც წესი, ერთ  
ხმაზე, უნისონში. ანსამბლურ გრძობას  
ვადარეულთა ასეთი შეტრწყველი ძვრადობა,  
პრიმიტივი, სინანულის გრძობასდა აღძრავს  
მრავალხმიან სიმღერებს შეჩვეული ქართველის  
შეგრძნებაში.

სხვა მესხური სუფრულები, გარდა ერთი-  
ორისა, ხალხმა აღარ იცის და არცა მღერიან.  
ვეღარც ქართული ფერხლის ყურებით ისა-  
იმოწუნებ მესხეთში. იგი თითქმის აღარსა  
სრულდება. სამაგიეროდ, დღემდე მესხეთ-  
ში, ღვინსა თუ ჭარჭილში, თითქმის მუდამ  
შეხვედებით ზურნა-დუღუკის, გარმონისა და  
დოლის დამკვრელებს, რომლებიც აღმოსავ-  
ლური მელოდებით „ატკობენ“ ქართულ,  
მამა-პაპურ მესხურ სუფრას. „ამულები“  
შიერ ნაშლერ მელოდებს, რომლებიც ჩვენ  
მოვისმინეთ, რა ენაზეც არ უნდა მღეროდნენ,  
აღმოსავლეთის ძლიერი გავლენა ეტყობა. ვარ-  
და ამისა, უოველა ამულა ცდილობს თავი-  
სებურება შეიტანოს როგორც მელოდიაში,  
იხე შესრულებაში, უფრო აღმოსავლურა ელ-  
ფერის მელნზმადიკის, ცალკეული ინტონაცი-  
ებისა თუ შესრულების ეფექტების სიმადლე-  
ბით („გულდამწვევი“, „ცრემლიანი“ და სხვ.)  
ამიტომ, ეს სიმღერები (უფრო სწორად,  
მელოდები) დიდ დახმარებას ვერ გავციფვეენ  
მესხეთის ქართული ხალხური სიმღერების  
შესწავლაში, რამდენადაც არც აღმოსავლურა  
მანერა, არც მელოდური წყობა და არც  
„გულდამწვევი ცრემლიანობა“ ქართულ ხალ-  
ხურ სიმღერას, რა ტრაგიკულიც არ უნდა  
იყოს მისი შინაარსი, არ ახასიათებს. ქართული  
ტრაგიკული სიუჟეტებიც კი ხალხურ შეო-  
ქმელებაში ვაყაყრთ, ქედმოხრელი, ბედი-  
საღმი დაღმორჩილებელი და მუდამ მებრძო-  
ლი სულსკეთებით არის გავლენილი და ეს  
შეთხვევითა კი არ არის, არამედ ქართველი  
ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს.

მესხები ქართული სიმღერების დამღერება-  
ზე ჩვეულებრივად უარს ამბობდნენ, მათი  
მივიწყების საბაბით, და, ამიტომაც, ვიხოვდი.  
ველაფერა ემღერათ, რაც ეი იოღდნენ.

ღრმა მოხუცები ერთბაშად ვერ იხსენებდ-  
ნენ აღესაღაც მოსმენილი და მივიწყებული  
ძველა მელოდიების შესრულების წესებს.  
ხევერ სოფელში რამდენიმეჯერ მიხდებოდა  
ნასვლა, საათობით ეუსმენდი გაუთავებელ  
ბაიათებს, შექსატებს, დივანებს, და უცებ...  
თავისდა შეუშინებლად, მომღერალი ზოგჯერ  
დაამღერებდა ქართულ ან მის მსგავს მელოდიას,  
მეც უშალ ვრთავდი მაგნიტოფონს, ვიწერდი  
ყველა სიმღერას თუ მელოდიას, რომელსაც;  
ქართულის რამე ნიშანწყალი აჩნდა.

მიუხედავად დიდი სიმწიფებისა, ექსპე-  
დიციების შედეგებმა ყოველგვარ(?) მრთულენა  
გადააჯრბა და წილად გავხდა [ქართული] მრთულენა  
ბა, ჩავვეწერა ჩვენი ფოლკლორისტიკისათვის  
დღემდე უცნობი 80-მდე წმინდა ქართული,  
ძველი მესხური ხალხური მელოდია, მრავალა  
ვარიანტი. მომოცებულ იქნა ძვირფასი ცნობე-  
ბი ამ სიმღერების შესრულების წესების შესა-  
ხებ.

მესხეთ-ქაჯახეთში აღმოჩნდა თითქმის, ყვე-  
ლა ღანრის სიმღერები, მათ შორის ჩაწერილია  
სუფრული სიმღერების 140 ვარიანტი, საფერ-  
ხული —46, მრომისა—64, სხვადასხვა სი-  
მღერები —240-მდე და საყრავიერო მელოდი-  
ები —40-მდე.

ასეთი დიდი რაოდენობის მასალა საშუალე-  
ბას გააძლევს მეცნიერულად იქნას შესწავლი-  
ლი ამ კუთხის ხალხური მუსიკალური კულ-  
ტურა.

მესხეთ-ქაჯახეთში ძველი მესხური სიმღერე-  
ბის მეოღნე მოხუცთა რაოდენობა ამჟამად  
უაღრესად მცირება 400-ზე მეტი ხანდაზმული  
მესხისა და ქაჯახელისაგან მხოლოდ 60-მდე  
შესსლო ემღერა ან ვადმოცეა მნიშვნელოვანი  
ცნობები ძველი სიმღერების, ცეკვებისა და  
მათი შესრულების წესების ირგვლივ. ამ მეოღ-  
ნე მოხუცთა ასაკი 70 წელს ქვევით იშვიათად  
ჩამოდის, ანაც ისინი, თთოროლა, ვაბნეუ-  
ლარიან სხვადასხვა სოფლებში, რაც პრაქ-  
ტიკულად აძნელებს მათს მიგნებას.

მრავალხმიანი გუნდური შესრულების ტრა-  
დიციის მივიწყების გამო, მოხუცები ძლივსდა  
იხსენებდნენ სავენდო სიმღერის 1-2 მელოდიას.  
ეს ცალგა (ერთ ხმაზე ნამღერი) მელოდია  
და შესრულების ხარისხი აღარ ტოვებს სრულ-  
ყოფილი, ჩამოყალიბებული (მრავალხმიანი)  
სიმღერის შთაბეჭდილებას, ვეღარ აღწევს  
საშემსრულებლო მაღალმატერულობას და  
აღარ იზიდავს მსმენელს, განსაკუთრებით ახალ-  
გაზრდობას. თუთ მომღერალს კი, თუ ჰქონდა  
ბედნიერება სიყმაწვილეში, თავისი ყურით  
მოესმინა მესხური სიმღერები კარგი შესრუ-  
ლებით, თინაც მრავალ ხმაზე, ერთ ხმაზე. ამას-  
თან არასწორად, უახრისხოდ დამღერება  
მამა-პაპური სიმღერის შელახვა მიაჩნია. მათ  
თვითონ არ მოსწონთ ამჟამად სხვისი ან  
თავისთივე ნამღერი ძველი მელოდები. „ეხ-  
ლა ისე ვეღარ ემღერიო, როგორც ძველები“,  
სინანულით აღნიშნავს მესხური სიმღერების  
ყველაზე კარგი მეოღნე, ამჟამად, 103 წლის  
შიზა ვასილის ძე ჯვარიძე (ს. კობარეთი). მან  
ჩავაწერინა 10 სუფრული მელოდია, რომელ-  
თაგან 6 სუფრული მხოლოდ მასდა ახსოვს  
მთელ მესხეთ-ქაჯახეთში, სხვებს მხოლოდ ტექ-  
სტილა აგონდებოთ. მოხუცი მესხები სიმღერის  
დამახინჯებას სულ უმღერლობას ამჟობინებენ.  
მათ მხოლოდ ხანგრძლივი ბაისისა და ახსნა-გან-



მარტების შედეგად ძლივს ვითანხმებდი, რომ ემღერათ ისე, როგორც ახსოვთ, როგორც შეუძლიათ.

მდგომარეობას ართულებს აგრეთვე ზოგიერთი თავისებურებაც: ბევრ მოხუცს, რომელიც ძირითადად აღმოსავლურ სიმღერებს არის შეჩვეული, გამოუმუშავდა აღმოსავლური შესრულების მანერა. ყოველ მელიოდისას, რომელი ეროვნების ხალხსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს იგი, შესრულების დროს უხედავ აკობს აღმოსავლური ინტონაციებით, ქცევებითა თუ მელიზმატიკით. ამიტომ მათ მიერ შესრულებულ ყოველ მელიოდისა (მათ შორის ზოგჯერ რუსულსაც) ასეთივე აღმოსავლური იერია აქვს. ქართული მელიოდებიც ზოგჯერ არა-ქართული მუსიკის შთაბეჭდილებას ახდენს, რაც გამოცდილ მსმენელსა და ხშირად თვით შემსრულებელსაც კი შეაიძინებს ხოლმე. მაგამ, საქმარისა ჩამოვაცალით ხელოვნურად მატყანინალი აღმოსავლური მელიოდურ-ინტონაციური სამკაულები და უცებ გამოისახება ტიპიური ქართული მელიოდის ძირი, მაგალითისათვის შეიძლება დავასახლოთ მესხური სუფრული სიმღერა „მტრედმა თავის სიმართლითა“, რომელსაც 66 წლის მაისურაძის (სოფ. ნაქალაქები) შესრულებით ქართულად თითქოს არაფერი აქვს საერთო, მაშინ, როდესაც 103 წლის მისა ჭვარიძის (სოფ. კობარეთი) მიერ შესრულებული იგივე სიმღერა შესანიშნავი ქართული ხალხური, კლასიკური „ჩაქრულოს“ ტიპის, ფართო სუნთქვაზე დაფუძნებული სუფრული სიმღერაა.

თუმცა ჩანაწერები ფრაგმენტულია, კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნამღერია ვარიანტების დიდმა რაოდენობამ საშუალებამოგვცა უფრო სრულყოფილად აღვედგინა ბევრი სიმღერის ტექსტი, აგრეთვე, ადრე, სხვა მკვლევართა მიერ (ლუკა რაზიკაშვილი, ივანე გვარამაძე, კონსტანტინე გვარამაძე და სხვ.) ზეპირი გადმოცემებით ჩაწერილი ტექსტები.

ამას ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ:

1. აღრიხდელი მკვლევარები სიმღერებს ნოტებით ვერ წერდნენ, ამიტომაც სასიმღერო ტექსტებს უმეტესად სიმღერის დროს კი არ წერდნენ, არამედ სიტყვით, ზეპირი გადმოცემით, ლექსად მღერით ჩაწერილი ტექსტები კი, ჩვეულებრივ, უფრო სრულყოფილია, ვიდრე ზეპირად, ლექსად ნათქვამი სასიმღერო ტექსტი, რადგან ზეპირი გადმოცემისას მოქმედებს ხშირად გამოტოვებენ ხოლმე სიმღერისათვის საჭირო მარცვლებს (მაი, პო, პარალა და სხვ), აგრეთვე გლოსოლოგიების შესედეგადაც ლექსი ჰკარგავს მარცვლების გარკვეულ რაოდენობას, ირდევაც ლექსის

სტრუქტურა, ფორმა, ხოლო ზოგჯერ შინაარსიც ვიწვევბარო ხდება. ჩვენ მიერ ჩაწერილ მესხურ სიმღერებში მარტაქალაქის მარცვლები კი არა, გლოსოლოგიებიც არის დაცული (სიტყვები, რომლებმაც დღესდღეობით დაკარგა შინაარსობრივი მნიშვნელობა, ან იმდენად დამახინჯებულა, რომ ჭრატყრობით ვერ მოხერხდა მათი შინაარსის გაშიფრვა). მაგ., ხორზანდულენდა, ჩიკვართულენდა, სირჯანულენდა, აზდი და გოგდი და სხვ. თუმცა „უშინარსოა“, ეს სიტყვები ლექსწყობაში მაინც ითვლება ფორმის წარმომქმნელ მნიშვნელოვან ელემენტებად. ყოველივე ამის გამო (დღნიშნული სიტყვებისა და მარცვლების შენარჩუნების შედეგად) მესხურმა სასიმღერო ლექსებმა სრულყოფილი, ფორმის მხრივ საყენებელი ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

2. ბევრი ვარიანტის ჩაწერამ, ერთმანეთთან შედარებისა და ურთიერთშეკვების შედეგად, საშუალება მოგვცა უფრო სრულყოფილად წარმოვედგინა (და აღვედგინა) ესა თუ ის სასიმღერო ლექსი.

ამრიგად, 1961-68 წლების ექსპედიციების მიერ შეგროვილი მასალის საფუძველზე დღეს უკვე შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მესხეთ-ჭავჭავთეთში შემორჩენილია გარკვეული ნაწილი ქართული სიმღერებისა (უფრო სწორად მელიოდებისა). მართალია, ისინი მეტწილად ძალზე შეზღუდული, დაკნინებული, ბევრჯერ არასრული სახითაა შემორჩენილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მრავალი ვარიანტის შედარების, მათი მუსიკალური და ტექსტუალური ანალიზის, მეცნიერული შესწავლის შედეგად შესაძლებლობა მოგვცემა წარმოვადგინოთ საშუალოდ საქართველოს ხალხური სიმღერების რაობაზე. ჩაწერილი მელიოდების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მესხური სიმღერების მელიოდური მონახაზი, მელიოდების დიპაზონი, დამახასიათებელი ინტონაციები, სიმღერების ფორმები, კადანსური ფორმულები, კილოები, ეანრი, თემატიკა, ხასიათი და სხვ. რაც საფუძველია არა მარტო მათი დიალექტოლოგიური თუ თვითმყოფელი ნიშნების გამოვლინება-დადგენისა, არამედ მეცნიერული დასკვნების გამოტანისა და თვით ამ სიმღერების აღდგენისა.

1 მავალითისათვის შეადარებ პეტრე უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ (თბ. 1964, ტ. 11) გამოქვეყნებული ტექსტები: „რად არ მღეროინა“, „ჟინ დაღვს“. „ხელმწიფევე, შენსა გვირგვინსა“ ჩვენ მიერ ჩაწერილ ამავე ტექსტებს სიმღერით შესრულების დროს.

ფან 80 კკკ.

6.27/208

ИНДЕКС  
76128  
საქართველოს  
საბჭოთაო კავშირი

**«М Н А Т О Б И»**

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ